N2
2015

644
2015

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასალამო

1852

ლია ლიქოკელი

ნინო სადღობელაშვილი

ლელა ჯიყაშვილი

დაურ ზანთარია

გრიგოლ რობაქიძე და
ვასილი როზანოვი

რედიარდ კიპლინგი

გაკვეთილის თემა: „მშობლიური ენემერა“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციხე 1852

ყოველთვიური
ლიტერატურული –
საზოგადოებრივი
ჟურნალი

2015/2

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

რედაქტორთა ჯგუფი

ბალათერ არაბული
სოსო გოლიაძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები

ანდრო ბუაჩიძე
ელზა მეტრეველი

ჟურნალი დააკაბადონა
თამარ ტყაბლაძემ

გარეკანის პირველ გვერდზე:
ოთარ ჯიშკარიანის
ნახატის მიხედვით შესრულებული
კომპიუტერული გრაფიკა

ჩანახატები **მარიამ გოგილიძისა**

სარედაქციო საბჭო

ანდრო ბედუკაძე
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი
ლევან ბრეგაძე
დავით თედორაძე
ზვიად კვარაცხელია
ესმა კოკოსკერია
გიორგი ლობჟანიძე
ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ნინო სადღობელაშვილი
თამაზ ტყემალაძე
რაზიათ ქუმარიტოვი
რეზო ჭეიშვილი
თემურ ჭკუასელი
ბესიკ ხარანაული

ჟურნალი გამოდის
თბილისის მუნიციპალიტეტის
ფინანსური მხარდაჭერით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
https://www.facebook.com/ciskari1852

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

გერონტი ქიქოძე 3
პატარა სამშობლო

პოეზია
ლია ლიქოკელი 5
კატო ჯავახიშვილი 18
ტარიელ ჭანტურია 22

პროზა
სოსო მეშველიანი 25
ბუენოს ტარდეს!
გიორგი ლორთქიფანიძე 40
ტრიალოგი ლიტერატურულ ჯაფეში

ესეიტიკა
ნინო სადღობელაშვილი 75
უხსოვარიდან მარადისობამდე
ლელა ჯიყაშვილი 78
წერილი არჩილ ქიქოძეს

დიალოგი
ანდრო ბუაჩიძე – ზაზა შათირიშვილი 84
ენის – „ყოფიერების სახლის" – ესეიზისი

ესეიზტიკა
ემზარ კვიტაიშვილი 86
წიგნიდან „რქაწითელის მტევანი"

სამეცნიერო ნარკვევი
გიორგი ხეოშვილი 106
გრიგოლ რობაქიძე და ვასილი როზანოვი

ციხესარი – სოლოს
ამირან გომართელი 116
„მშობლიური ეფემერას" საიდუმლო

წიგნები ▪ რეცენზია
ლევან ბრეგაძე 120
ექიმობის რომანტიკა
ანდრო ბუაჩიძე 127
მცირე ლექსების ტევადობა

ახალი თარგმანები
რედიარდ კიპლინგი 130
ვილანდის ხმალი
ინგლისურიდან თარგმნეს **თამარ კოტრიკაძემ** და **ვასილ გულეურმა**

დაურ ზანთარია 139
გრამოფონი
რუსულიდან თარგმნა **სოსო გოლიაძემ**

ნათია როსტიაშვილის 142
ორი მინიატიურა აფხაზურ ენაზე
თარგმნა **ესმა კოკოსკერიამ**

თეატრი
გიორგი ყაჯრიშვილი 150
„ან ხვალინდელი დღე რას მჰირდება?"

ნობელიანტის გვერდი
პატრიკ მოდიანო 161
2014 წლის ნობელიანტის სიტყვა შვედეთის აკადემიაში
თარგმნა **მარიკა კახაძემ**

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჰონტი ქიქოძე

პატარა სამშობლო

რას აირჩევდი, მკითხველო, არჩევანი რომ შესაძლებელი ყოფილიყო: დიდსა თუ პატარა სამშობლოს. მგონია, რომ პატარა სამშობლოს ზოგიერთი უპირატესობა აქვს დიდის წინაშე, მაგრამ თუ თანამედროვე მსოფლიო ომის ოფიციალურ უწყებებს კითხულობ, სადაც მშრალი სატელეგრამო სტილით პატარა ერების ბიბლიური თავგადასავალია აღნერილი, მაგალითად, ანტვერპენისა, ბელგრადისა და ბუქარესტის ალება, ან კიდევ ბელგიელების, სერბიელების, შავმთიელებისა და რუმინელების სამშობლოდან გამოსვლა, ვეჭვობ, რომ პატარა ერის ხვედრი აირჩიო. ყველაზე ნაკლებ სახარბიელო სხვის ხელში მაცქერალი არსების მდგომარეობაა, პატარა ხალხი კი დღეს ხშირად იმყოფება ასეთ მდგომარეობაში. მის ბედს სხვები განაგებენ, სხვები უკარნახებენ ბრძოლაში ჩარევას თუ თავის შეკავებას, სხვები ანგარიშობენ გამოსაღები მსხვერპლისა და მოსალოდნელი სანაზღაუროს რაოდენობას. რარიგ არ უნდა დამთავრდეს დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, ლომის კერძი რომელიმე დიდ სახელმწიფოს ერგება, უეჭველია: პატარა ერები იძულებულნი იქნებიან ნამცეცებს დაკმაყოფილდნენ.

მაგრამ ამისდამიუხედავად, რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერი ხდება პატარა სამშობლოს იდეა. ფრანგმა მეცნიერმა გაბრიელ ჰანოტომ სამართლიანად აღნიშნა, დღევანდელი კაცობრიობა კი არ ერთიანდება და ჯგუფდება, არამედ უფრო ნაწილდება თანდათანო. ყველგან ახალი ერები ჩნდებიან. ყოფილი პროვინციები ახალი სამშობლოს სახელს ღებულობენ, განცალკევებული ტომები თვითმმართველობასა და დამოუკიდებლობას ითხოვენ: ზოგი მათგანი საფლავში ინძრევა, ზოგი კიდევ არტახებში. ნორვეგიელი შვეციელის წინააღმდეგ ილაშქრებს, ფლამანდიელი – ვალონელის წინაალმდეგ. ევროპა ჯერ კიდევ იყოფა და ქუცმაცდება. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში ევგენი სავოელისა და ვოლტერის დროს კოსმოპოლიტიზმს მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე დღესა აქვს.

ეს შეხედულება სწორია არა მარტო დასავლეთ ევროპისა, არამედ საქართველოსთვისაც. ჩვენი მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებიც უფრო კოსმოპოლიტური ხასიათისა იყვნენ, ვიდრე ჩვენი მეოცე საუკუნეა და ჩვენი დიდი წინაპრები გიორგი სააკაძე ან ერეკლე მეორე უფრო ადვილად ეთხოვებოდნენ პატარა სამშობლოს იდეას, ვიდრე თანამედროვე შეგნებული ქართველი გამოეთხოვება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ყოველ თვითცნობიერ მამულიშვილში სოლომონ ლეონიძის სული ფეთქს და განცალკევებული არსებობის აზრს დღეს საქართველოში მეტი გავლენა აქვს, ვიდრე ოდესმე ჰქონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ სულიერ განწყობილებას ძალაუნებურად დიდი ერებიც ურიგდებიან. კიდევ მეტიც: დიდ მებრძოლ სახელმწიფოებს თავიანთი თავი პატარა ერების ფალავნებად მოაქვთ და ხანდახან კიდეც კეკლუცობენ და ყოყოჩობენ ამ როლში. ინგლისი ბელგიის მფარველობას იჩემებს, ავსტრია-უნგრეთი-სერბიელ-კროატიელების გაერთიანებას, გერმანეთი და რუსეთი პოლონეთის აღდგენაში ერთიმეორეს ეცილებიან. დღეს ეროვნული თავისუფლების იდეას ისეთივე სტიქიური ძალა აქვს, როგორც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დემოკრატიულ იდეას ჰქონდა და თანამედროვე ძლევამოსილი სარდლები ხშირად იძულებულნი არიან ქედი მოიხარონ უფლებააყრილი ერების წინაშე, როგორც ნაპოლეონ პირველმა ასი წლის წინათ სანკიულოტების წინაშე მოიხარა ქედი.

მართალია, პატარა სამშობლოს ბევრი რამ აკლია დღევანდელ პირობებში: ქონებრივი მორჭმულობა, მრავალრიცხოვანი სპა, მჭრელი მახვილი თავის დასაცავად, მაგრამ, სამაგიეროდ, ზოგიერთი მაღალხარისხოვანი ზნეობრივი თვისებები აქვს.

პატრიოტული გრძნობა ჩვეულებრივ პატარა ხალხში უფრო ცხოველია, ვიდრე დიდში. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ სიყვარულის საგანი ყოველთვის ახლობელი და ხელშესახები უნდა იყოს, დიდი სახელმწიფოები კი ხშირად უსაზღვრო და თვალუწვდენელი ტერიტორიის სახეს ღებულობენ. ასეთ ტერიტორიაზე პატრიოტიზმის ადგილს ქვეშევრდომის შეგნება იჭერს. თითოეული მოქალაქის ჭირი და ლხინი ნაკლებ არის დაკავშირებული საერთო ჭირთან და ლხინთან, და დიდი სახელმწიფოს სხეულის ერთი ასო ხშირად წყლულდება და ნადგურდება ისე, რომ მეორე ასო ვერც კი გრძნობს საფრთხის მოახლოებას. ზოგიერთი დიდი იმპერია უფრო ხელოვნურად შეკოწიწებულ მანქანას წააგავს, ვიდრე ორგანულ არსებას და ხშირად ერთი პანია მავთულის გაწყვეტაა საკმაო, რომ მთელი უზარმაზარი მექანიზმი დაიშალოს.

პირიქით, რარიგ ცხოველმყოფელია პატარა სამშობლო. მამულიშვილი არ იკარგება უსაზღვრო და უპიროვნო მასაში. თემის ჭირ-ვარამი მისი ჭირ-ვარამიც არის, ეროვნული საქმეები მის საკუთარ საქმეებშია გადახლართული. მტრის შემოსევა საფრთხეს უქადის მის სახლკარსა და ცოლ-შვილს, სამშობლოს გამარჯვება კეთილდღეობას უმზადებს მის არსებობას. სამშობლო მას მეტს სთხოვს და მეტს ჰპირდება. ეს გარემოება ყოველ ადამიანურ ნიჭს ამოძრავებს და უხვად ასაზრდოებს ადამიანურ თაოსნობას და შემოქმედებას. ამით აიხსნება, რომ პატარა ქვეყნის შვილები ხშირად უფრო ძლიერი ადამიანები არიან, ვიდრე დიდი ქვეყნის მოქალაქეები და პატარა ერები ხშირად გენიოსებისა და თვითმოქმედების სასწაულს აჯაკრავებენ.

ათენმა პერიკლეე, სოკრატე და პლატონი წარმოშვა, როცა ის ოციათას მოქალაქეს ითვლიდა და დიდი სპარსეთის მეფე დაამარცხა ეროვნულ ბრძოლაში. ქალაქ რომმა რამდენიმე თაობის განმავლობაში მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი დაიპყრო. პატარა ფლორენციამ იტალიური აღორძინების ნიადაგი შექმნა და ხელოვნების საუკეთესო ყვავილები წარმოშვა. პატარა ვენეციამ რამდენჯერმე ოსმალები, ბიზანტიელები, დალმაციელები და უნგრელები უკუაქცია, კონსტანტინოპოლი, პელოპონესი, კიპროსი და კრიტოსი დაიმორჩილა და შავი ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვამდე მსოფლიო აღებ-მიცემობა გააჩაღა.

ჩვენს პატარა სამშობლოსაც ჰქონია დიადი წუთები. მის მხედრებს ძლევამოსილი სულთნები დაუმორჩილებია, მის ოსტატებს გმირთ ნაკეთი ტაძრები აუგია. ამიტომ არის, რომ დროებითი ბედშავობა გულს არ უტეხს და მისი თვალები ასე იმედიანად იცქირებიან მომავალი წლებისაკენ.

გაზ. „საქართველო“, 1917წ., №1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ლიქოჯელი

•

ხომ არ ფიქრობ, ვინმე მოვა, როცა კვდები:
ხომ შეიძლება, ხელები დაიგრძელო და საფლავში გადაიყოლო.
მაშინ მოვლენ, როცა უკვე საიმედოდ იქნები მკვდარი,
დასამარხად გამზადებული.
კარგად მოგივლიან: დაგბანენ, სუფთა ტანსაცმელს ჩაგაცმევენ.
სახლსაც დაგილაგებენ და
სიტყვებსაც უხვად მოიყოლებენ –
ყველას აღმოაჩნდება ერთი-ორი სიტყვა,
მკვდრისთვის სათქმელად რომ გამოდგება.

შენც აღარ დაიწყებ ხელების ქნევას,
გაგიკვირდება, რა კარგად ესმით შენი,
რა კარგად არის თქვენს შორის ყველაფერი.
და იტყვიან: რა წესიერი მკვდარია,
ნევს თავისთვის, ჩუმად,
ასეთი რომ ყოფილიყო სიცოცხლეში,
ამდენი რომ არ ეყვირა,
ხომ მაშინვე შევიყვარებდით.

შენ დაუჯერებ ყველაფერს,
ხელებსაც ისე დაიწყობ მკერდზე, როგორც გეტყვიან,
სუნთქვასაც შეიკავებ, შენს თავთან სანთელი რომ არ ჩაქრეს,
ლოცვას ვერცხლის მონეტებივით რომ დაგაფარებენ თვალებზე.
და იტყვიან: რა კარგი მკვდარია,
რა ადვილია ასეთებთან ურთიერთობა.

არავის აქვს ცოცხლებისთვის სათქმელი სიტყვა,
რომ ჰქონოდათ, საკუთარ თავებს ეტყოდნენ.
მკვდართან ყველაფერი ადვილია,
მიხვალ, ჯერ ზენარს გადააფარებ,
მერე მიწას,
და მშვიდად იფიქრებ, რომ ზამთარში თბილად იქნება,
აღარაფერი გაუჭირდება.

ჩამოვედი

ჩამოვედი.
ჩამოვედი ჭრელი მინდვრების გადამთიბავი სქელმკლავებიანი კაცებით
და ჭრელი ძროხების მწველავი დიდხელებიანი ქალებით სავსე
დიდი, თეთრი ავტობუსით.
ჩამოვედი მძიმე ზურგჩანთებში ჩატენილი ზაფხულით
და ერთი ბოთლი ჩემი ეზოს წყლით.
ჩამოვედი არაგვის ჭალებგამოვლილი
ჯერ ისევ გრილი ავტობუსიდან ნაცრისფერ სიცხეში.
არავინ დამხვედრია.

არავის დაურეკავს: „ჩამოხვედი?“
არც არავის მოუწერია.
სახლისკენ მიმავალი ვფიქრობდი, რომ
ახლა აღარავინ შემხვდება გზად, ვინც მკითხავს,
რამდენი მაქვს ხელფასი და ბინის ქირას რამდენს ვიხდი,
და ეს კარგია.
სახლში შესვლისას ვფიქრობდი, რომ ახლა არავინ მკითხავს:
„უკვე მოხვედი?“ ან „აქამდე სად იყავი?“
და ეს კარგია.
შევაღე კარი და შევაღე აბლაბუდა.
ობობებმა ფეხები შეიკეცეს და შევათრიე ჩემი ზურგჩანთები.
დავჯექი იატაკზე და გამახსენდა, რომ
დედაჩემს ავტობუსამდე არასოდეს გავუცილებივარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც დამხვედრია.
ამას ყოველთვის მამაჩემი აკეთებს.
მერე გავიფიქრე, რომ დღეს საჭმლის გაკეთება არ მომიწევს,
რადგან სახლში არავინ არის და ეს კარგია.
მერე ტელეფონს დავხედე.
არავის დაურეკავს. არც არავის მოუწერია: „ჩამოხვედი?“
საღამოს დედაჩემი დარეკავს და მკითხავს, როგორ ვიმგზავრე,
და მეტყვის, რომ ჩემი კატა, მთელი დღეა, მეძებს
და ჩემი საძინებლის ფანჯარასთან კნავის.
მაგრამ მე აქ ვარ.
ზუსტად ისე, თითქოს მთელი ზაფხული არც არსად წავსულვარ
და კარგამოკეტილ სახლში აბლაბუდებს ვქსოვდი.

უკვე საღამოა.
და ჩამოვსხედით მე და ჩემი თავი ჭიქა ჩაისთან და ვფიქრობთ:
რატომ გავრბივართ იქიდან, სადაც სულ გველოდებიან,
იქ, სადაც არავინ გველოდება?

რომ დავბადებულიყავი ასი წლის წინ ან უფრო ადრე

რომ დავბადებულიყავი ასი წლის წინ ან უფრო ადრე
მთებს ჩამოფენილი ქერის ყანების ქვეყანაში,
მეცოდინებოდა თვალებით ლაპარაკი,
მექნებოდა რბილი, თივისფერი თმა და უცნაური სახელი.
გაზაფხულის ერთ ღამეს ადიდდებოდა წყალი ყველა მდინარეში,
მე გავხდებოდი თექვსმეტი წლის.
გადმოვაწყობდი ტერფებს დათვის ტყავზე თენებისას
და დილის ნისლში ჩემი მკლავები
რძის ბილიკივით დაგრძელდებოდნენ.
იმ დღეს გამართავდნენ დოღს
ზამთრისპირს მოკლული რომელიმე მეზობლის სახელზე.
და ერთი ცხენი, თაფლისფერი, ჩემს სოფლამდე
ცხრა მთას და ცხრა ხევს გადმოვლიდა.
მხედარს ექნებოდა მაღალი ზურგი
და ქორის ფრთებივით გაშლიდა თვალებს,
პირველად რომ დავინახავდი.

მე დავუწნავდი ფაფარს ჩემი ძმის ცხენს
და ჩემი თითები ცხენის კისერზე
ჩიტის ფეხებივით იკანკალებდნენ.
დღე იქნებოდა უფრო გრძელი, ვიდრე ჩემი თექვსმეტი წელი.
შებინდდებოდა და ის ზურგი ჩემს მხურვალ თვალებს
ცხრა მთას იქით წაიყოლებდა.

ყოველ გაზაფხულზე ეს ჩემი თვალები ჩამოადნობდნენ თოვლს მთებიდან.
ეს ჩემი ხელები ამოიყვანდნენ დღეებს ყველის თავებივით
ყელში მობჯენილი ლოდინის რძიდან.
ჩამოივლიდა მრავალი ცხენი,
მაგრამ არც ერთი თაფლის ფერისა.
მერე ივლიდნენ შუაკაცები მამაჩემთან
და სამი წლის თავზე ვინმე უცხო კაცს,
არყის ხის ფერს,
მეზობელ ხეობაში გამაყოლებდნენ.



დამწკრივდებოდნენ წლები და ჩემი შვილები, თმაყვითლები,
კალთაში აღარ დამეტეოდნენ.
დამწკრივდებოდნენ წლები და ჩემი დაქარგული პერანგები
იმ კაცის ზურგზე გახუნდებოდნენ,
არყის ხის ჩრდილივით რომ ჩამოდგა
ცხენის ძუსავით გამოკვანძულ, ჩემ ყელზე მოჭერილ ცხოვრებაში.

ძალიან ნელა დავბრმავდებოდი და ძალიან ნელა დავბერდებოდი.
ჩემი თრთვილჩამდგარი თვალები
ჩამოადნობდნენ თოვლს ყოველ გაზაფხულზე
და ჩემი ხელები ჩაფშვნეტდნენ დღეებს თავფშუტ ქერივით
ჩიტის ფეხს გამობმული ცხოვრების ჯამში.
ვიცოცხლებდი ყველაზე დიდხანს
და ჩემი მკვდრების სახელდაუწერელ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყორნის ჩრდილდაფენილ საფლავებს
ყველა ზამთრის ნინ მოვილოცავდი.
მერე დადგებოდა გაზაფხულის ღამე
და ადიდდებოდა წყალი ყველა მდინარეში.
გადმოვდგამდი ფეხებს დათვის ტყავზე,
გადმოვშლიდი ფეხებს მიწასავით,
გადმოვყრიდი მკლავებს, გველის ტყავივით ჭრელს
და მაღალზურგიანის ყელზე მოუხვევველს,
და ხელებს, იმ ზურგზე დაუწყობელს,
გავხედავდი მთებს, რომლებსაც
არც ერთი თაფლისფერი ცხენი აღარ გადმოივლიდა,
და ჩემი ბოლო ღამის თავზე გაშლილი
მთვარის ღილით შეკრული ცა
იქნებოდა ისეთივე,
როგორიც ახლა,
ასი თუ მეტი წლის შემდეგ
ჩემი სხვა, თითქმის ნამდვილი ცხოვრებიდან,
და ჩემი წასვლა,
წასვლა ყველა წასვლაზე მეტი,
იქნებოდა ისეთი, როგორც
ყვითელნისკარტა შავი შაშვების აფრენა თოვლიდან.

დამიხატე ხე

დამიხატე ხე.
სადმე, ხიდის ქვეშ, ჭუჭყიან კედელზე.
აუცილებელი არ არის, ჰქონდეს ფოთლები,
მთავარია, ისეთი იყოს,
ზედ ჩიტები შემოსხდნენ და ილაპარაკონ.
ნუ ილაპარაკებენ ჩიტები ჩვენზე,
სხვა რამეზე ილაპარაკონ,
სულაც მაწანწალა კატებზე და ძაღლებზე,
მდინარეში ჩაყრილ ნაგავზე,
ბლანტ ნყალში დამხრჩვალ თევზებზე
და მანქანებში დამხრჩვალ ადამიანებზე.

ეს იქნება ხე, რომელსაც ვერავინ მოჭრის.
შეიძლება წაშალონ, გადაღებონ,
ზედ რამე სისულელე ნაანერონ,
მაგრამ მთავარია, რომ ვერავინ მოჭრის,
იქნება ასე, კედელზე მიხატული ქალაქის ფილტვი,
და ვერაფერს დააკლებს ტოტებზე შემოხვეული
გამონაბოლქვის კიბო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამიხატე ხე, რომელსაც არ ეცოდინება, რა არის მიწა.
დახატე ჰაერში გაშვერილი ფესვებით,
თითქოს თითებს ფარჩხავდეს და ყვიროდეს
იმ ადამიანივით,
რომელმაც იარა, იარა და კედელს მიეყუდა,
რადგან ვერ იპოვა მინა, რომელზეც დადგებოდა,
ხეს დარგავდა და სახლს ააშენებდა.
დამიხატე ხე, რომელსაც არ ექნება ჩრდილი,



რადგან არ მოვა კაცი, რომელმაც ყურძენი დაკრიფა,
ღვინო დაწურა, დაიღალა
და შუბლზე ოფლის წმენდით ჩრდილის ძებნა დაიწყო.
დამიხატე ხე, რომელიც ვერ ამოყრის ნერგებს,
რომელსაც არ ექნება ნაყოფი,
რადგან დაიბადა ქალაქში, სადაც
მარტო შუქნიშნები თუ დამწიფდებიან.

დამიხატე ხე, რომელსაც შეუძლია იცხოვროს მარტომ
ხიდის ქვეშ, იმ მდინარის ნაპირას,
რომელშიც უფრო მეტი პლასტმასის ბოთლია, ვიდრე თევზი.
ხე, რომელსაც შეუძლია უყვარდეს წყალში არეკლილი ჭუჭყიანი მზე,
ხიდზე მოსიარულე ოფლიანი ადამიანები,
მშიერი, ავადმყოფი ვირთხები და გადამწვარი ლამპიონები,
მაგრამ არასოდეს აყვავდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც დაბერდება,
არც მე და შენ ვემახსოვრებით,
მხოლოდ ჩიტები თუ შემოსხდებიან,
დიდი ხნის წინ ცის კიდეზე მიხატული ჩიტები,
რომლებიც გაცოცხლდნენ, როცა ცა ჩამოიშალა
და ქვაფენილად დაეფინა ქალაქში
ჩემი, შენი, სხვების
მიწაგამოცლილი ტერფების ქვეშ.

მოდი, ვიყოლიოთ ხე.

წამო ჩემთან

წამო ჩემთან.
გამოიარე ეგ გზა, არც ისე შორია და არც ისე ძნელი.
გზის ბოლოს კაცგაქცეული ქალივით რომ დგას,
ეგ არის ჩემი სოფელი.
ჩემი სახლი რომ იცნო, ირმებიან ფარდაგს გადმოვფენ.
შორიდანვე რომ დამინახო,
შალს შემოვიხვევ და ეზოს კართან დავდგები.

შენ მოსვლამდე ცეცხლს ავანთებ, რძეს შემოვდგამ,
სოდიან პურს გამოვაცხობ.
მოხვალ, საღამო იქნება, ტაბლასთან დაგსვამ,
ახალი თაფლით სავსე ჯამს დაგიდგამ.
მე კუთხეში ჩამოვჯდები,
ლოყაზე ხელს შემოვიდებ, გიყურებ.
შორიდან გიყურებ. მოგეჩვევი.
ჩემი ძაღლი უფრო ადვილად მოგეჩვევა –
მოვატყუებ, რომ კარგი კაცი ხარ.
თუ თავზე ხელს გადაუსვამ, შეგიყვარებს,
ადვილად უყვარდება. ჩემზე უფრო ადვილად.

დაღლილი იქნები და არაფერს გკითხავ.
არც არაფერს მოგიყვები.
ლოგინს გაგიმზადებ – რბილ თივას გაგიშლი,
ზურგით ჩამოვიტან გორიდან სულ ახლად მოთიბულს.
გაგიფენ. მოგიწვები.
გულზე ხელს დაგადებ, გიყურებ.
გაივსება ჩემი სახლი.

მზის პირველ სხივზე მამლის ყივილი რომ შემოჯდება, ავდგეთ.
ცეცხლს ავანთებ, რძეს შემოვდგამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკლის ხის ქვეშ ჩამოვსხდეთ,
გუშინდელი პური შუაზე გავტეხოთ.
მუხლზე რძიან ფინჯანს დავიდგამ,
ხელს ლოყაზე შემოვიდებ, გიყურებ.
შეარხევენ ტოტებს ჩხიკვები, ცოტას წაიჭორავებენ.
ჩვენ ჩუმად დავსხდეთ, ნუ ვილაპარაკებთ.

იქნებ, შენი სახელი ვთქვა სულ ერთხელ,
იქნებ, ჩემი სახელი თქვა სულ ერთხელ,
სხვად – სიჩუმე იყოს,
ზოგჯერ ძალმა დაიყეფოს.

კარგი იქნება, მზე იყოს.
ჩემთან წვიმა ხშირია, მაგრამ, თუ არ გეტყვი, ვერ შეამჩნევ.
მთაზე ასვლა თუ მოგინდეს, გამოგყვები.
შენ წინ იარე, მე კვალში ჩაგიდგები.
ავალთ, გადმოვიხედავთ.
მე ზურგთან დაგიდგები.
ტყეში წასვლა თუ მოგინდეს, წავიდეთ.
ჟოლო ვჭამოთ, ველური მარწყვი ვჭამოთ –
სულ ხელისგულებიდან უნდა გაჭამო.

თუ მოგინდეს, მდინარეზეც წავიდეთ.
წყალი ცივი იქნება, მაგრამ, თუ არ გეტყვი, ვერ შეამჩნევ.
მივიდეთ, ჩავწვეთ,
კალმახები ამოვიყოლოთ.
ერთმანეთის ხელები ამოვიყოლოთ.

წამო ჩემთან.
მერე რა, თუ არ არის მაინცდამაინც კარგი ამინდი.
ზოგჯერ გამოდარებაც ვიცი.
ზოგჯერ კარგად ყოფნაც გამომდის,
ყელზე მკლავების მოხვევაც გამომდის.
წამო ჩემთან.
არც ისე შორი ვარ და არც ისე ძნელი.
გზის ბოლოს სოფელგაქცეული სახლივით რომ ვდგავარ
გულგადმოფენილი
ადვილად საცნობი ვარ და ადვილად მოსაგნები,
ადვილად მოსახვევი და დასავიწყებელიც,
ჰოდა, წამო ჩემთან
სულაც ერთი დღით,
გამოიარე ეგ ნანვიმი გზა და დავსხდეთ მიწაზე კაკლის ხის ქვეშ,
სველ, სოკოამოყრილ მიწაზე,
მუხლებზე რძიანი ფინჯნები შემოვიდგათ,
გვერდიგვერდ დავსხდეთ, ჩუმად დავსხდეთ, ნუ ვილაპარაკებთ.
თუ შევძელი, მხარს მხარზე მოგადებ
ან სულ ერთხელ შენს სახელს ვიტყვი,
ან, უბრალოდ, ლოყაზე ხელს შემოვიდებ,
გიყურებ.

შენ მშვიდად მოკვდები, ბებიაჩემო

შენ მშვიდად მოკვდები, ბებიაჩემო.
დაიძინებ და აღარ გაიღვიძებ.
თავთან ჩამოგიჯდება დედაჩემი, თვალებს ამოიღამებს,
ძილი არავინ დაგიფრთხოს.
ის დედაჩემი, რომელსაც წელში ერთხელ
შენთან ერთად სტკივდებოდა გული ცხრა მთას იქით მყოფს,
მაშინვე გზას ადგებოდა,
მოჰქონდა შენთან თავისი გამონაცვალი ჯემპრები
და ფიქრობდა, რომ ერთნაირად უპატარავდება ტანსაცმელი და დედა.
შენ დაიძინებ და მე ვიფიქრებ, რომ ერთხელაც არ დამსიზმრებიხარ.
შენზე მარტო ის ვიცი, რომ გოგოობაში
გრძელი, საკვირლად ლამაზი თმა გქონდა
და არც ერთი შვილი არ დაგემსგავსა,
არც შვილიშვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენზე მარტო ის მახსოვს, რომ დედაჩემზე მეტად
შენი ნაბოლარა ბიჭი გიყვარდა – ბიძაჩემი,
და იმის შვილები,
ჩემზე კი ამბობდი,
რომ მოყვარული ვარ, მაგრამ ხასიათის გაგება მინდა.

ახლაღა გავიგე, რომ გიყვარდა ის შენი კაცი,
პაპაჩემი,
და, როცა მოკვდა, გზიდან გასძახებდი იმის საფლავს,
გადაულაპარაკებდი გვერდზე ჩავლისას,
ხბოების მოსარეკად წასული.
ლამაზი კაცი იყო, ცის ნატეხივით თვალები ჰქონდა.
გეყვარებოდა.

ახლა, როცა ჩემი ძაღლი დღედაღამ ყმუის,
მე ვფიქრობ, რომ შენი დაძინების დროა.
აღარაფერია დასადარდები: ყველა მინდორი გათიბულია,
სახლი – კრამიტშესწორებული,
ჩვენც უკვე წამოვიზარდეთ,
ბევრი ვჭამეთ შენი ხელებით ნაკეთები ყველი და ერბო.
იმ ხელებით, თითებში რომ ჩაიგრიხეს
ეგ ქვისკვნეტასავით ცხოვრება,
დახედავდი წინსაფარზე მარილიან კვერებივით ჩამოწყობილებს და
სიკვდილში მაინც არ დავღონდეო, ამბობდი.

არ დაღონდები სიკვდილში, ბებიაჩემო.
მშვიდად დაწვები,
ერთ ღამესაც აღარ გაათენებ.
აღარც დედა დაგიქვრივდება,
აღარც ძმები დაგეხოცებიან.
აღარავინ შეგიბრალებს, ობოლიაო.
გულს აღარაფერი დაგიღონებს,
აღარ იდარდებ, რომ ამ სახლში არავინ იქნება,
ჯამზე ნაღები ამოიღოს, პური ჩააწოს,
მოგივლენ შენი შვილები,
სამივენი,
ორღობეში აღარ დააღამებ,
ეგება, ვინმემ ამოიაროს, იმათი ამბავი ამოიყოლოს.

დაიძინებ და მე ვიფიქრებ, რომ სწორად მოვიქეცი,
იმ აღმართის ამოვლა რომ დამეზარა და არ გნახე.
ხომ უნდა მახსოვდეს, რომ მყავდი.
ხომ უნდა მახსოვდეს, რომ, სანამ დაიძინებდი,
გზას გამოხედავდი და არ ვიყავი.
დაიძინებ და იმას თუ ვიდარდებ,
ქვა არავინ დაგადოს გულზე.
იქნება, სულაც დავჯდე და ვიფიქრო,
რომ ცხრა ძილს იქით
ხბოების მოსარეკად წავიდა
ჩემი ცხრამთასიქითის ბებია
და ჩამოვლისას პაპაჩემის საფლავს გასძახებს.
შენ მშვიდად მოკვდები, ბებიაჩემო.
დაიძინებ და აღარ გაიღვიძებ.
აღარაფერზე დაღონდე, ბებიაჩემო.
ტკბილი ძილი, ბებიაჩემო.

ნამცხვრის ჭამა

ასეთი წესი მაქვს: თვეში ერთხელ თმას ვიჭრი და პერანგს ვყიდულობ.
არ არიან ეს პერანგები თეთრები და მაქმანიანები,
არც პეპლებ და ჩიტებამოქარგულები,
მათი საყელოდან ვერაფერი ამოიზრდება
სადენებით მონიშნული სავარაუდო ცისკენ გაწვდილი ყელის გარდა.
პერანგები, რომლებსაც ყიდულობენ ძირითადად უფერული ქალები
თვეში ერთხელ, თმის შეჭრის შემდეგ,
თოკზე გაკიდებ და მთელი წელი რომ არ ჩამოხსნა,
იფრიალებენ თავისთვის ნიშანივით,
თითქოს უკვე დადგა ის დრო,

16 ლია ლიქო

17
ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა სახეზე დავიფარებ
და მის ქვეშ გამოზამთრებას დავაპირებ.

და შელამების ნამცხვრის ჭამა გაიწელება
ყველა იმ პერანგის ხსოვნის სიგრძეზე,
რომელიც გველის ტყავივით გამოიცვალე,
ყველა მოჭრილი თმის სიგრძეზე,
ყველა იმ ცხოვრების სიგრძეზე,
საძულველი ტკბილეულის ჭამას რომ ჰგავდა,
და ბოლოს ის მკვდარი სიტყვა – სიყვარული
ჯიბიდან რომ ამოგივარდება
და ქვაფენილზე გაგორდება, როგორც შენი მთავარი სირცხვილი,
შეამჩნევ, როგორ ყიდულობს ვიღაც კაცი გვიან ვარდებს
შემოდგომის ქუჩის კუთხეში,
და ყელს რომ გაიწვდი და საყელოდან ამოფრინდები,
ეს ვარდების თაიგული იქნება წითელი ძახილის ნიშანივით,
ვიღაცამ შენ მაგივრად რომ დასვა
ყველა იმ არშეყვარების ბოლოს, რომელშიც
ნელა,
ჭრიალით,
ქვიშის ღეჭვასავით გაიარა ცხოვრებამ.

●

და ერთ დღეს დადგება სიმარტოვე
და დაიწყება ნამდვილი ცხოვრება.
ის ცხოვრება, რომელზეც გვიყვებოდნენ დაბადებამდე
და გვეუბნებოდნენ, რომ მოვა, გუდაში ჩაგვსვამს,
წაგვიყვანს და შეგვჭამს.
ზიხარ მერე სიმარტოვის ხორცსაკეპში გატარებული.
და ყველაფერი არის ისეთი,
თითქოს ნამწამებზე უმი ხორცის ნაჭრები გეკიდოს
და მათ შორის ხედავდე ნამდვილ სამყაროს,
ცხოვრებას, რომელზეც გვიყვებოდნენ მკვდრები,
და გვეუბნებოდნენ, რომ
შენი თავის დაშლა-აწყობისას დარჩენილი
გვერდზე გადაყრილი ზედმეტი ნაწილები
იქნება ყველაზე ნამდვილი შენ,
ყველაზე მთავარი,
და უკვდავებაში თავდაყირა ჩაკიდებული,
ერთადერთი, რაც ცხოვრებას გადაურჩება.

30840

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატო ჯავახიშვილი

პროცენტები

$$\frac{Ax\%}{100} = Z$$

რიცხვის მეასედ ნაწილს მისი პროცენტი ეწოდება.
ცხოვრების მეასედ ნაწილსაც პროცენტი.
ოღონდ მეორის ფორმულა ვერაფრით გამოვთვალე.

%
გზაზე საკუთარი თავი შემომხვდა და
წინდასავით ამოვტრიალდი.

%
თვალები მხოლოდ იმიტომ დავითხარე,
რომ, როცა ორმოებში თითს მატაკებ, მიხვდე:
ტკივილს ხშირად სიმლაშის კი არა,
მინის გემო აქვს.

%
ხომ შეიძლება, ყველაფერი იმდენად მარტივად იყოს,
უხმაუროდ გასავლელ დღეებში ჩამოგეძინოს
და მხრებზე ჩამონგრეული სახლის სახურავი გეფაროს
საბნად.

%
ზოგჯერ დღეებმა არც იციან,
გუშინ რომ ფეხი დამიცდა და
ხვალ გავიღვიძე.

%
რა ხმოვნებივით გაიწელა დღესასწაულების მოლოდინი.
ნამდვილი დღესასწაულების,
თარიღები რომ არ სჭირდება.

%
„კეთილი“ და „ბოროტი“ ადამიანები
ისეთივე დიდი სისულელეა,

როგორც ადამიანებს შორის სარეცხის თოკზე გაფენილი ენები,
ზაფხულის წვიმებს რომ ელოდებიან.

%
ნეტავი, ჩიტებს თუ აქვთ სამშობლო,
უკან თუ ისევ ბრუნდებიან
გადამფრენები.

%
პეპლის საჭერებით დასდევდა ხალხი სიმართლეს –
ის არსად იყო.

%
სად უნდა დავდგე, რომ არ დავბერდე:
შენს სიცოცხლეში,
მომავალში
თუ ჩემს სიკვდილში?.

%
ასე მგონია, ნაქალაქარში ვდგავარ და
ალაგ-ალაგ ასფალტიდან გამომძვრალი მიწიდან
სამშობლოს ჩამჩით მივირთმევ.
მლაშეა.

%
სარკიდან სხვა ადამიანის დარდი მიყურებდა და
სარკე გავტეხე.

%
ერთხელ ადამიანს შევხვდი და დავიჩემე.
ახლა ვზივარ და ჩემ თავს ვეძებ.

%
ამ გზაზე მარტო დამარცხებულები გამოივლიან ხოლმე,
გამოივლიან და დროშის ტარზე ჩამოცმული გამარჯვება
ისეთი ყიყინით მოაქვთ,
გეგონება, მკვდარს დასტირიანო.

%
როგორღა უნდა დავმარცხდეთ ახლა,
თუ უკვე ჩვენ-ჩვენ ომებში ვდგავართ
და გზას ვიმოკლებთ.

%
ხანდახან ისეთი უძრაობაა,
თავდახრილი დგახარ და გადაუადგილებელ საგნებს
ფიქრში უცვლი ადგილებს.

%
რა გავაკეთო?
ნახევარი გულით გეყრდნობი და უკვე ზანზარებ.
ასე გამოდის, ცოტა ხანში მევე დაგიცავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

%
რისი გეშინია?
იმისი, რომ თავი დაკარგე,
თუ იმისი, რომ
საკუთარ თავს ამ შიშში ეძებ.

%
როგორღაც ისე უნდა მომშივდეს,
სულ ძვლებიანად გადავსანსლო,
რაც რამ მიყვარდა.

%
სიტყვებს იქით რომ სიტყვებია და მერე იმათ უკან კიდევ სიტყვები და კიდევ იქით – აი, სიზმრებივით რომ გადადიან ერთმანეთში და თავი და ბოლო გებნევა და, არადა, მხოლოდ ერთი სიტყვაა მოსაძებნი, რომ გორგალი გაიხსნას, ის სიტყვა ვარ მე.

%
ხშირად, როცა ვხედავ, ამპარტავნობის ყველაზე საიმედო სანგარი
თავმდაბლობაა, ხოლო საკუთარი თავის სხვებში გადარჩენის – გულმოწყალება,
მე მინდება დედა და ვფიქრობ,
რატომ ვერ გავაფერადე ბოლომდე
ჩემი ბავშვობისადამიანებიანი გასაფერადებელი.

%
ეს ყველაფერი ისე შორია,
როგორც თავად შენ საკუთარი თავისგან,
და ისე ახლოს, როგორც პირიქით შეიძლება იყოს.

%
ენა სხვებისთვის საპირწონე ოქროა.
ჩემთვის – სალაფავი.
ვზივარ, გულისრევამდე ვნაყრდები.

%
ორი ჩაზნექილი ფირფიტაა ცხოვრება,
შიგნიდან ბოლეროს ვცეკვავთ,
გარედან კი
კასტანიეტებზე გამობმული თოკით ცხოვრებას გვაცეკვებენ.

%
ნანყენი ვარ.
შენი ჩრდილი შემომხვდა და ფეხზე გამომიბა.

%
თვალებში ხარაჩოები ჩავიდგი,
რომ საკუთარი თავი და სისუსტეები შევაკავო.
შეგიძლია უკვე ილოცო, დედა.

%
აბა, რა გითხრა.
მურა დათვივით იცის ხოლმე გამოზამთრება
ჩემში და მერე ისე მიდის,
თაფლიც არ მიაქვს.

%
უცნაურია,
ლოცვა მხოლოდ მაშინ გამომდის,
როცა ხელები მიგრძელდება ნაგავსაყრელზე.

%
ხანდახან მინდა,
ის ვიცხოვრო, რასაც არ ვწერ, და
ისე არ ვწერო,
როგორც ვცხოვრობ,
ანუ გავიქცე.

%
რატომ ვერ ვტირი?
უმარილოს ვერ იტყვი ჩემზე.

%
ისეთი მჭლეა სიყვარული,
ქონი დავიდე.

%
მე ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ
ჩემი შენდამი სიყვარული
ყველაზე დიდი არცოდნა იყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ტარიელ ჭანტარია

სიყვარულის შავი ყუთი

აქეთ – პალტო,
იქეთ – კაშნე,
მიგდებული სკამზე ქუდი...
სულ წყევლა და სულ გინება
თავის ყ-ყ-ყ-ყ-ყუთი...
სიკვდილის და ტანჯვის ფერი...
დუმილი და მერე წყევლა...
სულ უცნობი, იდუმალი –
სიყვარულის შავი ყუთი...
რა თქმა უნდა – სიტყვა კარგი!
არანაკლებ – სიტყვა ცუდი!
ბედნიერი ზოგჯერ წამი!
უბედური ზოგჯერ წუთი!
ყველაფერი – ისე კარგი...
ყველაფერი – ისე ცუდი...
როგორც წესი, დუმს იმათიც
სიყვარულის შავი ყუთი...
რა იყო და როგორ იყო –
ჩვენ ვინ გვეტყვის, ძმაო, ამას...
ისევ იგინება დედას!
ისევ ახსენებენ მამას...

...– ისე ლამაზს...
– ისე უგვანს...
– ო, როგორ სძულს...
– როგორ უყვარს...
– ჰყავდა, ვიცი!
– თანაც ბლომად!
– ახლა? ნეტა, ახლა თუ ჰყავს...
...ზეცა ისე მოწმენდილი...
...ბარტყი, გაფრენილი ბუდით...
– რატომ ფიქრობ, პირველია
სიყვარულის შავი ყუთი...

...ჭიქა ღვინო!
კათხა ლუდი!
ქალს შანელის სუნი უდის...
– რას გაიგებ ირმებისას...
– ოხერია ძაღლის კუდი...

...და სიკვდილი – ყველას სიტყვას
აწყვეტინებს სუ-სუ-სუთი...
...
დღემდე შეუსწავლელია
სიყვარულის შავი ყუთი...

– არსებობს კი სიყვარულის
სასწაულებრივი რომი!
– სასწაულებრივი გზები –
ის – საბენა... ის ბოინგი...
უცხო გზები. უცხო ხალხი.
ფული – ბევრი!
გრძნობა – ხუთი!
...დღემდე შეუსწავლელია
სიყვარულის შავი ყუთი...
...
შავი ყუთი დაიკეტა,
დაიხურა, დაიხუფა...
მხოლოდ შავმა ყუთმა იცის,
ვინ,
სად,
როდის დაიღუპა...

•

იწურება რეგლამენტი
ამ ცხოვრების – ტანჯვის! ნაგვის! –
ჩნდება შანსი – საცოდავი
დედაჩემის ისევ ნახვის...

იწურება რეგლამენტი
ამ ცხოვრების – ნაგვის! ნეხვის! –
ჩნდება შანსი – საცოდავი
მამაჩემის ისევ ნახვის...

გაიკრიფა ჩემი ხალხი! –
ვემსახურო აწი აქ ვის! –
ჩნდება შანსი – წასულების:
დების, ძმების ისევ ნახვის...

P.S.
დასასრული ცრუ იმედის...
დასასრული წყალის ნაყვის...
რწმენა მარადიულის და
სიხარული მათი ნახვის...

ᲡᲣᲘᲪᲘᲓᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

რომ ვერ მოკვდით ტკივილით და
სატანჯველით ამდენით –
თავის მოკვლა შეიძლება
ამ დანით და ამ დენით!

რაკი ვერ ხარ ამ ტანჯვის და
ამ ტკივილის ამტანი –
თავის მოკვლას შენაც შეძლებ
ამ დენით და ამ დანით...

ეს შენც იცი? ჰოდა, ძმაო,
ყველაფერი თუ იცი,
რას ლანძღავ და რას აგინებ
ამ ბნელ სიტყვას – სუიციდს!

P.S.
ნათქვამისთვის მეც ცოდვილთა
სიაში ნუ ჩამტენი! –
პირადად მე ნაღდად არ ვარ
მაგ ბნელ ცოდვის ჩამდენი!

ᲰᲝᲛᲝ ᲚᲣᲓᲔᲜᲡ

ეძღვნება ყველას

თამაში. თამაში. სულმუდამ – თამაში!
ტყუილი – გულში. ჭაღარა – თმაში.
სოლდი, წაგებული სამ ჩათლახ დამაში!
დღისითაც – თამაში! ღამითაც – თამაში!
ხიბლი, ჩაბეჭდილი სალიში, თამოში! –
შვილთაშვილებისა და ბაბუს თამაში!
ეჭვი, ჩაბეჭდილი ურწმუნო თომაში!
უფლის და სატანის საეჭვო თამაში...
წარსული ხეოპსის შავბნელ აკლდამაში!
დროსთან და სივრცესთან წაგება – თამაში!
სულ ბოლო წაგება – სისხლიანი თამაში –
ცხინვალი. სოხუმი. ბიჭვინთა. ტამიში...
ტკივილი – გულში...
ჭაღარა თმაში...
სიკვდილი – სულ ბოლო საეჭვო თამაში...

●

წიგნი! – ხელშეკრულებები აქეთ-იქით დადებული!
გარიგება ფულის გამო! გარიგება – დიდებული!
ჰონორარი! – ფული! ფული! მეტისმეტად დიდი ფული!
პოეტების სიღარიბე – ძლივს ბეჭებზე დადებული!
დიდი წარმატების გამო ბევრი გადაკიდებული!
პოეზია | პოსტ. მოდერნი, ანუ მიდებ-მოდებული!
შეფასება – რა თქმა უნდა, ზოგჯერ გადამეტებული!
გადამეტებულის გამო სულ მეტი და მეტი ფული!
წინილა და ბატკნის მწვადი, შემწვარი და მოტაფული!
ვიღას უკვირს, ვინ არ იცის, რა ხილია მოდა! ფული!
ფული! და, შესაბამისად, ასნაირი მარცხი! ფოლი!
კარგად გადავიწყებული პოეზია – დედოფალი!
პოეზია-დედოფალის ნაცვლად ფული! დიდი ფული!
...რაც წმინდათაწმინდა იყო,
ბეჭებზეა დადებული...

●

სწორედ სიყვარულს ეხება თურმე
უფლის კანონის პირველი მუხლი...
ვეთაყვანები კანონის ავტორს
და თავს მდაბლად და მორჩილად
ვუხრი!

ხომ ყველამ ვიცით –
სიყვარულისგან
როგორ ნათლდება
ყოველი მწუხრი...

●

სამწუხაროდ, აქვს სიყვარულს
შერჩევითი სამართალი...
მსხვერპლი მისი – უთვალავი
გოგო.
ბიჭი.
კაცი.
ქალი.

კი-კი! – ნაღდად აქვს სიყვარულს
შერჩევითი სამართალი...

ყურმოკრული რეპლიკა! მე მხოლოდ გავლექსე

არა სუპერბლეფი – მეტაპოეზია! –
სულს სულ სხვა რამ უნდა – მეტი პოეზია!

ამ ბიჭს ან იმ გოგოს მეტაპოეზია
სად, ვინ შეასაღა, ნეტა, პოეზიად!

ის, რაც დანტესია, ის, რაც ვაჟასია,
ის, რაც პაუნდის ან ედგარ პოესია –
არის პოეზია!
დიდი პოეზია!
ბრძენი პოეზია!
სულის პოეზია!

●

თუ უნახავს ვინმეს უფლის
გენიალურ შუბლზე ოფლი...
თუ უნახავს ვინმეს უფლის
ულამაზეს თვალზე ცრემლი...
მენატრება, მენანება
სიამაყე ამა სოფლის –
ჩუმი, მშვიდი ღიმილები
მაცხოვრის და ნათლისმცემლის...

●

მწერალთა სახლი სოხუმში!
დიდი, ნათელი დარბაზი!
ბევრი ღიმილი.
სიცილი.
ლექსი ივანე თარბასი!

გვარი არ მახსოვს – ბიჭუნა
მღერის აფხაზურ-ქართულად!
გვარს ვერ ვიხსენებ – გოგონა
ბრწყინვალედ უკრავს არფაზე!
...
მოგონილ შურს და სიძულვილს
ასე, ამდენხანს ვინ ათრევს!..
რა ვქნა, ისევ იმ დარბაზში
ძველ ძმებთან ყოფნა ვინატრე...

ნაწყვეტი სართულიანი გინებიდან

ზოგისათვის – საუკუნე,
ზოგისათვის იყო წამი!
ეს ცხოვრება...
ამ ცხოვრებამ...
ამ ცხოვრებას...
უხ, მე ამის...

...მაგრამ, შენ თუ ჯვარზე გაგეს,
მე მეორე ჯვარზე მაგეს...
ეს ცხოვრება...
ამ ცხოვრებამ...
ამ ცხოვრებით...
უხ, მე მაგის...

•

დუდამინა – ცაში ასე საწყლად გამოკიდებული –
როგორ არის მაინც ასე ლამაზი და დიდებული!

გეგონება, უფალსა აქვს სანაძლეო დადებული
(არ ეხება მას ეს ჩვენი „ცოტა ფული,“ „დიდი ფული“)...

წუთით...

მე არაფერი! ისე,
შემოვირბინე წუთით!
თვალს მოვატყუებ ცოტას,
პირს გავისველებ თუთით;
ღვინით ავავსებ ქვევრებს,
ყველიც მექნება გუდით;
ბალღებს გავაჩენ ისეთს,
რძის სურნელი რომ უდით!
არასდროს, არსად – ბარტყებს
არ ამოვასხამ ბუდით!
სანამდე ვივლი, ვივლი
კაცური კაცის ქუდით!
გავიიოლებ სადილს
სოსისითა და ლუდით!
ვიქნები კმაყოფილი
პურით, თუ გინდა – კუტით!
ოჯახს გავმართავ სანყალს
ქალით, ჩემსავით ცუდით;
სამზარეულოს მოვრთავ
პილპილით, ჩოგნით, სუთით;
გარშემორტყმული ძმებით –
ასე, ოთხით თუ ხუთით...
არც ეშმას კვალზე ვივლი,
არც მაიმუნის კუდით;
ბევრჯერ მომხვდება მკერდზე
ბურთი, დარტყმული „შუტით...“
გარწმუნებთ, სიკვდილს ჩემსას
თქვენ სულ ამაოდ წუხდით;
მე ხომ, ბოლოს და ბოლოს,
შემოვირბინე წუთით...

!

დროს, მხოლოდ დროს ევალება
პოეტების გადარჩევა
და, დრო ვისაც ხელს დაადებს,
მხოლოდ იგი გადარჩება!
შენ რომ ნაგვად იხსენიებ,
ის ბაჯაღლოს არი ზოდი!
შენს მაგიერ მე მრცხვენია,
რომ ეგეც კი არ იცოდი!

სოსო მეშვეღიანი

ბუენოს ტარდეს!

ამოტა

არ ვიცი, ის რა იყო, იმას რა ერქვა, ხელის კვრით რომ შემაგდეს გაოგნებული და სიცივისგან აკანკალებული – წინასწარი პატიმრობის საკანი თუ დროებითი სატუსაღო. დიდი, ნახევრად ბნელი ოთახი იყო, სამ მხარეს ცივი, ყრუ, ნესტიანი კედლებით, წინა მხრიდან კი მთლიანად გისოსებჩადგმული, შუაში მძიმე რკინის კარებით. მხოლოდ ეს გვაძლევდა სუნთქვის საშუალებას – ეს ის მხარე იყო, საიდანაც მორიგეს შეეძლო, თვალყური ედევნებინა. სიბინძურისგან შესქელებული ჰაერი იძულებულს გხდიდა, მძიმედ გესუნთქა, იმ მომაკვდავივით, უკანასკნელ წუთებს რომ ითვლის. მიუხედავად იმისა, რომ საკნის გისოსებს იქით კორიდორი იყო, შემდეგ კი სამორიგეო ოთახი, აუტანელი სუნის გამო მორიგე პოლიციელს მაინც ერთჯერადი პირბადე ეკეთა და ისე ინიშნავდა რაღაცას.

ვის არ ნახავდით იქ – ლოთებს, ნარკომანებს, ჩხუბისთავებს. ბნელ კუთხეში, ყველასგან განცალკევებით, ორი პედერასტი ჩაცუცქულიყო და ერთმანეთს სახიდან ფერიმჭამელებს უღებდა. ძირს დაფენილ, ჭუჭყისგან გასქელებულ ლეიბზე ნარკომანი იკრუნჩხებოდა „ლომკებისგან," ღნაოდა, ბოდავდა, საკუთარ თავს აგინებდა. სახეებმოშლილი ორი შუახნის მამაკაცი ქუჩაში დაწყებულ კამათს აქაც აგრძელებდა, ყველა სიტყვას „ბლიადს," ნახუის" და „იობ ტვაიო მატს" აყოლებდა.

აქამდე რაც კოშმარი მენახა, ამასთან შედარებით სამოთხედ მომეჩვენა. იმ გაგანია ჩეჩნეთის ომის დროს კავკასიელებს – „ჩორნაჟოპებს" – ავიწროებდნენ, ცდილობდნენ, დაემცირებინათ, დევნიდნენ, ყველგან ღია თუ ფარულ ზიზღს გრძნობდი. მახსოვს, საპრეზიდენტო არჩევნებში ვიღაც ჩეჩენი მეწარმეც იყრიდა კენჭს რუსეთის დღევანდელპრეზიდენტთან ერთად და ავტობუსში პოლიტიკაზე მოკამათე კაცებმა ერთხმად დაასკვნეს: „ვინც გინდა გაიმარჯვოს, ოღონდ რუსი უნდა იყოს, ველურ კავკასიელებს აქ არაფერიესაქმებათ". თქვეს დაჩვენ – მე და ჩემს მეგობარს – გამომნვევად მოგვაჩერდნენ. საშინლადგავბრაზდი, მოვითმინე, ჩემი მეგობარი კი მათი დედებიდან დაწყებული ყველა მათ წინაპარს გადასწვდა, მოშშამა, გადააქოთა.ამ ჩოჩქოლში წინა კარებთან პოლიციის ფორმიანი კაცი დავლანდე, უკანა კარებიდან ჩავასწარით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ კილომეტრები ვიარეთ ფეხით სახლამდე. ახლა კი აქ ვარ მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც „შავს“ მიმამსგავსეს, არადა, მათთვის ყველა კავკასიელი ერთმანეთს ჰგავს. რატომღაც მორიგე პოლიციელის მაგიდაზე დაწყობილ გაზეთების სქელ გროვას მივაშტერდი, შემნიშნა, რასეთი ხელები არა აქვთ! – მაშინ, იმ ცივ, ქარბუქიან ზამთარში, კედლებს ვლესავდით კირიანი ტალახით, ისე მქონდა თითები და ხელისგულები დამსკდარი და შემდეგ გამაგრებული, რამეს რომ ვეხებოდი, მეგონა, სქელი, უხეში ხელთათმანები მეცვა.

ღაცნაირად შეეცვალა სახე:

– რას მომშტერებიხარ? მალე გაირკვევა ყველაფერი და მერე ნახე შენ! – ისე ცივად მომაძახა, ტანში გამცრა.

–კარგი! გასარკვევიც არაფერია. უბრალოდ, ჩემს ხელებს დახედეთ და მიხვდებით ყველაფერს, მომპარავებს

–არა მგონია, ამან გიშველოს!

–მე, უბრალოდ, მინდოდა, რამე წასაკითხი მეთხოვა თქვენთვის! – რატომღაც მეგონა, სხვათა შორის ჩავილაპარაკე, ის კი მოულოდნელად ისე აენთო, გაშტერებული დავრჩი:

–რა თქვი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

– გაზეთი რომ ნავიკითხო, დანამაულია?

–შენ რა ნაგლი ყოფილხარ! – თქვა და ჩემკენ წამოვიდა.ახლოს მოსულს შეეატყვე, რომ სავსებით მშვიდი იყო. – შენ ის ფილმი თუ გაქვს ნანახი, „შეხვედრის ადგილი უცვლელია?“

–კი, როგორ არა, – ვუპასუხე გაკვირვებულმა, მისი ასეთი რეაქციის შემდეგ ეს შეკითხვა უცნაური მომეჩვენა.

– მერედა, ის ფრაზა თუ გახსოვს: „არასდროს მისცე მას კითხვის საშუალება?“

–არა, ეს არ მახსოვს! – არ მახსოვდა, სულ ერთხელ ვუყურე და ისიც ვისოცკის გამო, ისედაც ვერ მივხვდი, ამ ნაბიჭვარს ამით რისი თქმა სურდა.

–მაშინ მოკეტე! მორჩა ბაზარი! – გავჩუმდი, სხვა რა გზა მქონდა (შემდეგ მხოლოდ ამის გამო ჩავუჯექი ამ ფილმს, არ ვიცი, გამომრჩა თუ მაშინ გავიგე არასწორად, მსგავსს ვერაფერს მივაგენი). ის კი გავიდა, ჩხრეკისას ჩემი ჯიბიდან ამოღებული როზემბაუმის კასეტა ჩართო და გაისუსა. ასეთი საზიზღარი მომართვის შემდეგ ეს რატომღაც მესიამოვნა.

ის ბიჭი – ჩიკო, ვისაც მიმამსგავსეს და ვის გამოც მოვხვდი ამ ჯოჯოხეთში, ხშირად გვაკითხავდა ბინაში (ალბათ, მის ნაკვალევს გამოყენენ და მე შევრჩი ხელში), ძალიან ნაკითხი და განათლებული ახალგაზრდა იყო, თავის დროზე უნიჭიერესი სტუდენტი (იქნებ, ამის გამო მიკრძალავდა კითხვას ის უცნაურად კისერდაგრძელებული პოლიციელი, ისინი ხომ ყველანაირ ინფორმაციას ფლობდნენ მსგავს ტიპებზე). უკვე მოესწრო და ცამეტი წელი მოეხადა რუსეთის ციხეებში – ავტორიტეტი იყო, წონიანი, ზეპირად იცოდა რუსული კლასიკური მწერლობა. ვსაუბრობდით, ვკამათობდით, შედარებაც არ მინდოდა ბუნნინისა ჩეხოვთან, ის კი თავისას არ იშლიდა. იმ ქარბუქიან დღეს სამუშაოზე წასვლა ვერ შევძელი, გავცივდი, სიცხეც მქონდა, ვიწექი და ვკითხულობდი უბრწყინვალეს კრებულს „ვერცხლის საუკუნის რუსული პოეზია,“ შესანიშნავად შედგენილს. გარეთ ქარბუქი ყმოუდა, მე კი პასტერნაკის გაზაფხულის მზეზე ვთბებოდი. კარზე უხეში კაკუნის ხმა გაისმა, სწრაფად გადავიცვი, დაუფიქრებლად დავწვდი სახელურს, საკეტის ერთი გაჩხაკუნება და, ისე ძლიერად გამოვარდა კარები, თავის უკან გაწევა ძლივს მოვასწარი, მხარში მომხვდა და კედელს მიმაწარცხა.თავზარდაცემული, ისე რომ ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, უნებლიეთ ერთ ნიღბიანს,ჩემს ნაქცევას რომ ცდილობდა, მივაწექი, ის ოთახის შუაში დადგმულ სკამს გამოედო და ორივენი გადავყირავდით.უცებ ერთმა ძლიერად კისერზედამაჭირა მუხლი, თავის ზემოდან ხელი წამოიღო და ორი თითი ცხვირის ნესტოებზე ამომდო, პირქვე დამხობილს ისე მაგრად მომქაჩა, ლამის კისერში გადამტეხა. სახლი გადააქოთეს, აქოშინებულს და ხელბორკილიანს ვიღაც ქართველი მძარცველების ფოტოები გადამიშალეს – ყველას ვიცნობდი; თუ არ ვიცნობდი, შევხვედრივარ მაინც.ვითომ კარგა ხანს ვაკვირდებოდი და ვეჭვობდი, რომ სადღაც მენახა, მაგრამ არ მახსოვდა, სად. ავუხსენი, რომ ქართველები, რა პროფესიისაც უნდა ვიყოთ, ყველაყველას ვიცნობთ-მეთქი. ჰოდა, წამობრძანდიო, მტაცეს ხელი და გამაქანეს.

საკანში ერთი სომეხი შემომიძვრა – თუ არ ვცდები აშოტა ერქვა. იქ მყოფები მოკრძალებით მეპყრობოდნენ, აშოტა კი განსაკუთრებული ყურადღებით მექცეოდა.რაღაცნაირად, თავისივე ნებით, ჩრდილში გადაინაცვლა, მივხვდი, მასაც ჩიკო ვეგონე – იმ მომენტისთვის მართლაც მომინდა, ჩიკოყოფილიყავი. ვიღაც საერთო ნაცნობები ჩამომითვალა, მაქო, მადიდა, სულ „ბრატანს“ მეძახდა, იმ აქოთებულ საკანში ყველაზე კარგი და სუფთა ლოგინი დამიფინა (მაშინ, როცა ზოგს დასაჯდომი ადგილიცარ ჰქონდა). იმ შუაგულ ზამთარში კიტრს და პომიდორს შეექცეოდა, იქვე, სასთუმალთან, ხილით სავსე პარკი ედო, ყველაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მინაწილებდა, ჩემს პასუხზე, რომ მე ჩიკო არ ვიყავი, რაღაცნაირად გაელიმა და კედლებს უაზროდ მოატარა მზერა, შემდეგ ისევ ხმადაბლა დამიწყო ჩემს „ნაცნობებზე“ საუბარი, მე კი სალაპარაკო არაფერი მქონდა.

ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღე. ორჯერ დასაკითხადაც გამიყვანეს. ის „წესრიგის დამცველი“ ფორმიანი ბიჭები ნამდვილი ლათინოამერიკელი ნარკობარონების ჯალათებივით იქცეოდნენ, ავადმყოფობისგან ფიზიკურად დასუსტებული ვიყავი, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რაც იმ მომენტისთვის ჩემს თავში ხდებოდა: ისე დამიქვეითდა აზროვნება, შიშის უნარიც დაკარგე.

ცოტა ხანში აშოტაც დაეჭვდა, უხეში გახდა, ჩვენი ურთიერთობა შეიცვალა – საერთოდ აღარ ვლაპარაკობდით, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, სიგარეტზეც უარი მითხრა, არ მაქვსო, ცოტა ხანში

კი ფილტრიანს მოუკიდა. გაებრაზდი, უკვე თავსაც ვერ ვაკონტროლებდი, პირდაპირ მივახალე: „ეშმოტი ყველასთვის ეშმოტია, აქ რა შუაშია ის, მე ჩიკო ვარ თუ არა და, საერთოდ, ოდნავაც არ მგონია იმაზე ნაკლები ჩემი თავი“. შეცბა, აშკარად შეეფუფყე, რომ დაიბნა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, წამომიხტა. ის იყო, უნდა დაგვეცხო ერთმანეთისთვის, რომ ყვირილზე ორი ფორმიანი შემოვარდა, მარტო მე დამავლეს ხელი, კამერიდან გამიყვანეს. ვიფიქრე, მორჩა, ახლა უკვე მართლა არაფერი მეშველება-მეთქი, მათ კი ჩემი ნივთები დამიბრუნეს და გამიშვეს.

ჩიკოს მოგვიანებით გადავეყარე ერთ პატარა ქალაქში, სადაც ახლობლის სანახავად ჩავედი, ყველაფერი გაეგო, მომიბოდიშა, რომ მის გამო ეს პატიოსანი კაცი ასეთ გაუგებრობაში მოვხვედი, მერე სხვათა შორის გამომკითხა, იმ სომეხით დაინტერესდა, მე რომ ასე შევუქე, ისიც ვუთხარი, ბოლოს ნერვებმა როგორ მიმტყუნა და კინაღამ ხელით შევეხეთ ერთმანეთს. დაინტერესდა, მისი ამბავი დაწვრილებით გამომკითხა, ბოლოს გაეღიმა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ახ, აშოტა, შე ნასედკა, თუ სადმე გადამეყარე, ხომ გამოგჭერი ყელი!“

გაკვირვებული მივაშტერდი. სიგარეტს მოუკიდა, ისეთი ღრმა ნაფაზი დაარტყა, კვამლმა რამდენიმე სიტყვის შემდეგ იწყო ამოსვლა მოლაპარაკე კაცის ფილტვებიდან.

– ბიჭო, ის შენზე შემოგზავნილი ნასედკა იყო. რახან მათ მე ვეგონე, ეტყობა, არც ისე პროფესიონალი ყოფილა, თორემ უფრო ადრე გამოგიშვებდნენ. იქ ერთი კვირა ჰყავდი, არა? – გაოგნებისგან პირდაღებულმა თანხმობის ნიშნად ოდნავ დავუქნიე თავი.

უზარმაზარი მხდალი ცხოველი

ჩემი ძმა დღემდე ჰყვება ხუმრობით ჩემს ამბავს:

„ეს ადრე იყო, მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, ჩემს ძმას კი კაი ხნის დამთავრებული ჰქონდა. მთაში წავედით ქოხის შესაკეთებლად, წინასწარ, როგორც ხდება ხოლმე, რომ შემდეგ მთელი ბარგი-ბარხანით ასულებს საბოდიალო არ გვქონოდა. ერთი ნათხოვარი ავტომატი გვქონდა, რომელიც მე მეჭირა. საქმეს რომ მოვრჩით, მოკლეზე დავუშვით, ჩვენი ჭკუთი, გზა მოვჭერით, მაგრამ, ისეთ ადგილებზე ვიარეთ, ცოცხალი თუ გადავრჩებოდით, არ გვეგონა – ქვები ცვიოდა, ნაპრალის პირებზე ფეხი გვიცურდებოდა, გაუვალი, უბედური ადგილები იყო. უცებ ერთ გამოშტერებულ დათვს გადავეყარეთ, აბა როგორ უნდა გავიგო, ასეთი ხმაურით მივდიოდი, გზაზე ყველაფერს ვლეწავდით, ქვებს ვაგორებდით, ჩანჩქერების შხუილში ხმამაღლა, თითქმის ყვირილით ვლაპარაკობდით, ის კი ღრმა ხევში, ჩვენგან სულ თაღიან ორმოცდაათ მეტრში, ვითომ აქ არაფერია, ზვავის ნარჩენზე კოტრიალობდა, თამაშობდა. პირველი ჩემმა ძმამ შენიშნა, გამოვარდა, მე არ დამაცადა, იარაღი დამტაცა, გვერდითა ფერდობზე აცოცდა და დაუმიზნა. ველოდები – ახლა გაისვრის, თურმე ჩამკეტი არ ჰქონია ჩაწეული. დაბნეული უკან ჩამობრუნდა, თავიდან გააჩხაკუნა. ამასობაში დათვიც დაფრთხა, გაქცეულს მთელი მჭიდი დააცალა, იმან კიდე ერთი დამცინავად გამოხედა და გაუჩინარდა. გულმოსულმა ბუზღუნი მორთო, გალანძღა ყველა ავტომატით მონადირე კაცი, ნამდვილი მონადირე ამით როგორ უნდა დადიოდეს სანადიროდ, ახლა რომ ბიძაჩემის პულიმიტისულიანი ვინტოვკა მქონოდა, სულს გავაფრთხობინებდიო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ წავიდა ტყეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეტიალოდ, ამჯერად უკვე პულიმიოტისლულიანი ვინტოვკით. ორ დათვს გადაყრია, ისიც კარგ სათოფე ადგილას, ისევ აუცილებია. სახლში მოსულს წინა ნალაპარაკევი არ გაახსენდა და ნაიბუზღუნა „ამის ზატორის გაჩხაკუნებამ შეხვედრისას ასე რატომ ხდებოდა, ვერ გამეგო.

პასუხს სულ ახლახან, ორიოდე კვირის წინათ მივაკვლიე, როცა ჩვიდმეტი წლის უნახავი ადგილების მონახულება გადავწყვიტე – ადგილების, სადაც ჩემი

მომკლა, დაილოცა ავტომატი, ახლა ის რომ მქონოდა, ორივეს დავიტოვებდი“.

ხუმრობდა, ვიცინოდით, მართალი იყო. სულ მიკვირდა, უბრალო სამიზნეს კარგად ვურტყამდი, ისედაც გვარიანად ყისმათიანი ვიყავი, მაგრამ ნადირთან ბავშვობის თუ ყმაწვილკაცობის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი მქონდა გატარებული. გაოგნებული დავრჩი. მართალია, სოფლიდან ახალგაზრდების უმეტესობა წასულია, უფროსებისგან ბევრი, მამაჩემის ჩათვლით, უკვე ამქვეყ-

ნად აღარ არის, მაგრამ ასე მიტოვება ყველაფრის? ასე ფეხებზე დაკიდება (ლამის ყანების დამუშავებას შეეშვა ხალხი, ამან კიდევ უფრო გამიმძაფრა სოფელში დაბრუნების სურვილი)? იმ ადგილებში, სამანქანო გზა რომ გადიოდა, საიდანაც ხე-ტყეს ეზიდებოდნენ, საცალფეხო ბილიკიც აღარსად იყო. ეკალ-ბარდს, ღოღეს, ძეძვს თუ მოცვის უნაყოფო ბუჩქებს დაეფარა ყველაფერი. რის ვაი-ვაგლახით ავაღნე პირველ ვაკამდე, სადაც დიდი სათიბი გვქონდა, ქოხი გვედგა და პატარა საკარტოფილე ადგილიც გვქონდა შემოკავებული. ამ ადგილას მთაში ასვლამდე საქონელსაც ვაჩერებდით ხოლმე.

ქოხის ნატამალიც აღარსად იყო, სათიბში კი, ოდესღაც ქარით დატალღული შვრიეული და შალაფა მძაფრსუნიან, უხეშ, ხშირ, ჩემი სიმაღლის ღოღეს დაეფრა, ალაგ-ალაგ ჭაობის ბალახებიც რომ შერეოდა. გზა გავაგრძელე, მივუახლოვდი მეორე უფრო პირქუშ, ვეება ნაძვებშორის ჩავარდნილ დობირს, ძლივს გავიარე ნამეწყრალი პატარა ხრამი, მომცრო მოლზე გავედი. მაღალ, ყვავილოვან ბალახებში უცებ ფეხქვეშ უცნაური რამ ვიგრძენი, სხეულში რომ დენი დაგივლის, იმის მაგვარი. თითქოს ფეხი მიბუჟდებოდა, დავიხედე, თავზარი დამეცა – გზიკების ბუდე გამეთელა. არ დავბნეულვარ, ხშირი ბალახებით დაფარულ ფერდობზე შეგნებულად დავგორდი, შემდეგ სირბილით შევვარდი ნორჩ, ოდნავ ჩემზე მაღალ ჯგუფ-ჯგუფად ამოსულ ნაძვებში. ისე სწრაფად გავირბინე, მეორე მხარეს ლამის დედიმობილა აღმოვჩდი.გადავრჩი, მხოლოდ სამ ადგილას მქონდა ნაკბენი, ორი ფეხზე, ერთიც მუცელზე. გზა გავაგრძელე, როგორც იქნა, მივუახლოვდი სახურავჩატეხილ პატარა ქოხმახს, რომლის ორი მორღვეული კედელი შამბს დაეფარა. თვალი მოვავლე არემარეს. უცებ ისეთი სასოწარკვეთა დამეუფლა, მუხლი მომეკვეთა. „მაინც რა დრო გასულა," – ყელში რაღაც მომაწვა ისე, რომ სუნთქვა მიჭირდა, ცრემლები ღაპალუპით ჩამომდიოდა ოფლიან სახეზე. იქვე, ახლოდან,ბურდღუნი მომესმა, თან ღორივით ფშვინვა.ცოტა ხანში ნაძვების ჩრდილიდან უზარმაზარი დათვის ლანდი წამოიმართა, ხეებს შორისჩამავალი მზის სხივები რომ უფრო ადიდებდა მის ისედაც ვეება სხეულს. მშვიდად, თავისუფლად გამოემართა ჩემკენ, მე კი უკვე ემოციებდაცლილმა რატომღაც უხალისოდ ამოვაცურე ჯიბიდან ტელეფონი და ფოტოების გადაღება დავუწყე.მაშინ ვიგრძენი, რომ არასდროს შემშინებია ამ უზარმაზარი, მაგრამ საშინლად მხდალი არსებისა. ახლოს მოსვლა არ ვაცალე, უკიდურესად დამფრთხალს შიშით ჩემთვის რომ არ ეტაცა. დავუსტვინე, შეცბა, ცერზე დადგა, მეც ავდექი. ეს უზარმაზარი მხეცი თვალის დახამხამებაში ხილვასავით გაქრა.

სიზმარ-ცხადი

არადა, როგორი პოეტური სიზმარი იყო: მთებთან ახლოს გრძელი, მწვანე, ალაგ მძაფრსუნიანი ჭაფხვირის, გარშემო კი მოცვისა და მაყვლის მწიფე ბუჩქებით გარშემორტყმული, ტყეში ჩავარდნილი ველტოფი დიდი მოშრიალე ხეებით. ჯერ არ ვიცი, აქ რას ვაკეთებ. მოშორებით, ხის გადანაჭერზე, დიდი პრიალა ნაჯახია ჩარჭობილი, იქვე ჩემი ოცი წლის უნახავი მამიდაშვილი ზის, ნაჯახს დაყრდნობია და მიღიმის. არ მესიამოვნა. რატომ არ მესიამოვნა ამდენი ხნის უნახავი მამიდაშვილის ნახვა? მერე რა, რომ გარდაცვლილია, მაშინ მე მასზე ოთხი წლით უმცროსი ვიყავი, ახლა მე ვარ თექვსმეტი წლით უფროსი. უცებ თავზარი დამეცა, იქვე ხის მორები დავლანდე, რაც ავისმომასნავებელია, ახლობლის სიკვდილის მაუწყებელია – ამას სიზმარში მივხვდი, ეს ბევრგან მსმენია, ერთგან ამიხდა კიდეც. სიზმარი უცებ აიმღვრა, უცებ აიბურდა, ტალახიანი წვიმა წამოვიდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმარმა რაღაც საშინელ კადრებად იწყო დალაგება. შევძელი და როგორღაც გამოვათრიე ჩემი თავი იმ კოშმარიდან.

ძილი გამიტყდა. დედაჩემისგან ვიცი, ასეთ დროს სიტყვის უთქმელად უნდა ადგე, ცეცხლი დაანთო, ხის ნაფოტი აბრუნო ხელით თავის გარშემო, ილოცო და მერე დაწვა. მეც ამას ვაპირებ, დილაუთენია ავდექი, ლოგინში წოლას მაინც აზრი არ ჰქონდა. ის იყო, გარეთ გამოვედი, რომ ბიცოლაჩემი შემოვარდა საგარეო ტანსაცმელი ჩავიცვი, მანქანა დავქოქე. დედაჩემი უკვე მოთქვამდა.

შუა გზაზე გამახსენდა, რომ მძინარე ბავშვი დავტოვეთ მარტო სახლში, დავბრუნდი, ისიც წამოსაყვანი გამიხდა.

სოფლის თავში, სადაც პატარა ხრამია, ჩაყოლებაზე რომ ღრმავდება და ფართოვდება, ხიდია გადებული. ხიდზე ხალხი ირეოდა, ვკითხე, რა ამბავიამეთქი – თურმე ხრამში გადამხტარა. დაბლა, სადაც ბევრად ფრიალო და ღრ-

ჭიშკარში დაფეთებული – ჩემი ბიძაშვილი ეპოვნათ სადღაც მკვდარი. ახლა უკვე ცხადში აიბურდა ყველაფერი, დაბნეულს არაფერი მიკითხავს, სახლში შევვარდი, მაა, პირდაპირ დავეშვი თავდაღმართში. უკვე დაესვენებინათ ხის უხეშად აწყობილ საკაცეზე. ამოვიყვანეთ. უბედური იყო – ცოლ-შვილი გაექცა, მარტო ცხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრობდა, არც მეზობლად ჰყავდა ვინმე, გალოთდა, ბოლოს ჰალუცინაციებიც დაეწყო და ასე დაასრულა სიცოცხლე ოცდათხუთმეტი წლის ბიჭმა.

შუადღის მერე სახლში წამოვედით. აქეთ კიდევ იმას განვიცდიდი, რომ ბავშვმა ნახა ეს ყველაფერი. ვხვდებოდი, არ მომასვენებდა შეკითხვებით, მე კი არ ვიცოდი, როგორ ამეხსნა. მთელი დღე არაფერი მიჭამია, არც გამხსენებია. საღამოხანს შემთხვევით სამზარეულოში შესულს უცებ მომინდა, მაცივარი გამოვაღე, პირველი, რაც თვალში მომხვდა, შემწვარი ქათმის ბარკლები იყო. ერთი გამოვიღე, ჩავკბიჩე. ალბათ, სამი ლუკმა მექნებოდა ნაჭამი, რომ გონს მოვეგე, თავზარი დამეცა, ცივმა ოფლმა დამასხა. მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ, როცა ასეთი ახლობელი გიკვდება, ხორცის ჭამა გასვენებამდე სასტიკად იკრძალება. გულისრევა დამეწყო, მაგრამ ვერ ვაღებინე. სიგარეტს მოვუკიდე და ყანის პირებზე დავინწყე სიარული. მზე ჩასვლას აპირებდა. არ ვიცი, დამთხვევა იყო თუ მომეჩვენა, რატომღაც ბუზებს ვერ ვიშორებდი, სულ ჩემი სახის გარშემო ტრიალებდნენ, თითქოს პირიდანაც რაღაც სუნს ვგრძნობდი. სასწრაფოდ ჩაიდანში წყალი გავათბე, სოდა გავურიე და კუჭი ამოვირეცხე.

მამლეᲑᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

–ე ბიჭო, რას აშტერდები ამ ბებრუხანებს, როცა ირგვლივ ამდენი ლამაზი გოგო დადის. იმათ რომ თვალს აყოლებ, დანარჩენები შენ გიყურებენ გაკვირვებული – მითხრა მეგობარმა სიცილით ბილბაოს ერთ-ერთ სკვერში სეირნობისას. მართალი იყო, კი ვეტყოდი ამის მიზეზს, მაგრამ უფრო მეტად გაეცინებოდა და შევეშვი.

საქმე ის იყო, რომ ბილბაოში პირველად ჩასულს იმედები გამიცრუვდა, სახტად დავრჩი: ნეტავ, ვინ თქვა პირველად, რომ ეს ხალხი ჩვენ გვგავს! ბილბაო ანარეკლია სხვა ნებისმიერი ევროპული ქალაქისა, თავის ხალხიანად...

ერთ დღეს კაფეში ვზივარ. მაშინ ჯერაც არ იყო აკრძალული შიგნით სიგარეტის მოწევა და მეც უფრო იმისთვის შევდიოდი, რომ დამჯდარს მშვიდად მომეწია, თან ფორთოხლის წვენს ვწრუპავდი. მოპირდაპირე კარიდან ერთი კარგად მოვლილი ბერიკაცი შემოვიდა. შეეხედე, ნაცნობია, „ნეტავ, სად მინახავს?“. დავიძაბე, ვერაფრით გავიხსენე; ან საიდან უნდა მხსომებოდა, როცა მანამდე არც არასდროს მენახა. ის, უბრალოდ, ისე ჰგავდა ბაბუაჩემის ძმას, ოცი წლის წინათ გარდაცვლილ ალიოშას, გაოცებული, თვალის დაუხამხამებლად მივჩერებოდი. მხოლოდ ამის შემდეგ შევნიშნე, რომ იქაური მოხუცები (უმეტესობა) ძალიან ჰგავდნენ ჩვენს მოხუცებს არა მხოლოდ ჰაბიტუსით, იმ სითბოთიც, მათგან რომ იგრძნობოდა (ერთი განსხვავება ის იყო, რომ ასე მოვლილ მოხუცებს ჩვენთან ვერსად შეხვდები).

შემდეგ მთიან სოფლებში მომიწია ყოფნამ და, როგორც იქნა, დავრწმუნდი, რომ ჩვენ ბევრი რამ გვქონდა საერთო – ცხოვრების წესით დაწყებული ხასიათით დამთავრებული. ერთ ასეთ სურათსაც გადავაწყდი: პატარა, მთიან სოფელში, სოფლის ცენტრში, სადაც, მაცხოვრებელთა სიმცირის მიუხედავად, უზარმაზარი ეკლესია იდგა, ხალხი შეჯგუფებულიყო. მივუახლოვდი, მამლებს აჩხუბებდნენ, იყო ერთი ამბავი, მხიარული შეძახილები. ამის დანახვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, სიამოვნებისგან ყველანაირი დაძაბულობა მომეხსნა და შორ მოგონებებში გადამისროლა...

აი, ერთი მთიანი, ყრუ სოფელი, მანამდეც რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა – უშუქობა, უგზოობა, უტრანსპორტობა, ექვსთვიანი მკაცრი ზამთარი, ყელამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი. ასე მთელი არსებით ერთ ადგილზე დაგუბებულს ვერც წიგნებში ქექვა მიხსნიდა დამყაებისგან, ამიტომ მეც ავყევი უსაქმურობით გალოთებულ სოფლის ბიჭებს, სიგარეტის ნაცვლად პლანს რომ ეწეოდნენ, რადგან უფილტროც არსად იშოვებოდა. ავყევი – ოღონდ სმაში კი არაან მოწევაში, არამედ იმაში, რაც ჩემთვის მაშინ ერთადერთ თავშესაქცევად იქცა, რაც ჰაერზე მეტი მჭირდებოდა დეპრესიისგან თავის დასახსნელად.

მეტიც – ერთ-ერთი მოთავეთაგანი მე ვიყავი. ამას მოყვებოდა სანაძლეო, კამათი, ჩხუბი, შემდეგ შერიგება, ქეიფი, დალევა, ისევ ჩხუბი... ამ ამბებზე დღიურების წერასაც შევუდექი: დავიწყე თოვლივით ერთფეროვანი ფიქრების გაფერადება, აღვწერდი ყველა დეტალს, ყველა მებრძოლ მამალს, ხარს თუ ძაღლს – თუ როგორ არ ზოგავდნენ თავს ეს უდანაშაულო არსებები ჩვენი გართობისთვის.

ორი ერთმანეთის მსგავსი მამალი მყავდა. ერთს დაჯაბნილი ჰყავდა მეორე, იმ მეორემ კი სოფლის ყველა მამალი დაჯაბნა, არადა, პირველი მაშინვე ჩაფლავდა. ჩემზე უფროსმა ბიჭებმა ამიყოლიეს, ჩემი მამლები დაგვეპირისპირებინა, მე ვუთხარი მიზეზი, ისინი კი ადგნენ და იმ პირველ მამალს ნახშირი წაუსვეს, შავად გადაღებეს და გაუშვეს. ატყდა, მაგრამ რა ატყდა, მამლებმა ლამის შეჭამეს ერთმანეთი. პირველი, მხდალი მამალი, არაფრით ნებდებოდა, ვერ ეგუებოდა მარცხს იმასთან, ვინც მთელი სიცოცხლე დაჩაგრული ჰყავდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ რამდენიმედღიანი ბრძოლის შემდეგ პირველი მამალი დასაკლავი გახდა, ცოტა ხანში მეორეც მიჰყვა და კარგა ხნით ამეკრძალა სახლში ამაზე საუბარიც კი.

„სისტემა დე რომერო"

როგორც უნდა ეცადო, ძნელია, გაექცე ზოგ უსიამოვნო მოგონებას. მაინც ადამიანი ხარ და ხშირად გეფიქრება ამაზე. რთულია, თვეები, შეიძლება წლებიც, იმ ხალხის გარემოცვაში გაატარო, ერთხელაც ვერ გადაანყდე ისეთ თვალებს, ისეთ გამოხედვას, სულ მცირედ სიყვარული ანპატივისცემა რომ გამოსჭვივის შენს მიმართ. ასეთ დროს, ცხადია, შენც იხურები მათთვის, იკეტები საკუთარ თავში, შინაგანად მძიმდები. მერე ისეც ხდება, ზოგიერთი აქეთ გადმოდის შეტევაზე.

ეს მაშინ მოხდა, როცა პირველად ჩავიქნიე ხელი და გავეცალე არამზადა ქართველ საქმოსნებს, უცნო სხეულზე ამოსული ძორმაგარებივით რომ მრავლდებოდნენ და მარტო ფულს კი არ შოულობდნენ მათი თანამემამულე მუშახელისგან, არამედ მათი ფსიქიკური მდგომარეობითაც ერთობოდნენ. რომელიღაც ფანტასტიკური ფილმივთ ასე გრძელდებოდა, სანამ ყველა მთგანს საბოლოოდ არ დაიმსგავსებდნენ. სამაგიეროდ, ქურდები ჰყავდათ დიდ პატივში – აფერისტულად ეთაყვანებოდნენ, უძვრებოდნენ, არაფერს აკლებდნენ ერთმანეთის შურიანობით გართული მუშების ხარჯზე. „შავები"კი ფულის გამო თვალს ხუჭავდნენ ბევრ უსამართლობაზე (როგორია, ფულის გულისთვის რომ სულს ეშმაკს მიჰყიდი და ამ ფულით შემდეგ ეკლესიების დაფინანსებას დაიწყებ!). ამაო იყო, ვინმე გამწარებულ მუშას მათთან დაეჩივლა, ისეც ის საწყალი რჩებოდა დაზარალებული. ჩვენში რომ ვთქვათ, ბევრი მათგანი უარესის ღირსიც იყო, რადგან მაინც ისეთი აღტაცებული იყვნენ ქურდული გაგებით, თან ძველბიჭობდნენ და თან „გიფსოკარდონს" აკრავდნენ ერთიანად მტვერში ამოთხვრილები.

ერთ ზაფხულს გამიმართლა და უშუალოდ ესპანელებთან მოვეწყვე სამუშაოზე, დავისვენე, რასაც ჰქვია. სათქმელად არ ვარგა, მაგრამ ბოლო დროს უკვე გავურბოდი ქართველებთან კონტაქტს, მათთან ურთიერთობას, ესპანელებთანკი შვება ვიგრძენი. რომეროს „ემპრესაში" გავეფორმე. ეს ერთ-ერთი ძველი და ძლიერი სამშენებლო კომპანია იყო მთელ ბასკეთში. რომეროს პირადად არ ვიცნობდი, არ შევხვედრივარ. კანტაბრიელმა ბიჭებმა, რომლებსაც მრავალწლიანი თავდადებული მუშაობის გამო თვალდახუჭული ენდობოდა რომერო, შემთხვევით სხვა ობიექტზე შემნიშნეს, სადაც მათაც მოუნიათ მუშაობამ, მოეწონათ ჩემი ნამუშევარი და, რადგან ეს ხელობა არ იცოდნენ, თან მათთვის ძალიან საჭირო იყო, აქეთ შემომთავაზეს. მეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ერთი სიტყვით, გამიმართლა. ვიტორიადან ათ კილომეტრში, ნანკლარესში შენდებოდა რომელიღაც სავაჭრო კომპანიის უზარმაზარი საწყობები და იქ მომიწია ნასვლამ. მშვენიერი სამუშაო იყო, კარგი ანაზღაურებით, არავინ მაჩქარებდა, არც არავინ მაკონტროლებდა, მეტროკვადრატებზე ვიყავით გარიგებული, ისედაც ყურადღებით მეპყრობოდნენ. შუადღისთვის ერთი საათი მეკუთვნოდა დასვენება, მე ნახევარ საათს ვისვენებდი, ისინი ექვსამდე მუშაობდნენ, მე რვაზე ვრჩებოდი – რა ჰქონდათ სათქმელი! პირიქით, იმას მსაყვედურობდნენ, ამდენს რატომ მუშაობო.

ეს პატარა დასახლება მთელ ქვეყანაში თავისი ციხე-საპყრობილეებით იყო ცნობილი და, ალბათ, სწორედ ამის გამოსაოცარი სიმშვიდე სუფევდა. მომეჩვენა, რომ ტრანსპორტის მოძრაობაც შეზღუდული იყო. იმ განაპირას კი, სადაც მე ვმუშაობდი, გარედან ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ახლომახლო ერთი დამრეცი ქუჩა იყო, სადაც მთელ სიგრძეზე ძველი, დაბალი ქვის სახლები იდგა ხის ძველი ფანჯრებითა და მუხის გაშავებული კარებით. ვიწრო, გრძელ აივნებზე ჩემთვის უცნობი წითელი ყვავილები გადმოედგათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოთნებით, რომლებსაც რატომღაც ყველა ერთდროულად რწყავდა. ისიც მხოლოდ მოხუცები. მომეჩვენა, რომ იქაური მოსახლეობის ძირითად ნაწილს სნორედ მოხუცები შეადგენდნენ.

დიდ ქალაქებში ბევრ რამეს, ცხადია, ვერც ამჩნევ, აქ კი ისე არღვევდა სიჩუმეს ყოველ ნახევარ საათში ეკლესიის საათის რეკვა, რაღაც განგაშის ზარს ჰგავდა. სწორედ იმ დროს, იმ წუთისთვის, ათკომლიანი სოფლიდან დაწყებული უზარმაზარი ქალაქებით

ერთხელაც, კვირის ბოლო დღეს, როცა ობიექტი ცოტა ადრე იკეტებოდა, სამშენებლო მასალა თითქმის შემომეღია. იმ კანტაბრიელი ბიჭებიდან ერთს, როხელიოს დავურეკე. ავუხსენი ყველაფერი, ორშაბათისთვის დამპირდა, მე კი ვურჩიე, იმავე დღეს მოეტანათ, რადგან ვიცოდი, მათ ლოდინში ორშაბათი გამიცდებოდა. ყოყმანის შემდეგ შემპირდა, რომ ერთ საათში მომიტანდნენ. მართლაც, ერთ საათში თეთრი სატვირთო მიკროავტობუსი ჩამოდგა. წარწერით

დამთავრებული, მთელ ქვეყანაში ათასობით ეკლესიის ზარი იწყებდა რეკვას, ყოველდღე, ყოველ ნახევარ საათში.

ვიცანი – „სისტემა დე რომერო“.

ობიექტის ზედამხედველს რახანია ვალოდინებდი და დრო ცოტა მქონდა. სა-

ტვირთოს საჭესთან ხანში შესული, ერთიანად თმაგათეთრებული კაცი იჯდა. ასაკთან შედარებით ისე ცოცხლად გადმოხტა მანქანიდან, გამიკვირდა. გამხდარი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, საშუალო სიმაღლის კაცი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე არასდროს მენახა, ხელი ჩამომართვა, ოჯახის ამბებიც კი გამომკითხა. შემდეგ ტელეფონი აიღო და სადღაც დაინყო რეკვა, თან ტანსაცმლიდან ალაგ-ალაგ შერჩენილ „შპაკლის“ ტომრების თეთრ მტვერს იფერთხავდა.

მე სატვირთოს ჩამოცლა დავინყე. ორ-ორ ტომარას ვეზიდებოდი ზედამხედველის გამოხედვით შეწუხებული. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და უკვე საყვედურებით დამინყო დაჩქარება. ისედაც დაღლილი ვიყავი, მთელი დღის ნამუშევარი, ამან კიდე ტვინი წაიღო. სხვა გზა არ მქონდა, მძღოლს გავხედე – ის ისევ ტელეფონზე ლაპარაკობდა: „ბოდიში, სენიორ, მაგრამ, იქნებ, დამეხმაროთ, ამის დაკეტვა ეჩქარებათ და... იქნებ, უბრალოდ, მაღლა ახვიდეთ და ტომრები მომაწოდოთ,“ – ვუთხარი ხათრიანად. რაღაცნაირად გადმომხედა, – კი, კი, რა თქმა უნდა, ახლავეო, მითხრა, ტელეფონი გათიშა და ცოცხლად ახტა სატვირთო მიკროავტობუსზე. ცოტა ხანს გაკვირვებული მიყურებდა, ორ ან სამ ტომარას რომ ვეზიდებოდი ერთდროულად, ბოლოს მისაყვედურა, გამაფრთხილა, შემდგომში ასე აღარ მოიქცეო.

როგორც იქნა, მოვრჩით. ის ასევე თბილად დამემშვიდობა და წავიდა. ზედამხედველსაც ეღირსა თავისი ობიექტის დაკეტვა, ხელი ამიწია და მანქანაში ჩაჯდა. მე კი ჩავუყევი იმ დამრეც ქუჩას, სადაც მთელ სიგრძეზე ძველი ქვის სახლები იდგა. ქუჩის ბოლოში გაჩერება იყო და ალავის პროვინციის კუთვნილ მწვანე ფერის ავტობუსს უნდა ჩამოეკლო, რომელიც ქალაქში წამიყვანდა, სადაც იმჟამად ვცხოვრობდი. ავტობუსში გამახსენდა, რომ ამ კვირაში ხელფასი უნდა ყოფილიყო და ისევ როხელიოს დავურეკე.

– კი მაგრამ, მე რომ მეკითხები, რომერო იქ არ გყავდა, იმისთვის გეკითხა, – მითხრა მან გაკვირვებულმა, მე კი, უსაშველოდ დაბნეულს, ხმა არ ამომიღია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიოჩბი
ლოთქიფანიძე

ტრიალოგი ლიტერატურულ კაფეში

ქალაქზე თბილი საღამო ჩამოწვა. გაკრიალებული საპატრულო მანქანის შავ პოლიციურ ფორმაში გამოწყობილმა ახალგაზრდა მძღოლმა ჩართო მანათობელი ციმციმა, ნელი სვლით კოსტავას ქუჩას აუყვა და სპორტის სასახლესთან მოედანი ფრთხილად გადაჭრა. გამხდარი, წვრილყვრიმალიანი პოლიციელი საჭეს ლაღად, მარჯვენა ხელის მკვირცხლი მოსმებით მართავდა, მარცხენა ლია ფანჯარაში უდარდელად გადმოეყო, თან ქუჩას აკვირდებოდა, თან კი გვერდით მჯდომ მეწყვილესთან მასლაათით ირთობდა თავს. შებინდებულ ტროტუარებზე დაღლილი ქალაქის მოფუსფუსე სიმშვიდე სუფევდა. სულ მალე მანქანამ სასტუმრო „აჭარასთან“ წითლად აალებული შუქნიშნის წინ დაამუხრუჭა, მაგრამ რამდენიმე წამში ამკრძალავი ალისფერი ჯერ ყვითელმა, შემდეგ კი მწვანემ შეცვალა და საპატრულომაც გააგრძელა ნელი, დინჯი სრიალი ვაჟას მიმართულებით. უცებ ქუჩის ბუნებრივი ხმაური თითქოს ერთიანად გაირღვა და პოლიციელების ყურამდე ყრუ და შორეული ტკაცანების ხმამ მოაღწია.

– გასროლებს ჰგავდა, – ჩაილაპარაკა მარჯვნივ მჯდომმა.

– არ დაიჯერო. გათახსირებული ბენზინია. აფერისტები, მაგათი... ასეთი, იცი, რამდენი მომისმენია!

– მაინც გააჩერე. გადავალ, გავხედავ, ვინმე უშნოდ ხომ არ გარბის.

– ჰო, მიდი, დავაი, გადადი.

საპატრულო გაჩერდა. პოლიციელი მყისვე გადმოვიდა მანქანიდან, ირგვლივ გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი დალანდა. ფეხით მოსიარულეთა ნაკადი ძველებურად, მდორედ და გულგრილად მიედინებოდა ტროტუართან შეყოვნებული საპატრულოს გასწვრივ. პოლიციელი ადგილზე შეტორტმანდა, ერთიც მიმოიხედა და მანქანაში დაბრუნდა.

– მგონი, მართალი ხარ. საეჭვო არაფერია, წავედით. ეტყობა, მართლა უხარისხო ბენზინი იყო.

– მაგ კაკანზე ჭიპი მაქვს მოჭრილი. ეჰ, ჩემ უბანში ბათქი რო ატყდებოდა ძველ დროს ახალ წლებზე, ახლა სადღაა. აქ, ცენტრში, ისეთი რა უნდა მოხდეს, იომებს ვინმე თუ რა? კულინარების პონტები წავიდა, ტო! საეჭვო რაიონში ახლა ავდივართ, რა. ბახტრიონს კიდევ რა უშავს, მაგრამ ფანასკერტელზე ღამით ქალის მარტო გაშვება – მტრისას. დენი თუ გამოირთო, მაშინ ხო, პროსტო, ჯოჯოხეთია, კატასტროფა. ერთხელ მანდ ფეხით ვიყავი და ფარანიც არა მქონდა. მეშვიდე სართულიდან მოვდიოდი და, კიდე კაი, მოვასწარი, ლიფტში არ გავიჭედე. ჩამოვედი და არ ჩაქრა, ტო! ერთი სული მქონდა, ბახტრიონამდე ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეღნია. აზრზე მოდი: გრძელი, ჩაბნელებული კორპუსები, ჩახლართული ეზოები, გარშემო ძაღლები ყეფენ, ჩემი კაი, ტო... მერე იტყვიან, ცოფი რატომაო მოდებული ქალაქში. არა, საღამოთი ცოლის იქ გამშვები ნაღდად არა ვარ, რა. ვააბშჩე, იმ სიბნელეში ნაშას მობილურის წარმოვევა თუ აკმარეს, ბედი ჰქონია. ისე, ძმაო, სულელურ ჭორებს ნუ აყვები, გაგადურაკებენ.

– რა ჭორებს?

– რა და... ამას წინათ, გახსოვს, შაყირნოი „არიენტიროვკა“ რო შემოგვიგდეს განყოფილებაში: ყურადღებით იყავითო, ქალაქში რაღაც „სიკვდილის ესკადრონი“ მოქმედებსო, ტრუპებიო, პოლიტიკოსები ერთმანეთს დაერივნენ, ჩუმი ატსტრელი მიდისო... თურმე ინტერნეტით ვიღაცას გამოუგზავნია, ვითომ უშაყირია, რა. არ დაიჯერო, სულ დივერსიული ჭორებია. მტრები გვივრცელებენ. ამ ჩვენ პატრულზეც ბოღმით სკდებიან, ეს რა მაგარი რამე უწალიჩია მთავრობასო... უჰ, შენი დედა... რანაირად ატარებს, ტო! მოდი გავყვეთ, კაკ რაზ ფანასკერტელზე ადის. მგონი, მთვრალია, ხიფათს გადაეყრება, რა.

– მაშინ დავაი, მიაწექი...

და მოთმინებიდან ოდნავ გამოსული პატრული მხნედ დაიწვა ბახტრიონი-ფანასკერტელის მაღლობისაკენ.

●

...ახლა კი შენ სხვა რამ გეკალება. უნდა შეაბა და ინფორმაცია გამოცინცლო. მე მგონი, კარგად გესმის, რომ მთელი ეს ყიყინი და წკმუტუნი, ეს უმსგავსო საპარლამენტო ბაზარი რაღაც ფინანსურ ამნისტიაზე, საყოველთაო პატიებაზე და მისთანები – ჩვენ არ გვეხება. უკვდავი ჩე გევარას სახელს გეფიცები, რომ სამართლიანობისთვის ბრძოლა აქტუალობას ვერასოდეს დაკარგავს – ვერც მსოფლიოში და ვერც საქართველოში. კორუფციასთან ომში იძულებითი წუთშესვენება ჩვეულებრივი მოვლენაა, უბრალო ტაქტიკა. „ბორჩას“ ზნეობრივი იდეალები გადასინჯვას არ ექვემდებარება, ხოლო საქმიანი დოსიეები მუდამ მუშა მდგომარეობაში უნდა გვქონდეს – დრო მოვა და გამოგვადგება. ნაძირლებს ჩვენ ყოველთვის გავემიჯნენით და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არ მივცემთ. გახსოვდეს, რომ ან გარდაცვლილი პენსიონერი მამამისი ოდესღაც საბჭოთა მაღალჩინოსანი იყო და შეუძლებელია, ამ გარემოებას მის ფსიქოლოგიაზე ზეგავლენა არ მოეხდინა. განსაკუთრებით კი მისი საძმაკაცო გვაინტერესებს, მისი წრე, კორუფციონერი და ბობოლა მამიკოების შვილები. ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ, მამათა ნაქურდალის შენარჩუნებაზე გადასულან და ასე აქცევენ ქვეყანას – არაფერი აინტერესებთ, საკუთარი თავის გარდა.

– იმ საცოდავებს კიდევ დარჩათ ქვეყნის დაქცევის თავი?

– „კუ და მორიელი“ ხომ წაგიკითხავს ბავშვობაში? ასეა, მორიელი თავისას არ მოიშლის. ახლა, თურმე, რაღაც ორგანიზაციას ქმნიან და მასში მეცნიერებისა და კულტურის უკმაყოფილო მოღვაწეების ჩათრევას აპირებენ. კაი უცნაური სახელი კი შეურჩევიათ: „საქართველოს ცოდნის პარტია“. მოკლედ, პოლიტიკური ბრძოლა პირწმინდად წაადგეს და ახლა ასპარეზზე შემოცურებას ასე ქვეწარმავლურად, სლიპინ-სლიპინით აპირებენ. ხალხისთვის თავისი არსებობის შეხსენება სურთ. იცოდე, არ მიჰქარო და მის ფანდებს არ წამოეგო, ყველა შემთხვევაში ნამდვილ მორჩელად და ღირსეულ მებრძოლად უნდა დარჩე. კმარა მაგათი პარპაში! წარმოიდგინე, რომ შენ ჩვენი მატა ჰარი ხარ, ის ქვემძრომი – ჩასაფრებული მტერი და სამშობლოს მოღალატე. თუმცა რაღა ჩასაფრებული, ბოლო დროს ბოღმას აღარც მალავს, ანთხევს და ანთხევს, ბოროტად სარგებლობს ჩვენი წრეგადასული ლმობიერებითა და უდარდელობით. სინამდვილეში ერთი ნვრილფეხა მომწერლო ურნალისტია, მეტი არაფერი, მაგრამ, სამწუხაროდ, თავისი მკითხველი ამ ფარისევლურ და მარქსისტული მიაზმებით გაჟღენთილ საზოგადოებაში მასაც ჰყავს. დროზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოვთოკოთ. იმედი შენზეა. წარმატების შემთხვევაში მაგ ვაუბატონისა და მისი პარტიის კომპრომეტაციას ნებისმიერ მომენტში მოვახერხებთ. მეტი არც გვევლება.

– კი მაგრამ, ასე უცებ და ბუნებრივად რანაირად დავუახლოვდე? პირველი ნაბიჯია ყველაზე რთული, თანაც ორმოცს გადაცილებული კაცია, ჩემზე ლამის ოცი წლით უფროსი. საერთო არაფერი გვაქვს.

– უნდა მოახერხო. მჯერა, რომ შენისთანა კარგ გოგონას ეს არ გაუჭირდება. შენ ხომ მომავალი ფსიქოლოგი ხარ? როგორც ყველა მომწერლო ელემენტს, მინიმუმ, ორი სუსტი წერტილი გააჩნია – ლიტერატურული პრეტენზიები და გადამეტებული წარმოდგენა საკუთარ მამაკაცურ ღირსებებზე. ჰოდა, სწორედ ამ სისუსტეების გამოყენებას უნდა ეცადო. ლიტერატურული კაფე ხომ იცი კოსტავაზე?

– გამიგია, მაგრამ არ ვყოფილვარ.

– ჰოდა, ყველაფერს თავისი დრო აქვს. მაგ ვაუბატონმა მანდ თითქმის ყოველდღე, ასე, შვიდის მერე იცის შევლა. როგორც წესი, მარტო მოდის ხოლმე. არ დავიზარე, რამდენჯერმე შევყევი და პირადად დავადგინე, რომ კაპუჩინოს და ტეკილას უკვეთავს – ტეკილას ჩასარტყმელი ფული კი ჰქონია ვაუკაცს – ყავას ნელ-ნელა წრუპავს, თან ტეკილას აყოლებს და მიბრძანდება მერე სახლში. იშვიათად თუ გამოელაპარაკება ვინმეს. დედასთან ცხოვრობს პეკინზე – ცოლს გაცილებულია, ერთადერთი ბავშვი კი ყოფილ მეუღლესთან არის. ახლა, ალიმენტს უხდის თუ არა, ნაღდად არ ვიცი – ალბათ, მატერიალურად ეხმარება. ა ბატონო, – მე საწყისი ინფორმაცია მოვიპოვე და ლანგარზე მოგართვი, ჯერი შენზეა. საღამოთი კაფეში, როგორც წესი, ხალხმრავლობაა, თავისუფალი მაგიდა იშვიათია, ამიტომ მომენტი უნდა შეარჩიო და გვერდზე მიუჯდე, უარს ვერ გეტყვის, არ იკადრებს. მერე კი შენ იცი, ზრდილობიანი, ზომიერად თამამი საუბარი გაუნ, არ ითავხედო. რამდენიმე ასეთ შეხვედრაში შეგეჩვევა კიდეც. ყავაზე, ნაყინზე, ნამცხვარზე ფულის დახარჯვა თუ მოგიწია – არ მოგერიდოს, გრანტიდან ისე დავფარავთ, რომ ანგარიშს არ მოგთხოვთ, მაგის დარდი ნუ გაქვს. მაგრამ გაითვალისწინე: ოპერაციას უსასრულოდ ვერ გავწელავთ, მისი ნდობის მოსაპოვებლად თვე-თვენახევარს გაძლევ, იმედია, იმყოფინებ.

– ერთი ასეთი კითხვა დამებადა: ჩემი შეხედულებები... ნუ, ეგ ყველაფერი, რასაც ვფიქრობ ჩვენ ბრძოლაზე, „მორ-

ჩაზე," „კმარაზე," ყოფილ და ახალ მთავრობებზე, უნივერსიტეტზე, განათლების რეფორმაზე, ამერიკაზე, რუსეთზე, აფხაზეთზე, ცხინვალზე, ერთი სიტყვით, ყველაფერზე, თუნდაც ლიტერატურაზე, ჯობს დავმალო და მის აზრებს ავყვე თუ მეტად გახსნილი ვიყო? იქნებ, ის აჯობებდა, რომ სულაც ფარდა ამეხადა ჩემი საქმიანობისთვის და თანდათან ჩვენკენ გადმომებირებინა? ნუ, მეცადა მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– არა მგონია, თუმცა... ეგ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, შენ თვითონ გადაწყვიტე. ჩვენი ორგანიზაციის წევრობა შუბლზე არ გაწერია. აზრებს და შეხედულებებს რაც შეეხება... აბა, რა ვიცი, მაგრამ... კაცი პარტიას ქმნის და ასე იოლად საკუთარ პრინციპებს, ალბათ, ვერ გადაუდგება. რომც გადაუდგეს, მთელი „მორჩას“ სახელით შემიძლია კიდევ ერთხელ განვაცხადო: მისი ყაიდის ხავსმოკიდებული ადამიანი სამშობლოს

ველარ გამოადგება. დაბადების წელი არ უვარგა, ყველი გაუვიდა, ასეთ ასაკში მამაკაცები არ იცვლებიან. გარდა ამისა, პირადად მე მისი გადმობირება უსარგებლოდ მიმაჩნია: მოღალატეს ვერ ვენდობით, ინფორმაციის წყაროს კი დავკარგავთ... მე მაინც გირჩევდი, არ დაუფარო საკუთარი შეხედულებები ამ სამყაროზე. ჯერ ერთი, უკეთ გამოგივა; გულახდილობა, ასე ვთქვათ, ძალასა და ეშხს შეგმატებს, მეორეც ერთი – ზოგჯერ კამათში მოხდენილად უნდა დაუთმო კიდეც. ოსტატობა ეგაა! ეს ამხელა თბილისი სინამდვილეში საკმაოდ პატარა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს ან, თუ არ იცნობს – გაიცნობს, დიდ ტყულეებს აზრი არა აქვს. შენი მთავარი კოზირი – იგივე ნიღაბი – მისდამი შენი ვითომდა კეთილგანწყობა უნდა გახდეს. საკუთარ ინტუიციას მიენდე. პირველ ეტაპზე მთავარია მისი ნდობა მოიპოვო, ნდობა... აბა, წავედი. ჩე!

– ჩე!

●

შემოდგომის ნაწვიმარი დილის უღიმლამო ნისლით შეღებილ, დიდ და მაღალჭერიან, იმთავითვე საშუალო ტევადობის სხდომებისთვის განკუთვნილ დარბაზს თითქოს ჩვეული სისავსე აკლდა. ჯერჯერობით სულ ოთხნი იყვნენ: მუქი ფერის ოფიციალურ კოსტუმებსა და ძვირადღირებულ ჰალსტუხებში გამოწყობილი ორი ფრიად სერიოზული იერის მქონე მამაკაცი, მესამე – გაღეღილ პოლოში, უჰალსტუხო, დამსწრეთაგან არაჯანსაღი სიმსუქნითა და გარეგნული უბრალოებით გამორჩეული, და სანდომიანი მანდილოსანი მოოქრული სათვალით, რომლის უზადო ჩაცმულობასა და ნატიფ გარეგნობას თითქოს მოწინავე საკლასო დამრიგებლის უხილავი აურა ერთვოდა. შეკრებილები უხალისოდ ისხდნენ ოვალური ფორმის პრიალა მაგიდის გარშემო, მაგრამ თათბირის დაწყებას არ ჩქარობდნენ: აქ საგანგებოდ კიდევ ორი მნიშვნელოვანი ადამიანი იყო მოწვეული და მათ გარეშე საკითხების გარჩევას აზრი არ ჰქონდა. მოლოდინი ოდნავ გაგრძელებულიყო და მანდილოსანმა მდივან ქალს ყავის სახელდახელოდ მომზადება სთხოვა, შემდეგ ხელჩანთიდან ორად გაკეცილი გასართობი ჟურნალი ამოიღო და მის დათვალიერებას შეუდგა. მაღალმა და მხარბეჭიანმა მამაკაცმა მარჯვნივ მსხდომ მეზობელს – პირქუში სახის, მომეტებულად მკაცრი ნაკვთებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომეტყველების მქონე ახალგაზრდა კაცს – გამჭოლი მზერა სტყორცნა, სკამიანად, მთელი ტანით მიუბრუნდა და ხმადაბალი, თუმცა ალაგ-ალაგ ენერგიული და ფეთქებადი საუბარი გაუბა. მათი დიალოგის ცალკეული და ზედმეტად ხმამაღალი სიტყვები ეულად დარჩენილი ჭარბზონიანი მამაკაცის ყურსაც სნვდებოდა, მაგრამ საუბარში ჩართვის შესაძლებლობას ეს უკანასკნელი – მიუხედავად შეფარული სურვილისა – მაინც მოკლებული იყო. მცირე უხერხულობა მალე თავისთავად გაიფანტა: მდივანმა ქალმა გამჭრიახობა გამოიჩინა და ერთის ნაცვლად ოთხი ფინჯანი ყავა შემოიტანა, რასაც მომლოდინენი წამიერი გახალისებითა და მხიარული ღიმილით შეხვდნენ.

ახლოვდებოდა ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ პირველი წლისთავი, ხოლო ამ რევოლუციის მიერ დეკლარირებული მიზნების მიღწევის ბედი ბევრწილად დარბაზში შეკრებილ ადამიანებზე იყო დამოკიდებული. მიმდინარე ისტორიული ეპოქის პრაგმატული რეალობიდან გამომდინარე, ახალი ხელისუფლების წარმატებას, ქვეყნისა და ერის ბედს საბოლოოდ ფული წყვეტდა, შემოსავალი კი, სამწუხაროდ, საკმარისი არასოდეს არ იყო – არც რევოლუციამდე და არც მის შემდეგ. მაგრამ თუ წინა, კორუმპირებულ და გაკოტრებულ ხელისუფლებაზე ყველას ხელი ჰქონდა ჩაქნეული, ახალ მთავრობას – დემოკრატიის დროშით ხელისუფლებაში მოსულთა ხვედრი კი ამ მხრივ ყველგან და ყოველთვის ერთნაირია – ყველა ყველაფერს ერთბაშად სთხოვდა, თანაც სწრაფად. მიუხედავად ძველი რეჟიმის ბევრი უკანონოდ გამდიდრებული მსახურის განკულაკებისა და კეთილგანწყობილი გარე სამყაროდან შემოსული არცთუ მცირე მატერიალური დახმარებისა, სახელმწიფოს ხელში მოქცეული რესურსები ხალხის მზარდ მოთხოვნილებებს სრულად ვერ აკმაყოფილებდა. ყველაფერ ამას კი დროთა განმავლობაში შესაძლოა შორს მიმავალი უარყოფითი შედეგები გამოეწვია და ხალხის ნდობა შეერყია. სწორედ სახსრების დეფიციტი იყო მთავარი პრობლემა და ოთახში შეკრებილთა შეფიქრიანების ჭეშმარიტი მიზეზი.

მხარბეჭინმა მამაკაცმა საკუთარი ყავა სწრაფად შესვა, მაჯის საათს დახედა და უკმაყოფილოდ წარმოთქვა: „ამ საცობებს ვერაფერი მოვუხერხეთ! ვერც „მიგალკები“ შველის საქმეს და ვერც კორტეჟი, მაინც ივვიანებენ... ჰო, მართლა – ამ უნივერსიტეტთან და მეცნიერებათა აკადემიასთან დაკავშირებით სულ აწუხებენ ჩემი ოჯახის წევრებს, გინდა, არ გინდა – ჩემამდეც აღწევს... დღის წესრიგით გათვალისწინებული არა გვაქვს, მაგრამ, სანამ ეგენი მოვლენ... ძალიან ბევრმა მოინდომა მღვრიე წყალში თევზაობა და ჩვენ ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ – რეიტინგს უნდა მოვუფრთხილდეთ. როგორ მოვეკიდოთ, მეგობრებო, მეცნიერ მუშაკთათვის მინიმალური ხელფასის გაზრდის იდეას? ბოლო-ბოლო, ოჯახში მარცხვენენ, პროფესორს საარსებო მინიმუმზე ნაკლები ანაზღაურება როდემდე უნდა ჰქონდესო? გასაგებია, რომ წინა მთავრობამ საშინელი მემკვიდრეობა და ცარიელი ხაზინა დაგვიტოვა, შევარდნაძის გალაკტაკებულ ინტელიგენციას ყველაფრის იმედი გადაეწურა და იმანაც – გარდა ზოგიერთი ხისთავიანისა – ჩვენ დაგვიჭირა მხარი. ისე, კაცმა რომ თქვას, ნათელია, რომ ქვეყანას ძველი ყაიდის საპენსიო კომუნისტური ინტელიგენცია აღარ სჭირდება, მის რიგებში უამრავი უქნარა, დეკვალიფიცირებული და კორუმპირებული ადამიანია, მაგრამ, სანამ რეფორმებს ჩავატარებთ და საკითხი გლობალურად მოგვარდება, აწი ჩვენ – ჩვენ როგორ უნდა მოვიქცეთ? მივცეთ რამე?“

●

– ბოდიში, ეს სკამი დაკავებულია? შეიძლება? ოჰ, ეს თქვენა ხართ? გამარჯობა!

– დიახ, მე გახლავართ. ძალიან სასიამოვნოა, დაბრძანდით ქალბატონო... ნატო, არა?

– თითქმის. მე ნატა მქვია.

– აჰ, მაპატიეთ, ერთი ასო შემშლია! ჰო, ნატა. ეჰ, რა ვუყო ამ ჩემს ნაადრევ სკლეროზს. მშვენიერი სახელია – ნატა.

– გმადლობთ... თქვენ კი – ბატონი კობა, არა?

– დიახ, კობა, სტალინის სახელობის კობა... იქნებ, არც დამიჯეროთ, მაგრამ გული მიგრძნობდა, რომ კვლავ შევხვდებოდით, თუმცა არ მეგონა, რომ ეს ორ დღეში მოხდებოდა. ნება მომეცით, ამის აღსანიშნავად ფინჯან ყავაზე დაგპატიჟოთ. თურქული თუ კაპუჩინო?

– გმადლობთ, თურქული იყოს, ოღონდ... იცით, დაქალს ველოდები, მაგრამ ჯერ არ ჩანს. ხელს ხომ არ გიშლით?

– რას ბრძანებთ!

– ერთი ძალიან უბრალო თხოვნა მაქვს და, იმედია, შემისრულებთ.

– ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად შევეცდები... ქალბატონო, ერთი თურქული ყავა და ერთიც ტეკილა, ლიმონიც მოაყოლეთ თუ შეიძლება... ტეკილას ხომ არ ინებებთ? ან რაიმე სხვა სასმელს? ნამცხვარს ხომ არ მიირთმევთ?

– არა, არა, ნუ შეწუხდებით. სასმელს ვერიდები, სწრაფად მათრობს, ნამცხვარი კი, უბრალოდ, არ მინდა. რთული თხოვნა არ არის. იცით, რა... მოდით, ამიერიდან ერთმანეთს შენობით მივმართოთ. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ... მე ყველა შენობით მომმართავს და ეს ძალიან მომწონს. თქვენობით რომ მელაპარაკებიან, ასე მგონია, ბებერი ვარ. ჩემთვისაც უფრო ადვილი იქნება პირდაპირ კობა დაგიძახოთ. ხომ ხედავთ, თქვენი სახელი უშეცდომოდ დავიმახსოვრე.

– შესანიშნავია. რასაკვირველია, თანახმა ვარ. მართალი გითხრა, უბრალოდ დამასწარი. სტუდენტი ხარ?

– მაშ, თანაც უნივერსიტეტის. მომავალი ფსიქოლოგი. შენ კი... მოიცა, მოიცა... აქამდე არ მითქვამს, მაგრამ შენი სახე მაშინაც მეცნო და ვერაფრით გავიხსენე, საიდან. ამაზე ფიქრში ძლივს დამეძინა. სად შეიძლებოდა მენახე, კობა?

– ნუ, ალბათ, ბევრგან. თუნდაც ტელევიზიით.

– მართლა?

– მართლა. მე ჟურნალისტი ვარ, ჟურნალ „ობობას ქსელის“ პოლიტიკური მიმომხილველი. გარდა ამისა, წიგნი მაქვს დაწერილი და გამოცემული. ზოგჯერ ხდება: სხვადასხვა ტელეარხების ტოკ-შოუებზე და დისკუსიებზე მინვევენ. მაგალითად „რუსთავზე,“ ჯანრი კაშიასთან, ინგა გრიგოლიასთან და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ბოლო დროს ნამდვილი სატელევიზიო პაექრობა იშვიათობა გახდა, ყველა რაღაც დაუწერელ კანონებს იცავს.

– „ობობას ქსელს“ ზოგჯერ ვყიდულობ, დედაჩემიც კითხულობს. ტოკ-შოუებს კი, პრაქტიკულად, არ ვუყურებ, არ მცალია და, მართალი გითხრა, ეგ ჯანრი მაინცდამაინც არ მაინტერესებს. ვფიქრობდი, იქნებ, სადმე წვეულებაზე გადავეყარე-თქო ან, იქნებ, მეუღლის მხრიდან ვიცნობ...

– მეუღლის? ო, აი ეგ კი, ალბათ, არა, გამორიცხულია. ჯერ ერთი, შენზე გაცილებით უფროსია, სულ სხვა თაობაა. გარდა ამისა... ეჰ, გამოგიტყდები, რომ ამჟამად სრული თავისუფლებით ვსარგებლობ.

– ო, ეგ ძნელი მისახვედრი სულაც არ არის. აქ ხომ მარტო მოდიხარ. თუმცა ახლა ისიც კი შევნიშნე, რომ ბეჭედი არ გიკეთია.

– მერე რა, რომ მარტო მოვდივარ? ნეტავ, რომელი საუკუნეა კარზე? პირდაპირ გამოაცე, ნატა. ბეჭედი ბევრ ცოლიანსაც არ უკეთია. არც ადრე ვატარებდი, ხოლო განქორწინებას რაც შეეხება... ფორმალობები არ მიყვარს. ჩემს სათაყვანებელ მეუღლეს სწორედ ის არ ესმოდა, რომ მწერალი და ფორმალობა შეუთავსებელი ცნებებია. დაოჯახებულ ქალად რატომღაც არ მეჩვენები და გაითვალისწინე: ცოლქმრულ ურთიერთობაში სასამართლო მთავარი როდია.

– ჰა-ჰა, რაო, როგორ თქვი, რომელი საუკუნეაო? ან გაუთხოვარი რატომ გეჩვენები, იქნებ, გაშლება? შენ გგონია, კავალერი არა მყავს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– შეიძლება გყავს და არაერთიც, მაგრამ გათხოვილის იერი და თვალები მაინც სულ სხვაა. არა მგონია, მეშლებოდეს. ცხოვრებისეული გამოცდილება ასე მკარნახობს და რა ვიცი.

– გამოგიტყდები, რომ ამ შემთხვევაში არ გეშლება, თუმცა შეიძლება სხვანაირადაც ყოფილიყო საქმე. იერსაც მოევლებოდა, მაგრამ... ერთი სიტყვით, არ მეჩქარება – ჯერ ახალგაზრდა ვარ და ყველაფერი წინა მაქვს. გთხოვ, აღარ გვინდა მეტი ამაზე, რა. ათასჯერ გადაღეჭილი, მოსაწყენი და მოსაბეზრებელი თემაა. მაშ, ყველა სიკეთესთან ერთად მწერალიც ყოფილხარ.

– ნუ, ეგ ხმამაღალი ნათქვამია. უფრო ლიტერატორი. მწერალი მაინც სხვამ უნდა გინოდოს. ზოგი იტყვის: ეგ თავმდაბლობა კი არა, თვალთმაქცობა და საბჭოური გადმონაშთიაო, მაგრამ ასე მჯერა და რა ვქნა. ისე კი, მწერლობა ბედისწერაა. მე, უბრალოდ, ჩემთვის ვწერ, ასე ვთქვათ, საკუთარ ლიტერატურულ ჭიას ვახარებ. ერთხელ ზღაპრების კონკურსშიც კი გავიმარჯვე.

– საბავშვო ზღაპრების?

– დიახაც რომ.

– მაინც დასაფასებელია. ეგ ჭია ყველა ადამიანს ხომ არ ღრღნის, მხოლოდ რჩეულებს. თანაც გაგიმარჯვია. ფული მოგცეს?

– ათას ხუთასი დოლარით დამაჯილდოვეს, მაგრამ... Страна не знает своих героев. აი, ჩემი ლიმონიც... აბა, გაგიმარჯოს. უჰ, რა მაგარია ეს ოხერი! შენ თუ იცი, ნატა, როგორ უხდება ტეკილას ლიმონი. ყინული, ლიმონი და მარილი – ამათ გარეშე ტეკილა მხოლოდ კაქტუსისგან გამოხდილი მიქსტურაა, ჭაჭაზე უარესი.

– აბა, რატომ სვამ?

– რატომ? მდ-ა-ა... რა ვიცი. სახელი მომწონს, მასში ჩაქსოვილი რომანტიკა. მექსიკა, აცტეკები, სისხლით მორწყული პირამიდები, კორტესი... ამ ერთ სირჩა ტეკილაში კაცობრიობის მთელი ისტორია ეტევა, მე კი მას ერთი ყლუპით... ისე, რომ იცოდე, ტეკილასადმი მიდრეკილება საკმაოდ ძვირი მიჯდება.

– ეგ მეც გავიფიქრე. ეტყობა, როგორც ჟურნალისტს, კარგი ჰონორარები გაქვს.

– დიდი არაფერი. უბრალოდ, რამდენიმე წლის წინათ ძალიან ხელსაყრელი მომენტი არ გავუშვი ხელიდან. შემიძლია პირნათლად ვაღიარო, რომ ფორტუნამ გამიღიმა. ჩვენს ძველ, ელიტურ, პაპისეულ საკუთარ სახლს თავისი ნაკვეთით ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე, ძალიან ფულიანმა მყიდველმა დაადგა კეთილი მზერა და... მოკლედ, მაშინ მე და ჩემმა ძმამ ბევრი პრობლემა გადავწყვიტეთ და ცოტაოდენი ფული დღემდე შემომრჩა. არ მექნება და აღარ დაველევ. ამ მხრივ ნამდვილი ძველი ქართველი ვარ და არც ალიმენტის გადახდის პრობლემა მაწუხებს, – ისედაც ვეხმარები. ასე იყო მეცხრამეტე საუკუნეშიც: ჩვენი სახელოვანი წინაპრები საგვარეულო მამულებს ყიდდნენ და ამით გაჰქონდათ თავი.

– ჰოო... ალბათ, ამიტომაა, რომ საკუთარ ჩვევებს ასეთ არეულ დროსაც არ ღალატობ. წარსულს ხომ არ მისტირი?

– ნუთუ ასეთ მოხუცად გეჩვენები? თუმცა კარგი შეკითხვაა. შენთან შედარებით, ალბათ, დინოზავრი ვარ, საბჭოთა ხელისუფლებაც კი მახსოვს. ძველ დროს არ მივტირი, მეტი საქმე არა მაქვს, რა! მაგრამ არც ეს, შენი გამოთქმით, არეული დრო მეხატება გულზე. კრეტინიზმისა და უხამსობის დღეია, მეტი არაფერი! Хамло и Чернь! მაპატიე, უნებურად ავნერვიულდი. ისე, იცოდე: ნერვები თუ ამეშალა, ხშირად რუსულზე გადავდივარ, ლანძღვა-გინებაში რუსულ ენას ბადალი არა აქვს. გემუდარები, ერთ პატარა ნამცხვარს აგიღებ, რა! ქალბატონო, ერთი ნიგვზიანი, თუ შეიძლება! იცოდე, აქაური ნიგვზიანი ყოველთვის ახალი და გემრიელია.

– უი, რაზე შეწუხდი? გმადლობთ, ზედმეტი იყო... მაშ, საგვარეულო მამულების გაყიდვით აგინყვია ცხოვრება? ბოდიში, ცოტა უტაქტო კითხვა კი გამომივიდა, მაგრამ შენ ვითარ დაინყე...

– უტაქტო კი არა, ფაიზაღი სიმართლე და ჭეშმარიტებაა. არც ისეთი ფაქიზო ვარ. ხომ გითხარი, არ მიყვარს ფორმალობები. ხომ გემრიელია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ძალიან. ვიცი, რომ ბინის გაყიდვა მმობლებს არ უყვართ, გარემოს შეცვლას ერიდებიან.

– მამა გარდამეცვალა, დედას კი, მერწმუნე, არაფერი დავაკელით. ახლაც მასთან ერთად ვცხოვრობ პეკინზე, კარგ, გარემონტებულ ოროთახიანში.

– ვაკის სახლი რამდენსართულიანი იყო?

– ორიანი, მაგრამ დაშენების შესაძლებლობითა და დიდი გარაჟით. სწორედ ეს არის საქმე. წინდახედულმა მამამ შვილებზე იზრუნა და გადარჩენის საშუალება მოგვცა. თუმცა, არც იმდენი დამრჩა, რომ... ტეკილა კარგია, მაგრამ ჩემი ნატვრის შესასრულებლად ფული მაინც არ მყოფნის.

– რა ნატვრაა ასეთი ძვირი?

– საკუთარ გაზეთზე ვოცნებობ, მაგრამ ვერ ვქაჩავ... აი, მხარში თუ ამომიდგა ვინმე...

– გასართობ გაზეთზე თუ...

– არა. მეტი სიმართლე და საღი აზრი, მდიდარი ანალიტიკა, სპორტი და ჭორები ზომიერად, ნაკლები გართობა – ისიც ბოლო გვერდზე. სენსაციების სანინაალმდეგო არაფერი მაქვს, არც ნორმალური პოლიგრაფიის. სულ ეს არის ჩემი განუხორციელებელი კრედო.

– ეტყობა, მამაშენი ძალიან წარჩინებული კაცი იყო. პროფესორი ან აკადემიკოსი, არა? გადმოცემით ვიცი, რომ კომუნისტების დროს სწორედ პროფესორები ფასობდნენ.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ისე, თავის საქმეში პროფესორიც იყო და აკადემიკოსიც. იქნებ, მეტიც კი იყო. როგორმე მოგიყვები... კი, რა დასამალი ეგაა: მინისტრი იყო მჟავანაძის დროს, თანაც გავლენიანი მინისტრი. გაგიგია მჟავანაძე? აბა, ნიგვზიანი არ მინდოდაო?

– მართლა ძალიან გემრიელი იყო, მომეწონა. მადლობელი ვარ.

– აი, რამდენი გაიგე ჩემი პერსონის შესახებ. ამაში კი საფასურს მოვითხოვ, ოდენ მადლობით ვერ შემოიფარგლები... გეხუმრები, ცხადია! ვისურვებდი, ჩემთვის მუდამ გამოცანად და ჯოკონდას ღიმილად დარჩე, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ... რა იქნება, შენს შესახებაც მომიყვე რამე...

– აუცილებლად, მაგრამ... აი, ჩემი დაქალიც. სალუტ, მარიკა! ვიამე, კობა, უნდა გადავჯდე, ხომ არ გეწყინება? იმედია, აქ კიდევ შევხვდებით და როგორმე ჩემზეც მოგიყვები. დიდი, დიდი მადლობა.

– შეხვედრამდე, ნატა...

●

წარმოიდგინეთ: ბუნებრივ ნიჭიერებასთან წილნაყარ ადამიანს უამრავი წიგნი ჰქონოდეს წაკითხული, განგებას ცოლ-შვილით, ნაცადი მეგობრებითა და ღირსეული სამსახურით დაეჯილდოებინოს, ცხოვრებაში, როგორც ყველა ნორმალურ პიროვნებას, რამდენიმე – უიღბლო და იღბლიანი – სიყვარულიც გამოეცადოს, პროფესიული ერთგულების ფასიც სცოდნოდეს, ჰობის სახით ჭადრაკი და პოკერი შეერჩიოს, ფეხბურთიც უყვარდეს, სამომავლო გეგმებსაც აწყობეს და ალაგებდეს და – საზოგადოდ – სამყარო თავისი ეგონოს, მაგრამ...

მაგრამ ზოგჯერ ასეც ხდება: ამ პატივდებულ პიროვნებას მთლიანობაში ჯანმრთელად მიაჩნდეს თავი, არ ეპუებოდეს ასაკს, არ გაურბოდეს ახლობელთა წრეში პოკერის გაშლას, ბავშვივით უბარდეს მოგება და ვაჟკაცური ღიმილით ხვდებოდეს უცილობელ მარცხს, ჟინიანად ენეოდეს სიგარეტს და მეგობრულ სუფრაზე ზომიერადაც სვამდეს, ამასთან, ყურადღებას არ აქცევდეს მოხშირებული თავბრუსხვევების კასკადსა და დღის განმავლობაში არტერიული წნევის აწევ-დაწევას, უდრტვინველად ეგუებოდეს ქვედა კიდურების უეცარ დაბუჟებას, შეეჩვიოს არასასიამოვნო ჩხვლეტებსა და ჭვალებს გულის არეში, და იყოს ასე არხეინად. მაგრამ ერთ მშვენიერ – ან არცთუ მშვენიერ – დღეს, კამერულ სუფრაზე კარგად მოლხენის შემდეგ, დესერტად მორთმეული თურქული ყავისა და ჩიბუხის გაბოლების თანხლებით, მასაკი, ამ ბედნიერ ადამიანს, შეიძლება მოეძალოს სურვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უსიამო შეგრძნებების გულახდილად გაზიარებისა – რასაკვირველია, უფრორე ენის მოსაფხანად და გულის გადასაყოლებლად ვიდრე გულწრფელი ინტერესის დასაკმაყოფილებლად – მოპირდაპირე რბილ სავარძელში განცხრომით მოკალათებული ძველი ნაცნობისთვის, ცნობილი ვერისუბნელი ექიმისა და მოწოდებით კეთილშობილი პოკერისტისთვის, მისგან ტკბილი დასტურის მისაღებად – ეგ არაფერი, ჩემი ძმაო, ჩვენი ასაკის კვალობაზე კაჟივითა ხარ, სერიოზული არაფერი გჭირს და ძველებურად, ლაღად გააგრძელე ვნებიანი ცხოვრებაო. მაგრამ ნათქვამია: კაცი ბჭობდა – ღმერთი იცინოდაო და, თუ ის ექიმი კაცი მართლაც გამოცდილი დიაგნოსტია და თუ ქეიფსა და კარტის თამაშში მას ჯერ ბოლომდე არ გაუცვლია მოყვასისადმი თანაგრძნობის უნარი, მაშინ ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომატიკა მან შესაძლოა საგანგაშოდ მიიჩნიოს, ვერ გამორიცხოს, რომ ყავის ᲣᲚᲧᲣᲠᲘᲡ შორის მოსმენილ ჩვენებში, ვითარცა სარკეში, ირეკლება გულარხეინი თანამეინახის ორგანიზმის სიღრმეში აღმოცენებული ვერაგი სნეულება, რომელიც, სათანადო ზომების მიუღებლობის შემთხვევაში – ხოლო ზოგჯერ ასეთი ზომებიც არასაკმარისია – ლეტალური დაბოლოების საშიშროებას შეიცავს. ერთი სიტყვით, ჩვენი წარმოსახვითი გმირის ბედი იმაზეც გახლავთ დამოკიდებული, აღიქვამს თუ არა მას ნაცნობი დასტაქარი ჩვეულებრივ პაციენტად, თუ მხოლოდ პოკერის პარტნიორად, ვისთვისაც უსიამო სიმართლის პირში თქმით გუნების წახდენა სავალდებულო სულაც არ არის.

ნუ მოვერიდებით განზოგადებას და, ეს ჩვენი ჩიბუხიანი და ნიჭით მომადლებული გმირი ჩვენსავე საზოგადოებას მივამსგავსოთ, ხოლო ხელისუფლება – იმ ჩვენთვის ბოლომდე ამოუცნობი ხასიათის მქონე ექიმს. ასეთი შედარება მით უფრო მართებულია, რომ გარე სამყაროსთან მისტიკური შერკინებისას ორივე მოპაექრე – საზოგადოებაც და ხელისუფლებაც – გამოცდილი პოკერისტივით იქცევა, ფსონში საკუთარი ქვეყნის ბედს ჩადის, და ხან დაუფარავი, ხანაც შენიღბული აზარტით ცდილობს საკუთარი უძირო ამბიციის დაკმაყოფილებას.

ასეა, კამათლის გორებით დაკავებული საზოგადოების ცოცხალი ორგანიზმის წიაღშიც თანდათანობით გროვდება უარყოფითი ნიშნის მუხტი – მოსახლეობის დიდი უმრავლესობის აზრით, უფრო მოგონილი და ვირტუალური, ვიდრე ნამდვილი – რომლის ველში შობილი ცვლილებები დროთა განმავლობაში მომაკვდინებელი თვით ამ უმრავლესობისთვის ხდება. ასეთი ცვლილებების – სინამდვილეში კი სიმპტომების – სხვადასხვა საჯარო გამოვლენებში: ლექსიკაში, მოდაში, ღირებულებათა დაპირისპირებაში, მრავალსიტყვიან და ფუჭ დისკუსიებში, უტოპიური იდეალებისკენ სწრაფვაში, ზოგჯერ ნარების ხელებით გლეჯაშიც კი – ბუნებრივად აისახება ქვეყანაში ჩამოყალიბებული საზოგადოების არსი, ცხოვრების წესი, მისი სიცოცხლისუნარიანობა და შინაგანი განვითარების ლოგიკა. ამ განვითარების ბოლო, ხშირად გაუცნობიერებელი, კი მარტივზე მარტივია – ან ევოლუცია და გამარჯვება, ან საერთო დეგრადირება და კოლაფსი.

ერთ-ერთ ასეთ – მავანისთვის მოგონილ და ოდენ ენის საფხან მასალად ქცეულ – სადისკუსიო თემად საბაზრო ურთიერთობების ბადეში მოფართხალე ცოდნის მომპოვებელი ადამიანების მასობრივი დაბეჩავება გვევლინება. სათანადო სამუშაო პირობების არარსებობა, უმწეობა, უფულობა, დაცინვა – და ეს ყოველივე გაუთავებლად, წლებისა და წლების განმავლობაში... მოსახლეობის ამ თხელი და მეტად მგრძნობიარე ფენის მიმართ პატივისცემისგან დაცლილ და ზედაპირულ დამოკიდებულებაში თავს იჩენს საზოგადოების წიაღში ჩასახული ძნელად განსაკურნავი სენის – გონის გენერალიზებული დაბნელების – უტყუარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმპტომი, მით უმეტეს, თუ განგების ძალით, ცოდნის მომპოვებლებს არსებობა და მოღვაწეობა ღარიბ და მუდმივად სხვათა მოიმედე პატარა ქვეყნებში უწევთ.

მაგალითისთვის კი გამოდგება ერთი პატარა, ამაყი და სილამაზით განთქმული, ღვთიშობლის წილხვედრი კოპწია კავკასიური ქვეყანა, რომელიც – ჩვენი წარმოსახვითი გმირისა არ იყოს – მუდამჟამ საკუთარ სიმართლეშია დარწმუნებული და თან მართლაც გენიალობასთანაა წილნაყარი თავისი მდელოებით, მთებით, ტყეებით, ტბებით, მდინარეებით, ზღვით, ტაძრებით, კულტურით, ინტელექტით...

ყოველივე ამის დაცვას კი საზოგადოების მხრიდან გაფრთხილება და კეთილი ნების გამოვლენა უნდა, თორემ...

თორემ დროთა განმავლობაში დაიშრიტება ტბები და მდინარეები, დაჭკნება ტყეები, ჩაკვდება კულტურა, სულს გააფრთხობს მეცნიერება, გეოგრაფიულ რუკაზე ერთ უსახურ ლაქად გადაიქცევა თვითმყოფადი პატარა ქვეყანა, მისი ტიპური ბინადარი კი დაემსგავსება მოსულელო ორფეხა თოჯინას, ზომბის, რომლის მართვას ძლიერთაგან ამა ქვეყნისა არაფერი უნდა თავის ქალაში დროულად ჩატანებული ზამბარის კარგად მოქოქვის გარდა.

ცინიზმით დაავადებულ უმეცარ ობივატელს მცოდნე ადამიანების დასახასიათებლად გულის სილრმეში ისედაც ერთადერთი შეფასება გააჩნია – მუქთამჭამელები; ის ურჩევნია მამულსა, შეეშვან მოსაბეზრებელ წყნუნს და თოხი დაიჭირონ ხელში. ეგ არახალია. სოციალურ ბოლმას ყველა დროსა თუ ფორმაციაში დიდი გაქანება ეძლეოდა. იგი ყოველთვის რჩეული, თვალსაჩინო და საქმეში ჩახედული ადამიანების წინააღმდეგ იყო მომართული და ჩვენი პატარა ქვეყანა ამ მხრივ გამონაკლისი ვერ იქნება.

ობივატელური უმრავლესობის ხანაც ხმამაღლა გამოთქმული, ხანაც გამოუთქმელი, მაგრამ სავსებით გულწრფელი რწმენით, ისეთი პატარა და ღარიბი ქვეყნისთვის როგორიც ჩვენია – თუ მხოლოდ ზომასა და ფულზე მიდგება საქმე, – თანამედროვე მეცნიერება ძვირი და უსარგებლო ფუფუნებაა. ყველაფერი ფასეულის – ჭკუა-გონების ჩათვლით – გარედან შემოტანა და ადგილზე გამოყენებაა შესაძლებელი და, თუ დარჩა კიდევ რაიმე აღმოსაჩენი დედამინაზე – დაე, ეს აღმორჩენები სხვათა, უფრო წარმატებული, განვითარებული და მდიდარი ერების კუთვნილება გახდეს. გასაკეთებელს ისინი მაინც ჩვენზე უკეთ გააკეთებენ. მით უმეტეს, რომ ფხიანი და ნიჭიერი ჩვენებური ამ პირობებშიც არ დაიჩაგრება; კეთილი უცხოელები მას შეამჩნევენ, დაუძახებენ, ფულს გადაუხდიან, საერთო ფერხულში ჩააბამენ და ამ გზით ის სამშობლოსაც შორს გაუთქვამს სახელს და საკუთარ თავსა და ოჯახსაც წაადგება. ბოლო-ბოლო, ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა? მართლაც, ზოგადად რომ ვთქვათ, ცოდნის მოპოვებისა და სასიკეთოდ გამოყენების კეთილშობილურმა საქმემ დიდი ხანია გადალახა სახელმწიფო საზღვრები. ბედკრულ პატარა ქვეყანას კი ისედაც თავისი პაწია, მაგრამ სასიცოცხლო პრობლემები აწუხებს. მათ მოსაგვარებლად მას სჭირდება ჯარი, პოლიცია, საბაჟო და საგადასახადო ბიუროკრატია, ფულის ერთეულიც კი, მაგრამ ცოდნის მომპოვებლები – ნურას უკაცრავად. ჩვენს კომერციალიზებულ ეპოქაში პატარა ქვეყანას ამ ხელით სათრევი ტვირთის გარეშეც შეუძლია თავის გატანაც და კანონიერი ამბიციების დაკმაყოფილებაც – სერვისით, ეგზოტიკური ტურიზმით, გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამოყენებით, კონფლიქტურ ზონებში ცოცხალი ძალის ექსპორტით...

ჭეშმარიტი ცოდნის მომპოვებელი ადამიანები იშვიათობაა, ცოდნის მოპოვებას დიდი ნიჭი, შრომა და მონდომება სჭირდება, ახალი და ცინიკური დემოკრატიები კი ასეთი ადამიანების ერთობას ხშირად – უფრო გამოუცდელობითა და ძველი წესების რესტავრაციის შიშით – დამსხვრეული ტოტალიტარიზმის რელიქტად, მის მჭრელ და არცთუ უხიფათო ნატეხად აღიქვამენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან, ღატაკი და დაქცეული ქვეყნების სხვადასხვა რეფორმატორული ვალდებულებებით დახუნძლულ ბიუჯეტებს უჭირს წინა წყობილებიდან შემორჩენილი რელიქტური სოციალური ფენების შესანახი ხარჯების გაწევა. სამაგიეროდ, პოლიტიკური პრაქტიკა, როგორც წესი, მალე ადასტურებს „ყოფილ გამორჩეულ ადამიანთა“ ერთიანობის მოჩვენებითობას, მათ თანდაყოლილ ინფანტილობას და იმასაც, რომ ახალ პირობებშიც ისინი საოცრად დიდ ენერგიას ახარჯავენ არა საერთო ინტერესების კანონიერ დაცვას, ველი ხმა სწორედ მათი მხრიდან გაისმოდა ხოლმე. დიქტატის წინააღმდეგ მათი ამბოხი ხშირად ნარმატებითა და საძულველი მარწუხების მტვრევით დამთავრებულა, მაგრამ მალე ისიც გაირკვა, რომ მიღწეული გამარჯვება ნანატრ სასნაულს ვერანაირად ვერ შობს და ახალი ცხოვრების ბატონ-პატრონები სულაც არ აპირებენ ადრე უხვად გაცემული ტკბილი დაპირებების შესრულებას. აღმოჩნდა, რომ სანუკვარ დემოკრატიას მეცნიერების ცხარე ცრემლების აღარ სჯერა და ოდესღაც აყვავებული

არამედ ერთმანეთთან მეტოქეობასა და ქიშპს. საკვირველია, მაგრამ სოციალური თვალსაზრისით მათ ახალი დემოკრატიების ყველაზე ბუნწულა, უხიფათო და მშვიდობიანი ფენა შეადგინეს – ამიტომაც რეფორმისტულ საზოგადოებაში მგლური კანონების გაბატონებისთანავე (ეს კი, სამწუხაროდ, ძალიან სწრაფად მოხდა) სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე და საკუთარი პიროვნული მარიფათის ამარა დარჩნენ. სხვა საქმე იყო ტოტალიტარიზმი – აქ პროტესტის პირინსტიტუტებისა და მოფუსფუსე ლაბორატორიების უმრავლესობა საბაზრო პირობებში პირდაპირ თუ არ უქმდება, სრულ ფინანსურ კრახსა და დეგრადირებას განიცდის მაინც. ეს ბუნებრივიც არის – სამოქალაქო დაპირისპირებით გასავათებულ ქვეყნებში სამეცნიერო პერსონალებს ხომ სწრაფი და დიდი მოგების მოტანა არც საკუთარი თავისთვის და არც ახალი ბატონებისთვის არ ძალუძთ. შემდეგ კი... უპატრონოდ დარჩენილი ცოდნის მომპოვებლები – მსო-

ფლიოს მდიდარ მხარეებში სასწრაფოდ გადახვეწილი ცალკეული და უთუოდ ნიჭიერი პიროვნებების გარდა – ხან შიმშილით იხოცებიან, ხან თავის რჩენას საკუთარი ბიბლიოთეკებიდან ოდესღაც ძვირფასი ნიგნების ჩალის ფასად გაყიდვით ახერხებენ, ხანაც, ბედმა თუ გაუღიმათ, ახალი და ძველი კაპიტალისტების სამსახურში ჩადგომით გადიან ფონს. ამასთან, ისინი, ახალ ნათელ მომავალთან ადაპტაციის იმედით, კვლავაც უდრტვინველად იტანენ ყოველგვარ ტყუილსა და დამცირებას.

შემჩნეულია, რომ ცოდნის მომპოვებელთა ინტელექტუალურ ფუქსავატმას ჯერ კომფორტული ინერტულობა, შემდეგ კი საკუთარი ნების უცილობელი დათრგუნვაც მოსდევს. ეს სენი მთელ მსოფლიოშია მოდებული და მისი გამომწვევი ვირუსი არ ცნობს არც გეოგრაფიულ, არც ისტორიულ საზღვრებს – უბრალოდ, ამ დაავადების სიმპტომები უფრო აშკარად სწორედ დემოკრატიის გზაზე შემდგარ ახალგედა საზოგადოებებში ვლინდება. ქართველი ინტელიგენტი, რუსი интеллигент, ჩინელი ჯიში ფენძი (მცოდნე ელემენტი), თქვენ წარმოიდგინეთ, არცთუ იშვიათად ამერიკელი და ევროპიელი intellectual-ებიც კი (რასაკვირველია, განუზომლად უკეთეს მატერიალურ გარემოში), საბოლოო ჯამში, თვითონ იძლევიან საფუძველს საკუთარი დაჩაგვრისთვის, რადგან ძალზე ადვილად ურიგდებიან პრესტიჟის შელახვას, მეორეხარისხოვნებას და, რაც მთავარია, ხელისუფალთა მიერ კულტურული წესით მოწონებული უხერხემლო ოფიციალური მესვეურების საკუთარ თავზე მოხვევას – თურმე ამ ამპარტავანი ადამიანების სათანადო წესით შერჩევა და შენახვა დემოკრატიული დეკორუმით შემკულ საზოგადოებებში რაღაც საკრალური რიტუალის მაგვარი რამ ყოფილა. მეცნიერების ფარისეველ მესვეურთა, როგორც წესი, ჩირადაც არ ულირთ ნაკლებად წარმატებული კოლეგების – ანუ დამარცხებული კონკურენტების – ბედი. ისინი აგრესიული სიამაყით აღნიშნავენ თავიანთ პოლიტიკურ უბინოებას, ყოველთვის მხარში უდგანან ნებისმიერ, ყველაზე უვარგის ხელისუფლებასაც კი, და, ამა ქვეყნის ძლიერთა განაწყენების შიშით, მათი მხრიდან თითის დაქნევის გარეშეც ყოველგვარ ნასუფრალზე თანხმდებიან. საერთო ამინდს ვერც ყველასთვის ცნობილი და ბრწყინვალე გამონაკლისების არსებობა ცვლის – ჯორდანო ბრუნოსა და კოპერნიკის ეპოქიდან მოყოლებული, ცოდნის მომპოვებელთა მხრიდან გმირული საქციელის ცალკეული მაგალითები, სამწუხაროდ, მხოლოდ ადასტურებს ზემოთ მოყვანილი ზოგადი წესის ძლევამოსილებას. ერთიცაა: თუ დიდ ქვეყნებს – ამერიკას, რუსეთს, ჩინეთს – დროთა განმავლობაში ძალუძთ საკუთარი რესურსების მობილიზაციით მეცნიერების როლისა და პრესტიჟის აღდგენა და ეროვნული მეცნიერული სკოლებისთვის ძველი დიდების დაბრუნება, პატარა და ღატაკი ქვეყნების ხვედრი ამ მხრივ გაცილებით უფრო სავალალოა – ის საყოველთაო გლობალიზაციის ოკეანეში უპირობო ჩაძირვის პერსპექტივას უკაკშირდება. ასეთი ქვეყნების მართვაში ნაციონალისტური ლოზუნგებით მოსული ახალი ელიტების გაუაზრებელი ამბიციების უკიდეგანობამ, შესაძლოა, დროებით მოსახლეობის ფართო მასაც და საზოგადოების წამყვანი ძალაც ერთნაირად აღაფრთოვანოს, მაგრამ ობიექტურ რეალობას მოწყვეტილი განზრახვების პრაქტიკული განხორციელება, როგორც წესი, ძალიან მალე გადაულახავ დაბრკოლებებს აწყდება და, უკეთეს შემთხვევაში, ამა სამყაროს ძლიერ მოთამაშეთა პოლიტიკურ გეგმებში თანამონაწილეობასა და თანმდევ ძვირად ღირებულ მილიტარიზაციას ვერ სცილდება.

ამასობაში კი ცოდნის მომპოვებელი ადამიანების ოდესღაც პატივცემული კოპორტაც ბერდება, უღიმღამოდ ტოვებს ასპარეზს და ეროვნული მეცნიერება, როგორც პატარა ქვეყნის ერთ დროს გამორჩეული დარგი, ნელ-ნელა თავისით ქრება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აბა, განა გასაკვირია, შორეული თბილი კაბინეტების ქედაღალი მფლობელების ნებითა და კარნახით, მათი დახვეწილი რეფერენტების მიერ სანდომიანად მოციმციმე კომპიუტერებზე პატარა ქვეყნებისთვის აწყობილი სუსხიანი სამერმისო სცენარები ამ ქვეყნების ზედმეტად კრიტიკულად განწყობილ მოქალაქეთ მაინცდამაინც რომ არ ეხატებოდეთ გულზე?

●

– ...მიხარია, რომ დავალებას თავს შეასანშნავად არამევე და თქვენი დაახლოების პროცესი ისე სწრაფად მიექანება, რომ უკვე კიოშიც კი დაგპატიჟა.

– მაშ. თანაც „რუსთაველში," რაღაც ახალ ბლოკბასტერზე. წავყვე?

– თავისთავად ცხადია.

– მართალი გითხრა, არ მინდა. რაღაც ზედმეტები არ იფიქროს.. გუშინ ისეთი ქათინაურებით ამავსო, რომ... ძალიან ვზროსლია, რა!

– ვიცი, მაგრამ... ქალმა კაცი თავის ჭკუაზე უნდა ატაროს. თანაც, ჯერ საქმე და საქმე და მერე სხვა დანარჩენიო. ხომ იცი, ასეთია „მორჩას" კანონი, ჩე!

– მე ნებაყოფლობით ვემორჩილები ამ კანონს. თანაგუნდელებიც ამიტომ ვართ. უბრალოდ, არ მინდა უბანში სახელი გამიტყდეს, ჩე!

– ყველაფერი მესმის, მაგრამ ამჯერად კობასთან მეგობრობის გაგრძელებას მთელი „მორჩას" სახელით გთხოვ. საქმის ინტერესებში ოდნავ თუ გაეკეკლუცები, ამით რა დაშავდება? ზღვარს ნუ გადაალახინებ და, უბნის ბიჭბუჭებს რაც შეეხება, დარდი არ გქონდეს, ერთ უბანს რამენაირად გავაკონტროლებთ. ამხელა ქვეყანა ჩვენ ჭკუაზე დადის და თბილისის ერთი პატარა უბანი რა გახდა, ჩე!

– რაც შეეხება მთელ ქვეყანას... ბევრ ადამიანთან მიწევს შეხვედრა და ვატყობ, რომ ხალხში თანდათან უკმაყოფილება გროვდება. ამაზე თუ გიფიქრია?

– როგორ არ მიფიქრია. ვარდების რევოლუციით გაღვივებული კოცონი ჯერაც ტკიცინებს, მაგრამ – შენ აბსოლუტურად მართალი ხარ – სახალხო ნდობის მოპოვება გაცილებით იოლი ყოფილა, ვიდრე მისი შენარჩუნება. ამიტომ, პირველ რიგში, ისევ ჩვენი რიგების გაძლიერებაზე უნდა ვიზრუნოთ, წინ უამრავი საქმეა და მხარ-თეძოზე არხეინად წამონოლას ისტორია არ გვაპატიებს. სიტყვამ მოიტანა და ბარემ, როგორც „მორჩას" ნაცად აქტივისტსა და ჩემი ნდობით აღჭურვილ პირს, ერთ საიდუმლოს გაგანდობ: „მორჩა" დიდი წმენდისთვის ემზადება. ორგანიზაციის გაძლიერების მიზნით ჩვენს რიგებში მალე სერიოზული გამოჯვნა დაინყება – რევოლუციის იდეალებისადმი თავდადებულებსა და ჩვენს მოძრაობასთან მიტმასნილებს შორის. სხვანაირად კონკურენტებს – თუნდაც კმარელებს – ვერ ვაჯობებთ, ჩე!

– შენ კი ამბობ საიდუმლოებაო, მაგრამ ასეთმა ინფორმაციამ უკვე გაჟონა. ჩვენი პირველადი ჯგუფის წევრებმა, გესმის, ამ ლიფსიტებმა, ისიც კი მახარეს, რიგგარეშე ყრილობამდე მივა საქმეო. ისე მეწყინა, რომ აღარც კი ჩავეკითხე: ვინ, საიდან, როგორ? მართალი გითხრა, ეგ ყველაფერი მაინც ჭორი მგონია.

– აი, კიდევ ერთი ნაღდი საბუთი იმისა, რომ შინაგანმა მტერმა ჩვენ რიგებშიც შემოაღწია. ამ ინფორმაციას არ უნდა გაეჟონა, მაგრამ, ხომ ხედავ, ვიღაცამ დამასწრო. სამწუხაროდ, ჭორი კი არა, სიმართლეა. რევოლუციის შემდეგ რაც მეტი დრო გადის, „მორჩაში" გამოჯვნა თავისით, ბუნებრივად ხდება, მაგრამ ეს პროცესი თუ თვითდინებაზე მივუშვით და სიტუაცია მუდმივად არ ვაკონტროლეთ, ვითარება შეიძლება ცუდად აიმღვრეს. ამღვრეულ წყალში კი, კარგად იცი, ვინც ხარობს – ისინი, ვისაც გარდაქმნების დამუხრუჭება სურთ. მერე ერთხელაც იქნება, ხალხი იფეთქებს და... დანარჩენი ცნობილია: ხალხის რისხვა აბობოქრებულ მდინარეს ემსგავსება, მტკუან-მართლის გარჩევა არ იცის და ბევრი იმათგანი, ვინც დღეს თვალებში შემოგვციცინებს და ძმობას გვეფიცება,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თავის გადარჩენას ამ დინების ძირძველი მორჩელებისკენ მიბრუნებით შეეცდება. ეს თუ გაუვიდათ, ესე იგი, დაგვიმსახურებია. ერთი მითხარი: ეგ ლიფსიტები სიგარეტს ხომ არ ეწევიან?

– არა, ჩემი თანდასწრებით წესდების ასე უტიფრად დარღვევას როგორ გაბედავდნენ. მონევენ და კაი ჩიტსაც დაიჭერენ, ჩე!

– კარგია, რომ ვერ ბედავენ... რას ვამბობდი?

– გამიჯავნაზე და წმენდაზე მიყვებოდი.

– ჰო-ო... ამ ერთმა წელმა ისიც დაგვანახა, რომ „მორჩას“ ზოგიერთი უღირსი წევრი რევოლუციურ მუხტს მხოლოდ ძველი კორუფციონერების ახალი კორუფციონერებით ჩანაცვლებისთვის იყენებს. იდეურად ისინი ხალხის გადაღლას იხვევენ ხელზე და ფსევდოჰუმანიზმის ლოზუნგებს ებღაუჭებიან, სინამდვილეში კი მათ ქვენა გრძნობები ამოძრავებთ და დაშანტაჟებული კორუფციონერების მაყუთით საკუთარი ბიზნესების ანყობა სურთ. ეს უკვე გამოჩნდა და ხალხის მხრიდან ჩვენდამი გაღიზიანების საფუძველიც გახდა. მაგრამ, ბრმები ხომ არა ვართ, მეტისმეტია რა! „მორჩას“ ძირითადი, ჯანსაღი ნანილი ამგვარ მაიმუნობაზე და თანმდევ გაუმართლებელ კომპრომისებზე ვერ წავა. არადა, არ იცი, ვის ავტორიტეტს ეფარებიან ჩვენი ოპონენტები? ძალიან კონფიდენციალურად გაგიმხელ, რომ ძირითადად ბარაბაძეს და მის ძვირფას კნეინა ბრაჭულს ეყრდნობიან.

– ბარაბაძეს და ბრაჭულს? ამას კი ნამდვილად არ ვიფიქრებდი. მაგრამ ბარაბაძე... ეგ ხომ ერთ-ერთი გმირთაგანია, ჩვენი მოძრაობის აღიარებული სინდისი. ასეთი კარგები ვიყავით, ასე გვიყვარდა ერთმანეთი და რა გვეძართება? იქნებ, ყველაფერი მშვიდობიანად დალაგდეს, ჰა? უამრავი სიბინძურე ამოტიტვიდება. შენთვის არ მომიყოლია, მაგრამ წინა კვირას მეც მომიგზავნეს ორი გოგო რეზერვიდან: რაღაც-რაღაცები არ მოგვწონსო, კითხვები გვებადებაო, ქვეყნის განვითარების გზებზე პოლემიკის გამართვა გვინდაო, ესაო, ისაო და გვერდზე დაგვიდექიო. მაშინ შორს კი დავიჭირე, არც კი ვუთხარი, არც არა – ისე გავისტუმრე, მაგრამ, თუ მაიძულეს... ყველა ჩვენ მებრძოლს თანაბრად ვცემ პატივს, ბარაბაძესაც, რა თქმა უნდა. ბრაჭული კი არის მისი ბოროტი გენია, მაგრამ დავიჯერო, მართლა ღალატის გზას დაადგა და „მორჩაში“ განხეთქილება გველის? ასე იოლად ამას ვერ ვირწმუნებ. ნუთუ არა ვარ მართალი, ჩე?

– ზოგადად მართალი კი ხარ, მაგრამ იცოდე: მალე ამ პოლემიკაში შენც ჩაგითრევენ, მეც და მოძრაობის ყველა რიგით წევრსაც. ასეთია რევოლუციურ მოვლენათა განვითარების ლოგიკა. დანტონიც დიდი რევოლუციონერი იყო, მაგრამ მშვიდი ცხოვრება მოინდომა და მის კისერს გილიოტინა ვერ ასცდა. საერთოდ რევოლუციები... ჰიუგოს „93 წელი“ გადაიკითხე, ჩემო ნატა, იქ ყველაფერი კარგადაა აღწერილი. ზოგჯერ წიგნიც საჭიროა, აბა, მარტო ინტერნეტი ჩემ მტერს.

– კი მაგრამ, სად ჩვენი ბარაბაძე და სად დანტონი?

– ისტორია ზოგჯერ მეორდება. ჯობს ახლავე გაგაფრთხილო, რომ ბუნკერში ვერ დაიმალები და ადრე თუ გვიან სწორი პოზიციის დაკავება მაინც მოგიწევს, მაგრამ ამაზე ლაპარაკს ჩვენ კიდევ მოვასწრებთ. იმედი ვიქონიოთ, რომ „მორჩას“ ჯანსაღი ორგანიზმი თავის პრობლემებს როგორმე თავად გაუმკლავდება. ახლა კი ისევ ჩვენ საქმეს დავუბრუნდეთ, ჩვენს ძვირფას კობას, მეცნიერებისა და კულტურის დიდ მოღვაწესა და მოამაგეს. სრულიად კონკრეტულ დავალებას გისახავ და კობას კეთილგანწყობას აწი განსაკუთრებით უნდა გაუფრთხილდე. ნეტავი, კინოშიც ხშირად დაგპატიჟოს და თეატრშიც... ჩვენთვის დანამდვილებით გახდა ცნობილი, რომ ეგ და მისი ძმაკაცები ბარაბაძეზეც კი გასულან, ვითომ შემთხვევით, საერთო სუფრაზე შეხვედრიან ერთმანეთს. შენთვის კობას ამის შესახებ ხომ არაფერი უთქვამს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– არა, პოლიტიკაზე ლაპარაკს ჯერ-ჯერობით ერიდება... თუკი ასეა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ყურადღებით გისმენ.

– მაშ, საკუთარი ოპოზიციური გაზეთი მინდაო, არა?.. მამა უცხონდა. რაო, მამიკოს მაყუთით ვერ ვქაჩავო?

– ვერაო, მარტოს გაქაჩვა ფინანსურად გამიჭირდებაო. ისე, ზოგჯერ მეცოდება: აღარც ცოლი, აღარც სანუკვარი გაზეთი და დარჩენილია ასე, ტეკილას ამარა.

– არა, გენაცვალე, მთლად ასე არ ყოფილა საქმე. შენთვის ჯერ არ გაუმხელია, მაგრამ იცოდე: იმ ცოდნის თუ რაღაცა პარტიის საქმეც ჩალიჩდება და თანასპონსორებსაც პოულობენ. ამის შესახებ, სხვათა შორის, ბარაბაძის გარემოცვიდან შევიტყვეთ. იმ საერთო სუფრის მეორე თუ მესამე დღეს ბრაჭულის ერთ გოშიას ჯგუფში უტრაბახია, საქმე გაიმაზა და მერყევი ინტელიგენცია ჩვენკენ უნდა გადმოვიბიროთო, მაგათი დედა... თურმე, ნუ იტყვი და, კობას და მის ძმაკაცებს უკვე ხელმონერებიც შეუგროვებიათ, დამფუძნებელი კრებაც მოუწვევიათ და წინა კვირას განაცხადიც კი გაუშინშალებიათ იუსტიციის სამინისტროში, უბრალოდ, ჯერ გახმაურებას ერიდებიან. ახლა, იუსტიცია რას იზამს, ჯერ არ ვიცი. პრეზიდენტის კურსს ოფიციალურად არ უპირისპირდებიან, ხმამაღალ ოპოზიციურ განცხადებებს არ აკეთებენ და, კანონის მოთხოვნები ფორმალურად დაცული თუ აქვთ, ალბათ, გაატარებენ კიდეც რეგისტრაციაში. დაინყებენ მერე ამ ჩვენი მერყევი ინტელიგენციის ტვინის არევას, ხალხის ნერვებზე თამაშს, ათას პრობლემას შეგიქმნიან... როგორც ჩანს, ჯერ ბოლომდე მაინც ვერ გენდობა. ჩემი კონკრეტული დავალება კი ისაა, რომ კობას რეკომენდაციით შენ მაგ პარტიაში რაც შეიძლება მალე უნდა შეძვრე და სასწრაფოდ მისი აღიარებული აქტივისტი გახდე, მის ცენტრალურ ბირთვშიც კი უნდა მოახერხო შეღწევა. „მორჩაში“ პარალელური წევრობა, ცხადია, არ შეგიჩერდება, ხელმძღვანელობასთან ყველაფერი შეთანხმებულია. ხელფასს ორჯერ გაგიზრდით, იქაც თუ რამეს გამოჭკარი ხელი – შენია. მიზანი კი ასეთია: ეგ ჩემი ცოდვით სავსე ცოდნის პარტია, როგორც ეროვნული ინტელიგენციის გამაერთიანებელი დამოუკიდებელი ორგანიზმი, ვერ უნდა შედგეს, იდეურად უნდა გამოიშიგნოს და ამაში შენ დაგვეხმარები. იქ ვინმე რომც დაინტერესდეს შენი ბიოგრაფიით და, ვთქვათ, მორჩელობა წამოგაძახოს, არ დაიბნე. მშვიდად აუხსენი ყველას: „მორჩაში“ ასაკმა და სამართლიანობის გრძნობამ მიმიყვანა – რაც სრული სიმართლეა; ქვეყანაში გამეფებული კორუფცია და ხალხის, პირველ რიგში, განათლებული ადამიანების მიმართ ხელისუფალთა უსულგულობა ვერ ავიტანე და „მორჩასთან“ ერთად ძირგამომპალი რეჟიმის დამხობაში მონაწილეობა პატიოსნად მივიღე, მაგრამ პოსტრევოლუციურ პერიოდში რაღაც-რაღაცების, მაგალითად, ტელედაპატიმრებების და სახელმწიფო რეკეტის გამო, რევოლუციაზე გული ამიცრუვდა და ბოროტებასთან ბრძოლა თქვენთან ერთად გადავწყვიტე-თქო. რა იქნება ამაში უცნაური? აბა, ფარ-ხმალს ხომ არ დაყრიდი? იმედია, ამ ლეგენდას აუცილებელი დეტალებით თვითონაც კარგად შეამკობ და შეალამაზებ.

– მაგდენს კი მოვახერხებ... კიდევ რამე თუ იცი ამ ახალი პარტიის შესახებ?

– ძალიან ცოტა. მეტის გაგებას შენგან ვაპირებ. ახლა, რაც შეეხება სპონსორებს. ეჭვი ბევრის მიმართ გაგვიჩნდა, ერთის ვინაობა კი ჩვენთვის დანამდვილებით გახდა ცნობილი. მის ძმაკაცებს შორის აღმოვაჩინეთ ვინმე „ვეშაპა“ – ვერნი თუშმალიშვილი. სკოლის მერხიდან ერთად მოდიან, სამოქალაქო ომის დროს კი ამ ვერნიმ იყოჩაღა და დროზე მოხია საქართველოდან. კობას შენთან მისი სახელი ხომ არ უხსენებია?

– არა, არა მგონია, დავიმახსოვრებდი. თუმცა თავად თუშმალიშვილის შესახებ გაზეთებში წამიკითხავს. ძალიან მდიდარი კაცი ყოფილა.

– დიახ, ჩემო ბატონო, ასეა. ამ ვერნის – ეგ სახელი ჟიულ ვერნიდან მოდის თუ რუსეთის ერთგულებიდან, ჯერ არ ვიცი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს – რაღაც ბიზნესები ჰქონია რუსეთში, ფულიც ბლომად დაუგროვებია და ახლა საქართველოში მოინდომა დაბრუნება. ნამდვილი მილიონერია, ჩვენ ოლიგარქებს თუ ჩამორჩება – დიდად არა. აქ დამკვიდრებას ეგ ვერნი, ცხადია, ტრადიციული ხერხებით და მთავრობასთან მოლაპარაკებით უფრო ადვილად მოახერხებდა, მაგრამ, ყველაფერ უბედურებასთან ერთად, ზედმეტად ამბიციური კაცი გამომდგარა. თავიდან, მართალია, კი უცდია ხელისუფლებასთან გარიგება, მაგრამ თავი საკმარისად არ თუ ვერ გამოიდო და რაღაცაზე ვერ შეთანხმებულან. მერე საერთო რიგში ჩადგომა უთაკილია და თანდათანობით საკუთარი დასაყრდენის მოპოვებაზე დაუწყია ფიქრი. ახლა, ასე ცალსახად კი არ არის ყველაფერი, იმ კაცს არჩევანი დღესაც აქვს... ჰოდა, მისული მასთან შენი კობა, ჯერ სკოლის მერხი და სტუდენტობის წლები შეუხსენებია, მერე კი უთქვამს: ოპოზიციურ გუნდში მებრძოლი ხალხი შევგროვდით და პოსტრევოლუციური ეტაპის ყველა უმსგავსობაზე თვალის დახუჭვას და ჩუმად გაჩერებას აღარ ვაპირებთო. დაურწმუნებია – ოპოზიციის ნიშა თავისუფალია, ხალხი უმუშევარია, დაჩაგრულ და ყველასგან მოტყუებულ ქართულ ინტელიგენციას ჩვენს იქით გზა აღარ რჩება, მომავალ არჩევნებში აუცილებლად მხარს დაგვიჭერს, ხვალინდელ დღეზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, მაგრამ აქტიური მოქმედებისთვის ფული გვაკლია და, იქნებ, სიკეთე ქნა და ხელი გამოგვიმართოო. ახლა, ვერნის წინა პლანზე მაინცადამაინც გამოჩენა არ სურს, რა იცის, საქმე როგორ დატრიალდება, მაგრამ დახმარებას მაინც შეპირებია: ჩვენი მონაცემებით ძველი ძმაკაცის ხათრით ასი ათას დოლარამდე ჩამოვა – ეს თანხა შემოწირულობის სახით რეგისტრაციის შემდეგ ეგრევე გადაირიცხება პარტიის ფონდში. ვეშაპასთვის ეგ კაპიკებია, კობა და მისი ამფსონები კი ამ ფულით გაზეთის გამოცემასაც შეძლებენ და ამოძრავებასაც. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ, ჩე!

●

– ფილმი მოგეწონა? ძალიან პრიმიტიული იყო, არა? მოგვიტანეთ, თუ შეიძლება, ორი კაპუჩინო და ერთიც ტეკილა, გოლდი.

– გეთანხმები, მარტივი სურათია, თუმცა მაგარი გადაღებული. ამერიკულია, რა! მეტი, მადლობის გარდა, რა გითხრა: თვითონ ადამიანი-ობობა მეტად შთამბეჭდავია, ის საცეცებიანი მანიაკი პროფესორი კი ისეთი შემზარავია, შეიძლება ამაღამ დამესიზმროს კიდეც... ოღონდ ამ დოლბი-სტერეოს ვერაფრით შევეჩვიე, ძალიან ხმაურიანია, ყურთასმენა ნაიღო. განსაკუთრებით სპეცეფექტების დროს მიშლიდა ნერვებს. ისე, ზედგამოჭრილი სათინეიჯერო ფილმია.

– ჰოდა, ძალიანაც კარგი. დღეს ქვეყანა ისედაც თინეიჯერების ხელშია. შენ რა გენაღვლება, ნორრი ხარ, მე კი ასეთი ფილმების ნახვა იმუნიტეტსაც მიძლიერებს და საკუთარი ძალების რწმენასაც, ამის სცენარისტზე ნაკლების დედაც ვატირე-თქო. ეგ რაა, სინამდვილეში, ჩემი აზრით, არც ერთი ბლოკბასტერი მხატვრული დონით კარგი თეატრის საშუალო წარმოდგენასთანაც კი ვერ მოდის. ვერც ჭკვიანურ წიგნთან, სხვათა შორის.

– ჰა-ჰა... კობა, არ გეწყინოს და, ჩემი თაობა წიგნს იშვიათი გამონაკლისის სახით თუ კითხულობს, ძვირიცაა და მოსაწყენიც. ჩვენი კერპები ეკრანის ვარსკვლავებია. შენი სათაყვანებელი ლიტერატურა კი დღეს მაგარი ჩაშვებული საქმეა. აბა, დაუკვირდი, გადახედე ამ კაფეს: ზევით, კიბეს რომ აუყვები, წიგნების მაღაზიაა, მაგრამ განა იქ წიგნის საყიდლად ვინმე ადის? ათასში ერთხელ. ეზარებათ მაღლა ასვლა, დასკუპდებიან ჩვენსავით მაგიდასთან, ყავას შეუკვეთავენ და მიდი-მოვდიეარ – საათობით ჭორაობენ, რა! ხოლო, სასწაული თუ მოხდა და შემთხვევით მაღაზიამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ააღწიეს, იქ რას იყიდიან – მორიგ ჰარი პოტერს? შენ რომ საკუთარ გაზეთს ნატრულობ – აი მაგაში ნამდვილად მართალი ხარ. გაზეთი ყოველდღე იყიდება, საქონელია, მოგება მოაქვს. ამ ბიზნესის არსი მეც კი მესმის.

– ბიზნესმენი არა ვარ, ჩემო ნატა, მაგრამ არც მთლად მასეა საქმე. პრესის მოთოკვა და მოხრჩობა ჩვენ რეალობაში ადვილია, ხარისხიანი გაზეთის გამოშვება კი ძნელი. ჰარი პოტერმა კი დამწერსაც და გამომცემელსაც იმდენი მწვანე მოუტანა, მე და შენ მაგდენი არც მოგველანდება. რაც შეეხება წარმატებას... მეც მჯერა, რომ ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, მდიდარი გამომცემლის ჩადებულმა ფულმა და რეკლამამ გაჭრა და დიდი ვერაფერი საბავშვო ნაწარმოებია, ჩემი აზრით, სულ იაფფასიან ტრიკებზე აგებული მდარე კიჩია, მაგრამ საყოველთაო გამოჩლუნგების ამ იდიოტური ეპოქის მოთხოვნილებას ეგ უფრო აკმაყოფილებს. ვალიარებ, ტრადიციული კარლსონი, ჯანი როდარის ჯელსომინო ან, თუნდაც, ძალიან რუსული ნეზნაიკა მაგ პოტერს ათასჯერ ჯობია. გაცილებით სუფთაა. განდიდების მანიით შეპყრობილი არ გეგონო, მაგრამ ამ საკითხში თავს საკმაოდ კომპეტენტურად მივიჩნევ და ამის საფუძველიც გამაჩნია. მგონი მითქვამს, რომ ერთხელ ზღაპრების კონკურსში გავიმარჯვე: პრემიაც მომანიჭეს და ფულიც მომცეს-მეთქი?

– ჰო, მახსენდება... მგონი, მაშინ სწორედ აქ მოგადექი, ზუსტად აი ამ მაგიდასთან...

– დიახ, დიახ. უცებ ვერ გიცანი, მერე კი ნიგვზიანზე ძლივს დაგიყოლიე. ჯერ მაგარ უარზე იდექი, მერე კი მოგეწონა. კაი გამახსენდა, ახლაც შეგიკვეთავ... ქალბატონო, ამ ყავას ერთი ნიგვზიანიც მოაყოლეთ, რა... მაგ კონკურსის ამბავს უფრო დეტალურად მოგიყვები. ახალი საუკუნე მოდიოდა თუ სხვა რამ იყო მიზეზი, მაგრამ მაშინ, ორი ათასის შემოდგომაზე, საქართველოს გაეროს ბავშვთა ფონდმა გამოაცხადა თემატური ლიტერატურული კონკურსი, რომელიც ბავშვთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციის მხატვრულად ასახვას ეძღვნებოდა. აი, მაშინ გავბედე, ყავა მოვიმარაგე, კომპიუტერთან ღამისთევით დავჯექი, სპეციალურად კონკურსისთვის დავწერე ზღაპარი – „გოჭი სილოვანი კატების ქვეყანაში," – და ყველა წესის დაცვით გავიტანე სამსჯავროზე. ახლა ვისაც ახსოვს, მაგრამ საკონკურსო ორომტრიალი კარგა ხანს გაგრძელდა და გარკვეულ წრეში დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია, რადგან გაერო კარგ ფულს ჩამოდიოდა. წარმოიდგინე: შეჯიბრებაში მონაწილე ოთხმოცზე მეტი პრეტენდენტიდან სხვადასხვა ნომინაციის პრემია მხოლოდ ექვსს გვერგო. უსამართლობაც ბევრი იყო, უკმაყოფილებაც, ბოლო წუთამდე მაგრად გვაწვალეს, კონკურსები ეგრეა... არ დაგიფარავ, გამიხარდა, ცხადია... სხვათა შორის, ისე მოხდა, რომ იმ „გოჭ სილოვანში" ვარდების რევოლუცია მთელი ორი წლით ადრე ვინინასწარმეტყველე. არადა, როდესაც ვწერდი, ამის არც მიზანი მქონია, არც სურვილი, აბსოლუტურად თავისთავად გამომივიდა, რაც, ჩემი აზრით, უფრო დასაფასებელიც კია. მაშინ, ორი ათასში, გამოუსწორებელი ოპტიმისტების და გაღატაკებული მარგინალების გარდა რევოლუციაზე ვინ იოცნებებდა? სიღარიბე სირცხვილად ითვლებოდა, ვისაც შნო ჰქონდა, ფულის გაკეთებაზე ეჭირა თვალი, ოღონდ ნებისმიერი ხერხით ფარა გეშოვა და კაცი იყავი. რა რევოლუცია, რის რევოლუცია! შევარდნაძე ბაყბაყდევივით უძლეველი ჩანდა და ყველას სჭირდებოდა, გარეგნულად მთავრობა ერთ გუნდად იყო შეკრული და – გეხსომება – მოქალაქეთა კავშირი ერქვა, ეს რევოლუციონერები სწორედ მის წიაღში წამოიჩიტნენ... მისმინე, ნუთუ ცხრიანში გარტყმა, თუნდაც უნებურად, ავტორისთვის საამაყო არ უნდა იყოს?

– ალბათ. ისე, რას ქვია – ინინასწარმეტყველე?

– რას ქვია და... ერთი სიტყვით, ჩემი ზღაპრის მთავარ გმირს, პატარა გოჭუნას – რასაკვირველია, საწყალი ბავშვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეგორიას – ბოროტი კატების ქვეყანაში – ულვაშეთში – ოჯახიდან გაყიდიან, იქ კი ის თავისი უფლებების მუდმივ შელახვასა და კორუმპირებული კატების უკუღმართ ხელისუფლებას შეებრძოლება. ამ ბრძოლაში თანდათან უბრალო კნუტების მხარდაჭერას მოიპოვებს, რევოლუციას მოაწყობს და ბოლოს ულვაშეთის პრეზიდენტი გახდება. მოკლედ, ძალიან პოლიტიზირებული ზღაპარია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთ ცნობილ ლიტერატურულ მეტრს, მეტად პატიოსან და პრინციპულ პიროვნებას, რომელიც ამასთან ჟიურის თავმჯდომარეც იყო, სწორედ ეგ მოსწონებია და, როგორც მერე მითხრეს, ნანარმოები ბოლომდე კბილებით გაუტანია. ისე, შესანიშნავადაა გამოცემული. ამდენ მოყოლას ჯობს, როგორმე თავს ძალა დაატანო და წაიკითხო. მართალია, ერთადერთი ეგზემპლარიღა შემომრჩა, მაგრამ გათხოვებ და, თუ არ დახევ და არ დაიზარებ...

– კი მაგრამ, რატომ აქამდე არაფერი გამიგია ამ შენი ზღაპრის შესახებ?

– იმიტომ, რომ ეს კომერციული პროექტი არ იყო. გამოცემა გაეიოს ბავშვთა ფონდის კუთვნილებაა და ქსელში არ გასულა, გაზეთებმა კი ერთხელ რაღაც დაწერეს, ვალი მოიხადეს და მორჩა. ჩემი კუთვნილი ეგზემპლარები, კარგა ხანია, რაც დავარიგე და გავაჩუქე, ამით ეს ეპოპეა დასრულებულად ჩავთვალე.

– მერედა რატომ? შენც აგეღო და ახალი ზღაპარი დაგეწერა. მაინცდამაინც კონკურსი უნდა გამოაცხადონ?

– არა, საბავშვო ზღაპრების წერა ჩემი საქმე არ არის. რაც მოგიყევი, ცხოვრების სასიამოვნო ეპიზოდი იყო, მეტი არაფერი. მართალი გითხრა, ყველაზე მეტად პოლიტიკური ჟურნალისტიკა მიტაცებს. აქაურ ქართველებს არ დაგისახელებ, არ მინდა, შურიანად ჩამთვალო, მაგრამ დევიდ ფროსტი, ორიანა ფალაჩი, უოლტერ კრონკაიტი, მელორ სტურუა, პოზნერი – რომ შემეძლოს, მეც მაგათი გზით ვივლიდი. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი დრო უქმად დავკარგე. აბა, ჟურნალისტიკაში ხეირიანი ჯერ არაფერი შემიქმნია, მაინც-დამაინც არც ბედი მწყალობდა, ერთ ადგილს ვტკეპნი, ტოკ-შოუების მონანილის დონეს ვერ ავცდი, ნლები კი რბიან და რბიან მზის დასავალსა... ნუწუნი არ მიყვარს, მაგრამ მამის კომუნისტური ნარსულის გამო ზოგი სახელისუფლებო ტელეთინეიჯერი დღეს ალმაცერად რომ მიყურებს – დადგენილი ფაქტია, ამის დედაც ვატირე! რეალურად პროვინციული პოლიტიკანობა შემომრჩა ხელში.

– მისმინე, კობა... გახსოვს, ამას წინათ რაღაც პარტიის შექმნაზე რომ მიყვებოდი? მეცნიერების, მწერლების და მხატვრების უმრავლესობა ერთი ქოლგის ქვეშ, რაღაც ცოდნის პარტიაში უნდა მოვაქციოთო?

– ნუთუ გიყვებოდი? ეტყობა, მაგარი ნასვამი ვიყავი. ჰო, მახსენდება რაღაც მაგდაგვარი. ჩათვალე, რომ წამომცდა.

– რატომ წამოგცდა? მე ძალიანაც დავინტერესდი შენი... თქვენი გეგმებით. იქნებ, მეც... მეც დაგეხმაროთ. ბევრი არაფერი შემიძლია, მაგრამ სანდო ადამიანები ხომ გჭირდებათ?

– სანდო ადამიანები? რა თქმა უნდა, მაგრამ... უჰ, ცოდვილი, ბოროტი და უსინდისო კი ვარ, მაგრამ არც იმდენად, რომ... პოლიტიკაში როგორ ჩაგრევ, უბინძურესი სფეროა! არა, ამხელა ცოდვას ნამდვილად ვერ ავიკიდებ. პოლიტიკა ჩემთვის მეზარება, უბრალოდ, ნამეტანი შორს შევტოპე და უკან წამოსასვლელი გზა აღარ დამრჩა, თანაც ასაკი შემომეპარა, თორემ... რა დასამალია, მე და ჩემმა მეგობრებმა დიახაც გადავწყვიტეთ მსგავსი პარტიის დაარსება და ამასთან დაკავშირებით რაღაც ვალდებულებაც ვიკისრე, ესაა და ეს. ჩვენ ეროვნული ინტელიგენციის ინტერესთა გამომხატველი სერიოზული პოლიტიკური ძალის შექმნას ვცდილობთ, ამის პერსპექტივა კი, მართალი გითხრა, საკმაოდ ბუნდოვანია. შესაძლოა, ეს იდეა სრული უაზრობა გამოდგეს. ასეთ ზერელე ეპოქაში, აბა, რა უნდა გამოგვივიდეს?

– ვაიმე, თურმე რა პესიმისტი ყოფილხარ! იქნებ, ეგ თქვენი პარტიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობა, პირიქით, შესანიშნავი იდეაა. იქნებ, არც ეს ეპოქაა იმდენად ზერელე და დასაძრახი, შენ რომ მიხატავ. იქნებ, ამ საერთო გაჭირვების ჟამს ჩემს დაქცეულ სამშობლოს თქვენთან ერთად მეც მინდა გამოვადგე! იმედს ნუ გადამიწურავ, რა! აბა, მარტო კუჭის ინტერესებს უნდა გადავყვეთ? არ მინდა, ჩემი ცხოვრება ფუჭი იყოს. კობა, ამ დროის განმავლობაში ცოტა მაინც ხომ გამიცანი, ხომ ხვდები, რომ მე ამ ქვეყნისა ვარ და საზოგადოებრივ საქმეებს არ გავურბივარ.

– ვაჰ, შენ გენაცვალე, ჩემო ნატა, ისე ლამაზად ჭიკჭიკებ, ვითომ ჟანა დარკი ან პასიონარია იყო. სხვათა შორის, გიხდება.

– მომიხდება, აბა რა! რითი ვარ სხვაზე ნაკლები? მცონარე არსებობას არ ვაპირებ. მცონარეს, რომ იცოდე, არც კაცს ვცემ პატივს და არც ქალს. მხარში მინდა ამოგიდგე და ნუთუ ცივი უარით გამისტუმრებ?

– ნუ, თუკი ასეა... თუ საკითხს ასე სვამ... Вопрос ребром, ядрена мать... არა, ასეთი დაუნდობელიც არა ვარ. ცივი უარით ნამდვილად ვერ გაგისტუმრებ.

– შენი ჭირიმე, კობა!.. ხელი ჩამომართვი, რა!

– საოცარია. რა თბილი, ნაზი და იმავდროულად ძლიერი ხელი გქონია!

– ეს იმიტომ, რომ შენ ახლახან ნამდვილი სიხარული მომანიჭე. ვამაყობ შენთან მეგობრობით... ესე იგი, ამიერიდან თანაგუნდელები ვართ!

– რატომ ჩქარობ?

– და რატომ არ უნდა ვიჩქარო? ისედაც... შეიძლება ერთი მიწიერი კითხვა დაგისვა?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ თანაგუნდელები ვართ.

– რაც არ უნდა მაგრები იყოთ, წარმატებული პარტიის შექმნას დიდი ფული სჭირდება. დაგაფინანსებთ ვინმე?

– უჰ, რა მაგარი ტეკილაა... ყოველ შემთხვევაში, არა ვლადიმერ ილიას ძე სოროსი. გამოგიტყდები, რომ ამჟამად რამდენიმე შეძლებულ ბიზნესმენთან ვანარმოებთ მოლაპარაკებას, მათ შორის ჩემს ძმაკაცებთან. რეალური შემოსავალიც არის და რეალური დანაპირებიც, თუმცა სპონსორები, ბუნებრივია, გახმაურებას ერიდებიან – კარგად დაწყებული საქმის გაფუჭება არ სურთ. ჩვენც გვერიდება, ხალხს ზედმეტი სალაპარაკო რატომ უნდა მივცეთ? საწყისი ეტაპი თუ დავძლიეთ, ფული უკვე წვერებიდანაც შემოვა. ისე, საქმეს თუ დასჭირდა, მაყუთს სოროსისგან კი არა, თვით ეშმაკისგანაც ავიღებთ და ამას ეროვნული ინტერესებით გავამართლებთ, პოლიტიკა ეგრეა... ხომ იცი, ნამდვილ ვლადიმერ ილიას ძეს ხან კაიზერი ვილჰელმი აფინანსებდა და ხანაც თაღლითი მენშევიკი პარვუსი. მერედა ამით რა, რუსეთი ვერ ამოატრიალა თუ ძალაუფლება ხელში ვერ ჩაიგდო? კამბოჯის კომუნისტურმა დიქტატურამ თავის ქვეყანაში ფული საერთოდ გააუქმა, მაგრამ ქვეყნის გარეთ ანგარიშებიც ჰქონდა გახსნილი და ჩინურ დაფინანსებასაც კარგად ირგებდა. კაპიტალიზმის მთავარ დამამხობელ კარლ მარქსს კი კაპიტალისტი ძმაკაცი ენგელსი ასპონსორებდა. დიადი ძმობა. თუმცა თქვენი თაობა ამის აზრზე არაა, აღარ გასსავლიან. ახლა უნარ-ჩვევებია მოდაში. ნატა, გაფრთხილებ: არც ერთი პოლიტიკოსის არც ერთ სიტყვას არასოდეს არ დაუჯერო, ჩემს დონეზეც კი, თორემ განბილდები. ჯერ გვიან არ არის... მოდი, სანამ დროა, ყველაფერ ამას შევეშვათ და პოლიტიკის გარეშე ვიმეგობროთ. იცოდე, გუნდური თამაშის წესებს ვეღარ გადაუდგები. სამომავლოდ მაინც დაიტოვე ნორმალური ცხოვრების შანსი. არ ღირს, რა!

– მაშასადამე, ცივით კი არა, ნელთბილი უარით მისტუმრებ, არა?

– უბრალოდ, გიხმობ, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონო.

– მოიცა რა! ძალიან გთხოვ, არ გამაბრაზო და... შენ არ იყავი, ახლახან ხელი მაგრად რომ ჩამომართვი?

– შენი ხელების სითბო... ოჰ, ნატა, ნამდვილად არა მგონია და არც მინდა, შენგან მორიგი „რკინის ლედი“ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდეს. ძლიერი ხელი, მაგრამ ძალიან ნაზი ხელისაგული გაქვს.

– იცოდე, მართლა მეწყინება. ესე იგი, მე შენთვის მორიგი ვარ?

– არა, არა, ამას არ ვგულისხმობდი. უბრალოდ, არ დაგიმალავ და, მტკიცე ხასიათის ქალების ცოტა მეშინია. ჩემი ყოფილი მეუღლე მახსენდება.

– კარგი რა, აბა, ეგ რა შუაშია!.. ჩვენ უკვე შევთანხმდით, გადანვეტილება მიღებულია, სულმოკლეობას კი ვერც საკუთარ თავს ვაპატიებ და, რომ იცოდე, ვერც შენ.

– ჰმ-მ... ნუ, რადგან ასეა... კი, ბატონო, იყოს ისე, როგორც შენ გინდა. მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ საბედისწერო შეცდომას არ უშვებ?

– აღარ გინდა, რა. მორჩა! რუბიკონი... იმ მდინარეს რუბიკონი ერქვა, ხომ? მოკლედ, რუბიკონი გადალახულია. ოღონდ არ მითხრა, პოლიტიკა ქალის საქმე არ არისო. შენ თვითონ მოიტან ათას საპირისპირო მაგალითს ჩვენივე სინამდვილიდან.

– კი, მაგრამ მე ის კი არ მითქვამს, მაინცდამაინც პოლიტიკოსი მანდილოსნები მომწონს-მეთქი.

– ამით რისი თქმა გინდა, კობა?

– იმის, რომ მირჩევნია, მომწონდე, ვიდრე არა. ამის უფლება, იმედია, ჯერ არ დამიკარგავს?

– ჰო-ო... ჯერ, რასაკვირველია, არა.

– ნატა... მისმინე, ნატა. მე, სამწუხაროდ, ახალგაზრდა კაცი აღარა ვარ, უარყოფითი გამოცდილებაც ბლომად დავაგროვე და ოჯახიც შემომენგრა ხელში, აღარ მინდა, რა... ჯანდაბას ჩემი თავი, გიცხადებ, რომ სულ რამდენიმე დღეში, ჰა-ჰა, ერთ კვირაში, პარტიაში უპრობლემოდ გაგაწევრიანებ, ბოლო-ბოლო, რა გახდა! ოღონდ წინასწარ ჩემი მეგობრების შემზადება დამჭირდება, მერე შენი თავიც უნდა გავაცნო, კარგად დაგახასიათო და ასე შემდეგ, ასეთია თამაშის წესები. პირველ ზღუდეს როგორმე ერთად გადავლახავთ, შემდეგ კი უნდა იაქტიურო, იარო, კრებებზე გამოიჩინო თავი, ახალი წევრებიც მოიზიდო, თუნდაც შენი სამეგობროდან და სტუდენტობიდან. ოფიციალურად კი ჩემს თანაშემწედ გაგაფორმებ. თანახმა ხარ?

– გპირდები, რომ არ გიღალატებ.

– ნუ, რა გაეწყობა. მაშინ შენ ერთადერთი და განუმეორებელი თანაშემწე იქნები.

– უმწიკვლო თანაშემწე ყველა საქმეში. რა თბილი და მძიმე ხელი გქონია. გმადლობთ, ჩე.

– ჩე?

– ბოდიში, წამომცდა... გმადლობთ, კობა.

●

კობასა და მისი მეგობრების მიერ საქართველოში ცოდნის პარტიის დაარსების მცდელობა, ერთი შეხედვით, უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ეს ინიციატივა – თავისთავად – არც იმდენად უტოპიურ იდეას ეყრდნობა, იმ ერთი შეხედვით რომ შეიძლება მოგეჩვენოს კაცს.

ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე ქართულმა საზოგადოებამ მეტ-ნაკლებად მოასწრო იმის გაცნობიერება, რომ პოლიტიკურმა გადატრიალებამ – სხვა ყველა სიკეთესთან ერთად – უძლიერესი მენტალური დარტყმა მიაყენა განათლებისა და მეცნიერების ქვეყანაში დამკვიდრებულ ტრადიციულ ფორმებს. მოვლენათა სწრაფმა მსვლელობამ დღის წესრიგში სწავლა-განათლებისა და აკადემიური სისტემების ძირფესვიანად შეცვლა დააყენა, მით უმეტეს, რომ საამისოდ თითქმის ყველა ობიექტური პირობა კარგა ხნის წინათ იყო შემზადებული.

გავიხსენოთ, რომ ნეტარხსენებულ საბჭოთა ხანაში ცხოვრების ინტელექტუალური სფეროების უდავო წარმატებულობა – აზროვნების თავისუფლების გამოკლებით – მათ მიმართ ათეისტური სახელმწიფოს მიერ გაცხადებული დამოკიდებულების, უპირველესად კი ცოდნის მოპოვების უწყვეტი პროცესის სათანადოდ დაფინანსების შედეგი იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ – რაოდენ გაღიზიანებასაც უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწვევდეს მავანში მწარე სიმართლე – ხელისუფლების სათავეში ნაციონალისტური რიტორიკის დახმარებით მოსული, ერთმანეთის მონაცვლე ძალების მოღვაწეობას ეკონომიკის საერთო ნგრევა, მეცნიერებისა და კულტურის სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე დატოვება მოჰყვა: საკმარისია გავიხსენოთ, რომ „დემოკრატიული" ეიფორიის დასაწყისიდან ვიდრე დღემდე მეცნიერებაში დაკავებული ადამიანის საშუალო თვიური ანაზღაურება საარსებო მინიმუმზე გაცილებით დაბალი ციფრით გამოიხატებოდა. წლების განმავლობაში მეცნიერი მუშაკის ხელფასი იმდენად სიმბოლური იყო, რომ ვერ სწვდებოდა სამსახურში მისასვლელად აუცილებელ სატრანსპორტო ხარჯებსაც კი. ეს ის პერიოდია, როდესაც თაღლითურად გამდიდრებული რომელიმე გუშინდელი ვიგინდარა კანარის კუნძულებზე ერთი კვირით დასვენებისას მეტ თანხას ახარჯავდა თავისი მორიგი საყვარლის ხუშტურებს, ვიდრე აკადემიის ათი ინსტიტუტი საკუთარ თანამშრომლებს მთელი წლის განმავლობაში. მაგრამ ძირითადი უბედურება მაინც სხვა იყო. საბჭოთა კავშირმა სული დალია, ხელოვნების ოსტატებმა, მოიშორეს რა იდეოლოგიური მარწუხები, ღვთის მიერ ბოძებული ნიჭისა და მარიფათის ფარგლებში, ასე თუ ისე მაინც მიხედეს საკუთარ თავს (ვინც ვერ მიხედა – დაიღუპა), ლაბორატორიებში მოფუსფუსე ადამიანები კი საერთოდ უპატრონოდ დარჩნენ. მეცნიერების მოწყობის სახელმწიფო სისტემა თითქოს მიცვალებულ საბჭოთა ეპოქაში გაიყინა, ოღონდ ჩვეული დაფინანსების გარეშე, რაც დაახლოებით იგივეა, ვამპირმა ადამიანს ცოცხლად მთელი სისხლი ამოწოვოს, სამადლოდ სისხლძარღვებიღა დაუტოვოს და რიხიანად განუცხადოს: კმაყოფილი უნდა იყო, რომ ეს საზიზღარი, უწმინდური სისხლი გამოგაცალე და აწი ბედნიერად და თავისუფლად შეგიძლია იცხოვროო. – იცხოვრებს? ახალი დროების შინაარსსა და აკადემიური მეცნიერების მართვის ანაქრონიულ ფორმას შორის ეს მკვეთრი წინააღმდეგობა გამოვლინდა – სხვანაირად არც შეიძლებოდა – ერთ დროს აყვავებული სამეცნიერო ცენტრებისა და ინსტიტუტების მიზანმიმართულ ჩაკვლაში, მათი ოდესღაც თავაწეული თანამშრომლების სრულ გაღატაკებაში, ქვეყანაში ჩარჩენილი მეცნიერების აბსოლუტური უმრავლესობის (ვისაც ქვეყნის დატოვება შეეძლო, დროზე უშველა თავს) ფსიქოლოგიურ დათრგუნვასა და მათი კანონიერი ყოფითი მოთხოვნების სრულ უგულებელყოფაში. ეკონომიკურ ცხოვრებაში ფსევდოლიბერალური – სინამდვილეში კი მძარცველური – თამაშის წესების ძალისმიერმა დანერგვამ სულ რამდენიმე წელინადში ხულამდე დასცა ცოდნის გულუბრყვილო მომპოვებელთა საზოგადოებრივი პრესტიჟი, შიმშილის ზღვრამდე მიიყვანა ისინი, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ნაგლეჯის ამ ახლად გაბატონებულ წესებს თან ერთი ეთნოგრაფიული, წმინდა ქართული პარადოქსიც ახლდა: მშობელთა შთაგონებითა თუ წარსული დიდების დაბრუნების ხათრით, ერის მზარდ თაობებში, ჩვენ სისხლსა და ხორცში, უმაღლესი განათლების ფორმალური მიღების სურვილი ისე ძლიერად იყო გამჯდარი, რომ იმ საყოველთაო ნგრევის ხანაშიც კი ქვეყანაში გაიხსნა ათეულობით კერძო უმაღლესი სასწავლებელი. მცირე გამონაკლისის გარდა ასეთი დაწესებულებების აუდიტორიებში მიღებული ცოდნის ხარისხზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, მაგრამ ზემოხსენებული დაუოკებელი სურვილის ჭკვიანური ექსპლუატაციითა და პრიალა ფურცლებზე დაბეჭდილი ნაირ-ნაირი დიპლომების მასობრივი დარიგებით შესაძლებელი აღმოჩნდა გვარიანი ფულის შოვნაც და ცოდნის მომპოვებელთა შედარებით ბედნიერი ნაწილის დასაქმებაც.

როგორ რეაგირებდა ყოველივე ამაზე ცოდნის მომპოვებელთა მთავარი ბურჯის – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის – ოფიციალური ხელმძღვანელობა, ანუ სამეცნიერო სამყაროს ყველაზე აღიარებული და პატივცემული პიროვნე-

ბებიდან შემდგარი მისი ბირთვი – აკადემიის პრეზიდიუმი? იქნებ, მისი წევრები განგაშის ზარების ჩამოკვრას ერომანეთს ასწრებდნენ და ყოფილი საერთოსახალხო ქონების წეწვა-გლეჯვით გართულ ახალ ხელისუფლებს სიფხიზლესა და გონიერებისკენ მოუწოდებდნენ, პირუთვნელად აგრძნობინებდნენ, რომ უსინდისობისა და ცოდვებისთვის ადრე თუ გვიან მათაც მოეკითხებოდათ პასუხი ქვეყნისა და ხალხის წინაშე? ნურას უკაცრავად. აკადემიის პრეზიდიუმი გმირულად ინარჩუნებდა ოლიმპიურ სიმშვიდეს და საკუთარი, შედარებით მწირი შესაძლებლობების ფარგლებში თვითონაც ცდილობდა, რაც შეიძლება უკეთესად მორგებოდა ახალი ცხოვრების ყაჩაღურ წესებს.

აქ გასათვალისწინებელია ის გარეგოება, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გარდა იმისა, რომ იგი ან გარდასული საბჭოთა ეპოქის ულამაზესი მითისა და მკაცრი სინამდვილის ერთობ კონსერვატიული წარმონაქმნის ერთგვარ შეზაზავს წარმოადგენდა, ერთდროულად კომუნისტების მიერ შექმნილი პოლიტიკური სისტემის წარჩინებული მონაც და მისი მუხლმოდრეკილი მძევალიც იყო. ეს სავალალო მდგომარეობა აკადემიას, სამწუხაროდ, იმდენად ჰქონდა შინაგანად გათავისებული, რომ ახალ, ვითომდ გადემოკრატებულ ვითარებაშიც იგი კვლავინდებურად კლასიკური კონფორმიზმის ბუდედ რჩებოდა – როგორც ჩანს, ხელისუფლების მიმართ პირმოთნეობა მას ძველი ეპოქიდან გენეტიკურად გადმოჰყვა. სახელმწიფო ხელშეწყობის შეწყვეტით გამოწვეული უწყვბრივი სიკვდილის პირასაც კი აკადემიის ოფიციალურ მესვეურთა რეაქცია ყოფითი ისტერიკის ფარგლებს არასოდეს გასცილებია – საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, აკადემიის მმართველი ბირთვი – ისევ და ისევ მისი პრეზიდიუმის სახით – საკუთარი წევრების პირადი ინტერესების დაცვის გარდა არაფერზე იწუხებდა თავს და არასოდეს გამოუხატავს ხმამაღალი აღშფოთება მის დაქვემდებარებაში შერჩენილი სამეცნიერო დაწესებულებების თანდათანობითი გაჩანაგების გამო. სამართლიანი პროტესტის გამოხატვას პრეზიდიუმი ისე ერიდებოდა, ვითარც ახალგათხოვილი ქალი პირველი სიყვარულის სხვისგან საჯაროდ შეხსენებას. ვინ იცის, იქნებ, ავტორიტეტული ადამიანების მიერ ხმამაღლა გამოთქმულ უკმაყოფილებას გაყინულ და ჩაბნელებულ ლაბორატორიებში ადრე დაგეგმილი კვლევების მინიმალურ შესაძლო დონეზე შენარჩუნება მოყოლოდა ან, იქნებ, ასეთი მცდელობა სულაც უსარგებლოდ ჩაივლიდა და მხოლოდ მორალურად – არადა, ესეც საქმეა! – გაამხნევებდა მათ გაუბედურებულ ხელქვეითებს, მაგრამ ასეთი ექსპერიმენტი არც კი ჩატარებულა: დარგების რეაბილიტაციაზე და კოლეგების ფიზიკურ გადარჩენაზე კეთილშობელურ ზრუნვას პრეზიდიუმის წევრებმა კორუმპირებულ ხელისუფალთა წინაშე სამარცხვინო დაჩოქება, მლიქნელური დუმილი და საკუთარი მორყეული სავარძლების დროებით გამაგრება ამჯობინეს, ხოლო ერთმანეთში თუ მოსდიოდათ კიდეც რაიმე შეკამათება – საზოგადოებისთვის ეს მაინც უცნობი რჩებოდა. ქვედა აკადემიური რგოლების ყველასგან მიტოვებული და მოტყუებული თანამშრომლებისთვის პრეზიდიუმს – როგორც მეცნიერების მართვის კოლექტიურ ორგანოს – უსინდისო არგუმენტების მთელი დასტა ჰქონდა მომარჯვებული: ესაო და ასეო, სამოქალაქო ომის შედეგებიო, ქვეყანაში ფული გაქრაო, ყველამ ქამრები შემოვიჭიროთო, საერთო გაჭირვება და ეკონომიკური კრიზისიო, აქეთ – რუსეთიო, იქით – ამერიკაო, საქართველოს ასტეროიდი შეეჯახაო, ნიჭიერი კაცი კი გზას თავისიან გაიკვლევსო. ერთი სიტყვით: человеческое, очень человеческое...

რა თქმა უნდა, მთელი ამ წლების განმავლობაში პრეზიდიუმის კოლექტიური ფარისევლობა აკადემიური საზოგადოებისთვის იმთავითვე ცხადი იყო, თუმცა ძალიან ბევრი ადამიანი უკეთესი მომავლის იმედით დროებით მაინც ურიგდებოდა საკუთარ ბედს. მაგრამ წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელი ემატებოდა, საერთო ვითარებას კი გაუმჯობესების არაფერი ეტყობოდა და ეს ისეთ ქვეყანაში, სადაც გონებრივი შრომის სფეროში ტრადიციულად მოსახლეობის არაპროპორციულად მაღალი პროცენტი იყო დასაქმებული. მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ ზედმეტად ქცეული, დაჩაგრული ადამიანები ან საბოლოოდ უნდა დაეთხოვათ სამსახურებიდან, ან გამოეჩინათ რეალური ზრუნვა მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე. სხვათა შორის, ამის თაობაზე პარლამენტის მიერ რაღაც კანონიც კი იქნა მიღებული, მაგრამ მის შესრულებას არავინ ჩქარობდა. ალტერნატივა უმძიმესი იყო, ხმის ამომღები კი არავინ. ასე რომ, „ვარდების რევოლუციამდე“ კარგა ხნით ადრე მეცნიერების ძირეულად რეფორმირების მოთხოვნილებაც და აუცილებლობაც, შეიძლება ითქვას, არათუ მომწიფდა, არამედ გვარიანად გადამწიფდა კიდეც.

აკადემიის ოფიციალურ ლიდერებს ქვეყნის ახალ ხელისუფლებთან კულუარული გარიგების მცდელობებისთვის არც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაუკლიათ ხელი. მაგრამ დემოკრატია მუხთალია – აღმოჩნდა, რომ აკადემიური სისტემის ქვედა რგოლებში „ჩარჩენილ“ და მაღალი სამეცნიერო სტატუსის მქონე არაერთ არცთუ ხელწამოსაკრავ მკვლევარს ისე როდი ხელეწიფებოდა კანონიკური დუმილის დემონსტრირება, როგორც აკადემიის პრეზიდიუმის გამობრძმედილ წევრებს. „ვარდების რევოლუციამ“ ამ ღირსეულ პიროვნებებს – მათი რაოდენობა კი საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა – სამართლიანობის აღდგენის იმედი ჩაუსახა. გაერთიანებისკენ მათ კონკრეტული ნაბიჯიც კი გადადგეს: აკადემიის პრეზიდიუმის გვერდის ავლით პრესაში მეცნიერთა არაფორმალური შეკრების – ე.წ. ფორუმის – მოწვევის მონოდების შემცველი კოლექტიური წერილი გამოაქვეყნეს. ამ ძალისხმევის შედეგად ფორუმი მართლაც შედგა და მასზე მოხერხდა კიდეც ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხის განხილვა. მოძრაობა დაიწყო, თუმცა ფორუმის ინიციატორებს მიუღებლად მიაჩნდათ შიდა აკადემიური პრობლემების მოსაგვარებლად „კმარასა“ და „მორჩას“ ტიპის ორგანიზაციების ჩარევა. როგორც ეტყობა, კობამ და მისმა პარტიულმა ამხანაგებმა დროულად მიიღეს და აითვისეს ინფორმაცია სამეცნიერო ინსტიტუტების ნიაღში დაბადებული ამ ინიციატივის შესახებ.

ცოდნის პარტიის იდეალისტურად განწყობილ დამაარსებლებს ბუნებრივ მხარდამჭერებად სწორედ ასეთი, საზოგადოებრივად აქტიური მეცნიერები მიაჩნდათ, მაგრამ ჭეშმარიტი პოლიტიკური გამარჯვების შანსები – მსგავსად „მწვანეებისა“ – ასეთ პარტიას სინამდვილეში არ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, ეს უცნაური მეცნიერები უსასრულოდ დაშორებოდნენ ხალხის ძირითად მასას და თავისი უცნაური პრეტენზიებით მუდმივად აღიზიანებდნენ მას. ის გარემოება, რომ ისინი უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ჯამაგირს სხვანაირად, გონებრივი შრომის ხარჯზე იღებდნენ, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა მათი დისკრედიტირებისთვის. წმინდა პროფესიულ საწყისებზე აგებული და ამა თუ იმ მცირე ჯგუფის ლოკალური მისწრაფებების გამომხატველი მოძრაობა კი საბოლოოდ მაინც მარცხისთვის – საუკეთესო შემთხვევაში ღირსეული მარცხისთვის არის – განწირული. ქვეყანაში დაწესებული საარჩევნო ზღუდის გადასალახავად მარტოოდენ კეთილი სურვილები საკმარისი როდია.

●

– გაოგნებული ვარ, ჩე! გუშინ ხელი მთხოვა. პირდაპირ არ ვიცი, რა ვიღონო, რა ვუპასუხო.

– ჰოდა, რა უპასუხე?

– მართალი გითხრა, დავიბენი. ხვალამდე მაცალე, მოვიფიქრებ-მეთქი.

– მაგას რა ფიქრი უნდა, ჩე. დავალებას თავი შესანიშნავად გაართვი, ცოდნის პარტიის მდივნად აგირჩიეს, „მორჩა“ ბოლომდე გენდობა. შენი შესანიშნავი მუშაობის წყალობით ჩვენ მთლიანად

გავერკვიეთ ცოდნის პარტიის შიდა სამზარეულოში. ამჯერად თქვენი ურთიერთობის გაღრმავების არავითარი აუცილებლობა აღარ არსებობს. ოპერაციის პირველი ეტაპი დამთავრებულია.

– ეგ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მე... მინდა საიდუმლოება გაგანდო, როგორც... როგორც გამოცდილ უფროს მეგობარს. შეიძლება? გუშინ ამიტომ დაგირეკე ასე გვიან.

– ეგ, აბა, რა საკითხავია. ყურადღებით გისმენ.

– ძალიან უცნაურად ვგრძნობ თავს. თან უხერხულად, თან... მოკლედ, სულ ერთი თვე მეყო, რომ... იცი, ამ ხნის განმავლობაში რაღაცნაირად შევეჩვიე კობას. შევეჩვიე კი არა... ეგ არასწორი სიტყვაა. უბრალოდ, მომწონს, მართლა მომწონს. ძალიან კარგად მექცევა, ძალიან ყურადღებიანია და ეს, დარწმუნებული ვარ, გულიდან მოდის. მერე რა, რომ ვზროსლია! მესმის, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეა, „ᲛᲝᲠᲩᲐᲡ“ ღალატს გულში ვერც გავივლებ, დავალებაც პირნათლად შევასრულე, შენც აღიარებ ამას, მაგრამ... მომწონს და რა ვქნა! მგონი, თავი შემაყვარა. გიჟს ვგავარ, ჩე! შენ ხომ მაინც იცი, რომ მე ყოველთვის საქმით დამიმტკიცებია ჩემი მორჩილობა, მაგრამ მეც ხომ მაქვს პირადი ცხოვრების უფლება? მაქვს, ხომ? ჩვენი წესდება, არც შავი, არც თეთრი, არ კრძალავს... მირჩიე რამე, როგორ მოვიქცე? იქნებ, თანდათანობით ჩვენკენ მოვაქციო, ჰა?

– გენიალურია! როგორ უნდა მოაქციო, იქით მოუქცევიხარ თურმე... უკვე გადაგიწყვეტია და რა გირჩიო? ტყუილს არ ვიკადრებ, შენგან ამის გაგონება ნამდვილად არ გამხარებია. ისე, სიმართლისა და ნდობისთვის – დიდი მადლობა. ეჰ, ქალებო, ქალებო – ყველანი ერთნაირები ხართ... ფორმალურ რჩევას ჩემი მხრიდან, აბა, რა აზრი აქვს? მაინც არ გაითვალისწინებ. ვერ ყოფილა საქმე კარგად... დიახ, შენ ყოველთვის სამაგალითო მორჩელი იყავი. იმაშიც მართალი ხარ, რომ „ᲛᲝᲠᲩᲐᲡ“ შავი წესდება სიყვარულს არ კრძალავს, ამიტომ საბოლოო არჩევანში სრულიად თავისუფალი ხარ. სულ მეშინოდა, ეს გოგო რამე ხიფათს არ გადაეყაროს-თქო და ისე აგიხდეს... ჩემი ბრალია, ჩემი. ყველაფერი ვერ გავთვალე. ალბათ, არ ღირდა შენთვის ასეთი რთული დავალების მოცემა. იმ ცოდნელებს სხვანაირადაც მოვუვლიდით, რა! ისე, რადგან ამ თემაზე ვსაუბრობთ, ბარემ ესეც მითხარი: აი, სანამ გუშინ ხელი არ გთხოვა, მოგწონდა?

– ალბათ, კი, მაგრამ საკუთარ თავსაც კი ვერ ვუმხელდი. მართლა! ჩემთვის მთავარი შენი დავალების შესრულება იყო, მაგრამ მერე, მოგვიანებით, როცა თავის მეგობრებს გამაცნო, დამახასიათა, პარტიაში მიმაღებინა და დამაწინაურა... სულ თავიდან მიხაროდა, რომ ასეთი კარგი მსახიობი ვარ. მერე კინოში დამპატიჟა, მერე – თეატრში, ერთხელ, ორჯერ, წარმოდგენების მერე ყოველთვის სახლამდე მაცილებდა. იმ კაფეში, კოსტავაზე, ისედაც თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით, პაემნის ადგილივით გახდა. ლამაზ კომპლიმენტებს არ მაკლებდა, ლაპარაკში ისე ჩაურთავდა, რომ... გამიჭირდა, მაგრამ ვუძლებდი. წინა კვირას კი მისი წარდგინებით პარტიის მდივნად ამირჩიეს და ქალთა ორგანიზაცია ჩამაბარეს. მაშინ კი ვიგრძენი თავი საშინელ ნაძირალად. მას მერე უძილობა მჭირს, სული მეხუთება... გუშინ კი ხელი მთხოვა – ეს უკვე ბოლო წვეთია, ვგრძნობ, რომ მეტი თვალთმაქცობა აღარ შემიძლია. ყველაფერი თუ გასკდა...

– რატომ უნდა გასკდეს?

– არა, თუ გასკდა, თვალებში როგორ შევხედო?

– ისევე, როგორც მე. ეს არც ისე რთულია.

– არა, არა. ეგ სხვაა, სულ სხვა... სახლში რომ დავბრუნდი, მართლა ცუდად გავხდი. მგონი, წნევა ამივარდა. რა დროს ჩემი წნევაა? დედას ისე შეეშინდა, გიჟს დაემსგავსა, კინაღამ სასწრაფოს გამოუძახა, ძლივს გადავაფიქრებინე. ხომ იცი, პროგრესული დედა მყავს, მაგრამ არაფრის აზრზე არ არის, ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგითი მორჩელი ვგონივარ და... ცოტა რომ მოვსულიერდი, შენ დაგირეკე. პირველი ხარ, ვისაც ჩემი ეს ამბავი გავუმხილე, ჩე! ნუთუ შენც გგონია, რომ ბრაჭულივით უსინდისო ვარ?

– უსინდისო არა... ზედმეტიც კი გქონია ეს ოხერი სინდისი. ასე ჩვენ კოსმოსში ვერ გავფრინდებით. შენ ნდობას, რა თქმა უნდა, ჭაფასებ, მაგრამ, იქნება, კიდევ გეფიქრა, აგეწონ-დაგეწონა, რამდენიმე დღე მაინც მოგეთმინა. იქნებ, ემოციას ხარ აყოლილი. სად გეჩქარება?

– არა, ვეღარ გავაწვალებ. სიტყვა მივეცი, ხვალ-მეთქი, თანაც მეცოდება, უკვე ასაკშია, ისედაც უამრავი თავსატეხი ჰქონდა, მეც კიდევ ახალი გავუჩინე, დავუმატე, რა... მტრად ნამდვილად ვეღარ აღვიქვამ. ისე, ჩემი აზრი თუ გინდა, არავითარი ქვეყნის მტერი ეგ არ არის. საქართველოზე ერთი ცუდი არ წასცდენია. არ დაგავიწყდეს, რომ ფსიქოლოგიურზე ვსწავლობ და რაღაცაში ვერკვევი... ვითომ ხომ არის თან ჟურნალისტი, თან მწერალი, თანაც კიდევ ოპოზიციონერი, სინამდვილეში კი ერთი მარტოსული და კეთილი ადამიანია, რომელსაც ცხოვრებაში ისე ვერ გაუმართლა, როგორც ეკადრება. ბედს ებრძვის და მისი ეს მოზგავებული ენერგიულობაც და პოლიტიკოსობაც აქედან მოდის. არ მინდა, მარტოობის განცდა უარით ან დროის გაწელვით გავუმძაფრო. ერთი სიტყვით, ხვალ ოფიციალურად დავთანხმდები ცოლობაზე და...

– მომილოცავს.

– დიდი მადლობა. გეხვენები, ასეთი თვალებით ნუ მიყურებ, რა.

– მოკლედ, მორჩა ჩვენი „მორჩა?"

– ხომ იცი, რომ არა. არასოდეს. „მორჩა" მაინც ჩემი ცხოვრების ულამაზესი ნაწილია, ჩე!

– მაგრამ ყველაფერი ერთად შეუძლებელია. ზოგჯერ ადამიანი არჩევანის წინაშე დგება – აი, როგორც შენ ახლა. ძალიან მიყვარხარ, ნატა, მაგრამ კობას ცოლობა და პატიოსანი მორჩელობა ერთად, რა ვქნა, ვერ გამოვა, ურთიერთგამომრიცხავია. მაინც მომილოცავს. რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ – მე და შენ – აუცილებლად კარგ მეგობრებად უნდა დავრჩეთ, ისეთი ბრძოლები გვაქვს ერთად გადატანილი.

– იმედს ბოლომდე ნუ გადამიწურავ. იქნებ, მაინც მოვახერხო ორივეს შეთავსება.

– ძნელი წარმოსადგენია, თუმცა... ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს. ახლა კი უნდა დაგტოვო, სასწრაფო საქმე მაქვს. იცოდე, ქორწილის დღე არ გამომაპარო. არ მოვალ, მაგრამ ის მაინც მეცოდინება, რომ სულიერად ერთმანეთი არ დაგვიკარგავს. აბა, ნახვამდის. ხვალ კი... ხვალამდე ორგანიზაციას არაფერს შევატყობინებ, შენს საბოლოო გადაწვეტილებას დაველოდები, მერე კი უნდა დავსხდდეთ და ერთად მოვიფიქროთ, როგორ გამოვძვრეთ ამ სიტუაციიდან. შევეცდები, არც მწვადი დაიწვას და არც შამფური. ასე რომ, ძალიან გთხოვ, ხვალ, ღამის თორმეტ საათამდე, საბოლოო შედეგზე შემატყობინო. ჩემი ნომრის შეხსენება, იმედია, არ გჭირდება.

– არის, შუაღამემდე მოგახსენო, ჩე! მოიცა... უნდა გაკოცო!

– კარგი, რა, ნუ ტირი. ეგ ხომ სანტიმენტებია. ყველაფერი კარგად იქნება, ჩე!

●

– ამ საბუთს ხელს რითი ვაწერინებთ? მელნით თუ სისხლით?

– რასაკვირველია, სისხლით. ცოდნის პარტიის დაჩმორება ***პრიმა ლინეას*** გრიფით გადის. მაგ საქმეს საუკეთესო აგენტი ეწირება. აგერ შპრიცი, აგერ სპირტოვკა. პირველმა ვინ მოაწეროს?

– ჩვენ ორში რა მნიშვნელობა აქვს. ალბათ, ჯერ მე, მერე შენ: წინაზე პირიქით არ იყო. პირველი ორი სტრიქონი ჩვენია, მესამე – ბარაბაძის, დანარჩენები მერე... იერარქია უნდა დავიცვათ, მით უმეტეს, წმენდის წინ.

– ბარაბაძე თანახმაა?

– ბარაბაძის დედაც... მესამე სტრიქონზეა, და, კაი ბიჭია, არ მოაწე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

როს, თავისივე მაკროვით გავუხვრეტ შუბლს. მაგრამ ნუ გეშინია, მოაწერს.

– ეგ ბრაჭული როგორმე უნდა მოვიცილოთ.

– გეთანხმები, გასასაღებელია, მაგრამ ჯერ ვერა. ფონდთან საღადავოდ გვჭირდება. თავისი ოქსფორდული ინგლისურით ტვინი კი წაგვიღო, ენასაც უშნოდ გვიტლიკინებს, უფროსი და უმცროსი ეშლება, ნაგლია, მაგრამ გრანტი მაინც მასზეა გაფორმებული. სხვა გზა არ გვაქვს, ჯერ ჯერობით ანგარიში უნდა გავუწიოთ. უჰ, ბარაბაძე, ეს ვინ შემოგვტენე, შენი...

– სიგარეტის ერთ მოწევაში როგორ ვერავინ გამოიჭირა?

– მაგარი ფრთხილია. ისე, შენი იდეა ნამდვილად გენიალური იყო. შავი წესდების ასე დახვენილად შედგენას მე, მაგალითად, ვერ მოვიფიქრებდი. არადა, მაგრად მუშაობს: ვინც სიგარეტს და პლანს ეწევა და არაყსაც სვამს, წესდების ძალით ვერ ვანინაურებთ და რა ვქნათ! თავის თავს დააბრალონ. ფონდიც კმაყოფილია და კონკურენციაც ნაკლებია. ხომ არ იცი, ბარაბაძე სვამს?

– თავს იკავებს. ამის წინათ ცოდნელებში კი უქეიფია, მაგრამ ცოდვაში არ ეთვლება. შავ წესდებაში ასე გვნერია: „ექსტრემალურ ოპერატიულ ვითარებაში მორჩელს გააჩნია ზომიერად დალევის უფლება“. იტყვის: ცოდნელებთან ერთად დალევა ოპერატიული აუცილებლობით იყო გამოწვეულიო და უყარე მერე კაკალი: უბოდიშოდ ხმასაც ვერ გავცემთ.

– ბარაბაძეც მოსაკვეთია. ერთი მაგის... ისედაც დიდხანს ვიტანთ მის ოფოფებს. იმ ერთი ბატალიონის აქეთ მოქცევა არ გადაგვაყოლა! ბოლო-ბოლო, მაშინ ყველანი მაგრები ვიყავით, ჩე!

– სამუდამო ინდულგენციების სასტიკი წინააღმდეგი ვარ, ჩე!

– ნიჩევო, წმენდაში მაგას ისე ტექნიკურად მოვაყოლებთ, თვითონაც ვერ მიხვდება. გრანტის ფული რომ მორჩება – ხურდაში ბრაჭულსაც მივაყოლებთ ზედ. მოვაყოლებთ – მივაყოლებთ, რა მაგრა გავრითმე, არა? Какой поэт умирает!

– ნერონთან შედარებით ძალიან ცოცხლად გამოიყურები. თანაც რომი ჯერ არ დაგინვამს, ძველებურად დგას.

– სამაგიეროდ, ძველებურად მყარი აღარ არის, ასე რომ, ყველაფერი ნინაა. ეჰ, ძმაო, თავის დროზე ყველანი ნერონს შევხვდებით, ისიც სუფრის თავში დაგვიჯდება და თავისი უნიჭო შაირებით აგვაყროლებს. Но не будем о грустном, друг мой. მოკლედ, უმრავლესობა ჩვენია, ცოტაც უნდა მოვითმინოთ. რაო, რა თქვი, ცოდნის პარტიას აგენტი ეწირებაო? რომელი? შენი ნატა? მაგან რაღა დაუშავა?

– ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია, ვეცდები გადავარჩინო, მაგრამ...

– რაო, ჩერესჩურ ახლო კონტაქტში შევიდა ობიექტთან, იმ ჩათლახ კობასთან, არა? მერე არ იცოდი, რომ ცხვირმოუხოცავი ქალები ეგრეა? გაგინირავს აგენტი.

– ჰო, კობასთან, მაგის დედა ვატირე. რა ვქნა, ვეცდები, დავაშორო, გადავარჩინო გოგო. მაგრამ ასპრო გარანტია არა მაქვს, რა! ხვალ ჩემსას კი ვიზამ, შევეცდები, მაგრამ „მორჩა“ ყველაფერზე მაღლაა, ჩე!

– ეგ იასნია. კარგი, გეყოფა ამდენი დეზინფექცია, საქმეს მივხედოთ. ამ შპრიცს ჩვენთვის არასოდეს უღალატია.

– მერე რა, წესი წესია, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ვერ გადამინყვეტია – ნეკიდან ავიღო თუ საჩვენებლიდან. წინა ჯერზე შუა თითში ნემსი ისე ღრმად გავირჭე, ახლაც ვგრძნობ, აგერ ფუფხი... ნატამ სხვა გამოსავალი თუ არ დამიტოვა, მაკაროვს საერთო დანიშნულების საწყობიდან ავიღებ, არ მინდა, პირადი იარაღი გამესვაროს.

– მაკაროვი, მგონი, აღარ დარჩა. სტეჩკინებია. ცოტა დიდი ხომ არაა?

– სანყობი შესავსები ყოფილა, მისახედია. ჯანდაბას, სტეჩკინსაც არა უშავს, პლაშჩის ქვეშ კარგად იმალება, შემოწმებული მაქვს. არადა, ასეთ საქმეს სხვას ვერ ვანდობ, გაგვიბაზრდება, ყველაფერი ჩემი ხელით უნდა გავაკეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცოდება, კარგი გოგო იყო, პერსპექტიული, იმ ნაცოდვილარ პარტიაშიც ისე მაგრა გაიქაჩა, რომ ანი მაგათი პატარა გაფხაკუნებაც კი აღარ გამოგვრჩება. ეს სისულელე რომ არ ჩაედინა, შეიძლება როდისმე ცოლადაც კი მომეყვანა, ახლა კი... ხვალ-ზეგ ტვინს თუ ვერ გადავუბრუნებ, მერე გვიან იქნება. ხელებიც დამიბანია, რა!

– ეგეც იასნია. წინა ჯერზე მეც ეგრე არ მომივიდა. უფრო რომლის გასაღებას აპირებ, ამის თუ იმის?

– ვნახოთ. სიტუაცია მიკარნახებს.

– იარაღს გამოიყენებ თუ არა, ეგრევე მტკვარში გადაუშვი. იცოდე, კვალი არ დატოვო.

– მაგის დარდი ნუ გაქვს. თითი აქეთ მაიტა, ჩე!

●

– რომელი საათია?

– ორი ხდება.

– ასე ადრე აქ პირველად მოვდივარ. ამ დროს, როგორც წესი, რედაქციაში ვსაქმიანობთ.

– ვიცი. ძალიან ხომ არ აგირიეთ გეგმები?

– არა უშავს. ექვსისთვის დედაჩემი სახლში მელოდება, მაინც უნდა გამოვსულიყავი, ასე რომ გავუძლებ.

– კიდევ კარგი. ისე, თქვენი დღის წესრიგი ჩემთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

– ეგ საიდან?

– ამას რა მნიშვნელობა აქვს. გაცილებით უფრო სერიოზულ საკითხზე გაწუხებთ, ბატონო კობა.

– როგორ თუ რა მნიშვნელობა აქვს? ეგ რა პასუხია. დავიჯერო, მითვალთვალებთ? მერე მე ხომ მოქმედი, თანაც მოპოლიტიკოსო ჟურნალისტი ვარ. ნუთუ ჩემი კონსტიტუციური უფლებების შელახვას სულ არ ერიდებით? თვალთვალი ხომ ჩვენში მხოლოდ ერთ სახელმწიფო ორგანიზაციას შეუძლია.

– რატომ მხოლოდ ერთს? მოვლენებს ჩამორჩენილხართ, ბატონო ჩემო, ასეთი გულუბრყვილობა პოლიტიკოსისთვის დაუშვებელიც კია. მაგრამ ცდებით: მე არ გითვალთვალებდით. კონსტიტუციური უფლებები არაფერ შუაშია. უბრალოდ, ამ კაფეს მარტო თქვენ როდი სტუმრობთ და არც თქვენი რედაქციაა მთლად ძველი მადრიდის სასახლე. Таины мадридского двора ხომ გაგიგიათ?

– და თქვენ თუ გაგიგიათ: Секрет Полишинеля?

– როგორ არა. თბილისი, მოგეხსენებათ, პატარა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს, თუ არ იცნობს – უნახავს, გაუგია, ენას კი ძვალი არა აქვს. დღის წესრიგზე ცოტა უშნოდ ვიხუმრე, იმედია, მაპატიებთ. ყავას ხომ არ დალევთ?

– ნუ... რადგან მოვედი, რატომაც არა.

– თურქული თუ კაპუჩინო?

– თურქული.

– ალკოჰოლი?

– მირჩევნია, ფხიზელი ვიყო.

– ქალბატონო, ორი თურქული ყავა, თუ შეიძლება.

– მოთელვა დამთავრებულია?

– რაო, რის მოთელვა? ოჰ, ეს თქვენი სპორტულ-ჟურნალისტური ტერმინოლოგია... დიახ, დამთავრებულია.

– მაშ, ყურადღებით გისმენთ. რა არის ისეთი, რისი ტელეფონით თქმაც შეუძლებელი იყო? საქმე თითქოს ჩემს საცოლეს, ქალბატონ ნატას უნდა ეხებოდეს, ასეა? ისე, ეს რომ არა, ამ შეხვედრაზე ასე იოლად ვერ დამიყოლიებდით.

– როგორ გეკადრებათ! ასეთი იაფფასიანი ხრიკის გამოყენება თავშიც არ მომივიდოდა... აი, ჩვენი ყავაც. გმადლობთ. საქმე მართლაც ნატას ეხება, ჩემს თანამშრომელს.

– ერთად მუშაობთ? მაგრამ ის ხომ ჯერ სტუდენტია.

– მერე რა? ერთად მუშაობა დღეს მხოლოდ ერთი დაწესებულების ერთ ვიწრო ოთახში ერთად ჯდომას არ ნიშნავს. დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ გსმენიათ ეგრეთ წოდებული არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციის წარმომადგენელი მეც გახლავართ, ნატა კი ჩემი უმცროსი კოლეგაა. ნუთუ არაფერი იცოდით ამის შესახებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მართალი გითხრათ, ნატას ამ თემაზე ჩემთან ჯერ არ უსაუბრია. ალბათ, საჭიროდ არ ჩათვალა. აუცილებლად ვკითხავ.

– ჰკითხეთ, მით უმეტეს, რომ თქვენი საცოლეა, თანაც თქვენი პარტიის წევრი. მე კი პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე მინდა გითხრათ და გამცნოთ: ეს გოგონა, ნატა, ჩემი შექმნილია.

– რაო, რას ჰქვია თქვენი შექმნილია?

– რასაც ჰქვია.

– როგორ, ჩემს საცოლეს მამად ეკუთვნით და ეს აქამდე არ ვიცოდი? ძალიან ახალგაზრდა მამა კი ჰყოლია. რანაირად მოახერხეთ? ან, იქნება, თბილისში პიგმალიონის ისტორია მეორდება?

– ისევ ეს თქვენი მწერლური იუმორი, ხომ? თუმცა არასწორად გამიგეთ. რაც შეეხება ჩემს ასაკს, იცოდეთ – მე ნატაზე საკმაოდ უფროსი და თქვენზე გაცილებით ახალგაზრდა ვარ.

– აბა, ყველაზე მძიმე თაობის წარმომადგენელი თქვენ ყოფილხართ. ნგრევის გარდა არაფერი გინახავთ.

– შეიძლება. მაგრამ პატივი მაქვს, ნატას უშუალო ხელმძღვანელი ვიყო. ნატა ჩემი შექმნილია ისეთივე გაგებით, როგორც თქვენი პოლიტიკოსობა, დავუშათ, ვინმე ვეშაპასი. დიდი ბოდიში, ვერნი თუშმალიშვილის. თქვენს შესახებ მართლაც ბევრი რამ ვიცი. თქვენზეც და თქვენ პარტიაზეც.

– ყოველთვის ვიცოდი, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, მაგრამ, ვეშაპა რომ მდიდარი კაცია და ჩემი ხათრით ჩვენ პარტიას ეხმარება, დიდი საიდუმლოება ნამდვილად არ არის. ამაზე, მგონი, გაზეთებიც წერდნენ. მე მისი შექმნილი სულაც არა ვარ, არასწორი ინფორმაცია გქონიათ. გარდა ამისა, რამდენადაც ვიცი, ვეშაპას არც ინტერპოლი ეძებს და არც პროკურატურა, თავისუფალი ადამიანია. ვერნი თანამედროვე ძლიერი ბიზნესმენია და კანონის ფარგლებში მოქმედებს, ესაა და ეს. ჩემი საშუალებით ვერნიზე გასვლა თუ გინდათ, დროს უქმად ხარჯავთ, – ჩვენ არავითარი ბიზნეს-ინტერესები არ გვაერთიანებს, უბრალოდ, ძველი მეგობრები ვართ. მერედა, ჩემი საცოლე რა შუაშია? მაინც ვერ გავიგე: რას ჰქვია – თქვენი შექმნილია? თქვენ რა, ნატას მატერიალურად ეხმარებით?

– ახლა კი ყველაფერი ზედმეტად პირდაპირ გესმით, ბატონო კობა. მწერალი კაცისთვის ასეთი ამჩატება ცოტა უცნაურიც კია. სხვათა შორის, მე პატივს ვცემ თქვენ შრომას, თქვენი ზღაპარიც მაქვს წაკითხული. საინტერესო ნაწარმოებია. არა, ნატას მატერიალურად, როგორც წესი, არ ვეხმარები, თუმცა არც მთლად უმაგისობაა. რამდენ ერთობლივ პროექტში მიგვიღია მონაწილეობა! გრანტს მე ვშოულობდი, ნატა კი სამაგალითო შემსრულებელი იყო ხოლმე. იყო და არის კიდეც.

– ვეშაპასთან ანალოგია მაინც უმართებულოდ მეჩვენება.

– ჰო, რა თქმა უნდა, სად ჩვენ და სად ოლიგარქი ვეშაპა. უთუოდ სხვა მასშტაბის კაცია, ნამდვილი ბუმბერაზი. მაგრამ დამეთანხმეთ: ამდენი ნიჭიერი ადამიანი ვეშაპების ხელიდან ჯაბაგირის მოლოდინში შიმშილით ხომ არ დავიხოცებით. ცოტა ხელიც უნდა გავაძლიოთ. აბა, ამ უხელფასო ქვეყანაში ამდენი არასამთავრობო რისთვის არსებობს?

– ცინიკოსი ბრძანებულხართ.

– რასაკვირველია. ვამაყობ კიდეც ამით, ოლონდ მესამე მოწმის გარეშე. თუ ნებას დამრთავთ, ისევ ნატას საკითხს მივუბრუნდები.

– კი ბატონო.

– დაახლოებით ერთი წლის წინათ არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელსაც მე წარმოვადგენ, ერთ-ერთი უცხოური ფონდიდან – მისი დაკონკრეტების უფლება მე არა მაქვს – ძალზე საინტერესო გრანტი მოიპოვა. ასათვისებელი თანხა საკმაოდ დიდია. ამ გრანტის ფარგლებში ჩვენ ვაწარმოებთ მუდმივ მონიტორინგს საქართველოს პოლიტიკურ სივრცეზე, კერძოდ – ახალ პოლიტიკურ წარმონაქმნებზე. გასაგებად ვლაპარაკობ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– სავსებით გასაგებად. ანუ თქვენ სიაში ჩვენი პარტიაც აღმოჩნდა, ხომ ასეა?

– დიახ, ასეა. ჭკვიან ადამიანთან საუბარი ყოველთვის მეადვილება. როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად ვის დაევალა თქვენი პარტიის მონიტორინგი, ბატონო კობა?

– ინტუიცია მკარნახობს, რომ რაღაც საზიზღრობის თქმას აპირებთ.

– მწერლური ინტუიცია უთუოდ დიდი ძალაა. მართალი ბრძანდებით – ეს დაევალა ქალბატონ ნატას, იმ პატარა უჭკუო გოგონას, რომელსაც თქვენ, გამოცდილმა მწერალმა კაცმა, ნამდვილმა

– ჩვენ ჯვარი უნდა დავიწეროთ. ოფიციალური გაყრა მოიცდის. მით უმეტეს, რომ განქორწინების პროცესი უკვე დაწყებულია. განცხადება წინა კვირას შევიტანე.

– არა, ბატონო ჩემო, სანამ პროცესი მიმდინარეობს, მაინც ორცოლიანობა გამოგდით. ჯერ იურიდიულად მოაგვარეთ ყველა საკითხი და ახალი ოჯახის შექმნაზე მერე იფიქრეთ, ასეთია ჩვენი კანონი, წესი და ადათი. ის გოგო, სხვათა შორის, ოჯახშია გაზრდილი. პარადოქსია, მაგრამ რატომღაც მჯერა, რომ თქვენ უფრო მარტივად შეელევით



მაჩომ, ტვინი აურიეთ და თავი შეაყვარეთ. დიდი ვაჟკაცური საქციელი არც თქვენგან იყო მაშინ და არც ჩემგან არის ახლა, მაგრამ იძულებული ვარ, გავხსნა კარტები და მოგიწოდოთ: ხელი აიღეთ თქვენს განზრახვაზე!

– რა განზრახვაზე?

– ვითომ არ გესმით. რაზე და მასთან დაქორწინებაზე. მით უმეტეს, რომ ოფიციალურად მეუღლესთან გაყრილიც კი არ ყოფილხართ.

თქვენს საცოლეს, ვიდრე მე ჩემს ნაცად თანამშრომელს. ვაჟკაცური გოგოა! გუშინ საღამოს, სანამ მე თქვენ დაგირეკავდით, მან პირველმა დამირეკა და ოდნავ ათრთოლებული ხმით მომახსენა, რომ თანხმობა გამოგიცხადათ, მაგრამ ეგ არაფერი – ჯერ გვიან არ არის.

– გასაოცარია! რა არ არის გვიან? სრულ ჭკუაზე ხართ? რა, თქვენი არასამთავრობო ქალებს გათხოვებას უკრძალავს?

– ეს რიტორიკული კითხვებია, ჩემი შეურაცხყოფა კი საჭირო არ არის – აქ ორივენი სრულ ჭკუაზე ვართ.

– შეურაცხყოფას, მგონი, თქვენ მაყენებთ! როგორ ბედავთ ჩვენ პირად საქმეში ჩარევას. რას და როგორ მოვაგვარებთ, რას დაველოდებით და რას არა – ესეც ჩვენი საქმეა.

– მე პირდაპირი ადამიანი ვარ. თქვენ მაინც მოგინევთ უარის თქმა ამ ცრუ გამარჯვებაზე. აბა, წარმოიდგინეთ: სულ მალე პოპულარული ჟურნალის „ობობას ქსელის“ მკითხველები, თქვენი თანაპარტიელები და მთელი ქართული საზოგადოება შეიტყობენ, რომ თქვენი მომავალი მეუღლე ჩვენი ძველი აგენტია, თქვენ კი მას ოპოზიციური პარტიის სადავეები ჩაუგდეთ ხელში. ჩათვალეთ, რომ რა ნამს ეს ყველასთვის ცნობილი გახდება, მორჩენილია თქვენი პოლიტიკური კარიერა, – ასეთი სისულელის ჩადენას თქვენივე თანამებრძოლეები არ გაპატიებენ. სისულელე თუ გაკმარეს. პოლიტიკაში ასეთ სისულელეს სხვა რამ, მაგალითად ღალატი, ეწოდება. ყველაფერ ამას თავი რომ დავანებოთ და ჩვეულებრივი ადამიანობის ფარგლებში დავრჩეთ, თქვენ ნატაზე ორჯერ უფროსი ხართ. არ გეცოდებათ საწყალი გოგო? შეეშვით, რა.

– არა.

– მაპატიეთ, კარგად ვერ გავიგე.

– არა-მეთქი.

– რა მშვიდი ადამიანი ყოფილხართ.

– ო, როცა საჭიროა, ძალიან მშვიდი ვარ. მშვიდი, ზრდილი, მაგრამ არა თქვენნაირი გულგრილი ნაძირალა. თქვენთან ერთი საქმიანი წინადადება მაქვს, რომელსაც, იმედია, სწრაფად მიიღებთ. აი ახლა, დაუყოვნებლივ, ფინჯანში დატოვებთ დაულეველ ყავას, ადგებით და აქედან წახვალთ. თუ არადა – კაცობას გეფიცებთან, რომ ჩემს ფინჯანში დარჩენილ ყავას სახეში შეგასხამთ. არავის და არაფერს მოვერიდები. მართალია, ჩემზე ახალგაზრდა ხართ, მაგრამ თქვენი გასალახი ძალა მაინც მეყოფა. მერე, სადაც გინდათ, მიჩივლეთ და, რაც გინდათ, ის წერეთ და ილაპარაკეთ, კისერიც გიტეხიათ. ჩემს რეპუტაციას მე როგორმე თვითონ მივხედავ. კარგად დაიმახსოვრეთ, მე სიყვარულით არ ვვაჭრობ. აბა, სამამდე ვითვლი. ერთი...

– ნამდვილად უფრო ჭკვიანი კაცი მეგონეთ. არადა, რა კარგად ვსაუბრობდით. აფსუს, რა ფუჭად დამიკარგავს დრო! ჰო, ვდგები, ვდგები!

– გაფრთხილებთ, აღარ დამენახოთ.

– არავითარ შემთხვევაში. ნახვამდის, ჩე!

●

– ვაიმე, მარიკა, გესმის! კობა მომიკლეს, ჩემი კობა. საქმრო მომიკლეს მე მინდასასყრელს! შენ მას არ იცნობდი, მაგრამ...

– მოდი, ჩამეხუტე... აი, ასე, ასე... პირადად არ ვიცნობდი, თორემ ისე კი მინახავს. ერთხელ კოსტავაზე რომ ლიტერატურული კაფეა, იქ გნახეთ ერთად. თვეზე მეტი გავიდა და მაინც მახსოვს. შენ დამინახე, რაღაც უთხარი, მერე უცებ – სალუტ, მარიკაო, – დამიძახე, მიატოვე და ჩემთან გადმოსკუპდი. სიმპათიური კაცი იყო.

– მეც მახსოვს. ეს ჩვენი მეორე შეხვედრა იყო და მისი ცოლობა მაშინ აზრადაც არ გამივლია, თორემ ასე როგორ მივატოვებდი... ვეკეკლუცებოდი, თავიდან ცოტა ვაწვალებდი, მერე დავახლოვდით, მოგვიანებით. იცი, რა ნიჭიერი იყო, როგორი ყურადღებიანი. ბოლომდე იხარჯებოდა. ახლა რა მეშველება მე დასაქცევარს, რაღა ვქნა?

– რას იზამ, ბედს უნდა შეურიგდე. მაგრად უნდა დადგე. იქნებ... იქნებ, ამას არც უნდა ვამბობდე, მაგრამ დაქალი ხარ და გავბედავ: კიდევ კარგი, რომ ქორწილი არ მოესწრო. მაშინ კიდევ უარესად იქნებოდა შენი საქმე. შენი დაქვრივება გვინდოდა ახლა! დედა, როგორ მეცოდები, ნატა, რომ იცოდე, როგორ მეწყინა. კი მაგრამ, რა გაირკვა, ვინ ბოროტმა სულმა მოკლა?

– არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. არც არავინ იცის. ვის არ ვკითხე, მაგრამ... პოლიციაში მითხრეს: ან შემთხვევით ჩხუბში მოჰყვაო, ან რაღაც ისეთი დაინახა, რაც ჯობდა რომ სულ არ დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახაო. მაგალითად, ვიღაც ნაძირალა მეზობლის ბინას ტეხავდა ან ვიღაცა ვიღაცას საქმეს ურჩევდა, ეს კი ჩაერიაო. რა ვიცი, შეიძლება ჩაერია კიდეც, – არ იყო გულგრილი კაცი. ეჭვები მკლავს, მარიკა. კიდევ კარგი, დედაჩემმა არ იცის, რა მოხდა. ისედაც ბოლო დროს მეჩხუბება, სულ კარი-კარ დადიხარო და ამ „მორჩას“ თავი გაანებეო. ვერ მივართვი! ვიღაცამ ენა მიუტანა, შენი ქალიშვილი ვზროსლი ბიძასთან დადის და მიხედეო, ერთხელ გამლანძღა კიდეც, მაგრამ ჩემი საქმროს ვინაობა მან არ იცოდა. არც ის იცოდა, გათხოვებას თუ ვაპირებდი. ნერვები აღარ მყოფნის, რა, დაწყვეტაზე მაქვს, დედაჩემის კირკიტს რა გაუძლებს! ამაღამ შენთან დავრჩები, რა. იქნებ, დაურეკო, თხოვო, დედაჩემს ძალიან უყვარხარ, უარს არ გეტყვის.

– რა თქმა უნდა. თავისუფლად იყავი. თან ჩემები სტუმრად არიან, გვიან მოვ-ლენ. დედას დავურეკავ და ვეტყვი, ვი-თომ ჩათვლისთვის ვემზადებით. სანოლს ჩემს ოთახში გაგიშლი. იქნებ, ცოტა დამშვიდდე.

– ჰო, იქნებ, ცოტა დავმშვიდდე. გაზე-თებში კი ათასგვარ სისულელეს როშავენ.

– რაღაცები მეც ნავიკითხე. იქნება, მართლაც ტერორისტები იყვნენ, ჰა? ხომ იცი, რანაირი დროა. კობა მაინც პოლი-ტიკაში იყო გარეული.

– არა, არ მჯერა. კი იყო გარეული, მაგრამ არც ისე ღრმად, რომ... შენ კი იცი, მითქვამს შენთვის, რომ ცოდ-ნის პარტიაში მან მიმიყვანა, მაგრამ არ არის ეს პარტია იმდენად ძლიერი, რომ... თან კობა პირველი კაცი ხომ არ იყო! რაღა კობას ესროლეს, რა, სხვა ლიდერები გამოილია? ბევრი მტერი კი ჰყავდა სანყალს. უფრო მტერი კი არა, არაკეთილმოსურნე. ვიღაცას მისი ნაწე-რები აღიზიანებდა, ვიღაცას ვერნისთან მეგობრობა, ვიღაცას ის, რომ ტეკილას დასალევი ფული ჰქონდა, აბა, რა ვიცი... საცოდავი კობა!

– იტირე, იტირე, იქნებ, ასე მაინც დამშვიდდე. მაგარი ყავა მოგიხდება. სამზარეულოში გავალ, დედაშენსაც და-ვურეკავ და ჩაიდანსაც ავადუღებ. აჰა, ტელევიზორს ჩაგირთავ. დედამ ტელე-ფონთან რომ დაგიძახოს, ხომ მიხვალ?

– მივალ. ნუ გეშინია, ცრემლად მტრის ჯინაზე არ დავიღვრები. ჩართე, „კურიერს“ დაველოდები, იქნებ, რამე ახალი თქვან. მე ძალიან, ძალიან ძლიერი ხასიათი მაქვს, ჩე!

●

(ამონარიდი გაზეთიდან „სამშობლო მინა“)

„...ჩვენი საზოგადოება უკიდურესად არის შეშფოთებული ქალაქში ამ ბოლო დროს გამეფებული განუკითხაობით. ოპოზიციური ორგანიზაციების წინააღ-მდეგ გაშლილმა უხილავმა ტერორმა უკვე მიზანმიმართული ხასიათი მიი-ღო. ორიოდე კვირის წინ გაურკვეველ ვითარებაში და აშკარად პოლიტიკური განზრახვით სასიკვდილოდ დაჭრეს ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი აქ-ტივისტი, გუშინ კი ჯერი ახლად შობილი ოპოზიციური „ცოდნის პარტიის“ წამყ-ვან კოორდინატორზე და ცნობილ თბი-ლისელ ჟურნალისტზე კობა.ს-ზეც მიდ-გა. ბოროტმა ძალამ მისი ლიკვიდაცია საბურთალოს მჭიდროდ დასახლებულ უბანში შებინდებისას, საღამოს ექვსი საათისთვის მოახდინა. ჩვენი თანამოქა-ლაქეებისთვის კარგადაა ცნობილი, თუ ვისი „გენიალური“ გადაწყვეტილების შედეგად ჩააბნელეს ასე ნაადრევად თბი-ლისის ქუჩები და კარ-მიდამოები. ასევე შესანიშნავად ცნობილია თუ რატომ აირ-ჩიეს ამჟამად სამიზნედ სწორედ „ცოდ-ნის პარტია“ – ამ ორგანიზაციაში შეკრე-ბილმა ადამიანებმა არათუ ქვეყანაში მეცნიერებისა და კულტურის გადარჩე-ნისა და განვითარების რეალისტური და ჰუმანური პროგრამა წარუდგინეს ქარ-თულ საზოგადოებას, არამედ სოლიდუ-რი ფინანსური მხარდაჭერაც მოიპოვეს, ანუ სახიფათონი გახდნენ. სწორედ ამი-ტომაა, რომ თავხედური მკვლელობა ჯერაც გაუხსნელია. მომხდარი პირ-დაპირ მიუთითებს ჩვენი სამართალდამ-ცავების გაუგებარ ინერტულობაზე იმ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შემთხვევებში, როდესაც საქმე ოპოზიციურ პოლიტიკურ დაჯგუფებებს ეხება. მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში წარმოებს გააფთრებული, ულმობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ, აქვე, ყურის ძირში, ვინ იცის, ვისი ნებითა და დაფინანსებით, ფეხი აიდგეს ანონიმურმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, რაც განსაკუთრებულ ხიფათს უქმნის ქვეყნის ეროვნულ მთლიანობას და ძირს უთხრის საქართველოში დემოკრატიული ფასეულობების საბოლოო დამკვიდრებას...“

(ამონარიდი გაზეთიდან „თეთრი იალქანი“)

„...როგორც ირკვევა, მკვლელმა ორი საბედისწერო გასროლით გამოასალმა სიცოცხლეს კობა.ს. მისივე სადარბაზოს კიბეზე, მეორე და მესამე სართულებს შორის. როგორც ჩანს, გაქცევისას მკვლელმა სადარბაზოს გამჭოლი გასასვლელით ისარგებლა და ეზოებით სააკაძის მოედნისკენ გაიქცა. გადაუხდელობის გამო სადარბაზოში ნათურები გამორთული იყო. ამიტომ შეშინებულმა მეზობლებმა გასროლების ხმაზე ბინებიდან არ გამოიხედეს, მოგვიანებით კი, როდესაც ყველაფერი დამთავრდა, კიბის საფეხურებზე ფარნების საშუალებით იპოვეს სისხლში მცურავი მსხვერპლი და უმალ პატრულსა და სასწრაფო დახმარებას გამოუძახეს. მანქანები სწრაფად მოვიდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, კობა.სის შველა უკვე შეუძლებელი იყო...

ვაკე-საბურთალოს პოლიციის მაღალჩინოსნის განცხადებით მკვლელის ცხელ კვალზე დაკავება ვერ მოხერხდა. ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გამოძიების მიერ დანაშაულის ადგილიდან ამოღებულია სტეჩკინის სისტემის პისტოლეტის ორი მასრა და სხვა ნივთმტკიცებები, რაც ოპტიმისტური პროგნოზის საფუძველს იძლევა. ჩვენს მიერ მოპოვებული კულუარული ინფორმაციით მეორე გასროლა საკონტროლო შეიძლება ყოფილიყო, რაც – თუ დადასტურდა – კილერის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს და შემთხვევითი მკვლელობის ვერსიას გამორიცხავს...“

(ამონარიდი გაზეთიდან „რესპუბლიკური სავანე“)

„...ჩვენ სრულ სოლიდარობასა და თანადგომას ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახს, მის ახლობლებსა და კოლეგებს. მთელი ჩვენი კოლექტივი შეძრწუნებულია ჟურნალ „ობობას ქსელის“ პოლიტიკური მიმმხილველისა და „საქართველოს ცოდნის პარტიის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის კობა.ს-ის საზარელი მკვლელობის გამო. ნიშანდობლივია, რომ მოკლული ამჯერაც დაურეგისტრირებელი პოლიტიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი კოორდინატორი იყო და რუსეთიდან დაბრუნებული ცნობილი ოლიგარქის ვერნი თუშმალიშვილის ახლო გარემოცვაში შედიოდა.

...ჩვენ მოვუწოდებთ საზოგადოებას ობიექტურობისკენ. ოპოზიცია აღარ ელოდება გამოძიების დამთავრებას და უკვე ქოთქოთებს იმაზე, თითქოს ჩადენილი დანაშაული ზოგადად ქვეყანაში განსხვავებული აზრის არსებობის წინააღმდეგ იყოს მიმართული. ეს მამალი ტყუილია – ამის არავითარი დასტური ბუნებაში არ არსებობს. სამარცხვინოა, როდესაც ზოგიერთი გარედან მართული პოლიტიკური ძალა თავისი პირისთვის ბინძურ ხერხებს იყენებს და პოლიტიკური ქულების მოპოვებას მსგავსი მტკივნეული თემების აგორებით ცდილობს. ოპოზიციას კოვზი ნაცარში აუცილებლად ჩაუვარდება, რამეთუ ხალხი ყველაფერს ხედავს, იმასაც, რომ ოპოზიციის ადგილი კარგა ხანია ისტორიულ სანაგვეზეა...

...სამართალდამცავების არაოფიციალური ვერსიით სინამდვილეში საქმე შესაძლებელია კრიმინალური გარჩევის სისხლიან შედეგთან, ანუ უბრალო ანგარიშსწორებასთან გვქონდეს, მით უმეტეს, რომ ვერნი თუშმალიშვილის გარემოცვაში ოდენ ფრთიანი ანგელოსები როდი გვევლინებიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მკითხველს შევახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინათ შექმნილი „ცოდნის პარტია“ ზომიერად ოპოზიციური ორგანიზაციაა და მისი ოფიციალური რეგისტრაციის საკითხი იუსტიციის სამინისტრომ დღე-დღეზე უნდა გადაწყვიტოს. მის პროგრამაში დასახულია მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა დემოკრატიული ღირებულებების გარშემო გაერთიანება, უკეთესი სოციალური პირობების შექმნა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში დაკავებული ადამიანებისთვის...“

(ამონარიდი ჟურნალიდან „ობობას ქსელი“)

„...ჩვენი სარედაქციო კოლეგტივი, მთელ ჟურნალისტურ და ლიტერატურულ საზოგადოებასთან ერთად, სასტიკად გმობს ჩვენი მეგობრისა და თანამებრძოლის, ცნობილი მწერლის, კობა.ს-ის საზარელ მკვლელობას. კობა.ს-ის კალამი საკუთარი ხალხის მომავალს ემსახურებოდა, იგი ყოველთვის სიმართლეს წერდა და მისი სიცოცხლეც – დარწმუნებულნი ვართ – ამ სიმართლეს შეეწირა...

იძინე მშვიდად, მეგობარო! მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა!“

●

მღვრიე ფიქრნი 20... წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ

ხვალ არჩევნებია, მჯერა – წარმატებული. საშინლად გადატვირთული დღის შემდეგ ფეხზე ძლივს ვიდექი და ორიოდე საათით დივანზე წამოძინების საშუალება მომეცა. მაინც ვერ ვიძინებ. გვერდით ოთახში ხმაურია, მაგრამ ის ხელს არ მიშლის, პირიქით მეხმარება: ესე იგი, ამ გადამწყვეტ ღამეს ჩემი გუნდი ფხიზლობს, ჩემს გვერდით არის. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემი პრეს-მდივნის, ქალბატონი ბრაჭულის ენერგია და ჭეშმარიტად მამაკაცური ნებისყოფა. მისი დამსახურებაა, რომ მთელი გუნდი ერთ მუშტად არის შეკრული. საარჩევნო კამპანიაში მან უდიდესი წვლილი შეიტანა და განსაკუთრებული ქების ღირსია. მე კი... ზოგჯერ მინდა ვიყვირო: არ ამირჩიოთ, ხალხო! თქვენ არ იცით, ვის ირჩევთ. მაგრამ მაინც ამირჩევენ, სხვა გზა არა აქვთ. სუსტი კონკურენტი მყავს.

ჩემს წინამორბედს, როგორც იქნა, ამოეწურა მმართველობის კონსტიტუციური ვადა. ძალიანაც არ უნდოდა პოსტის დატოვება, მაგრამ ვერაფერი გაანყო – ჩვენ უკვე ევროსიერკეში ვართ. დაგეგმილიდან რაღაც გამოუვიდა, რაღაც ნაკლებად, რაღაც – ვერა. მაგრამ ყველაფერს აქვს დასაწყისი და აქვს დასასრული. ეკლეზიასტე.

ხვალიდან ქვეყანაში ჩემი დრო დგება.

სხვა მხრივ კი, აბა, რა გითხრათ.

ქალი წავიდა სხვისასა. იმ ამბის შემდეგ ნატას თვალებში – როდესაც მათ მისწორებდა – ყოველთვის ვხედავდი, ვეჯახებოდი რაღაც უხილავ ჯავშანს, რომლის საშუალებით ის ჩემგან იცავდა თავს. არა, ჩვენს ურთიერთობებში გარეგნულად არაფერი შეცვლილა, ძველებურად მიჯერებდა, მაგრამ მის თვალებს აშკარად ელვარება მოაკლდა. მე ნატა ძალიან მიყვარდა, გულის სიღრმეში ახლაც მიყვარს, მაგრამ სრულიად უძლური ვარ. ბოლომდე აღარ მენდობა. მან არ იცის, რომ მე – საქართველოს მომავალი პრეზიდენტი – უბრალო მკვლელი ვარ, მაგრამ ვერც იმას გამორიცხავს, რომ სწორედ მე გავეცი მაშინ სათანადო ბრძანება: ზოგადად მანაც იცოდა – უფრო სწორად, გაუგია – „მორჩაში“ ბოევიკების არსებობის შესახებ. სამაგიეროდ, სიკვდილს გადავარჩინე. ნატა დღესაც ჩემი წინასაარჩევნო შტაბის ღირსეული წევრია და გამარჯვების შემდეგ რაღაც ნორმალურ სამსახურს ჩემს ადმინისტრაციაში ისიც უთუოდ მიიღებს. არადა, კობაზე ჯავარი რომ დაეწერა, ნამდვილად ვეღარ ვენდობოდით და – ჩვენ ისტორიულ მისიას საფრთხე რომ არ შექმნოდა – იძულებული შევიქნებოდი, ისიც მოსაშორებელთა სიაში შემეყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ხელით მის ლიკვიდაციას მართლაც მოვერიდებოდი, მაგრამ ამას, აბა, რაღა მნიშვნელობა ექნებოდა? მან არც ის იცის, რომ მე – საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა – ამ რამდენიმე წლის წინათ ცოლი მხოლოდ იმიტომ შევირთე, რომ ჩემს პოლიტიკურ კარიერას ჩრდილი არ მიდგომოდა. მიუხედავად ყბადაღებული ევროპიელობისა, ქართველები ხომ დღესაც ნამეტანი ტრადიციული ერი ვართ – ჩვენში არ უყვართ უცოლო მამაკაცები უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობებზე. ცოლქმრულ ცხოვრებას კარგა ხანია შეეჩვიე და ჩემი შვილები ძალიან მიყვარს, მაგრამ, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, მაშინ მარტო, კენტად ვისურვებდი დარჩენას. საბოლოოდ მართალი მაინც მე გამოვდექი: ბუნებრივი მელანქოლიისგან ნატა საკმაოდ მალე განიკურნა. ამჟამად მას ნორმალური მეუღლე და ორი ლოყებში ჩასაკბეჩი ბავშვი ჰყავს – ბიჭი და გოგო.

ნატას ქმარს არა უშავს, კარგი ბიჭია. არ სვამს, არ ეწევა. ჩემს სამდივნოში მუშაობს და, ჭკვიანად თუ იქნება და ცოლს არ ანყენინებს, მინისტრის მოადგილეობასაც გამოჰკრავს ხელს. ამას მე მივხედავ.

მაშინ, კობამ კაფედან რომ ლამის კინნისკვრით გამომაგდო და ქუჩაში გამოვედი, გაბრაზებული კი ვიყავი, მაგრამ არაფერი კონკრეტული ჯერ გადაწყვეტილი არ მქონდა. მერე უცებ გამახსენდა, რომ საუბრის დასაწყისში, როდესაც ჩვენს შორის გარიგება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, მას წამოცდა, რომ ექვსი საათისთვის სახლში, პეკინზე აპირებდა გასვლას. დიდი შანსი იყო, რომ ნაადრევად შეწყვეტილი მოლაპარაკების კვალობაზე და ცხელ გულზე დედამისთან უფრო ადრეც მისულიყო, მაგრამ გავრისკე: ჩემი უდავო პლუსი ის არის, რომ სწრაფი გადაწყვეტილებების კაცი გახლავართ. ეს ჩემი პირველი მკვლელობა როდი იყო: „მორჩას“ უმაღლეს იერარქებს ეგ საქმე მაგარი დამუღამებული გვქონდა. საქმის მომთავრებას იმ საღამოსვე თუ მოვასწრებდი, ხომ კარგი – ნატასაც უფრო მალე ეშველებოდა და საქმესაც. თუ არადა, უკეთ მოვემზადებოდი და დაუდეგარ ბატონ კობას რამდენიმე დღეში მაინც გამოვუყვანდი წირვას.

პირველ რიგში, იარაღის საკითხი უნდა მომეგვარებინა. უცებ გავექანე „მორჩას“ სრულიად საიდუმლო საწყობში, სტეჩკინი ავიღე, ლაბადაში საგულდაგულოდ ჩავმალე, ტაქსი გავაჩერე და პეკინზე გავედი. „მორჩას“ იერარქები ძალიან წინდახედულები ვართ – კობას სახლის მიმდებარე ტერიტორიები ადრევე კარგად მქონდა შესწავლილი. მოპირდაპირე სახლის ერთ შორეულ სადარბაზოსთან შედარებით წყანრი ადგილი შევარჩიე – ისეთი, მეზობლებისთვის თვალში საცემი რომ არ ყოფილიყო – და დავუდარაჯდი. ერთ ადგილზე, რასაკვირველია, არ გავჩერებულვარ – ცოტა დამღლელი კი იყო. კი მინდოდა, მობილურით მასთან სახლში დამერეკა და დედამისისგან მაინც გამეგო: მობრძანდა თუ არა სახლში მისი სანაქებო შვილი, მაგრამ ვერ გავბედე.

ექვსი საათისთვის ეზოში ძლიერ შებინდებულიყო და, მახსოვს, უკვე წასვლაზე ფიქრი შემომეპარა, როცა კობა, როგორც იქნა, ეზოს მისადგომებთან გამოჩნდა. ნელა მოდიოდა და მისი თეთრი ქურთუკი სიბნელეში ლამის პროჟექტორივით ანათებდა. სადარბაზოში შესვლა ვაცალე და ეგრევე უკან ავედევნე.

კიბეზე ვიღაც უცხო რომ შემხვედროდა, სროლისგან თავს შევიკავებდი და კობას კიდევ რამდენიმე დღით ნაჩუქარ სიცოცხლეს ვაცლიდი, მაგრამ მას ბედი არ წყალობდა. სადარბაზოში სიჩუმე და წყვდიადი სიბნელე იყო. ფარანი თან მქონდა. მესამე სართულზე დავენე, ფარანი მივუნათე და, როდესაც ჩემკენ შემობრუნდა, ეგრევე პირველი ტყვია ვესროლე. მე მგონი, ვერ მიცნო.

ჩემი თანაქალაქელების ფსიქოლოგია მე საკმაოდ კარგად მაქვს შესნავლილი. ალლომ არც მაშინ მიმტყუნა. სროლის ხმაზე გარეთ არავინ გამოიხედა. როდესაც დაჭრილი კობა პირქვე დაეცა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბეზე ჩამოგორდა, მე ფრთხილად, ისე რომ ფეხსაცმელები სისხლში არ ამომეთხვარა, მივუახლოვდი და კეფაში საკონტროლო მივახალე. შემდეგ სწრაფად ჩამოვირბინე კიბეზე და ეზოებით პოლიტექნიკურისკენ გავექანე. სააკაძის მოედნის ხალხმრავლობაში პირველად ამოვისუნთქე და ნელ სიარულზე გადავედი. მერე ხიდამდე მშვიდობიანად ჩავაღწიე და იარაღი მტკვარში მოვისროლე. ეს იყო და ეს.

სხვათა შორის, „ცოდნის პარტია“ კარგა ხანია, რაც ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს და ამაში ჩემი ქარიზმატული წინამორბედის წვლილი მეტია, ვიდრე „მორჩასი“ და „კმარასი“ ერთად. გააცნობიერა რა პრობლემის არსი, მან ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა: პარტიის ყველაზე ავტორიტეტული ლიდერები თანდათანობით თავისკენ გადმოიბირა, რაც კი იმ პარტიის პროგრამაში პოზიტიური იყო – საკუთარი პარტიის პროგრამაში გადაიწერა და შემდეგ ნაწილობრივ განახორციელა კიდეც – სახელისუფლებო რესურსი დიდი ძალაა. ასე რომ, „ცოდნის პარტია“ ჯერ ლოზუნგების გარეშე დარჩა, მერე კი დაკნინდა და მარტივ მამრავლებად დაიშალა. მისი ყოფილი ელექტორატის უდიდესი ნაწილი ხვალ მე მომცემს ხმას. მაინც რა ტყუილ და უპერსპექტივო საქმეს შეეჭიდა და შეენირა ბატონი კობა.ს!

მიზანთროპია მჭირს. ზოგჯერ კაცობრიობის ერთიანად მოსპობის სურვილიც კი მიპყრობს, მაგრამ მერე ისევ ცოლშვილი მაგონდება, ახლობლები, ჩემი ქვეყანა და ნელ-ნელა სიცოცხლის სიხალისეს ვიბრუნებ. ეს რომ არა, ცუდად იქნებოდა ჩემი საქმე. ადამიანი ცხოველია. შეხედეთ თუნდაც ტელეარხებს. გაუთავებელი ტრამპაცუმპა და ცეკვა-თამაშია. ხანდახან ვფიქრობ: ნეტავ, რა ამღერებთ და აცეკვებთ, როგორ აძლევენ საკუთარი თავის ასე უბადრუკად მოტყუების უფლებას? კიდევ კარგი, განათლების სისტემა ისე გვაქვს აწყობილი, ჭკვიანი ადამიანების მხრიდან არაფერი გვემუქრება. დისიდენტები კი მაგრად გვყვანან დაბლოკილი და, იმედი მაქვს, ჩემი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში ასე დაბლოკილებადვე დარჩებიან. მაგრამ ზოგჯერ მეც კი შემეპარება ხოლმე კითხვა: ერთ მჭამელს მეორე, უფრო მტაცებელი და ხეპრე რომ ცვლის, ეგ არის კაცობრიობის პროგრესი?

ცინიკოსი ვარ, ვიცი, როგორ უნდა ველაპარაკო ხალხს, რითი უნდა მოვხიბლო. მაგარი ვარ, რა!

არ ამირჩიოთ, ხალხო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝᲑᲐᲛᲓᲔ

ინა არჩუაშვილი. „მას ერქვა ვატანაბე“

ლიტერატურა ბევრი რამით ჰგავს კინოს და ფოტოგრაფიას და, რაც უფრო ბუნებრივი ხდება მისი გამომსახველობითი საშუალებები, მით უფრო მჭვირვალდება ამ სახელოვნებო დარგთა შორის სამანიც – ეს დიდი საცდურიც არის მწერლისთვის – „კინოეფექტებით“ გათვლილმა პროზამ შესაძლოა სადმე მწარედაც მიანარცხოს – და არის ასევე დიდი იდუმალება, ოსტატობა, თვითმყოფადობა – თუკი მწერალი მართლაც ნამდვილია და ამ განწყობილებას უტყუარი გუმანით გრძნობს.

ასეთ დროს – გადაშლი წიგნს და, მარტო კი არ კითხულობ – ხედავ. შენ თვალწინ კადრებად ლაგდება წინადადებები, აბზაცები, პასაჟები თავის განცდებიანად; ეს ყოველივე იმდენად ხელშესახებია, ბუნებრივია, თითქოს წიგნში არა და შენში ხდებოდეს ან უკვე მომხდარს გაჩვენებდეს ვინმე.

ასე წერა ყველას არ შეუძლია. ეს არ ნიშნავს, რომ ამაზე კარგად წერაა შეუძლებელი. უბრალოდ, ასე წერაც თავისებური ნიჭია – თითქოს სისხლძარღვების ნაცვლად კინოფირი გაქვს სხეულში გაბმული და ყოველი „ჩართვისას“ ის კინო გადის, რომელიც ალარც გახსოვდა...

დიახ, ასეთ პროზას ხსოვნა ასულდგმულებს. უფრო სწორად, მეხსიერება. ცნობიერების ჭა, საიდანაც ვერცხლის სათლით სიცოცხლე ამოდის.

ეს ყველაფერი ინა არჩუაშვილის ახალ პროზაულ კრებულში შეგიძლიათ წაიკითხოთ ან დაინახოთ. „მას ერქვა ვატანაბე“ – ასეთია კრებულის სახელწოდება და ის გამომცემლობა „ინტელექტმა“ სულ ცოტა ხნის წინათ დასტამბა.

ამ წიგნში ყველაფერი ნათელია, ცხადზე უცხადესი, მაგრამ მაინც საშინლად იდუმალი, რაღაცით დამუხტული – უცნაური მოლოდინით დამუხტული. ერთმანეთს დიდ-პატარა ნოველები ენაცვლება, თუმცა ერთი ამოსუნთქვით წაკითხული კრებულის ბოლოს ხვდები, რომ ერთ ვრცელ ამბავში იმოგზაურე, „ერთი კინო ნახე“. დამოუკიდებელ ნოველებში ხშირად რეკვიზიტებიც კი მეორდება – თაფლი, წერილები, ფოტოები, ფუტკარი... მათ სხვადასხვა ამბავში, სხვადასხვა სათქმელში იყენებს ავტორი, მაგრამ ეს ამბებიც და სათქმელიც ჯიუტად, რაღაც ერთისკენ, მთლიანისკენ მიიზიდება.

კრებულის ანოტაციაში ვკითხულობთ: „მაინც რა არის ეს? დაუმთავრებელი და ბოლომდე ამოუცნობი, ამოუხსნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანური ვნებები? იმ წუთას დაუფასებელი, მერე კი მთელი ცხოვრების საფიქრალად ქცეული წამები? ან იქნებ უბრალო ისტორიები, ყოველდღიურად რომ ხდება და გვესმის, მაგრამ მხოლოდ კარგ მწერალს შეუძლია, თვალნათლივ დაგვანახოს და განგვაცდევინოს".

ზუსტად ასეა – თითქოს ახალი და განსაკუთრებული არაფერი ხდება არც „მამიდაში," არც „მოლოდინში," არც „მესამე წერილში," მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი წაკითხვა სავალდებულო არ არის. პირიქით, იქნებ, სწორედ მათშია ის საიდუმლო ბგერები, რომლებმაც წიგნის მთავარი ხმა უნდა შეაჯერონ, გაამთლიანონ. მათშია დაშიფრული კოდი მომდევნო ნოველების „გასახსნელად," საბოლოოდ კი – წიგნის სულის გასაგებად და დასანახად.

ამ წიგნს რომ სული აქვს და თანაც გვარიანად ძველი, უხსოვარიდან შემორჩენილი სული, ამას პირველივე აბზაცებიდან მიხვდებით. აქ ყველაფერს ხსოვნის სიმძაფრე ახლავს, აქ ვიღაც გამუდმებით ჰყვება ძველ ამბავს, ბავშვობის ამბავს – დაუძალებლად, ბუნებრივად. ჰყვება მარადიული შეკითხვების კუზით დატვირთული და უდაბნოში მოხეტიალე – „სად მიდის ბავშვობა? სად მიდიან ჩვენი საყვარელი ადამიანები? ან ის რა წუხილია, ძველ ფოტოებს რომ დახედავ და გული გეკუმშება?" („მიფრინავენ წეროები").

საგულისხმოა, რომ ეს უბრალო „გახსენებები" არ არის. ამას იმისთვის არ ჰყვებიან, რომ თხრობის ვნება დაიკმაყოფილონ. ეს ხსოვნა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დაჭერილი წამია – შეგრძნებით და სიტყვით განხორციელებული; ეს ხსოვნა უკანასკნელი ზიარებასავით არის, ანუ მადლიანია. მას მოიხმობენ, რათა სიკვდილის წინ განწმენდის რიტუალი ჩაატარონ; მას მოიხმობენ, რათა გადარჩნენ.

ყველგან, სადაც ბავშვობის ნათელი და ფერადი კადრები ენაცვლება ერთმანეთს, იქვეა ჩანთებული სიკვდილის პრიალა, პროჟექტორივით ჩაახჩახა თვალი და მკითხველს ითრევს ეს დაძაბული ორთაბრძოლა, სიკვდილის და ხსოვნის ჭიდილი და, ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივ ამბებსაც მარადისობის ბეჭედი აზის. ეს ის კინოა, სადაც წარმავალზე მარადისობის მეორე პლანიდან გიყვებიან... ეს კარგი კინოა!

ბავშვობის, უხსოვარის კრიალა შთაბეჭდილებებით დატვიფრულ ფოტოებში მთავარი გმირიც მოჩანს – ის ქალია. და, ერთი მხრივ, იმ უღიმღამო სტერეოტიპის ღალატიც, – რომ კარგი ტექსტის მთავარი გმირი აუცილებლად კაცი უნდა იყოს – სულ არ უქმნის ინა არჩუაშვილს დისკომფორტს. პირიქით, ამ წიგნის მთავარი გმირი ქალი (ერთი სახელის სხვადასხვა ალიტერაციით – ირინა, ნაია, ჰანა) ისეთი მკაფიო, ღონიერი ტონებით არის დახატული, რომ „არაფრით ჩამოუვარდება" საპირისპირო სქესის პროტაგონისტებს. ნოველისთვის დამახასიათებელი მოკლე სიუჟეტის მიუხედავადაც, ყველა ტექსტში ეს ერთი ქალი ცხოვრობს – პირდაპირ ან ირიბად, ტკივილიც იმოდენა აქვს, რამხელაც მისივე თავგადასავალია და, ეს ყველაფერი კი მის სულს, ისევე როგორც ხორცს, ჭრილობად ატყვია.

ბევრი რამეა, რაც ამ ქალს ბავშვობის ცინცხალი კადრებიდან სიკვდილის შემზარავ წამამდე აკრთობს და უბიძგებს. ერთი მთავარი დარდი კი უნაყოფობაა, გაუმრავლებლობა, გაუგრძელებლობა. ის სარეველასავით მოსდევია მის ცხოვრებასაც და მის გალმა-გამოღმაც თითქოს სამყაროს ერთმა ნაწილმა აიკეცა საბნის პირივით საფარველი და ჩაბრუნდა თავისსავე სამარეში...

ყველაზე მძაფრად კი ეს განცდა ერთ ნოველაშია. ნოველას „მოლი" ჰქვია. მოლი იმ თოჯინის სახელია, რომელიც გოგონას მშობლებმა ერთი ფრანგული ტრადიციის დაცვით, ზუსტად იმ დღეს აჩუქეს, როცა მან „ქალიშვილობაში შედგა ფეხი" და ბავშვობას სამუდამოდ დაემშვიდობა... იმ დღეს დედამ პირობაც ჩამოართვა, რომ, როცა მასაც ეყოლებოდა გოგონა, ასევე მოიქცეოდა და მოლის ახლა თავის გოგონას აჩუქებდა. გავიდა დრო და ქალად ქცეული გოგონა გადაწყ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ვეტს, თოჯინა მეზობლის ბავშვს აჩუქოს, რადგან... დედისთვის მიცემულ პირობას ვერასდროს შეასრულებს – შვილი რომ აღარ ეყოლება, მას ეს საავადყოფოში უთხრეს...

უნაყოფობა მხოლოდ უშვილობა არ არის და ინა არჩუაშვილისთვის ის მიტოვებულ ეზო-კარშიც და გამოციებულ ბავშვობის სახლშიც იგულისხმება („ცრიატი საღამოები“). საერთოდ, ყოველივე მშობლიურის, მონათესავეს, სულის ძირამდე ახლობლისა და ძვირფასის განცდა ინას თითქმის ყველა ნოველაშია. აქ ამ განცდასაც შეუძლია სიკვდილამდე მიიყვანოს ადამიანი, უფრო სწორად, სიკვდილთან ერთად აცხოვროს, ისევე ბუნებრივად, როგორც სააქაო სამყაროში – ოჯახის წევრებთან ერთად...

„მგზავრის წერილები“ ერთ-ერთი გამორჩეული ნოველაა კრებულშიც და ინას შემოქმედებაშიც. მამაშვილობის უცნაური ამბავია, რაღა უცნაური, ბარემ ძალიანაც ჩვეულებრივი და „ყოველდღიური,“ მაგრამ მაინც არის აქ რაღაც ისეთი, რაც მამაშვილობაზე დაწერილ არც ერთ სხვა ტექსტში არაა, და ეს „რაღაც“ სწორედ ეგ მონაკვეთია – სულის ძირამდე მშობლიურის განცდასა და სიკვდილს შორის არსებული მონაკვეთი, რომელსაც ადამიანი ათასგვარი გზებით გაივლის. ამ ნოველაში ეს მონაკვეთი დროის მისხალით არის დაჭერილი, უხილავი დროის მისხალით, რომელზეც ერთადერთი შვილის შემყურე მამა თავის მერამდენეათასე წერილს წერს...

ამ წიგნს სითამამეც ახასიათებს. პიკანტურ საკითხებზეც კი პირველშობილი განწყობით მოგითხრობენ, სექსზეც, სიშიშვლეზეც, ოღონდ ამ ყველაფერსაც რაღაც უხილავი საბურველი ახლავს, აქ მთავარი არც სექსია და არც სიშიშვლე. მთავარი აქ მათ მიღმაა, მოსახდენის ზღვარზე, სადაც ადამიანის სული სხვა სამყაროს ეხება და ისიც მხოლოდ წამით, ანუ სამუდამოდ... აქ ყველაფერს „ვატანაბეს“ აჩრდილი ფარავს, ანუ დიდი შეუძლებლის, აუხდენელის, მიუწვდომლის, რომელიც ერთხელ ძალიან ახლოს მოვიდა და შენს გულში ცეცხლი დაანთო...

ინა არჩუაშვილს შეუძლია, ისე მართოს თხრობა, რომ თანაბარი ენობრივი სიმდიდრეებით (სისადავეშიც როა) განგაცდევინოს კონკრეტული პასაჟის თუ პერსონაჟის სიმძაფრე, ვნება, ფერადოვნება. შეუძლია, კახური დიალექტის ხვავითაც მოგაწოდოს სათქმელი და უკიდურესად დანურული, ზომიერი გამომსახველობითი საშუალებებითაც გელაპარაკოს. ეს მისი ოსტატობაა. მას შეუძლია, რამდენიმენინადადებიან მინიატურაშიც გულის გახეთქვამდე ტკივილი ჩატიოს („დეგუსტაცია,“ „ბერიქალები,“ „სიზმარი“). მას შეუძლია, ისე წეროს, რომ შენ გეჩვენებოდეს, თითქოს კინოს უყურებ. ოღონდ, ერთი შეხედვით მეტისმეტმა ჩვეულებრიობამ, უბრალოებამ არ მოგატყუოს და მართლა ჩვეულებრივი არ გეგონოს ეს სამყარო, ინას სამყარო. ამ კინოს მეორე პლანზე მარადისობა „მუშაობს“. ეს სწორედ ის კინოა, რომელსაც უყურებ, უყურებ და ამ ყურების მერე ვეღარაფრით იქნები ისეთი, როგორიც მანამდე. და, შესაძლოა, ამ განცდას შენც ვატანაბე დაარქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელა ჯიყაშვილი

წერილი არჩილ ქიქოძეს

კავკასიის მთებშიც ვარ ნამყოფი და ისეთი სოფლებიც ფეხდაფეხ მაქვს შემოვლილი, იშვიათად რომ ესტუმრება ვინმე... სახელდახელოდ გაშლილ კარავშიც მძინებია და გულლია მასპინძლის ძველებურ რკინისბადიან საწოლზეც. წყალს რკინის უხეში ჭიქიდან ვსვამდი, ღვინოსაც, სხვათა შორის, და დაუზარებლად ვუსმენდი ამბებს, რომლებსაც ზოგჯერ მართლა ვუსმენდი, ზოგჯერ კი ვხედავდი. ეს „ამბები“ კი, გაუპარსავები და კბილებდაცლილები, ზოგჯერ, პირიქით, თეთრი, ჯანსაღი კბილებით მოცინარეები, გაუხეშებული ხელისგულებით წმენდნენ ხის სკამებს, ვიდრე დასაჯდომად მომაწოდებდნენ. შეციებულები ისეთ ქურთუკებს, ბაბუაჩემი „ტუჟურკას“ რომ ეძახდა, მხრებზე მოიგდებდნენ, დამუხლულ შარვლებს ჩამოფერთხავდნენ, მზეს მოიჩრდილავდნენ და ჰყვებოდნენ და ჰყვებოდნენ...

გაუვალ ტყეებშიც ვარ ნამყოფი, დიდი რეზინის ჩექმებით დავდიოდი. მეცხვარეებთან ერთადაც ვათევდი ღამეს და მონადირეებსაც ვახლდი ზოგჯერ.

კიდევ იშვიათ ფრინველებს ვეძებდი, მართალია, უფრო ხშირად სხვებისთვის საჩვენებლად, მაგრამ მაინც...

კიდევ მიყვარდა, როცა ბავშვებს დავინახავდი სოფლებში, სადაც მოხუცების მეტი არავინ მეგულებოდა... იმათი ფრთხილი და ინტერესიანი გამოხედვა მიყვარდა...

მიყვარდა მოხუცებიც, იმათი შეჭმუხნილი შუბლები და თვალის კუთხეებში მზის სხივებად გაჩენილი ნაოჭები.

არ დავიღლები ამეების მოყოლით... ოლონდ ერთი პატარა დეტალი უნდა გავამხილო – ის დვრიტა, რომელზეც ეს ჩემი მოგზაურობები აიგო, ჩემი არ არის – არჩილ ქიქოძისაა: ეს მისი სიტყვის წყალობით არის, ყველგან რომ ვარ ნამყოფი, იმიტომ, რომ არჩილ ქიქოძის მოთხრობებთან ერთად მიცხოვრია... უფრო კარგადაც ვიტყვი: ის საქართველო დამითვალიერებია, რომელზეც არჩილი წერს, და ის საქართველო წამიკითხავს, რომელსაც ფოტოაპარატით იღებს...

არჩილთან ერთად ქალაქის შუაგულშიც არაერთხელ ვყოფილვარ და, ისეთ მტვერსა და ჭუჭყში მიპოვია სუფთა გულის ადამიანები, თვითონ გამკვირვებია... მაგრამ ახლა სულ ბოლო წასვლაზე მოვყვები – „ჩიტისა და კაცის ამბავი“ ბოლო იყო...

●

იშვიათად მინახავს ისეთი დამზოგავი და დამნდობი ყოფილიყოს მწერალი,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

არჩილი რომ არის. ჩემთვის მთავარი ეს ამოსავალია. ამ ჰუმანიზმის წყარო, ზუსტად ვიცი, ქიქოძეების ოჯახია – ძველი საწერი მაგიდა და დურბინდი, რომელიც „ახლოოთ განჩხრეკილი კაცის“ ნახვის საშუალებას იძლევა.

„პატარა რომ ვიყავი, ჩვენს სახლში დიდი ხის მაგიდის უჯრაში შენახული დურბინდი ჩემთვისაც გასაოცარი ნივთი იყო. თვითონ ის მაგიდა იყო საოცრება – მთელ ჯერაც ჩემთვის უცნობ სამყაროს იტევდა თავის უჯრებში. მგონი, სამყაროს შეცნობა მიზიდულობის ძალით დავინყე იმიტომ, რომ პირველ გასაოცარ ნივთად მაგნიტი მახსოვს. ძლიავძლიერობით გამონეულ უჯრაში ნაპოვნი უზარმაზარი ნალის ფორმის მაგნიტი ისე მაგრად ინებებდა ბღუჯა-ბღუჯა ლურსმნებს, რომ აგლეჯვა მიჭირდა. მაცივრის კარსაც ყრუ ხმაურით ეკვროდა. იმავე მაცივრის ალუმინის სახელურს კი რატომღაც საერთოდ არ იზიდავდა... მიზიდულობის ძალას სინათლე მოჰყვა – მაგიდის სხვა უჯრიდან ნაპოვნი და ღამით მალულად საბნის ქვეშ განთებული ვერცხლისფერი ფანარი და ბოლოს დამოკლებული მანძილი – ტყავის ბუდეში მოთავსებული ძველი დურბინდი და იმით მეზობლის ფანჯრების და სარეცხის თოკზე ჩამომჯდარი ბელურების თვალთვალი. ამ ყველაფერს სუნიც ახლდა, ძველი ხის მასიური მაგიდის უჯრებში ჩაბუდებული შესაცნობი სამყაროს შესაყნოსი სურნელი.

მაგიდა ისევ თავის ძველ ადგილზე დგას, მაგნიტის და ფანრის ბედი არ ვიცი, სუნიც დიდი ხნის წინ დავკარგე, აი, „სვაროვსკისთან“ არგამოსაჩენი ჩემი დურბინდი კი აქვეა, ხორნაბუჯის ქვეშ დაყენებული ჩემი „ლენდროვერის“ ბარდაჩოკში. იმავე ძველ ტყავის ბუდეში ბინადრობს ჩემი რეალისტი დურბინდი. ჰო, მართლა რეალისტია, რადგან მატყუარა „სვაროვსკიში“ საბყარო უფრო ფერადი და ჭახჭახა ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. ჩემი კიდევ ისეთია – ნაღდი, ძველი და არაფერში არ გასაცვლელი“... („ჩიტის და კაცის ამბავი,“ „მეფე“).

არაფერში არგასაცვლელია დურბინდი, რომლითაც სამყარო ასეთი ნაღდია.

საერთოდ, „ნაღდი“ ის სიტყვაა, რომელიც არჩილის მოთხრობების გააზრებისას შეიძლება მრავალგზის იხმარო: ნაღდი სიტყვა, ნაღდი კაცი, ნაღდი დამნაშავე, ნაღდი ჯალათი... ოღონდ საქმეც ის არის, რომ მაშინაც, როცა „ნაღდ“ ნაძირალას წაანყდები, ეს შენ არ გმიჯნავს მისგან. პირიქით, იმ ძველი მაგნიტივით გიზიდავს, გვერდით გამოფენებს და ამპარტავნობისგან გცლის. ავტორისეული „ჩასაფრების ადგილი,“ საიდანაც ამ ყველაფერს უყურებს, განსაკუთრებულია, მისი თვალი – მახვილი, სიტყვა – მოქნილი, იუმორი – ხშირად შეფარული და მწვავე...

ეპოქაში, როცა სიტყვა სამშობლომ, ისე, როგორც პატრიოტიზმმა, ფასი დაკარგა, რადგან მათ ხსენებაზე უმრავლესობას მიტინგი და დეპუტატის წინასაარჩევნო სიტყვა წამოუტივტივდება მეხსიერებაში, სათქმელი უნდა ითქვას, მაგრამ როგორ? იმავე პათოსით და იმავე ტონალობაში, ოღონდ – საწინააღმდეგო?! – ეს მწერლისთვის გამზადებული სამარე იქნებოდა. არჩილი საუკეთესო გამოსავალს პოულობს, კი არ „პოულობს“ და თავის არსებაში ფესვგადგმულ „ნაღდს“ სამზეოზე გამოსვლის საშუალებას აძლევს. ეს „ნაღდი“ არც ზედმეტად დამტკბარია, არც რომანტიკული, არც ნაოცნებარი... ეს ის არის, რაც მართალ არის, ოღონდ, კარგი რეჟისორის გადაწყვეტილებისა არ იყოს, კამერა დგას ძალიან ეფექტურად.

„ჩიტისა და კაცის ამბავში“ შემავალ ერთ-ერთ მოთხრობაში – „თომა“ – ავტორი წერს: „ქაქუცას ძმა პირველად მოლოკანმა ვალია ხამუტოვამ ახსენა. ქაქუცა რომ ჩემთან მოდიოდა (ვალია ამბობს „კაკუც“), მანქანას მოშორებით აყენებდა (მამამისის ჟიგულით ჩამოდიოდა ხოლმე) და იმის ძმას დარაჯი ძაღლივით მანქანაში ეძინა. არ ვიცი, კაკუცს დარაჯობდა თუ მანქანასო...

– Какой еще брат, Валиа?

– Да этот Тома – уродец маленький...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგ სულ ჯეელობის ამბებია. მე შემიძ-ლია ახალგაზრდა ვალია წარმოვიდგინო, ახალგაზრდა ქაქუცას წარმოდგენაც არ მიჭირს, აი, თომას კი ვერაფერი მო-ვუხერხე. ასე მგონია, პატარა რომ იქნე-ბოდა, მაშინაც ეს ბებრული თავი ებმე-ბოდა ბიჭის ტანზე...“

ქაქუცა, სახელი, რომელიც უმრა-ველესობას ქაქუცა ჩოლოყაშვილს უნდა ახსენებდეს, ერთ ლოკალურ გარემოში, იქ, სადაც ვალია ხამუტოვა ცხოვრობდა, სულ სხვა კაცს ახსენებდა ყველას. იქაურ ქაქუცა ის არ იყო, ვინც შეუპოვრად გაიჭრა ტყეში და თავის რაზმთან ერთად სიცოცხლე გაუწმარა ნითლებს (არამარ-ტო მათ). აქ ქაქუცა „კაკუც“ არის – სულ სხვა მენტალობის და საქმიანობის კაცი, მაგრამ არეალი კაკუციის არის, მისი სა-ბატონოა, ამიტომ აღარავითარი მნიშ-ვნელობა არა აქვს, ვის ერქვა ადრე ეს სახელი. ესეც შეფასებაც და განაჩენად ქცეული სიმარილეც!

ამ რეალობაში მეფეები სხვა მეფეე-ბი არიან – არა ისინი, ვის სახელებსაც უმრავლესობა სადღეგრძელოებში ლექ-სად ამბობს ხოლმე და ვის ამბებსაც შელამაზებულს და დიდების მანტიით მოსილს ხალისით გადავცემთ შთამომა-ვლობას.

მაგრამ მეფე რაკი მეფობს, კარის შეთქმულებაც აუცილებლად იჩენს თავს ამ სამყაროში:

„ეს მუქთა, ნაპოვნი ფულების ამბავია, კიდევ მოწყენილობის და, მგონი, შიშის. მთელ იმ ამბებში, რაც მეფემ ჩაიდინა, იყო რაღაც მისთვისვე საბედისწერო. ეგეთი რამეები მინახავს. ადამიანმა იცის, რომ დაისჯება, იცის რომ არ აპატიებენ, ძმრად ამოადენენ ნაქურდალს, მაგრამ მაინც შვება, თანაც მოპარულ ფულს სრულიად გიჟურად, უაზროდ და საბე-დისწეროდ ხარჯავს. მეფის ამბავიც ასე იყო. დარწმუნებული ვარ, ცეცხლივით ეშინოდა მამის და მაინც გააკეთა, რაღაც ბრიყვული ამბოხის მსგავსი მოაწყო...“

არჩილ ქიქოძის დახატული სამეფო იმდენად დაუჯერებელია, რამდენადაც ბოლომდე ნაღდი. ამიტომ ერთბაშად გთრგუნავს და გაოცებს, გაბრაზებს და მასხრობის ხასიათზე გაყენებს. ეს ავტო-რისეული დამოკიდებულებაა სინამდ-ვილესთან, მის რეალურ ცხოვრებაში, სიზუმის მიღმა, თავს რომ არასდროს მალავდა.

არჩილ ქიქოძე დამალვის კაცი არ არის, ის საიდუმლოს კაცია. მისი საიდუ-მლო ჩადებულია ყოველ მოთხრობაში, ყოველ ფრაზაში, ყოველ ფოტოში.

●

ბოროტება ყოველდღიურობიდან იწყება და უსასრულოდ ვითარდება. ეს არჩილ ქიქოძისთვის ნაცნობი და საკ-მაოდ მძიმე რეალობა, ყოველგვარი დამრიგებლური ტონის გარეშე (ამას ვერ იტანს ბავშვობიდან!) შემოდის შემოქმე-დებაში. ეს არ გახლავთ ლოკალურად ქართული მოვლენა, ჩვენი ყოველდღიუ-რობა. ეს კაცობრიობის საფიქრალია.

„ცხრამეტი თუ ოცი წლის წინ ერთ მუზეუმში შევეხეტე. ეს იყო ბელგიის ქალაქ ბრიუგეში, რომელიც თვითონაც კეთილმოწყობილი მოხუცებით დასახ-ლებულ ერთ დიდ მუზეუმს გავდა. მაშინ პირველად მოვხვდი ახლადაწეული რკი-ნის ფარდის მეორე მხარეს და მშობლებს ვყავდი დარიგებული, რომ იმდენი მუზეუმი უნდა მენახა, რამდენსაც შევძ-ლებდი. ბრიუგედან და მთელ ბელგიაში ნანახი მუზეუმებიდან მხოლოდ ერთი ნახატი დამამახსოვრდა სამუდამოდ. ეს ჩრდილოური რენესანსის ვიღაც ნაკლე-ბად ცნობილი ფერმწერის უზარმაზარი ტილო იყო. მაგიდაზე გაფარჩხული ადა-მიანს, მისკენ დახრილი რამდენიმე სხვა ადამიანი ცოცხლად აძრობდა კანს. მათ საქმიანობაზე შემზარავი, მსხვერპლის ტკივილიან, სასოწარკვეთილ სახეზე შემზარავი, ჯალათების საქმიანი იერი იყო. უბრალოდ საქმეს აკეთებდნენ და სწორედ ეს საქმიანი ფუსფუსი ტოვებდა იმ საშინელი გამოუსავლობის შეგრძ-ნებას, მაშინ ნახატის ყურებისას რომ დამრჩა და დღემდე გამომყვა, როგორც

ბოროტების ნამდვილი სახე – არც სარკის წინ ნასწავლი დემონური გამოხედვა, არც გაშმაგებული ბრბო ისე არ მაშინებს, როგორც ყოველდღიური საქმე-საკეთებელივით ნაკეთები ბოროტება“.

შემზარავ სურათს, რომელიც მოთხრობაში „დოკუმენტი“ ვკითხულობთ, სრულიად არ ახლავს უსუსურობის, ყელში მონოლილი ბოღმის განცდა, რაც ჩვეულებრივი იქნებოდა ჯალათზე დაწერილი მოთხრობისთვის. ეს იმდენად ყოველდღიურობაში გადატანილი გაზრებაა ფაქტისა, რომ ნელი სიკვდილით გკლავს. გაშინებს, ოღონდ არა ბებერი ჯალათი და მისი ნაკეთები საქმეები, არამედ შენი თავი ყოველდღიურობაში „გაჯალათების“ პერსპექტივით.

ზოგჯერ, როცა ავტორი ადამიანის შინაგან სამყაროს დეტალურად შიფრავს და აღწერს, მწერალზე ამბობენ, ფსიქოლოგიური მწერალიაო. არჩილ ქიქოძეს არ სჭირდება, ზედმეტად შეეხოს რომელიმე პერსონაჟის სულიერ სამყაროს და „განსჯა-განხილვა“ დაიწყოს. მისი ფსიქოლოგიურობა დიდ სიღრმეებშია გადატანილი და ზემოთ ნახსენები საიდუმლოებით მოცული, თუმცა ეს არ უშლის ხელს, რომ უზადო ოსტატობით მკითხველის ფსიქიკაში გაიხსნას ფსიქოლოგიური შრეები ამა თუ იმ პერსონაჟისა თუ მოვლენისა, რაც, დამეთანხმებით, იოლი მისაღწევი არ არის...

●

როგორი უნდა იყოს მწერალი? – მებრძოლი თუ განყენებულად მდგომი მარტოსული, კეთილშობილი და საკუთარი კეთილშობილების გამო დაუცველი თუ შემტევი? სად არის მისი ადგილი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არაერთ ავტორიტეტს უცდია. არჩილ ქიქოძე უმცირესობაშიც არის და დინების საწინააღმდეგოდაც მიდის, მაგრამ დაუცველი არასდროს ყოფილა. სულ უბრალო ფრაზები მისი მოთხრობიდან, რომელიც შეიძლება იყო და შეიძლება არც იყო მის ცხოვრებაში: „იმ შორეულ საღამოს კი, მილიციიდან გამოსულები, მე და მამა ტროლეიბუსით ვბრუნდებოდით შინ. ერთმანეთს არ ვუყურებდით. მას აუცილებლად რაღაც უნდა ეთქვა, იცოდა, რომ ეგეთ დროს რამის თქმა იყო საჭირო და უმდგეგოდ ეძებდა სიტყვებს. მე ამას ვგრძნობდი და არ ვიცოდი, რა მერჩივნა – ეპოვა ის სიტყვები თუ ასე ჩუმად გვევლო? ჩეხური ტროლეიბუსი გულისგამაწვრილებლად ჭრიალებდა...

ბოლოს მაინც მითხრა:

„ერთი რაღაც დაიმახსოვრე... მე მირჩევნია, შენ დაგჭრან, ვიდრე – შენ დაჭრა ვინმე...“ – ძველი ხის მაგიდის უჯრიდან ჩემს მიერ მოპარული და მილიციის განყოფილებიდან უკან გამოტანებული სანადირო დანა ქურთუკის ჯიბეში ედო“.

ეს დანა ახლა თითქოს არჩილს უდევს უბეში, ოღონდ თავადაც ზუსტად იცის და მკითხველიც გრძნობს, რომ არასდროს გამოიყენებს... მასაც ის ურჩევნია, რაც მამამისს.

მამის მიმართ საკრალურობამდე მისულ დამოკიდებულებაზე არჩილი არასდროს საუბრობს – ეს ის თემაა, რომელზეც მხოლოდ ფიქრი შეუძლია.

●

არჩილ ქიქოძე არის მწერალი, რომელიც ხმამაღლა მისალმების სურვილს გიჩენს: გამარჯობა, არჩილ!

გამარჯვება, რომელიც საფუძვლად უდევს ქართულ სალამს, ყველაზე უპრიანი სურვილია მწერლობის მისეული სტილისთვისა და მისი ხედვისთვის.

ერთი ძველი წერილი პირადი მიმოწერიდან, რომელსაც ვერ შეველივ:

„გამარჯობა, არჩილ!

ძალიან გამეხარდა, რომ თქვენი წერილი მივიღე და ერთი ადრიანი დილა ჩიტის და კაცის ამბებით გავილამაზე. ერთი-ორჯერ ვიფიქრე კიდეც, იქნებ წინასწარ განვსაზღვრო-მეთქი, მერე რა მოხდება... ვერაფერი გამოვიცანი, იმიტომ, რომ მოულოდნელად და წინდაწინ განუსაზღვრელად კარგი იყო, რაც წავიკითხე. ადრეც მითქვამს, რომ მიყვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს (თქვენს უნდა დამეწერა, მაგრამ გამახსენდა, ბოლოს რომ შენიშვნა მომეცი ამის თაობაზე და თავს ძალა დავატანე:)) მოთხრობებში, რომ ცუდი არასდროს არის უკუნი ცუდი და კარგი – სხივოსანი კარგი (თუმცა ზოგჯერ გაკრთება ვიღაც უპატიებელი მუნდირიანი თუ უმუნდირო, გაქვავებული და სასტიკად ბინძური, ის, ვისშიც აღარ არსებობს არანაირი ჩიტი, არანაირი იმედი ან სინანული. ის ნაცრისფერი ლაქასავით მრჩება გონებაში)... მიყვარს, რომ ყველაფერი ერთმანეთში გადადის და ადამიანების ჩიტურ ცხოვრებას მიჰყვება. მეფეები მეფეებიც არიან და ბოგანოებიც, ბატონები – ბატონებიც და თავისივე მონაპოვარის ტყვეებიც... ჩვენ კარგა ხანია გვგონია, რომ ჩიტებივით არ ვცხოვრობთ, რაღაცებს ვგეგმავთ და გარანტიებსაც წარმოვისახავთ, თუმცა მაინც ვერაფერს ვშველით თავს და ჩიტებად ვრჩებით...

ერთხელ მოხდა ასეთი რამ, ჩემ დეიდაშვილსა და მის მეგობარს ვუთხარი, მირჩევნია, სხვამ მოკლას გიორგი, ვიდრე გიორგიმ იმსხვერპლოს ვინმე-მეთქი. მისი მეგობარი გაოგნებული მიყურებდა – ვერასდროს დაგეთანხმებიო... გიორგი (ჩემი დეიდაშვილი) არ მიყურებდა, მინას ჩაშტერებოდა... რაღაცნაირად გულზე მომხვდა, ეს სიტყვები რომ ნავიკითხე... ერთ რამეს მივხვდი, როგორც არ უნდა გაბრაზდე, როგორც ავტორი, არავის „კლავ," თუ ვინმე მოსაკლავია, იმასაც რაღაცნაირად ზურგს უკან ტოვებ... აღარ მისდევ კლდის პირამდე, რომ მერე მისი ძირს გადავარდნით „გული მოიფხანო..." ილიასი არ იყოს, ნუ გაიქეციანებთ გულსა და აღარც მისი მოფხანა დაგჭირდებათო... გულის მოფხანა არ გჭირდება და ეს გულწრფელად მიხარია...

ამ არეულ სამზეოში, სადაც ერთ უბედურებას მეორე ცვლის და გამუდმებულად კალეიდოსკოპივით ახალ-ახალ კომპოზიციებს გვთავაზობს, „ჩიტის და კაცის ამბებს" შეუძლია, დავინყებული ჩიტებისა და ადამიანების სახეები გააჩინოს, ამიტომ ძალიან მიხარია, რომ ეს მოთხრობა არსებობს.

შეიძლებოდა უფრო მეტიც მელაპარაკა, რადგან, შენს მოთხრობებს როცა ვკითხულობ, მინდება ბევრი რამ ვთქვა ერთბაშად, ისევე ბევრი, როგორი ბევრიც მათში ამოვიკითხე – სხვადასხვანაირად დასამახსოვრებელი ბევრი ჩიტისა და კაცის ამბავი," – დავწერე ეს წერილი ერთ დღეს რაც შემეძლო მოკლედ. მერე მონიტორზე გამოჩენილ ღილაკს დავაწკაპე და კომპიუტერმა „ითხრა," რომ წარმატებით გავგზავნე.

●

იმ წერილის გაგზავნის მერეც არაერთხელ მომსვლია გონებაში ეს ორი სიტყვა: გამარჯობა, არჩილ!

მაშინ, როცა ხორნაბუჯს გავხედავდი ან ქართული სოფლის ორღობეში მომიხდებოდა გავლა, მაშინ, როცა ავდარი იდგა და ცა მოქუფრული იყო, და კიდევ მაშინ, როცა რომელიმე მზით გარუჯულ, ნაოჭებით დაღარულ ქართველ გლეხს შევხვდებოდი სადმე.

ჩიტების შიშს ორნითოფობია ჰქვია. ცხადია, ორნითოფობი არ ვარ... იმდენად ასფალტზე ვცხოვრობ, ჩიტების არსებობა სულ აღარ მახსენდება, არც შიშით და არც სიყვარულით... იშვიათად ხიდზე გადასვლისას მტკვარზე მოტივტივე თოლიებს თუ დავხედავ და კიდევ ერთი: რომელიღაც ჩიტის გალობა თუ ჩამესმება და ადრეულ ბავშვობაში ჩემი მამა-პაპის სოფელში გაგონილ გალობას თუ გამახსენებს... ეს არის და ეს...

თუმცა მას მერე, რაც „ჩიტისა და კაცის ამბავი" წავიკითხე, სხვაგვარად დავფიქრდი ჩიტურ-კაცურ წუთისოფელზე, და ფრთოსნებმაც რაღაცნაირი გამოკვეთილი ადგილი დაიკავეს ჩემს წარმოსახვაში. თუმცა არჩილი იმდენად ჰუმანურია, რომ ბოლომდე არც კაცთა მოდგმას იმეტებს. ჩიტურ ცხოვრებასაც აქვს თავისი ჩრდილები:

„გათავისუფლებული ნახევარდუმიანი ცხვარი მხრებზე მოგდებული მიმაქვს თავდაღმართში – უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე. ქურთუკი იმის მატყლით და

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სისხლით მეთხვრება. კხხ, კხხ, კხხ... ზევიდან, ტყვიისფერი ციდან ჩამოგვახვეულებს ყორანი. ამის სადილიც მე მიმყავს სახლში. ბედი მაქვსო, შენ უნდა თქვა, ცხვარო! ჯერ მელა მოგილებდა უკნიდან ბოლოს და მერე ეს ამოგკორტნიდა თვალებს. ყვავების და კაჭკაჭების მერე, ან იქნებ მანამდეც, ყორანი მოვიდოდა, ჯერ თვალებს დაგთხრიდა და მერე გემოსაც გაგისინჯავდა. ნეტა, რატო აკეთებენ ეგრე? იქნებ, მაგათაც თვალღია მიცვალებული აფრთხობთ. მერე ორბები და სვავები გაჩნდებოდნენ. ეგენი მუდამ ყორანს უცდიან – სულ რომ შიმშილით სიქა სძვრებოდეთ, მაინც არ დაეშვებიან ლეშთან, სანამ ყორანი არ მივა, თვალებს დაკორტნის და ეგ ნიშანივითაა დანარჩენებისთვის, რომ უსაფრთხოა აქაურობა. მაღალი ციდან მაშინღა დაეშვებიან უზარმაზარი მელოტი ფრინველები, მართვეობაშიც რომ ბებრის იერი აქვთ, იმსიგრძე ქოსა კისრები კიდევ შიგნეულში ღრმად საძრომიალოდ აქვთ მიცემული. მინაზე მოუქნელი ბაჯბაჯით იციან ლეშთან მისვლა და ნახევარ საათში არაფერი გადაურჩებათ ძვლების მეტი. ძვლებს კიდე ღამით გამოუჩნდება მუშტარი".

ეგეც შენი ჩიტები... ფრთოსნები და ცის მკვიდრები ეძახე და რომანტიკულ ამბებში ჩართე გონებაში... იმათაც კარგი ჯიჯგნა იციან!

არჩილ ქიქოძეს ამ სურათში ნარმოვიდგენდი ყველაზე ცხადად: უხეში სამოგზაურო ფეხსაცმელი და უხეშივე ნაჭრის ქურთუკი აცვია, ცალ მხარეს ფოტოაპარატი აქვს გადაკიდებული, მეორე მხარეს – დურბინდი. მხრებზე ჯაგებიდან გამოხსნილი ცხვარი შემოუდვია და განაფული ნაბიჯით ჩადის ფერდობზე. ცხვარი სანყალობლად ბღავის, არჩილი დუმს. მას გადარჩენილი ცხვრის სიმძიმე გზის სირთულეს უათკეცებს, მაგრამ ამას ვერ გრძნობს. ის ყველაზე დიდი ჰუმანისტია ჩემი ნაცნობებიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენის – „ყოფიერების სახლის“ – კრიზისი

საუბრობენ ანდრო გუაჩიძე და ზაზა შათირიშვილი

ა.ბ. – XX საუკუნის პირველი ოცდაათწლეული კულტურული აღზევების ხანა იყო ევროპასა და რუსეთში. რუსებმა ამ ეპოქას „ვერცხლის საუკუნე“ უწოდეს. ეს იყო ლიტერატურული და რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის წარმოჩენის დრო. იგივე მოხდა საქართველოშიც ლიტერატურის, ხელოვნების, სიბრძნისმეტყველების სფეროში. ეს ეპოქა კატაკლიზმების ნიშნით იყო აღბეჭდილი. სამწლიანი თავისუფლება 1921ნელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით დასრულდა. დაიწყო რეპრესიები. თუმცა კულტურული აღზევების ეპოქა არ შეწყვეტილა, 1930 წლამდე გრძელდებოდა. ამ ნლებში გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი,“ გრიგოლ რობაქიძის „გველის პერნგი,“ გალაკტიონის „ასი ლექსი,“ გერონტი ქიქოძის ესეები, პუბლიცისტური წერილები და სხვ. ეს ეპოქალური ცვლილებების დრო იყო, რომელიც მაღალ დონეზე აღიბეჭდა ქართულ ლიტერატურაში.

იმავეს ვერ ვიტყვით გასული საუკუნის მინურულზე, 90-იან წლებსა და მომდევნო პერიოდზე, თუნდაც დღევანდელ დღეზე. დაემხო საბჭოთა იმპერია, ლიტერატურა განთავისუფლდა ცენზურისაგან, მოხდა ეპოქალური ძვრები, დგროვდა უამრავი მასალა – საწუხარი, საფიქრალი, საკეთებელი. ხელახლაა გასააზრებელი ყველა ის პრობლემა, რომელიც ფუნდამენტურია ჩვენთვის, ქართველებისთვის – ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, საით მივდივართ? ხომ არ დავკარგეთ საუკუნეების წიაღში გამოტარებული ჩვენი ნამდვილი სახე? ეს შეკითხვები ისევე ბუნებრივად იბადება დღეს, როგორც XX საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში იბადებოდა, მაგრამ მაშინ თუ პასუხისგამცემი არსებობდა, ახლა სრული დუმილია გამეფებული. მწერლობა, ჩვენი ერის მთავარი ზნეობრივი საყრდენი, ფუნდამენტურ საკითხებზე ფიქრს თავს არიდებს, ფორმალური



ჩხირკედელაობით, წვრილთემიანობით ან თავშესაქცევი ისტორიებით არის გართული. რა ვქნათ? იქნებ მწერლობა აღარ არის ჩვენთვის ის ფენომენი, რაც აქამდე იყო, თუ ჩვენ თვითონვე გაგვიწყალდა სიტყვა და გაგვიქრა წარმოსახვა?

ზ.შ. – ქართული ლიტერატურული სამყარო დღეს ღრმად ფრაგმენტირებულია. აქ მე ოდნავადაც არ ვგულისხმობ ლიტერატურული წრეების, „სალონებისა“ თუ „ტუსოვკების“ სიმრავლეს. ასეთი რამ ლიტერატურულ პროცესს თითქმის ყოველთვის ახასიათებდა და ახასიათებს. მე ვსაუბრობ მკითხველი აუდიტორიის იმგვარ ფრაგმენტაციაზე, როცა შეუძლებელი ხდება ნამდვილად მნიშვნელოვანი ნაწარმოებისა თუ ნამდ-



ვილი შემოქმედის ამოცნობა. ეს საკითხი ცდება სუბიექტური გემოვნების ფარგლებს და ბევრად უფრო სერიოზულ კრიზისზე მიუთითებს – ესაა ენის, როგორც „ყოფიერების სახლის“ კრიზისი. არავინ იფიქროს, რომ მსგავსი რამ მხოლოდ ჩვენში ხდება – საუბარია გლობალურ ფენომენზე, რომელზეც ბევრი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი თუ ფილოსოფოსი დიდი ხანია მიუთითებს. ასეთ პირობებში უკვე შეუძლებელია საუბარი ერთიან სალიტერატურო კანონზე, სკოლაზე, – სადაც ეს კანონი ისწავლება და – უნივერსიტეტზე, სადაც მიმდინარეობს ამ კანონის გააზრება თუ გაანალიზება.

ცნობილი თანამედროვე თეორეტიკოსი, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ჰანს ულრიხ გუმბრეხტი თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ გამოკვლევაში მიუთითებს, რომ სალიტერატურო დისციპლინების ველი იმ სახით, რა სახითაც ის XX საუკუნის 70-იან წლებამდე არსებობდა – დამთავრდა. ჩვენ საქმე გვაქვს ახალ ფენომენებთან, რომელთა გააზრებაც საკმაოდ რთულია, რადგან ჩვენ ამ ცვლილებებში ვიმყოფებით.

ცხადია, რომ ეს მეთოდოლოგიური კაპიტულაციაა. მაგრამ გუმბრეხტი სულაც არაა გამონაკლისი. ესაა ჩვენი დროის ნიშანი – ჩვენ ვეღარ ვასხვავებთ ესთეტიკურად უკეთესსა და უარესს, რომლის უკანაც კიდევ უფრო დიდი – უკვე ეთიკური პრობლემაა – ჩვენ ვეღარ ვასხვავებთ კარგსა და ცუდს, კეთილსა და ბოროტს. იმას, რომ ესთეტიკური რელატივიზმი მორალურ რელატივიზმთან კორელაციაში იმყოფება – არავინ უარყოფს. მთავარია, ჩვენ თვითონ როგორ ვაფასებთ ამას – როგორც ემანსიპაციასა და გათავისუფლებას, თუ – როგორც ბანალურ განურჩევლობასა და ტრივიალურ გულგრილობას.

XX საუკუნის ქართული ლიტერატურა უეცრად დაიწყო – 1916 წელი რევოლუციური წელი აღმოჩნდა. ამ წელს გამოვიდა ქართველი სიმბოლისტების ჟურნალი „ცისფერი ყანწები“. 1919 წელს გალაკტიონის „არტისტული ყვავილები“ გამოიცა. სულ მალე 100 წელი შესრულდება ამ მოვლენებიდან. ეს საკმარისი დროა გააზრებისა და შედარებისათვის, შეფასებებისა და ანალოგიათა გავლებისათვის.

შეიძლება 100 წლის წინანდელი მოვლენების მსგავსი ლიტერატურული პროცესი წინ გველოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ემზარ ყვიტაიშვილი

წიგნიდან „რქაწითელის მტევანი“

ემზარ კვიტაიშვილი მუშაობს ჩანაწერების (დღიურების) ახალ წიგნზე „რქაწითელის მტევანი,“ რომელიც, ჩვენი აზრით, საინტერესო შენაძენი იქნება ლიტერატურის ამ ჟანრის მოყვარულთათვის.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ წიგნიდან.

ჭკუის სასწავლად გამომადგებოდა

10.08.2008. წავიკითხე დიდი პოეტისა და ნამდვილი ბრძენკაცის ხუან რამონ ხიმენესის დღიურის ერთი ნაწყვეტი (კიდევ კარგი, მიხვედრის უნარი შემრჩა); ისეთ რამეს წერს, თითქოს მე, საქმედალეულს, წვრილმანებზე მომაბეზრებლად, უსაშველოდ გამოდევნებულს, ჩაქუჩს მიჩაჩქუნებდეს შიგ თავში, ცდილობს გამომაფხიზლოს, ჭკუაზე მომიყვანოს:

„არ შეიძლება უმნიშვნელო წვრილმანებზე დახურდავება. აუცილებელია დიდი, არსებითი, უეჭველი; წინსვლა ის არ არი, რომ „რამერუმეები“ ამრავლო.

ბოლოს და ბოლოს, თაროებზე დაწყობილი საქონელი – ეს ხომ ლექსიკონში შეტანილი სიტყვებია. არა საგნებისა და საგნუკების სიუხვე ალამაზებს ჩვენს ცხოვრებას, არამედ მხოლოდ ის, რაც ჩვენ ნამდვილად გვჭირდება და რასაც თვითონ ჩვენ ვჭირდებით“.

ჭეშმარიტად ბრძნული შეგონებაა, წყალი არ გაუვა, მაგრამ ის მანუხებს და მანაღვლიანებს, რომ უნუგეშოდ დაგვიანებულია. სამოცდაათს გადაშორებული (რა საშინელებაა!) და ბავშვობიდანვე დაბნეული, გზაარეული მეოცნებე წარუმატებელი სიცოცხლის მინურულს რაღას გამოასწორებს, რომელი რა უნდა გადასინჯოს და გადაიაზროს, მით უმეტეს, თავისი ახირებული, უსარგებლო მიდრეკილებები ღრმად ჩაფესვილ, ჩაკირულ ჩვევად თუ ექცა.

ეს კი ასეა, მაგრამ მაინც შევეცდები, გაუთავებელ ჩხირკედელაობას ვუკლო, მთავარს მივხედო, ამდენი ხანი მიგდებული რომ მაქვს და ყუთებში იმტვერება. ის, რის ხორცშესხმასაც ამდენი წელიწადია ვაპირებ, დარწმუნებული ვარ, არამარტო სხვების, თვით ჩემთვისაც მოულოდნელი იქნება. ამას რომ ვწერ, მე საბრალო იმასაც ვხვდები, თუ რა სასაცილო მდგომარეობაში ვიმყოფები, წვრილთვალა ბადეში მოხვედრილ თევზს თუ ობობას ქსელში გახვეულ და გაკოჭილ მწერს ვგავარ, ვისაც ზხამიანი ნერწყვით განებილი ფრთების გატოკება არ ძალუძს და ჩასაფრებული საძაგლობის ლუკმა უნდა გახდეს, ჩემი, უფლის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ნაბოძები დრო შემომელია და იმ წლების იმედად ვრჩები, მე რომ აღარ მეკუთვნის.

კაცი-კალია

26.08.2011. მას მერე ხუთი წელინადი მაინც იქნება გასული და იმ მოხუცებული ბერიკაცის სახე, გარეგნობა მეხსიერებიდან არ ამოშლილა, არაფრით მავინყდება. შემოდგომის თბილი, ხავერდოვანი საღამო იყო. დადიანის ქუჩაზე, აწ გაუქმებული, სახელოვანი წარსულის მქონე აფთიაქის მახლობლად, დავინახე უცნაურზე უცნაური არსება. სოფლური იერი და სადოქე თიხასავით წითელი ლოყები ჰქონდა. წელში გვარიანად წახრილს მწვანე, ჩაჩანჩურებული პიჯამა ეცვა, თავზე ნაქსოვი, კეფასთან გადაკეცილი წონოლა „ჩეფჩიკი“ ეხურა. ვეება და გამხდარ მწვანე კალიას ჰგავდა, გრძელკისერას, წვრილ, სამკუთხა თავს აქეთ-იქით რომ ატრიალებს და, თუ მოუნდა, კიდევაც გაფრინდება, აბრეშუმივით ააშრიალებს მოღაღანე სიმინდისფერ ფრთებს. მომერიდა, ბოლომდე ვეღარ დავაკვირდი, თორემ თვალებიც მწვანე, ახალშემოსული ტყემლის მსგავსი ექნებოდა. ერთი პირობა ისიც გავიფიქრე – სულ არ გამიკვირდება, ჩემ თვალწინ იგი გადაიქცეს ზემოთ აღნერილ კალიად, გურიაში ჩალდაყას რომ ეძახიან: მაშინვე გაზონისკენ ისკუპებდა და რომელიმე ბალახს დაეკონნიალებოდა, ფერით ფერს შეეხამებოდა და ვეღარავინ შეამჩნევდა გატრუნულს. თუმცა, ჩემს გარდა, მისთვის ისედაც კაცისშვილს არ მიუქცევია ყურადღება.

თუ გაიხსენებთ, ფანტასტიკური ხილვების ნიდერლანდელ გრაფიკოსს, სიმეტრიული ფორმების დიდოსტატს, ეშერს წარმოსახული აქვს სწორედ ასეთი კალია, გვერდულად თავაწეული და კუდაპრეხილი; შუბლიდან ამოზრდილი ორი დრეკადი ანტენა-საცეცი ვაზის ლერწმებივით მაღლა აუშვერია და გადმოკაკლული, გიშერა თვალები მთვარის შუქზე უელავს (მთვარითვეა დაფერილი, მრგვალი და დაბალი, თაღებქვეშ მოქცეული დაჩუქურთმებული სვეტები). ეს არის ესკიზი ეპისკოპოსის სამარისა. ღამის მდუმარებაში გულზე ხელებდაკრეფილი, სამუდამო ძილისგან ტუჩებმოკუმული ეპისკოპოსის ქანდაკებას ორად გატოტილი გრძელი მიტრა აბოლოებს. სამოსის ნაკეცებშიც დაურღვეველი ძილი ჩაბუდებული. ძილის უსასრულობას რომ მიგახვედროს, საამისოდ, ქვაზე სანდო მასალა არ არსებობს. თავი ქვის ორ, ფოჩებგამოშვერილ ბალიშზეა დასვენებული. ნეტარსხენებულ ეპისკოპოსს უძრავ მკერდზე მედიდურად აზის ნაცნობი, დასეგმენტებული კალია; ბრჭყალებალესილი, სახსარში მოხრილი, მავთულებად მიკეცა-მოკეცილი ფეხები ქანდაკების ცივ სხეულზეა დაბჯენილი.

ჩემგან ნაგულისხმევი გრავიურა ეშერს ნეაპოლის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ირველოში შეუქმნია, როცა ღვთისმშობლის, წმინდა მარიამის სახელზე აშენებული ეკლესია თუ ქსენონი მოუნახულებია (1931). მეჩვენება, იგი ამაოებისა და მიუსაფრობის ერთ-ერთ მეტყველ სიმბოლოდ გამოდგება.

მე მაინც უფრო მოედანზე ნანახ კაცკალიაზე შემტკივა გული, ტაატით რომ გამისხლტა და შემთხვევით გამელესთა, ფეხით მოსიარულეთა უსახურ მორევში ჩაინთქა, გაითქვიფა; დამენანა ასეთი შემთხვევის უკვალოდ გაქრობა. თვით ფელინისთანა რეჟისორიც მას ნამდვილ ნაპოვნად ჩათვლიდა და კიდევაც გამოაბრწყინებდა. ტყუილად ვიქავებ ენას – იმ ორომტრიალში ვინ იყო რაიმეს დამნახავი. მხოლოდ გარეგნობა და მოძრაობა რომ აღებეჭდა ვინმე ოპერატორს იმისი, უკვდავმყოფელი კადრები გამოვიდოდა, დავინახავდით, რაოდენ მდიდარი და მრავალფეროვანია ქვეყნიერება, უკიდეგანო სამყარო.

ალბათ, ასეთი ტიპების ნახვამ მისცა ბიძგი ბრეიგელს, დაეხატა უღრმეს იგავად ჩათქმულ-ჩაქარაგმებული თავისი უპირველესი შედევრი „ბრმები“. სწორედ განწირულ, ორმოში ჩასავარდნ, ხელჯოხიან ბრმასავით იყო მოკაკული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ზღაპრიდან გადმოხოხებული ბერიკაცი. ყოველივეს აღდგენა მიჭირს, თორემ რაც მაშინ ვიხილე, გაცილებით შთამბეჭდავი, ფერადოვანი იყო, ვიდრე აქ წარმოვადგინე. საარაკოდ თავმოუბმელმა ვერაფრით ვერ შევძელი, ფოტოაპარატი მაინც ვიქონიო და ამდაგვარი მომენტები მოვიხელთო. მარტო გაფაციცებული თვალი და შემჩნევა არ კმარა, მოხერხება, შნო და მარიფათი უნდა გქონდეს, თორემ ყოველთვის გაწბილებული დარჩები.

კეთილად მოსაგონარი

30.08.2011. უზომოდ დამწყდა გული – სახლში გამოკეტილმა ვერ გავიგე, გარდაცვლილა და გასულ კვირას დაუსაფლავებიათ კარგი კაცი და ასეთივე მწერალი, კასპის მაცხოვრებელი (თბილისშიაც ჰქონდა ბინა და დროდადრო ჩამოდიოდა), მანამდე იქაური ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი, სამაგალითოდ პატიოსანი ადამიანი გიორგი ხორგუაშვილი, ვისთანაც მრავალი წლის მეგობრობა მაკავშირებდა.

შეგეხარბებოდა, ისეთი ქართული იცოდა, უაღრესად მდიდარი, მრავალფეროვანი ლექსიკა ჰქონდა. მისი სეხნია, უკვდავი წიგნის „თვალადური ჭაშნიკის“ ავტორი გიორგი შატბერაშვილი მეურვეობდა. ქედუხრელმა ვაჟკაცმა და ყველასგან გამორჩეული ნიჭის მწერალმა, ჩვენმა უფროსმა მეგობარმა (მაშინ იგი უკვე წასული იყო „ცისკრიდან“) სამოციანი წლების დამდეგს გვითხრა მაშინდელ სამოციანელებს – მე რომ აღარ ვიქნები ცოცხალი, ამ ბიჭს მიმიხედეთო. ვინ გადავიდოდა მის სიტყვას. გოგი ხორგუაშვილს ხუმრობით „შატბერაშვილის ანდერძს“ ვეძახდით და მუდამ გულით ეღიმებოდა.

შემოდგომობით, ტრადიციულად, ლამისყანაში გურამიშვილობა იმართებოდა და თბილისიდან ჩასულთა მასპინძელი მუდამ გიორგი ხორგუაშვილი იყო. სხვა მადლი და ლაზათი ჰქონდა მის თავკაცობას, ტრიალს, თადარიგის დაჭერას. ერთი ზეიმი განსაკუთრებით ლამაზად ჩატარდა. „მერანმა“ გამოსცა გურამიშვილისადმი მიძღვნილი ლექსების კრებული (შედგენაში მეც ვმონაწილეობდი), რომელსაც ამშვენებდა მერაბ ბერძენიშვილის გენიალური ქანდაკება. გზის ნაწილი ფეხით უნდა გაგვევლო. ერთი ეზოს ჭიშკართან გივი გეგეჭკორმა და მე დავინახეთ კეთილად მოღიმარი, საუცხოო გარეგნობის გოგო. ხელში ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლული კომშის ტოტი ეჭირა. შევუქეთ თუ არა კომში, მაშინვე გვითხრა, თქვენ უნდა გაჩუქოთო და მსხმოიარე ტოტი გადმოგვცა. ჩვენ ის კრებული ვუსახსოვრეთ და ბედნიერება ვუსურვეთ, ვნანობ, რომ ვინაობა არ დავიმახსოვრე მისი. ლამისყანელი გოგონა ახლა შვილთაშვილების პატრონი იქნება. ღმერთმა გაამრავლოს ასეთების მოდგმა, ჯიში. როგორ უკანმოუხედავად გარბის დრო, რითი გინდა დააკავო!

ამას რომ ვიხსენებ, გუნებას მიშხამავს 2008 წლის 8 აგვისტოს საშინელი ამბავი, ნამდვილი ტრაგედია, როცა გარეშე ძალებს, ჩვენი უგუნურობით, ხელ-ფეხი გავუხსენით და შიდა ქართლის საუკეთესო ნაწილი (ლიახვისას ქსნის ხეობაც მიჰყვა, თითქმის მთლიანად ქართველებით დასახლებული ახალგორიც მიიტაცეს) დავკარგეთ და მოძალადეებმა ზედ ლამისყანასთან გამართეს ბლოკპოსტები, ლამის ერთიანად წაგვლეკონ. ასე მგონია, თვით დავით გურამიშვილის დიდებული აჩრდილი გოდებს, ვითომ მის დროს გვაკლდა უბედურება, ახალი რომ არ დაგვმატებოდა.

როგორ არ შეშფოთდები – არაერთი ტვინბნელი შვარაზმელის თავში მომწიფებულია საქართველოს უახლოეს დროში მოსპობის გეგმა – კართაგენს ადარებენ ჩვენს სამშობლოს და ერთი სული აქვთ, როდის გაასწორებენ მინასთან, პირწმინდად აღგვიან. ეს რუსეთის, დიდი ქვეყნის სირცხვილია.

ფიქრი კვლავ ახალგარდაცვლილ მწერალსა და მამულიშვილს, გიორგი ხორგუაშვილს დატრიალებს. კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს, კასპში მამამისის, გამრჯე, ნამუსიანი კაცის დაკრძალვაზე რომ ჩავედით. რაიონის განაპირას, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მდებარეობითა და სისადავით იქაურმა სასაფლაომ; მზერა მომტაცა ნაირ-ნაირი სიმბოლოებით და სულის მავედრებელი წარწერებით დამშვენებულმა მთლიანმა ქვებმა, სიგრძისად რომ ედოთ მიცვალებულებს. ამის მხილველმა ჩემთვის გავიფიქრე, რომ სწორედ ასეთი გარემოს შვილს უნდა დაეწერა უჩვეულო სიძლიერის მოთხრობა „მკვდრის მზე," რომელმაც ქართული პროზის თითებზე ჩამოსათვლელ შედეგრთა შორის გამოქვეყნებისთანავე დაიმკვიდრა ადგილი.

ყოველთვის მიხაროდა, როცა გიორგი ხორგუაშვილს, ხელხვავიან კაცს, „ცისკარში" თავისი ახალი მოთხრობა მოჰქონდა, ცინცხალი იუმორითა და სიცოცხლის ენინთ სავსე. ერთში ავტობუსის მძღოლების თავისებური ცხოვრება, კურიოზები იყო აღწერილი, ლაღად, თვალსაჩინოდ. მთავარ გმირს, ავარიაში მოყოლილს და ყბამოქცეულს, ტუჩები უცნაურად აქვს შეტყუპებული, მეტყველება უჭირს და მასზე ასეთი რამ აქვს ნათქვამი: „ანაპეს პრუწუნა ლაპარაკი". ამაზე რედაქციაში ბევრი ვიცინეთ. იქვე დიდი სითბოთი, სიყვარულითა და ოსტატობით არის დახატული დისპეტჩერად მომუშავე ახალგაზრდა რუსის ქალი, მძღოლებთან კეთილი, გულითადი დამოკიდებულება რომ აქვს და თან საჭირო წესრიგსაც ითხოვს.

იმავე ხანებში მომიტანა მოზრდილი, ასევე იუმორისტული პასაუებით განყობილი მოზრდილი მოთხრობა რაიონული მასშტაბის თანამდებობის პირზე, რომელიც კრისტალური პატიოსნებით, საქმის ერთგულებით გამოირჩევა, მაგრამ ზედმეტად სერიოზულია, ნიადაგ შუბლშეკრული. ერთხელაც ზღვისპირა სანატორიუმში მოუწევს შვებულების გატარება. ნაპირთან ჩესუნჩის კოსტუმში გამოწყობილი დაიარება, ზღვაში საბანაოდ არ შედის. მისი ახლობლები ჩუმად მოილაპარაკებენ და, სულ რომ არ ელოდება, უკნიდან დაეძგერებიან, წყალში ტანისამოსიანად ჩააგდებენ. მოთხრობა რომ წავიკითხე, ვუთხარი, ძალიან მოუხდება, ამ ტიპს ფეხზე პარტიული ელიტისთვის პრესტიჟულ შავ შტიბლეტებს თუ ჩააცმევ-მეთქი. ჭკუაში დაუჯდა ეს რჩევა და თვითონაც კმაყოფილი დარჩა. გიორგი ხორგუაშვილის ეს გმირი, სიტყვაძვირობით, შეუვალი ხასიათით, როგორღაც მაგონებს ქართული დოკუმენტური პროზის შედევრის („ჩემი სავანე") ერთ მთავარ პერსონაჟს, ოთარ ჩხეიძის მიერ დიდოსტატურად გაცოცხლებულ, პირუთვნელობითა და კაცურკაცობით გამორჩეულ გორის პედინსტიტუტის რექტორს გიორგი ხარაულს.

მოთხრობების გარდა ხშირად აქვეყნებდა წერილებს ქართული ენის სიწმინდეზე. შეადგინა ქართლში გაგონილი ხალხური ლექსების მშვენიერი კრებული „ნამცვრევი". ბუნებრივი ალღო ჰქონდა, აღნიშნავდა, რომ მწერალს ზუსტად, შეუმცდარად უნდა შეერჩია სიტყვა, სინონიმებიდან საუკეთესო გამოეყენებინა. მისი ჩანაწერები, დაკვირვებები, ფელეტონები ცალკეა გამოსაცემი, ბევრ ვინმეს გამოადგება.

ჩადგმული ვაუკაცი იყო, ჯმუხი, მხარბეჭიანი, ნელი ოდნავ მოხრილი. ბოლო ხანებში სკლეროზი ისე მორევია, არაფერი ახსოვდა, შინაურები უკიდურესად შეწუხებულები იყვნენო, თქვეს; ასეთი სიცოცხლე ნამდვილად არ ღირდა, მის ხასიათს არ შეეფერებოდა.

თბილისში როცა დამინახავდა, მეტწილად, მაჩაბლის ქუჩაზე, შორიდანვე თავის ღონიერ ხელს აბიწევდა. შევძახებდი – როგორ ხარ, ბიჭო-გოგია-მეთქი და კარგადო, მეტყოდა, მისებურად, ფართოდ გამიღიმებდა, ოქროს კბილს გამოაჩენდა და გადამეხვეოდა. დაღონებული ვიგონებ, ბევრჯერ მომენატრება მისი განუმეორებელი ღიმილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორტეზი, მეთავისენი

02.09.2011. იგი ვერასოდეს იქნება სრულყოფილი ადამიანი და შემოქმედი, ვის არსებაშიც ფუთფუთებს თავმოყვარეობის ჭია და ვინც არ იცის, სახელის მოხვეჭაზე გაშმაგებული ზრუნვა ამაობასთან წილნაყარი უბადრუკობაა. ასეთ შენიღბულ, ჯერჯერობით გამოუმჟღავნებელ მანიაკებს ჰგონიათ, რომ ოქროს ზვინები დადგეს და არავისგან არაფრით არიან დავალებულები. ასეთი ავადმყოფური დაჯერებულობა მათ სიპატარავეზე მეტყველებს და არც ჩვენ უნდა ვიქნოინოთ იმედი, რომ ისინი ოდესმე უკეთესნი გახდებიან.

ამ ყაიდის კალმოსნებს სხეულში დროდადრო შხამი, გესლი უგროვდებათ და, თუ ვინმეს არ ჩაასვეს ჟანგიანი კბილები, პირზე დუჟი მოადგებათ, გაიგუდებიან. შემჩნეულია – სხვებისთვის არ უყვართ თავის ატკივება, თითს არ გაატოკებენ, ვაუკაცობის ნატამალი არ გააჩნიათ და ვერც მოსთხოვთ. თუ დასჭირდი რომელიმე მათგანს, უმალ ფეხქვეშ გაგიგორდება, მშვენივრად გამოგიყენებს, ყველაფერი სათავისოდ ემეტება.

თავისთავად ცხადია, ასეთებს სინდისი მაინცდამაინც არ აწუხებთ და ყველაზე მეტად ეს არის, მიზეზი მათი ნაწერების ფუყეობის, ხელოვნურობისა, თუმცა მოჩვენებითი მორთულობა, ბრჭყვიალა სამკაულები არ აკლიათ. მათი ვერაგულად გათვლილი სვლები, მცირე ეშმაკობები ძნელი მისახვედრი არ არის, მაგრამ ჩვენი ვითომდა ესთეტები იმდენად მწყრალად არიან გულახდილობასა და გემოვნებასთან, ყოველივე ამას ყლაპავენ და გარეგნულად მოწესრიგებულ, გაჭინთულ სუროგატებს უმაღლეს პოეზიად, მიუღწეველ შედევრებად აცხადებენ. ჩემი მოურიდებელი შეხედულება დღევანდელ მოჩხირკედელავე, ძალად ლიტერატორებს ვერაფერს შეასმენს, მოგვიანებით გახდება ცხადი, მაგრამ ამითაც არაფერი შეიცვლება – ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება.

დამუხრუჭება მიჭირს...

03.09.2011. დიდ რაბინდრანატ თაგორს ვერავინ დასწამებს, რომ არ ესწრაფოდა ოსტატობის უმაღლეს სრულყოფას, მაგრამ თავის ესოდენ მომაჯადოებელ „ბენგალიაში“ იგი წუხს, რადგან ვერ შესძლო პოეზიის ბოლომდე მოთვინიერება. ეს სინანულიც იქვეა გულღიად გამოთქმული: „მე რომ შემეძლოს დღეში თითო ლექსის დაწერა, ჩემი ცხოვრება ლაღი და სიხარულით აღსავსე იქნებოდა“.

ამ ადგილის ხელახლა გადაკითხვისას შემრცხვა, ვინაიდან კარგა ხანია, დღეში ხუთი-ექვსი ლექსიც კი დამიწერია (უმეტესობა – თითოსტროფიანი), მაგრამ გაცნობიერებული მაქვს – რასაც მე უთავბოლოდ ვახვავებ, ვარჯიში უფროა და, ამდენად, ნამდვილი პოეზიისგან საკმაო მანძილი აშორებს. ასე ნაუცბათევად წამოსროლილთაგან თითო-ოროლას თუ ამოარჩევ. ამ დღეებში ერთი ნატიფი სულის ქალზე ვფიქრობდი, ვისაც ჩემი დაულაგებელი ცხოვრების გამო იშვიათად ვხედავ და მის გვერდით წარმოვიდგინე თავი. სათაურიც შესაფერი აქვს შორიდან ლოლიავს – „გიხსენებ, გნატრობ:“

შენი თითების მინდა ფერება
(აშოლტილს, როგორ ჰგავხარ კვიპაროსს),
ვფათურობ, ვეძებ ძილის დერეფანს,
თავზე საბანი რომ წავიფარო.

ცხადია, არანაირი გამართლება არ მოეპოვება ჩემს ზღვარგადასულ სიუხვეს, მაგრამ სადავის მოქაჩვა, დამუხრუჭება მიჭირს. თაგორი, რაღა თქმა უნდა, აირიდებდა წრთობამოკლებულ სტრიქონებს, რასაც მე უკანმოუხედავად და წინდაუხედავად ვანყობ. იგი ისეთ ჩამოსხმულ, ერთადერთ ფორმაში ჩაჭედილ ქმნილებებს გულისხმობდა, დროსა და ადამიანთა მერყეე გემოვნებას რომ უძლებს. ისიც კარგად ვიცი – უამრავი მავნე, ახირებული ჩვევის გვერდით ამ შესისხლხორცებულ სიგიჟესაც ვერ მივატოვებ, ვინაიდან სხვა რამეს, ოდნავ უფრო გონივრულს და სახეიროსაც, ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვკიდებ ხელს. ამ ხვედრს შერიგებული ვარ და შეცვლითაც ვერაფერს შევცვლი.

ცოტა რამ სონეტზე

05.09.2011. შექსპირის რამდენიმე სონეტი გადმოვიღე ქართულად. როცა მის ძნელად დასამორჩილებელ, სიტყვების თამაშზე, კალამბურებზე აგებულ კომედიას („ამაო გარჯა სიყვარულისა“) ვთარგმნიდი, გარემოებათა გამო (სხვადასხვა რამეებისთვის დამჭირდა) ჯონ კიტსის ორი სონეტიც ვთარგმნე, რაც ერთოობ მცირეა ხელის გასაწაფავად. არც ისე დიდი ხანია (ალბათ, წელიწად-ნახევარი), დაეწერე ერთი დანგრეული სონეტი, რომლის გამოქვეყნებისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებ.

რატომღაც ახლა მომინდა, რამდენიმე გამართული სონეტი დამეწერა (მონდომება ნახევრი საქმეა, მაგრამ ყველაფერს არ წყვეტს, საამისო ნიჭი თუ უნარი უნდა გქონდეს).

უცნაური კია – ბოლოდან დავიწყე და ნელ-ნელა თავში ავყევი, ეგებ რამე გამოდნეს-მეთქი. არა მგონია, ივარგოს. არც ვწუხვარ – ამაზე დიდი მარცხი არ მომსვლოდეს.

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ინგლისელი პოეტი (ათას საზრუნავში გახლართული, გვარს ვეღარ ვიხსენებ) ამბობდა – სიცოცხლეში ერთი სონეტი თუ ვერ დაწერე, ოსტატი არ ხარ, მაგრამ თუ მეორის დაწერა მოინდომე, უკვე რეგვენი იქნებიო. ის ცხონებული, ეტყობა, ჩემნაირ უჭკუოებს გულისხმობდა. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მაგრამ სამომავლოდ შესაძლოა ისეთ გუნებაზე დავდგე, კვლავ წამცდეს სონეტზე ხელი. ათამდე თუ ავედი, ჩემნაირი გაფანტულისგან ეს დიდი სითამამე და ვაუკაცობა იქნება.

რამდენად ძნელია ნამდვილი სონეტის დაწერა, ამაზე პოლ ვალერი საგანგებოდ მიგვანიშნებდა. იგი დააკვირდა ლექსის ფორმის ვირტუოზის, ბოდლერის ერთ სონეტს და თოთხმეტი სტრიქონიდან სრულყოფილად, ეგონებ, რვა მიიჩნია, თანაც დასძინა – დანარჩენი ექვსიც რომ ასე დაეხვეწა, ოსტატობის უმაღლეს ზღვარს მიაღწევდაო.

დროულად ჩაწერის გამო

19.09.2011. ჭკუას ვერაფრით ვერ ვსწავლობ. ათასჯერ მაინც დავთქვი – თავში რომ უეცრად გამიელვებს სტრიქონები, იმწამსვე უნდა ჩავინიშნო, თორემ ხელად განქარდება, აორთქლდება და ვეღარ აღიდგენ; იმავე ხლართებს აღარ გაივლის ერთხელ წამოოლანდებული და განვალდები, გგონია, ძვირფასი რამ დაკარგე. თუ რაიმეთი გამორჩეული, ჟღერადი რითმა ახლდა იმ ხელიდან დასხლეტილ სტრიქონებს, მაშინ უფრო იოლდება გახსენება, მაგრამ ის სარითმო წყვილი, საყრდენად გამოსადეგი, უნდა ჩაგრჩეს გონებაში. ბოლო დროს, ღამით თუ რამე გაკრთა ყურადღების ღირსი, პატარა მაგიდაზე მიდევს ქაღალდი, პასტა და გათენებამდე ზოგჯერ ოთხი-ხუთი სტროფი გროვდება. ეს ჩვევად მექცა და მეხმარება, ფორმა შევინარჩუნო.

ძველ რვეულებს როცა ვათვალიერებ, ხშირად გაკვირვებული ვრჩები – ასეთი რამე რამ მომაფიქრებინა-მეთქი. ყველაფერი გარკვეულ კალაპოტში რომ მოვაქცია, ამას უამრავი დრო და ძალ-ღონე სჭირდება, რაც მე აღარ მაქვს. მინდა თუ არა, ვაგრძელებ ჩხირკედელაობას.

ამას წინათ რუსულიდან თარგმნილ ლექსებზე რეცენზიას ვწერდი და ლერმონტოვის ერთი სასიყვარულო ლექსის გამო ჩავხედე ალექსანდრა სმირნოვას (ქმრის გვარია) დღიურებსა და ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს. ბებიამისი ყოფილა ეკატერინე (ქეთევან) ციციშვილი, ქართველი, წარმოუდგენლად ლამაზი ქალი, ვისი შემხედვარეც, პარიზელები ვერ მალავდნენ აღტაცებას. გრაფი რიშელიე მას მთელ მსოფლიოში ყველაზე მშვენიერ ქალად თვლიდა. ციციშვილები, სხვა თავადიშვილებთან ერთად, რუსეთში გაჰყვნენ ვახტანგ მეექვსეს და რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს. ქეთევანი ეფსევი და მატრონა ციციშვილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასული ყოფილა. იგი პრუსიიდან რუსეთში ჩამოსული პოლკოვნიკის ფონ ლორერის ცოლი გახდა, ხოლო შემდგომ მათი ქალიშვილი, თექვსმეტი წლის ნადეჟდა ლორერი შეირთო საკმაოდ ხანდაზმულმა, 55 წლის ოსიპ როსტემ, წარმომავლობით გენუელმა იტალიელმა; სწორედ მათი ქალიშვილი იყო ალექსანდრა როსეტი-სმირნოვა, ვისაც ოთხი ძმა ჰყავდა. ბავშვები მალე დაობლდნენ, ხოლო ალექსანდრაზე მეურვეობა იკისრა რუსეთის დაქვრივებულმა იმპერატრიცამ მარია ფეოდოროვნამ და იგი ექვსი წლის განმავლობაში (1826-1832) ფრეილინა იყო. გათხოვდა დიპლომატ სმირნოვზე. ნიკოლოზ პირველის ფარული ბრძანებით მას თორმეტი ათასი მისცეს ოქროთი, რამაც მითქმა-მოთქმა გამოიწვია – ასეთ შემთხვევაში სხვა ფრეილინებს მხოლოდ სამ-სამ ათასს აძლევდა იმპერატორი. არსებობს ეჭვი, რომ მექალთანე მონარქმა ალექსანდრასთან სული ნაინყმინდა – ერთხელ მის ოთახში შეუხედავს და შიშველი ფეხები შეუქია. ალბათ, მარტო ამ ქათინაურს არ დასჯერდებოდა – ვინ იქნებოდა დამშლელი.

ალექსანდრა ფრიად განათლებული ქალი იყო, ევროპულად აღზრდილი და ეს მისი მემუარებიდანაც გამოჩნდა – ჟუკოვსკის, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის და სხვათა სიახლოვეს ყოფნას უკვალოდ არ ჩაუვლია. განსაკუთრებული სულიერი მეგობრობა აკავშირებდა გოგოლთან; საზღვარგარეთი, იტალიასა თუ შვეიცარიაში, თვეობით ერთად იყვნენ. ყოველ მეორე დღეს ჩემთან საღილობდა და მის საყვარელ კერძს ვახვედრებდიო, წერდა გოგოლზე ალექსანდრა.

ამ უჭკვიანესესა და სილამაზით გამორჩეულ ქალს მრავალი მთხოვნელი ჰყავდა (ერთ-ერთი თვით 45 წლის ჟუკოვსკი იყო), მაგრამ თითქმის ყველას თავაზიანი უარით ისტუმრებდა. ალექსანდრა როსეტი გამუდმებით ზრუნავდა თავის ოთხ ძმაზე. ბებიასა და დედასავით შავგვრემანი და გონებამახვილი იყო, „შავთვალებას“ ეძახდნენ – ჟუკოვსკის, პუშკინს, ლერმონტოვს, სხვებსაც, ლექსები აქვთ მისადმი მიძღვნილი.

ერთ-ერთმა ძმამ ვალი დაადო (ჩვიდმეტი ათასი) და იძულებული შეიქნა, იმ ვალის გადამხდელს, დიპლომატ სმირნოვს ცოლად გაჰყოლოდა. ქმარი არ უყვარდა, ერთი დღეც არ უგრძნია მასთან თავი ბედნიერად, შვილები გააჩინა, მაგრამ საყვარელი ჰყავდა, ვისაც უფრო საზღვარგარეთ ხვდებოდა და იქ ატარებდნენ დროს. წავწყდომივარ ცნობას, რომ მისი ვაჟი, ბიოლოგი, კავკასიაში მსახურობდა და თბილისში ბოტანიკური ბაღი მან გააშენა (ამაზე, ალბათ, იქნება საარქივო მასალები).

გერონტი ქიქოძის ქუჩაზე მდებარე „სმირნოვის სახლში“ (იგი ჩემი მეგობრის, განსვენებულ თეიმურაზ გძელიძის დიდი მონადინების შემდეგ გადაეცა მთარგმნელობით კოლეგიას) ბევრი ანტკივარული ნივთი, სურათი და რელიკვია მინახავს. ამჟამად იქ „კავკასიური სახლია“ დაბინავებული.

ალექსანდრა სმირნოვა-როსეტის ჩანაწერებში ჩვენთვის საინტერესო ბევრი მასალაა, რასაც საგულდაგულოდ შესწავლა და განმარტებათა დართვა ჭირდება. ვინ მოთვლის, რამდენის ძარღვებში დატრიალდა ჩვენს წინაპართა კეთილშობილური სისხლი, რამაც მათთვის სასურველი ნაყოფი გამოიღო.

იშვიათი სანახავი

23.10.2011. არარსებულის, არარეალურის გამოსახატავად ხშირად იყენებენ ასეთ გამოთქმას სხვებისგან ყველაფრით განსხვავებულ, განკერძოებულ ადამიანზე – „თეთრი ყვავი“.

თეთრი ყვავისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ ხუთი წლის წინათ მარჯანიშვილის მოედანთან, ჭადრის ძირში, ნამდვილად ვნახე ათ თვისტომში (ამას პირობითად ვამბობ, თორემ შეიძლება თერთმეტნიც იყვნენ) გარეული თეთრი ბეღურა, რომელსაც დათოვლილ მინდორზე ვერასგზით ვერ შეამჩნევდი. ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით ზუსტად დანარჩენების ტოლი იყო, ოღონდ ფაფუკად აშლილი ბუმბული კირისფრად ჰქონდა შეფეთქილი. ირგვლივ შემოწყობილნი, ნაკლებ აფოფრილები, არათუ ვერ ამჩნევდნენ მის გამორჩეულობას, სავსებით მშვიდობიანად მასთან ერთად ჟღურტულებდნენ. კარგი იყო, ვინმეს კინოაპარატი ჰქონოდა და ფირზე აღებეჭდა მათი ფუსფუსი. ბიოლოგი, ალბათ, მისებურად ახსნიდა ამ საკვირველი მოვლენის მიზეზს (მაგალითად, გამოიყენებდა ცნობილ ტერმინს „მუტაცია“), მაგრამ გაუჭირდებოდა იმის თქმა, რომ ასეთი რამ ბუნებაში ხშირად ხდება. მე კი განცვიფრებული დავბრუნდი შინ და დღემდე ვერ დამივიწყებია მტკვარგაღმა დაფრენილი ის ქათქათა ჩიტი, რომელმაც არ იცოდა, რაოდენ განსხვავდებოდა მის გარშემო დასკუპებული ბეღურებისგან. ყველა ჩვენგანს უნახავს, ზოგიერთმა ადამიანმაც არ იცის თავისი თავის ფასი და ეს ეგებ კარგიც იყოს.

სამუდამოდ გამქრალი წლები

14.11.2011. სამ წელიწადზე მეტია გასული ვახუშტი კოტეტიშვილის გარდაცვალებიდან. ბოლო თვეებში საშინლად ენამა და ამას ყველანი ძძაფრად განვიცდიდით. მასთან ადრეული სიყმაწვილიდანვე ვმეგობრობდი, ერთად დავდიოდით პიონერთა სასახლეში, სადაც ლიტერატურულ წრეს ძვირფასი, ყველასთვის საყვარელი ქეთევან ანანიაშვილი, ჩვენი დეიდა ქეთო უძღვებოდა. ვახუშტი მრავალთაგან გამოირჩეოდა ნიჭიერებით, გარეგნობითაც და მისი ყოველი გამოსვლა სარკეებიან დარბაზში მუდამ დამსწრეთა აღფრთოვანებას იწვევდა, დიდხანს არ ცხრებოდა ხოლმე ტაში, როცა იგი თავის მშვენიერ ლექსებს არტისტულად, ოდნავ ჩახრინწული ხმით კითხულობდა და დეკლამაციას გრძელი ხელის მოძრაობას აყოლებდა. დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

ერთხელ ჩვენს შეკრებას რეზო თაბუკაშვილი დაესწრო (ჩანდა, იგი საგანგებოდ მოინვიეს სასახლის მესვეურებმა). ყურადღებით უსმენდა გამომსვლელებს და ბოლოს სთხოვეს, რაიმე ეთქვა.

პირდაპირ საქმეზე გადავიდა, ლაპაიები არ მოუმარჯვებია – ერთ დროს მეც თქვენსავით ქოჩორა ბიჭი ვიყავი, მაგრამ ის ქოჩორი აღარ შემრჩაო, გაღიმებულმა ასე დაიწყო თავისი სიტყვა. მერე ისიც დაატანა – კარგია, თქვენს ლექსებს დარბაზში მსხდომნი რომ იწონებენ, მაგრამ ტაშმა არ გაგაბრუოთ. მე და ჩემს ამხანაგებსაც არანაკლებად გვიკრავდნენ ტაშს, მაგრამ იმ აღტკინებამ მალე გაგვიარა. ცხოვრება მეტისმეტად მკაცრია და ილუზიები დიდხანს ვერ გაგაყვებათ. მნერლობაში რაიმე ღირებულის მიღწევა თუ გინდათ, დღედაღამ წიგნის კითხვასა და დაოსტატებაზე ზრუნვაში უნდა გაატაროთ, იაფ, არაფრის მომტან პოპულარობას უნდა ერიდოთო. იმ დღეს რეზო თაბუკაშვილის გამოსვლა ზედმეტად მკაცრი მოგვეჩვენა, მაგრამ მოგვიანებით დავრწმუნდით, რომ ცამდე მართალი იყო.

ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როცა ქართული ფილოლოგიის ნაცვლად ვახუშტიმ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შეიტანა საბუთები და ყოველგვარი განამანაის გარეშე მოეწყო, როგორც ვერცხლის მედალოსანი.

როცა შევხვდი და მიზეზი ვკითხე, მიპასუხა – ქართული ენა არსად გამექცევა, ლექსებსაც, ვგრძნობ, სიბერემდე დავწერ, მაგრამ გულით მინდა სპარსული ენა შევისწავლო და ჩემი საყვარელი ირანელი პოეტები ვთარგმნო, თანაც იშვიათი სპეციალობა მექნებაო. ასეც მოხდა, მართალი გამოდგა.

მის გვერდით წლები მაქვს გატარებული და ბევრი რამის მოგონებაც შემოძლია. დღეს უეცრად გამახსენდა მისი ერი სახუმარო სხარტაკა, სტუდენტობის დროს ისტორიის ფაკულტეტის მშვენებას თამარ გამსახურდიას რომ დაუწერა. კედლის იუმორისტული გაზეთის, საკმაოდ სახელგანთქმული „ჭინჭრისთვის“ გამოვართვი. ეტყობა, ბაკურიანის შთაბეჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილებები ჩამოჰყვა. თამარი მართლაც ყველა სიკეთით შემკული საუცხოო პიროვნება იყო. ამდენი ხანია გასული და ის ოთხი სტრიქონი, ვახუშტის მოხდენილი ხუმრობა არ დამვიწყებია:

მოთხილამურე ასეთი,
ასეთი და უთანრიგო,
„კოტტა გორიდან“ ეშვება
გამსახურდია თამრიკო.

მართლაც დაუვიწყარი იყო. ერთ რამედ ღირდა მისი და მანანა ხიდაშელის გავლა უნივერსიტეტის ფართო დერეფნებში (სხვების გახსენებაც შეიძლებოდა, თვალტანადების). სამუდამოდ გადაიხმაურეს იმ წლებმა.

ჩემი უფროსი მეგობარი ელგუჯა ბერძენიშვილი (იგი ხშირი სტუმარი იყო გამსახურდიების ოჯახისა, საუცხოოდ გაადორმა „დიდოსტატის მარჯვენა“), დიდებული მხატვარი და მწერალი, ვინაც უკიდურესად მწვავედ განიცადა თამარ გამსახურდიას უღვთო, ნაადრევი დაღუპვა, ბევრ საგულისხმო რამეს ჰყვება მის განუმეორებელ პიროვნებაზე.

სასოწარკვეთას არ დანებდეთ!

17.11.2011. ვერც ჩამოვთვლი, იმდენი უამური შეგრძნება განმიცდია და ყოველთვის გამძნელებია თავის არიდება, ნაკლებად შევწინააღმდეგებივარ. სხვების უბადრუკობა ჩემსაზე არანაკლებად მტანჯავს:

ასეთი ტანშიგამცრელი, დამთრგუნავი წუთები მეტწილად ადამიანთა უფრო მამაკაცთა მოხუცებულობას უკავშირდება. მომჩვენებია – გამხდარ, მკერდჩავარდნილ ბებერს ნვერნამოზრდილი ყბებიდან თითქოს ხანდაზმულობის წინწკლები წვეთავს და საცოდავი სასიკვდილოდ არის განწირული, სულის გასაფრთხობად ემზადება. ამ შემაძრწუნებელ სურათს წინ უსწრებს ასევე ამაზრზენი რამ – ძველებურ სამართებელზე შერჩენილი, გამხმარი საპნის ქაფში შერეული ჭაღარა ნვერი მტვერივით რომ იფხვნება, როცა თითებს შეახებ.

მეც, ჩემდა ჭირად, კარგა ხანია მოხუცებული ვარ – გრძელდება სხეულის დაშლა, ათასი სატკივარი მომეძალა და, ზოგჯერ ფორმადაკარგულ ლოყებზე სიმწრით რომ მოვისვამ ხელს, მგონია, ძვლებიდან ოფლთან ერთად გამოყოლილი მარილის ბრჭყვიალა კრისტალები თუ სილა იპნევა. რითი გინდა, ამის შემსწრემ, წარმომდგენმა, მოშხამული გუნება გამოიკეთო, თავი გადაიხალისო. მით უფრო, როცა ყველაფერ ამას სიცივე და ნაადრევად ჩამომდგარი გვიანი შემოდგომის საღამოები ემატება?!

და მაინც, ღმერთს მადლობა – ეს სულისამამძრობი მჭმუნვარება ცოტა ხანს გრძელდება, თორემ, ისედაც ნერვებმოშლილს, ჭკუიდან გადამიყვანდა. ამიტომ ჯიქურ ვიშორებ და სხვა, უფრო სასიამოვნო რამეებზე ვიწყებ ფიქრს ანდა წიგნს გადავშლი.

თქვენც გირჩევთ, ხანში როცა შეხვალთ, ამგვარ ბნელ განწყობას არ დანებდეთ, სილამაზეთა დაუბოლოებელი რიგის ჭვრეტას მიეცეთ; მაშინ კაცის ცხოვრება ასეთი საშინელი აღარ გამოჩნდება.

ტანი მიგრძნობდა...

04.01.2012. ბასილი დიდი კაბადოკიელის (ჩვენი მეცნიერები არცთუ უსაფუძვლოდ წერენ მის ქართულ წარმომავლობაზე და ეს უნდა გვეამაყებოდეს) კომენტარებში წამიკითხავს – ძველად მეზღვაურები თურმე ზღვის ზღარბს აკვირდებოდნენ; იგი ზემგრძნობიარე ცხოველი ყოფილა. ქვის ქვეშ როცა შეძვრებოდა დასამალავად, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ყოვლის დამლეწავი ქარიშხალი ამოვარდებოდა და ამ დროს ღია ზღვაში გასვლა ხომალდის დაღუპვას მოასწავებდა. ზღვაოსნები, ალბათ, არც ცდებოდნენ, ამ უცნაურ არსებას რომ ენდობოდნენ. ასეთი ცოდნა საუკუნეთა გამოცდილებას ემყარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც ცნობილია, მოსალოდნელ მიწისძვრას წინასწარ რომ გრძნობენ ქვეწარმავლები და ცხოველები. ეტყობა, მიწის ქანებიდან დაძრული ტექტონური ბიძგები გადაეცემა ნერვებით დაქსელილ მათ სხეულს და ამ დროს ტოვებენ თავიანთ ბუდეებსა თუ სადგომებს, დამფრთხალები, აწრიალებულები.

საშინელ ტკივილებს მაგემებს ხოლმე ამის გახსენება, მაგრამ მე ტანი მიგრძნობდა ერთი წლით ადრე, რომ ჩემი უფროსი ვაჟი, ათას სატანჯველში გამოვლილი დათუნა, უნდა დალუპულიყო. ეს ჩანს თითოსტროფიან, დათარიღებულ ლექსებში, რომელთა გადათვალიერებამ კვლავ დამცა თავზარი. მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ ბედნიერების ყოველგვარი განცდა დავკარგე, არაფერს არ შეუძლია ჩემი სრულად გახარება. სიმწრისგან აფართხალებულ გულს ვასკდები – რატომ უფრო მეტი სიფრთხილით არ მოვეკიდე იმ აუბედით წინათგრძნობას – წელში უნდა ჩავფრენოდი და ერთი წუთითაც არსად გამეშვა. თუმცა იმისი დახსომებაც მმართებს უბრალო მოკვდავს – გარდუვალის შეკავება და თავიდან აცილება არა ძალას არ ძალუძს. ისიც ვიცი, ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილი თავს ვერასგზით და ვერასოდეს დაიმშვიდებს.

ფემზარავი, მართალი ზიგნი

17.01.2012. ცნობილი „ზეკის“ შვილი ვარ და ჯოჯოხეთურ საბჭოთა ბანაკებში მოხვედრილ ადამიანებზე ბევრი წამიკითხავს, მაგრამ იშვიათად განმიცდია ისეთი მძაფრი შთაბეჭდილება, რაც ნიჭიერი ბელორუსი ჟურნალისტისა და მოაზროვნის ივან სოლონევიჩის წიგნმა („რუსეთი საკონცენტრაციო ბანაკში“) მოახდინა.

სოლონევიჩი, რომელიც ვაჟიშვილთან და უმცროს ძმასთან, ბორისთან, ერთად (იგი პროფესიით ექიმი იყო და ძალ-ღონითაც გამოირჩეოდა) საზღვარგარეთ უნდა გადაპარულიყო, პროვოკატორმა დაასმინა და გამქცევები ვაგონიდან ჩამოხსნეს. სამივენი გასამართლებისთანავე ბანაკში მოხვდნენ, ფინეთის საზღვრიდან არც ისე შორს, ტყიან და დაჭაობებულ ადგილას. სვირი ერქვა იმ ადგილს, მაგრამ, ცხადია, არაფერი აკავშირებდა ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირთან, სადაც მამა-პაპათა ტრადიციების ერთგული ზრდილი იმერლები საუკეთესო ღვინოს წურავენ და სასურველი სტუმრის ღირსეულად დახვედრაც ემარჯვებათ.

ამ წიგნის მეხუთე თავი „ბამის“ (ბაიკალ-ამურის მაგისტრალი) ავადსახსენებელ ამბებზეა და აქ გადმოცემულ ზოგიერთ ეპიზოდს შევეხები. საბჭოთა ხელისუფლებამ ვადაზე ადრე დამთავრებული „ბელომორკანალის“ მშენებლობაზე დოკუმენტალისტებს ფილმი გადაალებინნ (სცენარი გამოჩენილ მწერლებს დაუკვეთეს), სადაც ერთთავად გარმონის ჭყვიტინი და პატრიოტული სიმღერები ისმის გაშმაგებული მუშაობის ფონზე და სრული ბედნიერება სუფევს, მაშინ, როცა კატორღული შრომისა და შიმშილისგან დახოცილთა გადაზიდვას ვერ აუდიოდნენ.

ბანაკში გამოდის გაზეთი „Перековка“ („ხელახლა გამოჭედვა“), რომლის რედაქტორი უცნაური, იქაურობის ძირისძირობამდე მცოდნე, განათლებული და გონებამახვილი ებრაელი კაცი მარკოვიჩია. მარკოვიჩი რევოლუციის არეულობისას ემიგრაციის ტალღას გაჰყვა ამერიკაში, იქ კომერციულ საქმიანობას შეუდგა, 27 ათას დოლარს მოუყარა თავი (იმხანად გვარიანი თანხა იყო) და საბჭოური პროპაგანდისგან გაბრიყვებულმა, როგორც არაერთს დაემართა, გადაწყვიტა, ყოფილ სამშობლოში დაბრუნებულიყო. საბჭოთა კავშირის საზღვრამდე კაცურად იმგზავრა, მაგრამ ჩამოსვლისთანავე გასკვანჩეს და უმალ მიხვდა, რა უბედურებაშიც გაეხვია – ხუთწლიანი კატორღა გაინაღდა ცოტა ხნის მერე.

ის სიმწრით ნაშოვნი ფული, ვითომდა გადახურდავებისას, ნელ-ნელა ააფცქვნეს, ექვსი თვის მერე, კუდის რიკამდე გატყავებულს, კაპიკიც აღარ შეარჩინეს და გადასახლებაში უკრეს თავი. მოხერხებული, მარჯვე კაცი იყო და ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკის გაზეთის რედაქტორობა მიანდეს, რასაც დიდი მონდომებით მოეკიდა და ისეთ ყალბ, პათეტიკურ მასალებს აქვეყნებდა, ბანაკის ხელმძღვანელობისთვის რომ ესიამოვნებინა. ბუნებით სიკეთისკენ იყო მიდრეკილი და ამწყობად უპატიოსნესი, საბჭოთა რეჟიმისგან გაუბედურებული, ოცი წლის დაჭლექებული ყმანვილი, მიშა (გვარი არ არის მოხსენიებული) აიყვანა.

მარკოვიჩმა და სოლონევიჩმა შეხვედრისთანავე გაუგეს ერთმანეთს, გამოძებნეს საერთო ენა და კიდევაც დამეგობრდნენ. „პერეკოვკის“ რედაქტორი შეუფარავი იუმორით, გულღიად ეუბნება ახალგაცნობილს – თუ ცხოვრებაში ნამდვილი იდიოტი არ შეგხვედრიათ, აგერ ვარ და კარგად დამაკვირდითო.

აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ იმ ფურცლებს, ჭლექისგან მძიმედ დაავადებული მიშას (მას თითქმის დახრული აქვს ფილტვები და იცის, ერთი წლის სიცოცხლეც არ დარჩენია) დაღუპვას რომ გვიხატავს. დედა ადრე გარდაეცვალა, მამამ თავი ჩამოიხრჩო, დები სადღაც მიმოიფანტნენ. გზაარეული ყმაწვილი კაცი ბანაკში მოხვდა და დაჭლექდა. ხეტყის დამზადებაზე ამუშავეს. მარკოვიჩს შეებრალა, თავისთან წაიყვანა ამწყობად, მაგრამ მის გამოჯანსაღებას სასიკეთო პირი არ უწანდა.

მიშა უშიშარი, შეუპოვარი იყო და ბანაკში მყოფ პროვოკატორს, პოეტის სახელს ამოფარებულ გარეწარ ტროშკინს, ვინც უნამუსო, ბინძურ აგიტაციას ეწეოდა ხელისუფლების სასარგებლოდ, თავში სასტამბო იარაღს ჩასცხებს. გაშველების შემდეგ, თავგასისხლიანებულს, ეუბნება – ჩეკისტო ნაძირალავ, მე თითქმის კუბოში ვწევარ, დასაკარგი არაფერი მაქვს, სულერთია, ნაწლავებს დაგაყრევინებო.

იგი მართლაც მალე გარდაიცვლება, ნავარაუდებ ერთი წელსაც ვერ იცოცხლებს – საპატიმროდან განთავისუფლებამდე განუტევებს სულს.

ერთ დღესაც მარკოვიჩი ცუდ გუნებაზე ბრუნდება ხელმძღვანელობის შეკრებიდან, საშინელ ამბავს მოიტანს – ბამის მშენებლობაზე 35 ათასი პატიმარი უნდა გააგზავნონო; თვითონაც მათ შორის მოხვდება. დანიშნულების ადგილზე პატიმრების მიყვანას ულუმელო, გაყინული „ტეპლუშკით“ ორი თვე სჭირდებოდა და იქ ნახევარიც ვერ ჩაალწევდა. ადმინისტრაცია არავითარ ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ პატიმრების უმრავლესობა მძიმედ იყო დაავადებული და, ჩვეულებრივ, გზაში გარდაცვლილ გვამებს ეშელონებიდან განუკითხავად ყრიდნენ.

მარკოვიჩმა იცის, ვერაფრით რომ ვერ ჩააღწევს ბამამდე და ნაღვლიანი იუმორით ემშვიდობება სოლონევიჩს – „სოციალისტური სამოთხის პაწია ნაჭერი“ მაინც მერგო, ჩემი სახით სამოთხიდან საკუთარი კორესპონდენტი გეყოლება (გზაში თავის უეჭველ დაღუპვას გულისხმობს „ოთახის კაცი“) და, თუ სადმე ჩემს ცოლს გადაეყრებით, უთხარით, არ ღირს მიმნდობ კაცზე გათხოვება-თქო... ამ სიტყვების წარმოთქმისას განწირული მარკოვიჩი ნერვიულად ხითხითებს.

ბანაკის ხელმძღვანელებიდან ყველა ერთნაირად გულქვა და არაკაცი როდია. შეუძლებელია დაგავიწყდეთ ჩეკალინი, რომელიც დიდი ჩინის მქონეა, მასზეა დამოკიდებული ეშელონით გასამგზავრებელთა დაკომპლექტება და, რამდენადაც ხერხდება, კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. ნიშანდობლივია, რომ იმ ჯოჯოხეთურ ბანაკს, სადაც ასობით ადამიანი შიმშილისა და მონური შრომისგან იხოცებოდა, ყოვლად უწყინარი სახელი – „სვირმშენი“ – ერქვა.

ჩეკალინი ნამდვილი მსხვერპლია ულმობელი საბჭოთა რეჟიმისა, ასკეტურად ცხოვრობს ღარიბულ ბინაში. სოლონევიჩი გადაწყვეტს, იშუამდგომლოს თანამდებობის პირის წინაშე, რათა უმწეო, დაავადებული ადამიანები ადგილიდან არ დაძრან, რადგან ისინი უეჭველად გზაში დაიხოცებიან. ღამით გაუფრთხილებლად მისულ სოლონევიჩს ჩეკალინი იარაღმომარჯვებული ხვდება, მაგრამ, როცა გაიგებს მისი მოსვლის მიზეზს და პიროვნებასაც განჭვრეტს, კეთილად განეწყობა მოულოდნელი სტუმრის მიმართ. ყვე-

ლაფერს გაუგებს და ისე მოიქცევა, როგორც რანდლს შეეფერება: კონიაკით გაუმასპინძლდება (შინ პური არ აღმოაჩნდება) და ქალაქდში გახვეულ ხიზილალასაც ატანს.

ჩეკალინისთანა კეთილი და პატიოსანი ადამიანები არც ისე ცოტანი იყვნენ აუტანელი რეჟიმის სამსახურში, პირუტყვის მდგომარეობაში ჩაყენებულ პატიმრებს ჯოჯოხეთურ პირობებს რამდენადმე უმსუბუქებდნენ, მაგრამ ხშირად ტრაგიკულადაც ამთავრებდნენ სიცოცხლეს. სოლონევიჩმა თავის მართალ, დიდი ცოდნით დანერილ წიგნში, რომელიც 1935 წელს საზღვარგარეთ გამოაქვეყნა, ბანკიდან ფანტასტიკური გაქცევის შემდეგ არაერთი ასეთი პიროვნება დახატა, ამასთანავე, მთელი სიცხადით წარმოაჩინა თვით ტოტალიტარიზმის შემზარავი არსი და მის წიგნს ბევრი სოლჟენიცინის „არქიპელაგ გულაგს“ ამჯობინებს. ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად მე მხოლოდ მცირედი ნაწილი მოვიხმე ივან სოლონევიჩის ენით მოთხრობილ საშინელებათა. ამ ტიპის საყურადღებო წიგნები რუსეთში და საზღვარგარეთ მრავლად გამოდის და მათი გათვალისწინების გარეშე ძალადობაზე დამყარებული სამოცდაათწლიანი საბჭოთა რეჟიმის ნამდვილი ისტორია ვერ დაინერება.

ვინ მოთვლის, „რევოლუციური რომანტიკით“ გაბრუებული და გაბრიყვებული რამდენი პატიოსანი ადამიანი ჩამოსულა საბჭოთა კაუშირში და მახეში გაბმულა, ნამეინი დაულევია სული დაკითხვებზე ნათრევს, საკანში გამოკეტილს, აღტკინება სანანებელი გახდომია.

წაკითხული მაქვს ერთი ჟურნალისტის დოკუმენტური წიგნი, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი, იაპონელი ცოლქმარი (ქმარი – ბრწყინვალე რეჟისორი, ცოლი – ასეთივე თეატრის მსახიობი), ვსევოლოდ მეიერჰოლდის სარეჟისორო ხელოვნების ფანატიკური თაყვანისმცემლები, ოცდაჩვიდმეტი წლის ახლო ხანებში მოსკოვს როგორ ჩამოვიდა. იმხანად ავადსახსენებელი დამსჯელი ორგანოები საქმეს თითხნიდნენ გენიალური რეჟისორის გასანადგურებლად და ეს შემთხვევა მარჯვედ გამოიყენეს – იაპონელები მის თანამზრახველებად შერაცხეს, ორივეს ლუბიანკაში უკრეს თავი; ცოლმა ათი წელი მოიხადა და მერე მოსკოვში დატოვეს საცხოვრებლად, სამოლვაწეოდაც. ღრმად მოხუცებული და გარდაცვლილი იქვე დაასაფლავეს. ქმარი კი ნამდვილ აგენტად გამოაცხადეს და დაკითხვებში ამოხადეს სული. ასეთი შემთხვევები თითზე ჩამოსათვლელი, თითო-ოროლა როდი იყო – „წითელ იმპერიაში“ ტერორი, განუკითხაობა ზეობდა.

მცირედსაც ვერ მოვასწრებ

22.01.2012. წუხელის ერთხელაც დავფიქრდი და გულწრფელად უნდა ვთქვა, შემეშინდა. ლექსად თუ პროზად რის დალაგებასა და მონესრიგებას მე ვაპირებ (დაწყებულსა და შუა გზაზე მიტოვებულებზე არას ვამბობ), მომჭირნედ რომ ითქვას, სამასი წელი მაინც დაჭირდება. ჩემისთანა გონებადაფანტულსა და იქითაქით მოუზომავად გადამხტომს ამდენ დროს ვინ მიაშავებს. წინასწარ ვიცი – რასაც დავწერ, ვინმეზე შთაბეჭდილების მოსახდენად არ იქნება გამიზნული. შეევიდები, რამდენადაც შემეძლება, ზუსტად გამოვხატო ჩემში აღძრული შეგრძნებები და ისიც თუ როგორ ვხედავ გარემოს, საგნებსა და ადამიანებს; ჩანაფიქრის პუნქტებად ჩამოწერასა და დახარისხებას არა ვარ ჩვეული. შესაძლოა, გადარჩე-გადმორჩევაში ახალი, სხვებისთვის შეუმჩნეველი კუთხით გამოჩნდეს ზოგი რამე, გამოვავლინო ჩემს არსებაში ჩამარხული, ჯერ კიდევ გამოუყენებელი უნარი.

საფუძველი მაქვს იმისა, ვშიშობდე, რომ განზრახულის დიდი უმრავლესობის განხორციელებას ვერ მოვასწრებ და სახელდახელო, ბოლომდე გაუცნობიერებელ მინიშნებათა ამარა დავრჩები. ამდენად, კრიალა, მჭიდროდ შეკრული სასახლის მაგივრად დაუმთავრებელ, უშნო და ფომფლო შენობას იხილავენ, ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიხლის კვრა რომ წააქცევს (ღმერთმა მაგის მეტი საჯავრელი არ მოგვცესო, ჩაიქირქილებენ ვიღაც-ვიღაცანი).

არც იმის დავიწყება ივარგებს – ბევრი ჩავარდნილა ჩემნაირ და კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში, მაგრამ არ დაუწუწუნიათ. სხვა გზა არ არის, როგორმე უნდა შევურიგდე და თვალი გავუსწორო მკაცრ, ჩემს წინ ასვეტილ სინამდვილეს. გავაკეთო, რაც ღვთისგან ბოძებული დროის მონაკვეთში იქნება შესაძლებელი; შემთხვევით რამეებს ნაკლები ყურადღება დავუთმო, ზედმეტ ხათრიანობას შევეშვა. ახლა კი ვამბობ ამას, კედელთან მიყენებული, მაგრამ მეეჭვება, როცა საქმე საქმეზე მიდგება, საჭირო სიმტკიცე და პირდაპირობა გამოვიჩინო.

ვიხსენებ მოსკოველ მეგობარს

06.02.2011. ზურაბ კიკნაძემ, როცა ტელეფონით ველაპარაკებოდი და გავიხსენეთ სიყმანვილე, მითხრა გულსატკენი ამბავი – რამდენიმე წელიწადია, გარდაცვლილა ჩვენი მოსკოველი მეგობარი, დიდად კულტურული და მრავალმხრივ განათლებული ადამიანი ლეოპოლდ კოტიუხოვი.

ორმოც წელინადზე მეტია გასული, რაც იგი შემთხვევით გავიცანი არბატის მახლობლად. მის უკან ვიჯექი ტროლეიბუსში. ხელში ეჭირა „პოეტის ბიბლიოთეკის" მცირე სერია და გადაშლილ გვერდზე ლექსი ვიკანი. თქვენ ბრიუსოვს კითხულობთ-მეთქი, ვუთხარი. გაოცებულმა და გაღიმებულმა შემომხედა, როგორ მიხვდითო. გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, უჩვეულო სითბო და ყურადღება გამოავლინა. მომცრო ტანის ლამაზი ბიჭი იყო, ცისფერთვალება, მოყვითალო, ჩალისფრად რომ იტყვიან, ისეთი გვერდზე გადავარცხნილი თმა ჰქონდა. პროფესიით ეკონომისტს (კვების მრეწველობის სპეციალისტი იყო) პოეზია და მხატვრობა თავდავიწყებამდე უყვარდა. ზურაბი და მე შვებულებას, ზამთრის თვეს მოსკოვში ვატარებდით. ზურაბი მაშინვე შეეთვისა და თავისუფალ დროს სულ ჩვენთან ატარებდა; სად არ ნაგვიყვანა. დაგვატარა მთელი მოსკოვი. ამბობდა, რომ ნამდვილი მხატვრები, რუსი ავანგარდისტები, სარდაფში ჩაკეტილი, ინესტეტა და ხალხს არ აჩვენებენო. შინაგანად დისიდენტი იყო. ზურაბი ჩემზე მეტად დაუახლოვდა. მალე თბილისში ჩამოგვაკითხა და ჩვენებურად ვეციით პატივი. რამდენჯერმე მოსკოვში მყოფი ფრანგი სტუდენტებიც, სლავისტები გამომიგზავნა, საუცხოო ახალგაზრდები. ზაფხული იყო, მამაჩემმა კარგი სუფრა გამართა. „სკირს" გამოცემული ორი ალბომი მისახსოვრეს. მერე ერთმა პარიზში შვილის ნათლობაზე დამპატიჟა, მოსაწვევი გამომიგზავნა. სად ნამსვლელი ვიყავი. ერთხელ ორგანოს თანამშრომელმა „ცისკარში" მომაკითხა და უშიშროების კომიტეტში ამიყვანა იმ ფრანგებთან მიწერ-მოწერის გამო (დანიელისა და სინიავსკის გამო დიდი უბედურება იყო ატეხილი). საფრანგეთში მივლინებით გაგიშვებდითო მითხრეს, მაგრამ ვერაფერზე ვერ დამიყოლიეს და შემეშვნენ.

ლეოპოლს გარდაცვალებამდე განგრეს დამართნოდა და ცალი ფეხი მოკვეთეს. მერე, როგორც ჩანს, უფრო და უფრო გაუარესდა მისი ჯანმრთელობა, რამაც იმსხვერპლა. რას ვიზამ, მხოლოდ სინანულის გამოთქმა და წარსული დღეების თბილად გახსენება თუ შემიძლია.

ადრინდელი აღარ განმეორდება

08.02.2012. კალამს თუ მოჰკიდებ ხელს, უეცრად გაჩენილ განწყობილებასთან მიახლოებული აზრი უნდა გამოხატო. ეს იქნება მოძრავი, ცოცხალი ფიქრის ქაღალდზე გადატანა. ყოველად უპატიებელია, ამ დროს მოიტყუო, ნიღაბი მოირგო. საერთოდაც, სამარცხვინოა, თუ წესიერი ადამიანი ხარ, სიყალბე ჩაიდინო. ვის სჭირდება ან რითი იქნება ეს გამართლებული?! სამწუხაროდ, ყალბისმქმნელთა, სიგლახის ჩამდენთა მთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არმია გვყავს. იმედს ნუ დავკარგავთ, რომ ყველას თავისი მიეზღვება.

უკიდურესად მიჭირს სიბერესთან შეგუება, მაგრამ არასოდეს გამიკეთებია ისეთი რამ, საძრახისი გავმხდარიყავი. მქონია შემთხვევები (ადრეც და მერეც, ხანდაზმულობის ჟამს), რამდენიმე ახალგაზრდა, ლამაზ ქალს შემეძლო, ყოველნაირად დავახლოვებოდი (თვითონვე ენადათ ეს), მაგრამ თავი შევიკავე, უკადრის საქციელად ჩავთვალე. ბევრი არ იზამდა ამას.

მას მერე ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული – ერთმა თავადური წარმოშობის ძალიან ლამაზმა, ტანადმა, ამაყმა და პატიოსანმა ქალმა (ბევრი ქალაქში ცნობილი და თავმომწონე, მხარბეჭიანი ყმაწვილი თავგადაკლულად ეარშიყებოდა, მაგრამ არავინ გაიკარა) აშკარად გამოთქვა სურვილი ჩემთან, არაფრით გამორჩეულ ბოთესთან სიახლოვისა. შვებულების დროს, ზაფხულში (ერთ დაწესებულებაში ვმსახურობდით), პატარა წერილი გამომიგზავნა – მე გული გადაგიხსენი, შენს თავზე კი არაფერი მოგიყოლიაო. იმავე ხანებში, სოფლიდან დაბრუნებულმა, წარბაზიდულმა და მოღიმარმა სვანურად მითხრა (თვითონვე მითარგმნა) ძარღვებში სისხლის მაგივრად წყალი გიდგასო. გადავყლაპე ეს გაქირავდა – კარგად ვიცნობდი მის ძმებსა და ბიძაშვილს, მწერალს, და ამნაცვ დამამუხრუჭა. იმ დღეს ისიც დაატანა, არ იფიქრო, გათხოვებას ვესწრაფოდეო.

მოგვიანებით, ინჟინერზე გათხოვილმა, მითხრა, სპორტის სასახლის გვერდით ვცხოვრობ (მისამართი დამიწერა), ჩემს ქმარს მუსიკა უყვარს, ერთმანეთთან საერთო ენას გამოძებნით, გვესტუმრეო. დავპირდი, მაგრამ არ მივსულვარ მათ ოჯახში. მამა რომ გარდაეცვალა, დასაფლავებაზე წავედი. ნათესავ ქალს დაბარა ჩემთან, ჭირის სუფრაზე უსათუოდ დავრჩენილიყავი. ეს თხოვნა შევუსრულე, კიდევაც ვანუგეშე დამწუხრებული.

ამის მერე, გასული საუკუნის მიწურულს, ერთხელ კიდევ ვნახე, ოპერის თეატრში ბათუმიდან ჩამოტანილ სპექტაკლს ვესწრებოდი. იგი ჩემს უკან მჯდარიყო, შესვენების დროს მხარზე მომითათუნა ხელი, იმ ოპერაში თურმე საგასტროლოდ ჩამოსული მისი ერთადერთი ქალიშვილი მღეროდა. გადავკოცნე, მივულოცე. საგრძნობლად იყო შეცვლილი, გრძელი, ჯიშიანი სახე დანაოჭებოდა, მხოლოდ თვალები შერჩენოდა ძველი, შუქიანი, ეშმაკურად მოციმციმე...

სხვა შემთხვევებიც იყო, როდესაც ორმა თუ სამმა გამორჩეული გარეგნობის ქალმა (ერთი ახლა შემანუხებლად მოხუცია, მეორე ამჟამადაც არ დაიწუნება, შემთხვევით გადავეყარე რუსთაველზე და ტელეფონი ჩამანერინა) აშკარად მიმახვედრა, რომ ჩემთან ურთიერთობა უნდოდა. რატომღაც უკან დავიხიე, ვერ გამოვიჩინე აქტიურობა და გულის გულში კიდევაც ვნანობ. ვიცი, ადრინდელი აღარ განმეორდება. ზოგიერთი რამის დაწერას, ათეული წელია, ვერიდები, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, ბოლოს და ბოლოს ნავსს გავტეხ და, რაც ამდენი ხანია მანგალებს, დავწერ. რომც არ ვაღიარო, ისედაც ცხადია, გადაუწყვეტელობა, ყოყმანი ჩემი უმთავრესი ნაკლია.

დედა დამესიზმრა

20.02.2012. თებერვალი უბედური დედაჩემის აქვეყნიდან წასვლის თვეა და უცნაურია, ნუხელ დამესიზმრა. საშინელი ძალის ქარი უბერავდა მთელი ღამე. მეგონა, მისი გამწარებული სული ბობოქრობდა (ახლაც ისმის შეჟანგული თუნუქის ფურცლების, სახურავების ზრიალი და ხრიგინი). თითქოს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვხედავდი წარსულის სურათებს, მოსაწყენ დღევანდელობასაც. წუხანდელი, დაფლეთილი ხილვების აღდგენას ვლამობ...

ვითომ ახლწაკითხულ წიგნებში ჩემს მონიშნულ ადგილებს ვეძებდი, მოსული სტუმრისთვის რომ მეჩვენებინა. ვჩქარობდი. ერთ-ერთი წიგნი კი გავშალე, თუმცა ხაზგასმები ვეღარ ვიპოვე, გაწბილებული დავრჩი, ავფორიაქდი. ირგვლივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ოთახისთვის დამახასიათებელი არეულობა, ქაოსი იყო. ხელახლა გადავაქოთე, გადავანგრიე იქაურობა.

გავიხედე და ტახტზე წამოწოლილი, პალტოგადახურული დედაჩემი დავინახე. მთლად მოხუცებულის იერი არ ჰქონდა, დაახლოებით სამოცი წლისა იქნებოდა. მისაყვედურა, მაგრამ არ გამწყრომია. ხმადაბლა მისაყვედურა – ასე მოუწესრიგებლად ყოფნას სანამდე აპირებო, გაღიმებულმა მითხრა. რაღაცა ჩავიბურდღუნე, თავის მართლება ვცადე. მერე სულაც გაქრა საცოდავი. ამგვარი რამ კინოებში ხდება.

დაფიქრებული, ვრწმუნდები ხოლმე – მე მისი სიჯიუტე, დროდადრო გამოვლენილი უჯიათობა გამომყვა, ბრაზის დამალვა მიჭირს. სხვისგან მომადლებული სიკეთე სულ მახსოვს, მაგრამ წყენის, შეურაცხყოფის დავიწყებაც არ შემიძლია, სრულიად მოულოდნელად ამომასხამს სისხლი და ამ დროს, ვინ იცის, რა ხნის შურისძიებისთვის მზად ვარ. ამასთანავე, არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს დახმარება დასჭირვებოდა და თავი არ შემეწუხებინა. ეს თვისება უთუოდ მამაჩემისგან მივიღე მემკვიდრეობად. იგი ჩემზე ბევრად შენდობი, მშატიებელი იყო, თუმცა ზოგჯერ, უსინდისობას როცა წააწყდებოდა, განრისხება იცოდა.

დედაჩემმა (ქმარი ახალგაზრდობაში დაუპატიმრეს) წარმოუდგენლად ბევრი, აურაცხელი უბედურება გადაიტანა ცხოვრებაში – საფიცარი, საამაყო მამა, აპოლონ იმნაძე, ნიკო ნიკოლაძის მეგობარი, მთელ ფოთში ცნობილი ქველმოქმედი 1937 წელს ყარაგანდაში გადაასახლეს, ყოველგვარი საბაბის გარეშე და იქ ჩაკვდა. დღედაღამეს ასწორებდა მარტოდ დარჩენილი, მე და ჩემი უმცროსი ძმა რომ გავეზარდეთ. ცხადია, ახლობლებიც გვეხმარებოდნენ. მამაჩემის გადასახლებიდან დაბრუნების მერეც არ ყოფილა დიდად დალხინებული. უმცროსი ვაჟის, დიდად ნიჭიერი ვახტანგის მოწამვლისა და დაღუპვის შემდეგ (უცნობ ენების ინსტიტუტის მეოთხე კურსზე გადასულმა იმდენად შეისწავლა ფრანგული, რომ ბატონი გვაჩი გეგელია მასზე დიდ იმედებს ამყარებდა) ორივენი სასონარკვეთაში ჩავარდნენ. ამან მეც მძიმე დაღი დამასვა. აღარაფერს ვამბობ, თავად რა საშინელებები დამატყდა, მაგრამ ჩემი სამშობლოს მიერ განცდილმა ტრაგედიებმა ყველაფერი გადაფარა. მოჩვენებითი „ახლობლებისგან“ ყოველად ვერაგული ღალატიც ვიგემე, მაგრამ ესეც ჩვეულებრივი ამბავია საქართველოში.

კიდევ არ ვიტყვი ბედის სამდურავს ანი თუ მეშველა და ცოტა ხნით სული მოვითქვი, მაგრამ ესეც სათუოა, ცოლის, ელენეს უმძიმესმა დაავადებამ („ნითელი მგლურა“ სჭირს) ნერვები დამაწყვიტა, საავადმყოფოებში მიწევს თვეების გატარება. მთავარი საწუხარი ეს მაქვს – როგორმე ჩემი ნაბოლარა ბიჭი, ბაქარი დავაყენო ფეხზე, დავაოჯახო.

მამასაც სიზმრად ვნახულოგ

07.03.2012. კარგა ხანია, მამაჩემი სიზმრად აღარ მინახავს. ერთი კვირის წინათ გამომეცხადა. დედაჩემის არ იყოს, ისიც შედარებით ახალგაზრდად გამოიყურებოდა. ჩვეულებისამებრ, შავი პიჯაკი ეცვა.

სახლში რაღაც სუფრას აწყობდნენ (ასეთი რამ ჩვენთან ხშირი იყო), გრაფინებით ღვინო შემოდგეს. საჭმელი არ ჩანდა. ჩემთან რამდენიმე სტუმარი იყო მოსული, რატომღაც არავის მივსალმებივარ და სახეზედაც არც ერთისთვის არ შემიხედავს.

მამაჩემმა სადღეგრძელოები დაიწყო – აზრიანად, დალაგებულად. ყველას ეფერებოდა, როგორც სიცოცხლეში იცოდა. მე ვუთხარი, უხერხულია, ღვინოზე დასაყოლებელი რომ არ გვაქვსმეთქი. გამიბრაზდა, რაც არის, ისიც ჩემგან არის, შენ არაფერი მოგიტანიაო. სიტყვას როგორ შევუბრუნებდი – გავჩერდი. განაგრძო ლაპარაკი, მაგრამ მე უკვე აღარ მესმოდა მისი ხმა. მერე ყველაფერი უეცრად გაქრა, თითქოს ჰაერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აორთქლდაო. სამწუხაროა, მაშინვე რომ არ ჩავიწერე ნანახი, მოლანდებული, ზოგიერთი წვრილმანი დამავიწყდა. ასე იცის სიზმარმა, დროზე უნდა აღნუსხო, რასაც თვალს შეავლებ ანდა გაიგონებ, მამაჩემის გამო მუდამ ვწუხვარ, არ ვიცი რა ვქნა, რომ მისი ხსოვნა ვაცოცხლო, თუმცა ბევრი იგონებს მადლიერებით, ლოცავენ.

ერთი კი გავაკეთე, ორთაჭალის კოლონიაში ჩაწერილი (1948) „ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა," მუშნი დადიანის დღიურებთან ერთად, გამოვეცი და ის წიგნი ყველას ძალიან მოეწონა, ვინც წაიკითხა. საბოლოოდ მაინც არ არის დასრულებული, ბევრი მასალა დამრჩა 1924 წლის სისხლში ჩახრჩობილ აჯანყებაზე, რამაც წელში გატეხა ქვეყანა. კიდევ უნდა მივუბრუნდე და ხელმეორედ გამოვცე, არ დამზარდებიან. მარტო ეს ჩანაწერები რომ დაეტოვებინა (იმ რვეულების შენახვას და გადარჩენას ცხონებულ კიტა ბუაჩიძეს ვუმადლი), საქართველოს ისტორიაში იმითაც დარჩებოდა ჩემი განაწამები მამა, ასე გაუხარელად რომ გაშორდა სამზეოს და მხოლოდ სიზმარში ვნახულობ.

ზედმეტი არაფერი ვარგა

10.04.2012. ლექსის სრულყოფაზე ნამდვილმა პოეტმა, ოსტატმა დრო და ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს, მაგრამ სიტყვასთან გადამეტებული, გაუთავებელი თამაში, ალიტერაციაზე ახირებული გამოდევნება, კირკიტი ცუდად თავდება.

სავსებით მართალი იყო გერმანული წარმომავლობის გარუსებული და შემდგომ ამერიკაში მცხოვრები გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, დიდი თეოლოგი და პოეზიის, მწერლობის დახვეწილი მცოდნე ალექსანდრ შმემანი, ვისაც მარინა ცვეტაევას ეს აკვიატებული თვისება (იგი, სხვათა შორის, პასტერნაკსაც ამასვე საყვედურობდა) აღიზიანებდა. მე გამოჩენილი რუსი პოეტების განმსჯელად ვერ გამოვდგები, მაგრამ ადრეც დამიწერია, რომ აღნიშნული მიდრეკილება განსაკუთრებით ჭარბად მარინა ცვეტაევამ ოციანი ნლების მერე, ემიგრაციაში წასულმა გამოავლინა, რამაც მის ღვთაებრივ პოეზიას საკმაოდ ავნო. ამაზე შეფარულად წერს მისივე ძალიან ნიჭიერი ქალიშვილი არიადნა ეფროსი, ვისაც დედის ადრინდელი ლექსები უფრო მოსწონდა.

ეს მთლად უწყინარი ნაკლი როდი გახლავთ. შმემანმა ამის გამოც დაასკვნა, რომ ბლოკის, ახმატოვას, მანდელშტამის ტრაგედიებში სიდიადე, ამაღლებულობა იგრძნობა, ხოლო ცვეტაევას დაღუპვა ელაბუგში უფრო სიბრალულს აღძრავს. რაგინდ გულდასაწყვეტი და უსიამოვნო არ უნდა იყოს, ეს თვალსაზრისი სიმართლის გამომხატველია. ხშირად წერენ, როგორ გაუცრუვდა ბლოკს, „თორმეტნის" დამწერს, იმედი, როცა რევოლუციის ქაოსში მუსიკას ისმენდა. ჩვენი მხრივ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რევოლუციურმა აღტკინებამ თვალსაჩინო ზიანი მიაყენა გალაკტიონ ტაბიძის ლირიკასაც.

საერთოდ, ალექსანდრ შმემანის „დღიურები" (1973-1983) ძვირფასი საკითხვაია არამარტო თეოლოგებისთვის, ლიტერატორებსაც ბევრ სარგებლობას მოუტანს, სულიერად გაამდიდრებს. კვლავაც მომიწევს ამ ბრძნულ წიგნთან მიბრუნება. მას რომანივით გაბმით ვერ წაიკითხავ, ეს არც არის საჭირო, მაგრამ ვეება გამოცდილებას რომ ეყრდნობა, სრულიად აშკარაა.

პოეტური სულის ზემოქმედი

08.05.2012. ახლახან გარდაცვლილი სიყრმის ახლობელის, ერლომ ახვლედიანის მოზრდილი მოთხრობის – „ კოლო ქალაქში" – წაკითხვამ მრავალი საფიქრალი გამიჩინა. ორმაგად დამწყდა გული, რომ ამ დროს იგი აღარ იყო ამ ქვეყანაზე, თუმცა ჩემს გასახარელ შთაბეჭდილებას მაინც ვერ ვეტყოდი, ბოლო წლებში იმდენად ჰქონდა წაშლილი მეხსიერება – ველარავის ცნობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრეც, დიდი ხნის წინათაც მქონდა ასეთი განცდა – ბევრი რამ, ღრმა და მახვილგონივრული, რასაც იგი წერს, ცოდნიდან არ მომდინარეობს, უფრო გუმანზეა დანდობილი. ბავშვურად გულუბრყვილოს უსუფთავესი, მთის წყაროსავით კრიალა გული ჰქონდა. თავისი შედეგი „ვანო და ნიკო“ რომ წაგვიკითხა, რამდენიმე დიდი მწერალი ჩამოთვალა და თქვა – ამათ არ ვკითხულობ, რათა გავლენაში არ მოვექცეო. გამეცინა და ვუთხარი – შენ იმდენად გამორჩეული, ყველასგან განსხვავებული, ზღაპართან მიახლოებული ხედვა გაქვს სამყაროსი, თავისთავადობას, წერის შენეულ მანერას ყოველთვის შეინარჩუნებ-მეთქი.

პარადოქსული აზროვნება, აბსურდის პოეტიკა თვით მის ბუნებაში იყო ჩაბუდებული და, ამდენად, აღარ გამკვირვებია, რაცა ხსენებულ მოთხრობაში ერთმანეთზე უკეთესი მეტამორფოზების უწყვეტ, ოსტატურად ასხმულ ჯაჭვს წავაწყდი. ეჟენ იონესკოსა და სამუელ ბეკეტს რომ წაეკითხათ ეს მოთხრობა, დარწმუნებული ვარ, ორივე ნასიამოვნები, კმაყოფილი დარჩებოდა.

ბევრი ვიცინე იმ ადგილზე, სადაც ერლომს გათამაშებული აქვს „რიცხვების მაგია“. აბსტრაქტული აზროვნება, თანაც უკიდურესობამდე დაყვანილი, ადრევე შეთვისებული ჰქონდა და იმ თავში გროტესკულად არის აღწერილი ოთახში გამოკეტილი ხუთი თუ ექვსი სიგარეტის მწეველი, კვამლში რომ არიან გახვეულები და, რაღა თქმა უნდა, სასიკეთოს არაფერს აკეთებენ.

ხშირად იმეორებს მწერალი თუ როგორ ვერ დაადგინა იმათი რაოდენობა, თითქოს ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. ბოლოს ხუთნი გამოდიან გარეთ. ოთახი სულისშემხუთავ ბუღშია დანთქმული და მთხობელი გამოთქვამს ვარაუდს, რომ მეექვსე მწეველი შიგ დარჩა. თვითონ ვერ დაუდგენია მწეველთა რიცხვი და ჩვენც გაუგებრობის ბურუსში გვტოვებს. ეს ერთ-ერთი თავშესაქცევი ეპიზოდია.

გაცილებით ღრმა და პოეტურია ქვის ამაღელვებელი თავგადასავალი. ბუნების სწორუპოვარმა მესაიდუმლემ ვაჟა-ფშაველამ მიგვაჩვია, რომ ქვასაც შეუძლია ფიქრი, ოცნება, მაგრამ ერლომ ახვლედიანის მომნუსხველი კალმით დახატული გარემო იმდენად ხალასი და თავისებურია, საგანგებოდ უნდა აღვნიშნო. ეტყობა, მას ადრე უნახავს ანკარა, ბროლისფრად მჩქროლავი მდინარე, რიონის შენაკადი – ტეხურა და ყველაფერს მისი შხეფების მადლი და ნათელი ადგას.

კლდის ჩამონაშალი, მდინარის ფსკერზე ჩავარდნილი და გაგლუვებული ქვა (დროთა განმავლობაში მას თევზის ფორმა, მოყვანილობა შეუძენია) ყვება სევდიან თავგადასავალს კამკამა ჩქერებში მოცურავე თევზებზე. აქ ისეთი უცნაური ხედვაა გამოვლენილი, უნებურად სახელგანთქმული ირლანდიელი პოეტის შეიმუს ხინის მისტიკური ლექსი გამახსენდა. იმ ლექსის ეკლესიაში შეკრებილი პერსონაჟები თითქოს ზღვის ფსკერზე იმყოფებიან და აჰყურებენ მათ თავზე მოძრავ გემს, რომლის ღუზა ეკლესიის საკურთხეველს წვრს გამოედება და ვეღარ იძვრის. მეზღვაური, რომელიც თოკს ჩამოჰყვება, ვერაფერს ახერხებს და ეკლესიაში მყოფნი მიეშველებიან (იგი ვერ ხვდება, ვინ ახსნის ღუზას, სიკეთე მუდამ შეუმჩნევლად უნდა გაკეთდეს), გემი აგრძელებს თავის მშვიდობიან გზას. ერლომ ახვლედიანის მოთხრობაში ხიფათი ასე ბედნიერად არ თავდება, მძიმე განცდას ტოვებს.

კოღოს თავგადასავალში გამოყვანილი უცნაური პერსონაჟიც „წყლად ქცეულ ცას“ აჰყურებს; მაღლა, ლაღად მოსრიალე თევზებიდან ორს – მომცროსა და მოზრდილს – გამოარჩევს და საშინლად დაღონდება, როცა მოზრდილი თევზი მდინარეში ჩაგდებული ანკესის კაუჭს გამოედება და ლაყუჩებდასისხლიანებულს მშობლიურ წიაღს მოწყვეტენ, ზემოთ ცისკენ აიტაცებენ. ამ ეპიზოდის უჩვეულოდ მგრძნობიარე პოეტურობა რომ უფრო თვალსაჩინო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაჯერებელი გახდეს, რამდენიმე აბზაცის ამოწერა მომინევს:

„ტეხურის ფსკერი, სადაც მე აღმოვჩნდი, ჩემი ყველაზე ბედნიერი წარსულია. მაშინ თევზივით სველი ვიყავი. ჩემს ზემოთ, წყლადქცეულ ცაში, ღამაზი თევზები დაცურავდნენ. ამოდიოდა მზე და მე უკვე დამავიწყდა, რომ იგი ერთი იყო; მისი ანარეკლი ჩემამდე ათასფრად იმსხვრევა.

დიდხანს მლოკა მადლიანმა ტეხურამ. თანდათან გაქრა ჩემი უხეში ნახნაგები და მეც თევზივით სლიპინა გავხდი.

კვლავ სადღაც სულ ახლოს იყო სიცოცხლე და მე კვლავ ქვა ვიყავი.

ნეტავ იმ დროს!

ბევრი თევზი დაცურავდა ჩემს ზემოთ სველ ცაში. ოღონდ ყველანი ორ თევზად დამამახსოვრდა. ერთი სწრაფი და მოქნილი იყო. მეორე – დინჯი და პირველზე მოზრდილი. ისინი მუდამ ერთად იყვნენ. ხანდახან ლურჯი ნყლის მწვანე ჩრდილებში იმალებოდნენ, შემდეგ კვლავ იქვე, შორიახლო დაცურავდნენ. ოღონდ სხვა იყო ახლა მათი მოძრაობა – ჩემთვის რაღაც უცხო საიდუმლოს მატარებელი. სწორედ მაშინ ვიგრძენი უცნაური სევდა, რომ ისინი სიცოცხლიდან არიან, მე კი არა. დაცურავდნენ თევზები ჩემს ზემოთ, ხოლო მე ვეგდე მდინარის ფსკერზე, როგორც ვიღაცის აღუსრულებული და მივიწყებული სურვილი.

სწორედ იქ, ტეხურაში, ჩაისახა ჩემი ყველაზე დიდი ნატვრა – ცოცხალი ვყოფილიყავი. ოღონდ მაშინ არ ვიცოდი, რად მჭირდებოდა იგი. ახლა ვიცი.

მწუხარედ დამთავრდა მათი ამბავი. მოზრდილი თევზი ანკესს წამოეგო და აათრიეს ზევით. უბედური თევზი.

მაგრამ ის კიდევ უფრო უბედურია, ვინც ანკესზე მოფართხალე თევზიც არ არის.

უმწეო პატარა თევზი გარს უვლიდა განნირულს, ცდილობდა მის გადარჩენას. ვერ გადაარჩინა. მარტო დარჩენილი სულ იქვე ტრიალებდა, ეგონა, კვლავ დაბრუნდებოდა მისი მეგობარი. მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ვინც ჩვენს სველ ცას ასცდა, აღარასოდეს დაბრუნდება.

დიდხანს ინვა ჩემზე მწუხარე პატარა თევზი. შემდეგ ქვირითი დაყარა და წავიდა, გაეცალა იმ ადგილებს.

ასე დამთავრდა ეს ამბავი. ახლაც თვალწინ მიდგას მათი თამაში და ალერსი. მე ხომ მაშინ ჩამივარდა ქვის გულში ჩემი ყველაზე დიდი ნატვრა."

ეს არის სიცოცხლის ულამაზესი ჰიმნი, არსებობის ქებათა ქება და რაოდენ დასანანია, რომ ამ სტრიქონების დამწერი ცივ მიწაში წევს. ყველაფრიდან ჩანს – ერთმანეთის ალერსში გართული ის ორი თევზი შეყვარებულები იყვნენ და სევდა გვიპყრობს – ხანმოკლე აღმოჩნდა მშვენიერი წყვილის სიამტკბილობა; ერთს სიკვდილის მსახვრალმა ხელმა გადაუწყვიტა „სველი ციდან" მოწყვეტა (ამით მეორეც გაიწირა) და ამიტომაც არის – მათი ბედის სიმუხთლემ სიცოცხლეს დანატრებული ქვის გულიც შეატოკა.

ადამიანთა უმრავლესობას, მათ, ვისაც სილამაზის აღქმა დაბლაგვებული აქვს, რატომღაც ჰგონიათ, რომ ცხოველები, ფრინველები, თევზები სიყვარულის ყოვლისმომცველ გრძნობას მოკლებულნი არიან.

ერლომ ახვლედიანის მიმზიდველად, გატაცებით საკითხავი მოთხრობის ეს ერთი თავიც ცხადყოფს, რაოდენ მდიდარი, ცხოველმყოფელი იყო მისი წარმოსახვა და რა მძლავრი პოეტური სული იდგა გალეულ, სუსტი აღნაგობის სხეულში.

ცოტა რამ გალაკტიონის რითმაზე

16.05.2012. ზედმეტია იმაზე მსჯელობა თუ რითმის როგორი დიდოსტატი იყო გალაკტიონ ტაბიძე. უმნიშვნელოვანესი სალექსო რეფორმა, რომელიც მან გასული საუკუნის დამდეგს ქართველ პოეტთა ჯგუფთან ერთად განახორციელა, ბევრნილად ახალ რითმასაც უკავშირდება (ქართული პოეზიისთვის მანამდე უცნობ ახალ თემებსა და მოტივებზე, ნაირგვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალექსო ფორმებსა და საზომებზე აღარას ვამბობ).

იშვიათი სარითმო წყვილი, გალაკტიონმა თავის ერთ-ერთ შედევრში რომ გამოიყენა (სილაში ვარდი — სილაჟვარდე), კეთილხმოვნებითა და მისგან გამომჭვირვალი სიმბოლური აზრით, მეტაფორული ელვარებითაც, საუკეთესოდ ითვლება, მისი ბადალი დღემდე არაფერი შექმნილა.

ვფიქრობ, გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მცირეოდენი ხარვეზები, ისევ და ისევ, შედარებით სუსტი რითმების გამო იჩენს თავს. საამისო მაგალითები იოლი დასაძებნია. ერთი აისეი, რამდენადმე დაულაგებელი ლექსი („ლურჯი ხომალდი") პოეტის სახელგანთქმულ „ზარნიშად წიგნშიაც" არის შეტანილი. მასში გარითმვის ერთიანი პრინციპი არ არის დაცული, რაც თავისთავად არ შეიძლება ნაკლად ჩაითვალოს; ჯვარედინს მოსაზღვრე რითმები მოსდევს და ვერ ვიტყვით, რომ სასურველი ჰარმონია იქმნება. სურათის გამოსაკვეთად დასაწყისი რვა სტრიქონი უნდა მოვიტანო:

ხომალდი ლურჯი, დაღლილი სახით,
მოსული გუშინ, ისევნებს გვიან,
ადევნებული მთვარის მაზარით
ანძების ტყეში ლანდები ჰქრიან.
ხომალდი მიდის როგორც ტაძარი,
მაგრამ არ მიდის, ლანდნი მიდიან.
დამშვიდდი ზღვაო, იყავი წყნარად,
გადაქცეული დილიდან ქარად.

„მთვარის მაზარა" ერთობ ბუნდოვანი, ძნელად წარმოსადგენი სახეა; შესაძლოა იგი ღამის მნათობზე შემოხვეული რუხ ღრუბელს აღნიშნავდეს (ამ კონტექსტში გავიხსენოთ ვიორგი ლეონიძის უფრო ბუნებრივი „ყაბალახი მთვარისა," უბრალოდ, არა დასაპირისპირებლად), თუმცა აქაც აშკარაა ლურჯი ფერისკენ გალაკტიონისეული დაუოკებელი ლტოლვა.

ლექსს მოსაზღვრე რითმები კეტავს. იხატება შეღამების სურათი სურნელოვანი ბაღის ფონზე, მაგრამ ფინალისთვის, ჟღერადობის მხრივ, ბოლო ორი სტრიქონი ნაკლებ შესაფერისია, მოისუსტებს:

ნუ გვიანდებით, ნუ გვიანდებით,
ეშვება ბინდი ლილიან ფრთებით.

ოცდაათიანი წლების ლექსებში უფრო ხშირია ჩავარდნები, „ტექნიკური გაუმართაობა," რაც ხელოვნური რითმების წილად მოდის. განსაკუთრებით ეხამუშება ყურსა და თვალს რითმებად გამოყენებული თითომარცვლიანი სიტყვები, რაც მეცხრამეტე საუკუნის გადმონაშთად (გავიხსენოთ ილიას სტრიქონი „ლუღუნი იგი ჩამრჩენია გულს...") აღიქმება.

1934 წლით დათარიღებული ერთი უსათაუროს („ეს ძველი მუზა ცბიერ გველივით") ორ დასკვნით სტრიქონში გვაქვს ასეთი რითმები, რაც მთელ ლექსს ნაძალადობის დაღს ასვამს:

მიუსსეს შემდეგ ფერმიხდილი მზით
რომ ოცნებობდეს ვინმე, ძნელია,
უძველეს დროის, მაინც ვერას გზით,
განცდებს ეს მუზა ვერ შეელია.

და ადგილს სადაც ცრემლი მოსდის ქვას,
არ დაელევა სულს სანდომარი –
მიცვალებულის სადღეგრძელო სთქვეს,
ცოცხალს კი მხოლოდ შესანდობარი.

გარითმვის დაახლოებით ასეთივე სქემას, როცა პირველსა და მესამე სტრიქონებში გამოცალკევებულია ერთმარცვლიანი სიტყვები, გვთავაზობს გალაკტიონ ტაბიძის ერთი ადრინდელი შედევრი – „გზაში;" მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს რაიმე ვნებას ვერ აყენებს მთლიანად ლექსს; თვით აქ დახატული სურათებია ერთმანეთზე უკეთესი, განწყობილების მთლიანობაც არსად ირღვევა და სტრიქონთა მდინარებაც შეუბოჭავი, ლაღია:

ლურჯი აჩრდილი ცხელ ჰაერში დგას,
ისმის ნაცნობი ყრჭოლა სიმინდის
ზუზუნი გააქვს უბინაო სკას,
ოჰ! სამუდამოდ დაწყევლილ სინდისს.

ხუთი ნაწილისგან შემდგარ ამ უძ-ლიერეს ლექსში არათანაბარმარცვლო-ვანი წყვილები საკმაოდ უხვადაა (ქაფით – ნიღაბით; მწყერი – მეწყერი; ცხელი – სახელი; მხარის – მიხარის), მაგრამ ის, რაც სხვაგან შეიძლება საჩოთირო ყოფილიყო, აქ არავითარ უხერხულობას არ იწვევს.

ურიგო არ იქნებოდა, გალაკტიონის უმრავალფეროვნეს პოეზიას ამ კუთხით დაკვირვებოდა ქართული ლექსის რომე-ლიმე თვალსაჩინო მკვლევარი. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, ასეთი ცდის შედეგად გარკვეული კანონზომიერებანი, მწყობრი სისტემა გამოიკვეთება.

საკამათო არ გახლავთ – რითმა პოე-ტური ოსტატობის ერთ-ერთი მთავარი საზომია და მის მარჯვედ, მოხდენილად გამოყენებას მოულოდნელობის ეფექტი, მრავალი საიდუმლო და სიახლე ახლავს, რასაც ბევრი დიდი პოეტის (გალაკტიონი სწორედ ასეთია) შემოქმედება მოწმობს.

რითმა ერთგვარი ანკესია, სიტყვების თვალუწვდენ ზღვაში ხელამოდ გადას-როლილი, რომელიც ზოგჯერ სრულიად მოულოდნელ სახეს, მეტაფორას მოიყო-ლებს ხოლმე, მანამდე წარმოსახვაში რომ თვლემდა. ოღონდ ესაა – რითმამ თავის ნებაზე ვერ უნდა წაგიყვანოს, ჯობს საამისო უნარი გამოიჩინო და იქით იმსახურო, უხეიროდ გამოჩრილი, მყვი-რალა ზედმეტად არ იქცევდეს მკითხვე-ლის ყურადღებას.

გალაკტიონ ტაბიძის უზარმაზარ პოე-ტურ მემკვიდრეობაში მრავლის უმრა-ვლესი მაგალითია იმისა, როცა რითმა ლექსის მშვენებად, უმაღლესი ჰარმონიის წყაროდ, ხელშემწყობად გვევლინება.



ბიოხბი ხეოშვიილი

გრიგოლ როზაქიძე და ვასილი როზანოვი

საქართველოში გრიგოლ რობაქიძე იყო პირველი, ვინც რუსი მწერლისა და ფილოსოფოსის, ვასილი როზანოვის (1856-1919) შემოქმედების მნიშვნელობაზე დაიწყო საუბარი. „რუს ნიცშედ“ წოდებული მოაზროვნისადმი რობაქიძის ინტერესს რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა.

გრიგოლ რობაქიძე საქართველოში „მოდერნიზმის სახარების“ მქადაგებლად ითვლება. საკუთარი ლიტერატურული შემოქმედებით რობაქიძე ცდილობდა, ევროპაში გაფორმებული და რუსეთში ფართოდ გავრცელებული სიმბოლისტური მსოფლმხედველობის დანერგვას ქართველი ხალხის მხატვრულ ცნობიერებაში. მოდერნისტული ხელოვნებისა და ლიტერატურის იდეალებს რობაქიძე ჯერ კიდევ 1902-1908 წლებში, გერმანიაში სწავლის დროს ეზიარა. მოგვიანებით კი პირადად გაიცნო ცნობილი რუსი სიმბოლისტი მწერლები და ფილოსოფოსები – ა. ბელი, ა. ბლოკი, ზ. გიპიუსი, ვ. ბრიუსოვი, ვ. ივანოვი, დ. მერეჟკოვსკი, ნ. ბერდიაევი და სხვები – და საფუძვლიანად შეისწავლა მათი შემოქმედება. შეუძლებელია, რობაქიძის ყურადღების მიღმა დარჩენილიყო ის გარემოება, რომ ეს ავტორები თავიანთ შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ როზანოვის მსოფლმხედველობის ანალიზს. ისინი პირადად იცნობდნენ როზანოვს და არ მალავდნენ ამ უკანასკნელის პიროვნებისა და ნააზრევისადმი თავიანთ დამოკიდებულებას – აღფრთოვანებასა თუ აღშფოთებას. ამგვარად, როზანოვის შემოქმედებით რობაქიძის დაინტერესების წინაპირობად ეს გარემოებაც შეიძლება ქცეულიყო. თუმცა როზანოვის ნააზრევისადმი რობაქიძის ინტერესს უფრო ღრმა საფუძვლებიც მოეპოვება.

ვასილი როზანოვს ორიგინალური მოაზროვნის სახელი შესძინა სქესის ფენომენის სრულიად უჩვეულო რელიგიურ-ფილოსოფიურმა გააზრებამ.[1] სქესი როზანოვისათვის ერთდროულად თეისტური და კოსმოლოგიური სიცოცხლის მომცემი საწყისია. სამყაროს მეტაფიზიკურ არსში ორი საწყისი ძევს: შთამომავლობითი, სქესობრივი, უპიროვნო და სქესთან, როგორც სამყაროს საფუძველმდებარე სინამდვილესთან, დაპირისპირებული საწყისი – პიროვნება. სიკვდილი როზანოვისთვის აღიქმება, როგორც სქესის დაკარგვის ფენომენი, სამყაროს კასტრაცია. ასეთ დროს ქორწინება და გამრავლება სიკვდილზე ადამიანის გამარჯვების ერთადერთი გზაა.

როზანოვის აზრით, სქესი ადამიანში არის არა ფუნქცია ან ორგანო, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის ყოვლისმომცველი პრინციპი. სქესი ღმერთის პროექციაა. ამიტომ, ღვთაებრივიც ადამიანში სწორედ სქესია. თუ ქორწინება არის ან შეიძლება იყოს „რელიგიური“, მხოლოდ იმიტომ, რომ რელიგიას აქვს თავისაში რაიმე „სქესობრივი“. როზანოვს ღმერთი ესმის, როგორც აქტიურ-შემოქმედებითი (მამაკაცური) და მიმღებ-დამბადებელი (ქალური) სანყისების ერთიანობა. „სქესის კავშირი ღმერთთან უფრო უდავოა, ვიდრე გონების ან თვით სინდისის კავშირი მასთან“.[2] სწორედ ამ კავშირის აღდგენა და აღიარება წარმოადგენდა ძველი აღთქმისა და წარმართული რელიგიების ბირთვს. როზანოვისთვის ქრისტიანობა სიცოცხლის იმპულსების შემაფერხებელი რელიგიაა, იუდაიზმის არსი კი სქესისა და გამრავლების აბსოლუტურობის რელიგიურ მტკიცებაში მდგომარეობს. ამიტომ ცდილობს როზანოვი „ააღორძინოს“ წარმართული რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები, როგორც ისტორიული ქრისტიანობის დაძლევის ერთადერთი ალტერნატივა. როზანოვის მიერ ახლებურად ინტერპრეტირებული რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები შემოქმედებითი შთაგონების წყარო გახდა რუსული მოდერნიზმისა და სიმბოლიზმის ბევრი ცნობილი წარმომადგენლისთვის.

სქესის ფენომენის „საიდუმლო“ და ყოფიერების მითოლოგიური „თაურ-საფუძვლები“ ცენტრალური თემებია რობაქიძის მხატვრულ შემოქმედებაშიც. ცნობილია, რომ რობაქიძე სქესის შესახებ ერთობ უცნაურ თვალსაზრისს[3], ავითარებდა, რომელიც, გარკვეული მსგავსების მიუხედავად, უპირისპირდება სქესის როზანოვისეულ თეორიას. როზანოვის მსგავსად, რობაქიძესაც „სამყარო ესმოდა როგორც ბიპოლარული სქესობრივი ურთიერთმიმართების დაძაბულობა, რომლის დიდი თაურსიმბოლოებია მზე და დედამიწა (მიწა), მამაკაცური და ქალური, თესლი და საშო, პლაზმა და პნევმა. ყველაფერი ტრიალებს სქესთა შეხვედრის, მათი ბრძოლისა და შეერთების გარშემო – სქესობრივი აქტი არის ყოველგვარი გრძნობადი გამოცდილებისათვის იმანენტური პარადიგმა. ჩვენი სექსუალობა არის რიტუალი, რომელშიაც თაურმითოსი (Urmythos) სულ მუდამ ხელახლა იწყებს მოქმედებას.“[4]

ამ მსგავსების მიუხედავად, სქესობრივი ცხოვრების რობაქიძისეული იდეალი არსებითად უპირისპირდება როზანოვისეულ იდეალს. თუკი როზანოვისთვის სქესობრივი ცხოვრება და გამრავლებაა სიკვდილის დაძლევის გზა, რობაქიძისთვის სიკვდილის ძლევის ერთადერთი საშუალება სქესობრივი აქტისაგან თავშეკავებაში მდგომარეობს. რობაქიძეს სჯერა, რომ განუზორგიელებელი სქესობრივი აქტი ზრდის მამაკაცის ოკულტურ ძალებს. ნ. ზომბარტის აზრით, რობაქიძის „მატრიმონიალური უმანკოება არ იყო უარისთქმა სქესზე, არამედ სქესის მოქმედების რაღაცნაირად რაფინირებული სახეობა. მას სქესობრიობის ჩაკვლა კი არ უნდოდა, არამედ გასპეტაკება.“[5] სქესობრივი აქტისგან თავშეკავებაში რობაქიძე, უპირველეს ყოვლისა, მამაკაცურ თვითდამკვიდრებას, როგორც ქალური საწყისის ბატონობის დაძლევის გზასა და პატრიარქალობისკენ დაბრუნებას ხედავს.

სქესის ფენომენთან დაკავშირებით როზანოვისა და რობაქიძის პოზიციებს შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, აშკარაა, რომ ორივე მოაზროვნე საკუთარი თვალსაზრისის გამყარებას რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენებზე დაყრდნობით ცდილობს.

როზანოვი, აკრიტიკებს სქესის ქრისტიანულ გაგებას, რომ აკრიტიკებს სქესის ფენომენის დაცვას იუდაიზმისა და წარმართული რელიგიების დახმარებით ცდილობს. მისი აზრით, სამყაროში ერთმანეთს ებრძვის ორი სინათლე: სინათლე მზისა და სინათლე მთვარისა. მზე არის ნაყოფიერების ღვთაება, მთვარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მარადიული უნაყოფო ქალწული, სიკვდილისა და ცდუნების ღვთაება. იუდაიზმი და წარმართობა მზის რელიგიებია, ქრისტიანობა – მთვარის შუქისა. ამიტომ იგი მკითხველს ძველსა და ახალ აღთქმას შორის არჩევანის გაკეთებისკენ მოუნოდებს.

სქესის კონცეფციას რობაქიძეც მითოსური წარმოდგენების იმ ლოგიკით ხსნის, რომელიც მან, ერთი მხრივ, მედეასა და ამორძალების შესახებ არსებულ ბერძნულ მითებში და, მეორე მხრივ, ხევსურეთში გავრცელებული სწორფრობის რიტუალის მისტიკაში „ამოიკითხა"[6]. ამ „ლოგიკის" თანახმად, სიყვარული ღვთაებრივი განცდაა. სიყვარულის აქტში წყვილები ურთიერთსრულყოფის გზით პიროვნულ უკვდავებას ესწრაფვიან, მაშინ როცა სქესობრივი აქტით მხოლოდ გვარის უკვდავება მიიღწევა. სწორედ ამიტომ არის, რომ, თუ სიყვარულს ხორციელად ეზიარები, მას კლავ. სიყვარულით „უნდა იწვოდე" მხოლოდ.

ამგვარად, შეუძლებელია, რომ რობაქიძე, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით მითოლოგიის აღორძინებას ესწრაფოდა, არ დაინტერესებულიყო როზანოვის წიაღსვლებით იუდაისტურ და წარმართულ მითოლოგიებში.

და ბოლოს, როზანოვის შემოქმედებისადმი რობაქიძის ინტერესს განაპიროებდა როზანოვის სტილიც, რომელიც, თანამედროვეთა აღიარებით, უნიკალური მოვლენაა ლიტერატურაში. რობაქიძემ – თავადაც უბადლო სტილისტმა – ზუსტად შეიგრძნო და აღიარა როზანოვის ეს არაჩვეულებრივი მწერლური ნიჭი.

●

1919 წელს გამოქვეყნდა გ. რობაქიძის სტატია „როზანოვი".[7] მასში რობაქიძე ცდილობს წარმოაჩინოს ამ ორიგინალური მოაზროვნის ფენომენი და წინააღმდეგობებით აღსავსე მისი მსოფლმხედველობის არსი.

სტატია როზანოვის ავტოპორტრეტის გადმოცემით იწყება, რისთვისაც „დაცვენილი ფოთლებიდან" და „განმარტოებულიდან" ციტატების მთელი კასკადია მოხმობილი. რობაქიძის აზრით, როზანოვის უჩვეულო გარეგნობა და მისი სულიერი სამყარო (რომელიც „ძუძყის, სინაზისა და სევდის გვირისტია"[8]) უცნაურ მთლიანობას ქმნის.

რობაქიძის თქმით, როზანოვი თავადვე აღიარებს, რომ საპირისპირო უნარებს ფლობს. თუ აბრაამი იეღოვას პატარძლობდა, როზანოვს პრეტენზია აქვს, რომ ბუნებას პატარძლობს – ანუ გახსნილია მთელი სამყაროსადმი. როზანოვს მიაჩნია, რომ საკაცობრიო ისტორია მან ისე ნათლად დაინახა და გაიგო, თითქოს ხელის გულზე ედო, თითქოს თავად იყო ისტორიის შემოქმედი.

მეორე მხრივ, როზანოვი ისეა ჩაძირული საკუთარ თავში, რომ მისი სუბიექტურობა ხშირად რეალობის სრული დაკარგვის ტოლფასია. როზანოვი „გამუდმებით უსმენს საკუთარ თავს და არ შეუძლია სხვათა მოსმენა"[9] – აცხადებს რობაქიძე ნ. ბერდიაევის ზეპირ გადმოცემებზე დაყრდნობით.

როზანოვი საკუთარ თავს „ჯერ კიდევ არდაბადებულს" უწოდებს: თავს ჯერ ისევ დედის საშოში მწოლიარე იმ არსებად მიიჩნევს, რომელსაც სამოთხის ხმოვანება ჩაესმის. თუმცა სულიერი გამოცდილების მხრივ – ხანდაზმულ ადამიანად გრძნობს თავს („საშოსშიდა ყოფიერებაშიც უსაზღვროდ საინტერესო ვარ, სულიერად კი უსაზღვროდ ბებერი, გამოცდილი, თითქოს 1000 წლის ვიყო და ამასთან – ნორჩი, სრულიად ბავშვი"[10]). რობაქიძის აზრით, როზანოვის ფენომენის უცნაურობაც სწორედ ამაშია. აქედან მომდინარეობს მისი ჩაღრმავება საკუთარ თავში, „მარადიული სიჭაბუკის უსასრულო ენება, მხიარულება და ironია ყველაფრისადმი, საკუთარი თავის მიმართაც კი."[11]

როზანოვის ფენომენის ახსნას რობაქიძე ოტო ვაინინგერის თეორიით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილობს: გენიოსი არავის ჰგავს. ის უმაღლესი ინდივიდუალობაცაა და უმაღლესი უნივერსალობაც. მისგან პოტენციურად ყველაფერი შეიძლება გამოვიდეს. ასეთია როზანოვიც. „როზანოვს ღმერთმა გენიალური ყოვლისმგრძნობელობა, ყველაფერში შემოქმედებითად შეღწევის უნარი მიანიჭა: მას ესმის „ესეც“ და „ისიც“, რადგან თვითონ ესეც არის და ისიც.“[12] ამიტომაც არის, რომ მას არაჩვეულებრივად შეუძლია ნიღბების ცვლა, თანაც ისე, რომ მისი ნამდვილი სახე მუდამ დაფარული რჩება. ამითვე აიხსნება როზანოვის მიერ ერთსა და იმავე საკითხზე პოზიციათა გამუდმებული ცვლა.

რობაქიძის აზრით, როზანოვში წაშლილია პიროვნულობა. ის სრულიად სამყაროსეულია. როზანოვმა „დაარღვია ყოველგვარი „ინტიმურობა“, გააშიშვლა საკუთარი თავი და დედიშობილა ინყო სიარული.“[13] როზანოვის ჭეშმარიტი სტიქია სქესია. სქესი მისი არსებობის რიტმია. „სქესში და სქესის მეშვეობით ხსნის ის (როზანოვი – გ. ხ.) საკუთარ თავს, ვინაიდან თვით სქესიც უსახო მდინარებაა. მისი პათოსი სქესის გრძნობაა; მისი ტონუსი – შვილთა შობადობა.“[14] ეს განაპირობებს მის სიყვარულს მოსეს ხუთწიგნეულისადმი. როზანოვს ხელშესახები კონკრეტულობით უყვარს იუდაიზმი მისი პანთეისტური ეროტიზმისთვის. მისთვის იუდაიზმი სხვა არაფერია თუ არა „თესლის“ რელიგია. ის ტკბება ძველი აღთქმის იმ ადგილებით, სადაც დაბადებულთა ვრცელი გენეალოგიაა მოცემული. იგი წინასწარმეტყველ იეზეკიელის სიტყვებშიც ღვთისა და ისრაელის საქორწინო კავშირის დადასტურებას ხედავს. როზანოვთან წინადაცვეთაც კი მისტიკურ-ანთროპოლოგიურ აზრს იძენს.

ებრაელებისგან განსხვავებით, როზანოვის აზრით, არიელები ლოგიკური გამოხატვის არსის ტომია. ისინი ისტორიაში ადამიანის მეორად სახეს ასახავენ, სიტყვათა წესრიგს მისდევენ და არა ყოფიერების პირველწყაროს. აქედან მომდინარეობს არიელთა სისუსტე. სემიტები სიცოცხლის წესრიგს მისდევენ და ამაშია მათი უკვდავება. მათ არ იციან მოქანცულობა, მსოფლიო სევდა, სოციალური ანარქია. არიელებს, პირიქით, ყოფიერების წყაროშიც კი შეჰყავთ უარყოფის ნესტარი. ქრისტიანობამ სიცოცხლის ადგილას სიკვდილი დააყენა, ოჯახის ადგილას – ასკეტიზმი. ამიტომ აცხადებს როზანოვი, რომ „ქრისტეში ჩამწარდა სამყარო“. რობაქიძე, მერეჟკოვსკის მსგავსად, ფიქრობს, რომ ქრისტიანობისთვის როზანოვი ნიცშეზე საშიშია: რადგან თუ ქრისტიანობაში სამყარო დამწარდა, ხოლო თვით სამყარო მშვენიერი და ჯადოსნურია შვილთა შობადობისას, მაშინ აქედან ერთი ნაბიჯია რჩება ქრისტეს უარყოფამდე.

რობაქიძე როზანოვის შესახებ სტატიას მის ლიტერატურულ სტილზე მსჯელობით ამთავრებს. რობაქიძის დაკვირვებით, როზანოვის სტილი ისევე ფენომენალურია, როგორც თვითონ როზანოვი. მას ბადალი არ ჰყავს „გამოხატვის სტილით, ასახვის ტონუსითა და გადმოცემის ტემპერამენტით... როზანოვის სტილი თავის მკვლევარს ელის“.[15]

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ როზანოვის შესახებ რობაქიძის სტატია დ. მერეჟკოვსკის ეტიუდის[16] გავლენით შეიქმნა.[17] ცნობილია, რომ რობაქიძე ნამდვილად იცნობდა აღნიშნულ ეტიუდსაც და მის ავტორსაც.[18] მაგრამ, ფაქტია ისიც, რომ ამ ორი სტატიის ტონი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება. მერეჟკოვსკის ეტიუდი გამოირჩევა როზანოვის პიროვნებისა და მსოფლმხედველობის საკმაოდ მკაცრი შეფასებებით, რობაქიძის სტატია კი უფრო აღწერითი ხასიათისაა. როზანოვთან მიმართებაში იგი გაცილებით ფრთხილია, ვიდრე მერეჟკოვსკი. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხიც კი, როგორიც ქრისტიანობისადმი როზანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის დამოკიდებულებაა, რობაქიძეს „განსაკუთრებული საუბრის საგნად“ მიაჩნია და, მერეჟკოვსკისგან განსხვავებით, სტატიაში ამ პრობლემის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმისგან თავს იკავებს. რობაქიძე ხედება, რომ როზანოვს სტანდარტული კრიტერიუმებით ვერ მიუდგები, ვინაიდან როზანოვი „სქესის მისტიკურ არსში იჭრება“ და ამ გამოცდილების შუქზე ხედავს ყველაფერს.

●

როზანოვის პიროვნებისა და მსოფლმხედველობის შესახებ ფიქრი გრიგოლ რობაქიძეს, ჩანს, არც ზემოხსენებული სტატიის გამოქვეყნების შემდგომ მიუტოვებია. ამ ვარაუდს განამტკიცებს ერთი საინტერესო გარემოება.

სამშობლოში გამოქვეყნებულ ბოლო, დაუსრულებელ რომანში „ფალესტრა“ (1927) გრიგოლ რობაქიძეს შემოყავს პერსონაჟი კიკო პეტერეცი. ამ პერსონაჟის ხასიათი და აზრები ვასილი როზანოვის ასოციაციას ბადებს.

პეტერეცი რომანის ერთადერთი პერსონაჟია, რომლის წარსულის შესახებ მწერალი არაფერს მოგვითხრობს. უცნობია თუ საიდან აღმოჩნდა ეს კაცი ევროპული ქალაქის ელიტარული საზოგადოების ცხოვრების შუაგულში. თავად პერსონაჟი საკუთარ წარმომავლობაზე საუბრისას ამბობს: „მე თვითონ არ ვიცი, ვინა ვარ... მე არ დავბადებულვარ... მე მოვევლინე ქვეყანასა... < > გვეუბნებიან: არ არის კანონი გამონაკლისის გარეშე... რად არ შეგვიძლია მივიღოთ ერთი პატარა გამონაკლისი მსოფლიო რიტმში: შეიძლება, მართლაც მოევლინო ქვეყანასა... ხანდახან მე ვგრძნობ რომ მე არ ვარსებობ... მე ფანტომი ვარ შემთხვევით „ყოფაში“ მოქცეული... მე უფრო ვნებიანი ვარ... ვნებიანი, მაგრამ მაინც ანონიმი... დიახ, ხშირად ასე მეჩვენება...“[19] პეტერეცის ეს გამონათქვამი ძალიან წააგავს როზანოვის „განმარტოებულსა“ და „დაცვენილ ფოთლებში“ მოცემული ავტოპორტრეტის ცალკეულ ფრაგმენტებს, რომელთაც რობაქიძე ვრცელ ადგილს უთმობს როზანოვისადმი მიძღვნილ სტატიაში.

რობაქიძე თავის პესრონაჟს წარმოგვიდგენს, როგორც საშინელ მონოლოგისტს, რომელიც ყოველ სიტყვასა თუ ფრაზაში საკუთარი მონოლოგის დასაწყისს ხედავს. „იგი მონოლოგისტია დაბადებით და თვრება მონოლოგით“.[20] როზანოვის მსგავსად, პეტერეციც ყოველთვის თითქოს თავის თავს ესაუბრება. მეგობრები მას ახასიათებენ, როგორც „ახირებულ კაცს,“ „დიდ პარადოქსალისტს,“[21] რომელიც უცნაური ასოციაციებით „საიდან სად რას წვდება,“ მხოლოდ მისთვის არის გასაგები. „მე ვარ ლიბრეტისტი მეტაფიზიკიდან“ – აცხადებს პეტერეცი.[22] ასეთივეა როზანოვიც, რომელიც მის მიერვე გამოგონილი „სქესის მეტაფიზიკის“ საფუძველზე თხზავს ისტორიულად ცნობილი ფაქტების სრულიად ახლებურ, უჩვეულო ინტერპრეტაციებს. მემუარული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ როზანოვის უცნაური, ასოციაციური მიგნებები გარშემომყოფთ ხშირად გაუგებარი ან სულაც შოკისმომგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრელი ეჩვენებოდათ. მიუხედავად ამისა, მის გარემოცვაში ყოფნას ესწრაფოდა ყველა. მსგავსი დამოკიდებულება აქვთ რომანის პერსონაჟებს პეტერეცთანაც. მსმენელებს ამ უკანასკნელის ასოციაციურ აზრებს შორის დამაკავშირებელი ძაფის გაბმა უჭირთ, მაგრამ, ამის მიუხედავად, მას ყველა ინტერესით უსმენს: პეტერეცი ელიტარული სალონური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

პეტერეცი „ფიზიონომიკის“ დიდი თაყვანისმცემელია. კოსტუმირებულ მასკარადზე, სადაც სტუმრებს სახეები არ მოუჩანთ, პეტერეცი „სხეულის ძრაობით“ ცდილობს, გამოიცნოს, ვინ ვინ არის. რობაქიძის რომანის ეს პასაჟი ეხმიანება სქესის როზანოვისეული კონცეფციის ერთ-ერთ ცენტრალურ იდეას, რომლის თანახმადაც, ადამიანის სხეული სქესის კონცენტრირებული მიმართულების გამოხატულებას წარმოადგენს. ადამიანის სახისა და სხეულის აგებულება და გამომეტყველება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანში სქესის კონცენტრაციით არის განპირობებული და არა მისი ხასიათით და გონითი საქმიანობის ინტენციით[23].

როზანოვთან მსგავსების თვალსაზრისით, ნიშანდობლივია ისიც, რომ პეტერეცი თვითირონიით შეპყრობილი ადმიანია, თვითირონია კი ერთ-ერთი იმ თვალშისაცემ თავისებურებათაგანია, რომლითაც როზანოვის პიროვნება და ნააზრევი გამოირჩევა.

უფრო არსებითია ის მსგავსება, რომელიც რობაქიძის პერსონაჟის აზრებსა და როზანოვის ცალკეულ შეხედულებებს შორის იჩენს თავს.

როზანოვის მსგავსად, კიკო პეტერეცსაც მიაჩნია, რომ ყველაფრის საფუძველი არის სქესი. ამასთან, „სქესი უპიროვნოა“[24]. „სქესი ყველაფერშია... – ამბობს პეტერეცი, – სიტყვაშიაც კი... სქესში წარმოშობაა და გაქრობა... მამა შობს შვილს და კვდება... შვილი მამად იქცევა: თავის მხრით შობს შვილს და კვდება... ამ შვილსაც იგივე ხვედრი მოელის – და ასე: დაუსრულებელ... ამ დენაში რჩება გვარი, პიროვნება კი კვდება... პიროვანი მარცხდება და იმარჯვებს უპიროვნო... ასეა ყველგან... მაგრამ არის ერთი გამონაკლისი: ეს ადამიანია, სიყვარულით ჭირვეული... სიყვარული პიროვანის გზნებაა... სიყვარულში ადამიანს აღარ უნდა სქესით გაგრძელება... მას უნდა სრულიქმნას საყვარელთან ერთად... < > ადამიანი ამას ვეს აღწევს... ოტანჯება... იბრძვის... მას სძულს უპიროვნო სქესი, რომელიც მის პიროვან „მეს“ ანადგურებს... შეუცნობელ წიაღში ეს „მე“ პროტესტს უცხადებს ამ სქესს... მაგრამ სქესი საყვარელ არსშია მოქცეული, და ხშირად, როცა ადამიანის „მე“ ცნობს, რომ მისი ბრძოლა იმთავითვე განნირულია, სქესისადმი სიძულვილს საყვარელზე გადაიტანს ხოლმე... აქაა დაფლული ძირები სიყვარულისა და სიძულვილის... < > სიყვარული დუელია, სადაც ხშირად ორივე კვდება: ქალიც და ვაჟიც: დუელია, რადგან უკეთესია პიროვანი სიკვდილი, ვიდრე უპიროვნო უკვდავება...“.[25]

როზანოვის აზრით, სამყაროს მეტაფიზიკურ არსში ძევს ორი საწყისი, შთამომავლობითი, სქესობრივი, უპიროვნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სქესთან დაპირისპირებული საწყისი ანუ პიროვნება. ამ საკითხზე მსჯელობისას როზანოვი წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს გამოთქვამს. ერთგან იგი ასე მსჯელობს: პიროვნება არა მხოლოდ მოვლენაა, არამედ ასევე „საგანი თავისთავად"; მეორეგან კი აცხადებს: „სული (პიროვნება) არის მხოლოდ სქესის ფუნქცია. სქესი არის ნოუმენი სულისა, როგორც თავისი ფენომენისა."[26] კვლევრები ხშირად უთითებენ როზანოვის ნააზრევში არსებულ ამ ანტინომიურობაზე. მაგრამ, თუ საკითხის არსს ღრმად ჩავუკვირდებით, უპირატესობა სწორედ მეორე პასუხს უნდა მიენიჭოს; რადგან, აშკარაა, რომ როზანოვისთვის სქესი არსებაა, პიროვნება კი მოვლენა. ამიტომ გასაგებია, რომ პიროვნების უკვდავებას როზანოვი გამრავლების აქტში ხედავს („მე შვილებში ვცოცხლობ... მხოლოდ ისინი მოვევლინონ ამ ქვეყანას და მე არასოდეს მოკვდები"[27]). გამრავლებაა სიკვდილზე გამარჯვება. ამიტომ, როზანოვი ისე მწვავედ არ აღიქვამს პიროვნებისა და გვარის (ანუ უპიროვნოს) დაპირისპირებას, როგორც რობაქიძის პერსონაჟი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კიკო პეტერეცის ეს პოზიცია ნ. ბერდიაევის იმ კონცეფციის გამოძახილია, რომლის თანახმად, სექსუალურ აქტში ადამიანი კარგავს თავის პიროვნულობას, რადგან გვაროვნული მიზნის განხორციელების ბრმა იარაღად იქცევა[28].

როზანოვის მსგავსად, პეტერეციც თვლის, რომ ევროპულმა ცივილიზაციამ სიცოცხლის პირველსაწყისებთან დასაბრუნებლად ბევრი რამ აღმოსავლეთისგან უნდა შეითვისოს. როზანოვისეულად ჟღერს პეტერეცის შემდეგი მსჯელობა: „საუბედურად ჩვენ (ევროპელები – გ. ხ.) თავებს უფრო ვეკითხებით, ვიდრე სხეულებს... მერე რა გამოვიდა ამ თავებიდან? აპენდიქსიანი თეორიები ხერხემალსუსტი ჰამლეტებით, მეტი არაფერი... ჩვენ ვზომავთ, ვთვალავთ: ყველგან თვალი და წონვა. სემიტებისაგან ისიც ვერ ვისწავლეთ, რომ ძველი აღთქმის ხალხი ღმერთს არ ხედავდა თვალით... ვიცი, სემიტები ზენაარსს თვალს აციელებდნენ... ისინი ხედავდენ დახუჭული თვალებით... მათ არ ჰქონდათ „ხატი"... ამისთვის არ ჰქონდათ მხატვრობაც, ისინი გზნობდნენ სხეულით, შინაგანი სმენით, კოსმიური შუილით... აღმოსავლეთში ეხლაც იტყვიან ხოლმე: „ტანი მეუბნება," „მხარი მეუბნება..." არიელები კი თვალახდილნი უყურებენ ყველაფერს. სიყვარულშიც კი exhibition: არიელების სენია... მისთვის არიან არიელები ბედნიერნი, რაღა: მათ წუწუნს სიყვარულში საზღვარი არა აქვს. ეს წუწუნი ლირიკადაც აქციეს და აღარ არის საშველი. სემიტებიდან მაინც ესწავლათ ცოტა რამე ამ დარგიდან... თვალებს დახუჭავდნენ... სხეულით იგრძნობდნენ..." რობაქიძის პერსონაჟის ეს მონოლოგი როზანოვის აღმოსავლურ მოტივებზე შექმნილი ეტიუდების ძირითად მოტივებს შეიცავს.

როზანოვის ნააზრევთან მსგავსება შეინიშნება პეტერეცის განაზრებებში პუშკინისა და კანტის ფენომენის შესახებაც.

პუშკინს პეტერეცი ზანგური მელოდიების რიტმზე საუბრისას იხსენებს. ევროპულ კულტურაში აფრიკული ელემენტის შემოჭრას პეტერეცი კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევს. „მე მესმის ზანგების შემოჭრა ევროპაში, – აცხადებს იგი, – მათ აქვთ ის, რაც ჩვენ დავკარგეთ... პრიმიტივი ადამია და აქვს ადამის თვალი... პრიმიტივში არის პირველი მზერა: პირველი ხილვა საგნის თუ მოვლენის... ველური სახელს არქმევს საგანს და რქმევით ჰქმნის საგანს... ჩვენში სიტყვაც გაიცვეთა. გახდა უსქესო, იქცა ცვედანი... ზანგებს შერჩათ ნამდვილი წვა და რიტმი პირვანდელი..."[29] სწორედ ამ პირველქმნილი წვისა და რიტმის გამოხატულებად მიაჩნია პეტერეცს პუშკინის შემოქმედებითი გენია. იგი ამბობს: „პუშკინი ზანგი იყო ნახევრად... ანატომიურად მისი სახე ზანგურია უთუოდ...

< > სწორედ ეს ზანგური ელემენტია, რომელიც ჰქმნის პუშკინის ფენომენს და რომელიც ასხვავებს მას ყველა სხვა პოეტებისაგან... ხასიათი მისი ზანგისაა: იგი არ ჰგავს სლავს, რუსს... ცეცხლიანი, ამწვარი მუდამ, უსვენარი, ჩქარი, ცელქი, ხალისიანი, ანჩხლი, უცბური (მიხვედრაშიაც), სენსუალური, ბავშვი, პირველი ცქერით და პირველი ხილვით, – განა ეს სლავის ან რუსის ბუნებაა?.. შთაგონება მისთვის „გონება“ კი არა, „ფიზიკა“ იყო, მეხის ელემენტი.. რუსებს ყველაზე უფრო პუშკინი უყვართ... როგორც თავისიანი?.. არა: როგორც „უცხო,“ როგორც „სხვა,“ რაც არა ხარ და რადაც გსურს იქცე, გსურს ნაღვლით, თნევით, სიამით.. პუშკინის სიცოცხლე ცეცხლია ზანგის და მისი ატეხილობა... დააკვირდით მის დუელს. მის სიკვდილს... განა ეს ზანგური წინხედვა არაა? ბევრმა კიდეც გიგო, რომ მისი სიკვდილი იყო თითქმის თვითმკვლელობა: იგი თითქოს მიდიოდა სიკვდილის მიმართ, უცნაურ „ატროვებული...“ ახლა მისი პოეზია... < > მაშ აიღეთ პუშკინის რიტმი.. ასეთი მდიდარი რიტმი არა აქვს არც ერთ რუს პოეტს.. < > პუშკინის რიტმი მდიდარია რაღაც პირვანდელი სუნთქვით... აქ არის უშუალო მაჯისცემა და გულისცემა ველური ძალის სწორედ ისეთი, რომელიც ხალისობს და ხტის ზანგების რიტმებში“[30] ამ ვრცელ ციტატაში ბევრი ისეთი აზრია, რომელიც პირდაპირ ასოციაციას აღგვიძრავს როზანოვის პუშკინოლოგიურ განაზრებებთან. პუშკინი როზანოვის ერთ-ერთი უსაყვარლესი ავტორია, რომლის შესახებაც იგი ბევრს ფიქრობდა და წერდა. სიცოცხლის ბოლო წლებში როზანოვი აღიარებდა, რომ პუშკინი უცხო ელემენტი აღმოჩნდა რუსული კულტურისთვის; სიცოცხლის უმრეტი სიყვარული და სილაღე, რომელიც პუშკინმა შემოიტანა, უცხო აღმოჩნდა „მკვდარი სულებით დასახლებული რუსული ყოფისთვის.“ როზანოვის აზრით, რუსეთში გაიმარჯვა რუსული ყოფის ნგრევის პათოსით გაჯერებულმა იმ ლიტერატურამ, რომლის ყველაზე „საშიში“ წარმომადგენლებიც გოგოლი და სალტიკოვ-შედრინი იყვნენ.

როზანოვის მსგავსად, რობაქიძის რომანის პერსონაჟიც გულახდილად აღიარებს, რომ კანტს „გემო ვერ აუღო,“ ანუ მისთვის მიუღებელი (უფრო სწორედ, გაუგებარია) ის, რაც კანტის ფილოსოფიურმა გენიამ შექმნა. პეტერეცი ამბობს: „რასაკვირველია, ტვინი მისი (კანტის – გ. ხ.) საოცარია, მაგრამ რა გააკეთა ამ ტვინმა?.. ყოფას ჩინური კედელი შემოავლო გარს და ჩასვა შიგ ადამიანი, რომელიც მოჩვენებაა... კიდევ მეტი: ამ ტვინმა მთელი სამყარო აქცია მოლანდებად... ამ „ქცევისათვის“ კანტს ბევრი რამ დასჭირდა. პირველ ყოვლისა, საკუთარი არსის განადგურება... ტვინი მისი მთელს მის არსებას მოედო და გაასივა და გააქსუა უკანასკნელი... დიახ, კანტი გენიალური პოლიპია... გემოს რასაკვირველია ერთმანეთს არ ედავებიან – (ან და სწორედ ამას ედავებიან), – მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ კანტისათვის გემო არა მაქვს... < > თუ ველურს „სული“ აქვს მარტო და არა „ჰარი,“ თუ კანტს „სული“ აღარ აქვს და შერჩა მხოლოდ „ჰარი,“ მე ველურს ავირჩევდი... < > დადის ეს „ტვინი“ კენინგსბერგის ქუჩებში და ფიქრობს „ტრანსცენდენტალ აპერცეპციაზე...“ დადის ეს ამქვეყნიური ჩოწჩი ისე, რომ მის სისწორეზე კენიგსბერგის მცხოვრებნი საათებს ასწორებენ... ეშმაკს ნაუღია ასეთი სიცოცხლე მისი „ტრანსცენდენტალი აპერცეპციით...“ რაში გამოგადგება ეს „აპერცეპცია?..“ ვისთან ან რასთან მიხვალ მით? მეგობართან, ლხინთან, მიწასთან, ქალთან; სიყვარულთან?.. უკანასკნელს ნუღა მოვიგონებთ: საწყალს თვითონ არაფერი შეეძლო და მაჭანკლობა იწყო... < > ტრანსცენდენტალი აპერცეპცია და მაჭანკლობა – აი შესანიშნავი თემა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მისაღებად.“[31]

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანტის ფილოსოფიური კონცეფციის ასეთ „ინტერპრეტაციებს“ როზანოვის ტექსტებშიც გადავწყდებით. მაგალითად, „განმარტოებულის“ ერთ-ერთ ფრაგმენტში როზანოვი წერს, რომ კანტის კატეგორიული იმპერატივი უნდა გავრცელდეს იმ ჭაბუკებზეც, რომელებიც სქესობრივად მომწიფებულნი არიან საიმისოდ, რომ ბავშვის ჩასახვა შესძლონ („ძალმიძს“ და „უფლება მაქვს“ არსად ისე არ ემთხვევა ერთმანეთს, როგორც შვილიერებაში“[32]). ამ „ღრმაა-ზროვან“ კანტიანურ ინტერპრეტაციებზე საუბრის გაგრძელება არ ღირს. უბრალოდ უნდა ითქვას, რომ რობაქიძის პერსონაჟი, როზანოვის მსგავსად, მისთვის მიუღებელი ავტორების წინააღმდეგ არც მათი სქესობრივი ცხოვრების ანალიზს ერიდებოა და „ფროიდისტული დედუქციების“ მოშველიებით ცდილობს, ჩაწვდეს მათი იდეების ფარულ საფუძვლებს. მსგავსება აშკარაა.

•

დღეს აღარავინ დაობს იმის შესახებ, რომ ვასილი როზანოვი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა XX ს-ის პირველი ნახევრის რუსულ კულტურაში. საერთაშორისო აღიარება როზანოვს მისი გარდაცვალების შემდგომ ენვია. პირველი უცხოური პუბლიკაციები მის შესახებ მხოლოდ ოციანი წლების მეორე ნახევარში გამოჩნდა. გრიგოლ რობაქიძე კი იყო პირველი უცხოელი ავტორი, ვინც როზანოვის ფენომენის მნიშვნელობა როზანოვის სიცოცხლეშივე აღიარა და მისი მსოფლმხედველობა განსჯის საგნად აქცია არა მხოლოდ ესეისტიკაში, არამედ მხატვრულ ლიტერატურაშიც.

მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ როზანოვის შემოქმედების არა მხოლოდ ქართული, არამედ, ზოგადად, უცხოური რეცეფციის ისტორიის ათვლის ნერტილიც სწორედ გრიგოლ რობაქიძის სახელს უკავშირდება.

---

1. რუსულ ფილოსოფიაში სქესის ფენომენის შესახებ არსებული განსხვავებული კონცეფციების საფუძვლიანი ანალიზი მოცემულია ა. ბაქრაძისა და ა. კაციტაძის ნაშრომში „XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის რუსული რელიგიურ ფილოსოფია და სქესის ფილოსოფიური პრობლემა“ // რელიგიური ფილოსოფიის პრობლემები, თბ., 1991.

2. В. Розанов, Сочинения, т. I, Москва, 1990, გვ. 305.

3. ნიკოლაუს ზომბარტი, „ბერლინში გატარებული სიყრმე 1933-1943“ // მნათობი, №4, 1989; ასევე: ნოდარ კაკაბაძე, „გრიგოლ რობაქიძის გერმანული პორტრეტი“ // ლიტერატურა და ხელოვნება, №5-6, 1992.

4. ნოდარ კაკაბაძე, „გრიგოლ რობაქიძის გერმანული პორტრეტი“ // ლიტერატურა და ხელოვნება, №5-6, 1992, გვ. 224-225.

5. იქვე, გვ. 224.

6. ამ პრობლემის მხატვრულ-ფილოსოფიურ გააზრებას ვხვდებით გრ. რობაქიძის ნანარმოებებში „ენგადი“ (1923) და „მედფას ნაწნავები“ (1926).

7. თბილისში ემიგრირებული რუსი პოეტის, სერგეი რაფალოვიჩის მიერ დაარსებულ გამომცემლობაში „Кавказский посредник“ გრიგოლ რობაქიძემ 1919 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი ნიგნი Портеты, რომელიც ჩაადაევის, ლერმონტოვის, როზანოვისა და ბელისადმი მიძღვნილი სტატიებისგან შედგება. ამ სტატიათაგან ზოგიერთი ავტორს, უკვე 1918 წელს ჰქონდა გამოქვეყნებული ჟურნალში „Ars“. შესაძლებელია, რომ ეს ნარკვევები თანამედროვე რუსული ლიტერატურისა და ფილოსოფიის მიმდინარეობათა შესახებ ლექციათა იმ კურსის ნაწილი ყოფილიყო, რომელსაც რობაქიძე თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე კითხულობდა.

8. გ. რობაქიძე, „როზანოვი“ //კალმასობა, №4 (41), 2000, გვ. 1.

9. იქვე, გვ. 2.

10. იქვე, გვ. 2.

11. იქვე, გვ. 2.

12. იქვე, გვ. 2.

13. იქვე, გვ. 2

14 იქვე, გვ. 2.

15. იქვე, გვ. 2.

16. Д. Мережковский, „Розанов“ // Русское слово, №125, 1913.

17. ა. გაწერელია, „გრიგოლ რობაქიძე“ (რამდენიმე მოგონება) // ლიტერატურული საქართველო, 12-18 იანვარი, 2001, გვ. 5.

18. ცნობილია, რომ უკვე 1907 წელს რობაქიძე აქტიურად მონაწილეობდა დ. მერეჟკოვსკის მიერ პარიზში გამართული შაბათობებისა, სადაც მას „სპეციალური მისია“ ეკისრებოდა. ამ შეხვედრებზე რობაქიძე „იგერიებდა“ მერეჟკოვსკის იმ ოპონენტებს, რომლებიც ამ უკანასკნელის ლიტერატურულ-ფილოსოფიური პოზიციის კრიტიკით გამოდიოდნენ. იხ., А. Белый, “Между двух революций”, Москва, 1990. გვ. 171.

19. გ. რობაქიძე, „ფალესტრა,“ თბ., 1988, გვ. 323-324.

20. იქვე, გვ. 309.

21. იქვე, გვ. 310

22. იქვე, ვ. 378.

23. В. Розанов, Люди лунного света, т. I, Москва, 1990.

24. გ. რობაქიძე, „ფალესტრა,“ თბ., 1988, გვ. 360.

25. იქვე, გვ. 321-322.

26. Розанов В. В., Уединенное. Москва, ЭКСМО-ПРЕСС, 1998, გვ. 240

27. В. Розанов, Сочинения, т. I, Москва, Правда, 1990, გვ. 303.

28. Н. Бердяев, “Смысл творчества”, Москва, Правда, 1989, გვ. 399-437.

29. გ. რობაქიძე, „ფალესტრა,“ თბ., 1988, გვ. 371

30. იქვე, გვ. 372-373.

31. იქვე, გვ. 374-375.

32. ვ. როზანოვი, განმარტოებული // აფრა, თბ., № 5, 1998, გვ. 81.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან ბომასითელი

„მშობლიური ეფემერას“ საიდუმლო

გალაკტიონის პოეზიაში ხშირად გვხვდება სიტყვა „ეფემერა“. ეს სიტყვა ლექსების დასათაურებამიც გახმიანდება ხოლმე („ეფემერა,“ „ისევ ეფემერა,“ „საახალწლო ეფემერა,“ „მშობლიური ეფემერა“...). როგორც ლექსიკონებშია განმარტებული, „ეფემერა“ ბერძნული სიტყვაა და ფრთოსან მწერს აღნიშნავს, რომელიც ერთ ან რამდენიმე დღეს ცოცხლობს. აქედან წარმოდგება „ეფემერის“ გადატანითი მნიშვნელობაც – ხანმოკლე, წამიერი, მოჩვენებითი, ილუზიური რამ. გალაკტიონი სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით იყენებს მას ლექსში „მშობლიური ეფემერა“, რომელიც 1923 წელს გამოქვეყნდა.

„მშობლიური ეფემერას“ სათაურის გააზრებისას ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა აზრის გამომხატველია, რაზე მიანიშნებს მოულოდნელი და უცნაური სიტყვათშეხამება „მშობლიური ეფემერა“? რა შეიძლება იყოს მშობლიური და თან ეფემერული – ხანმოკლე, წამიერი, მოჩვენებითი? ამ კითხვებს რომ ვუპასუხოთ, გალაკტიონისეული სხვა მინიშნებებიც უნდა განვმარტოთ, რომლებიც უხვადაა ლექსში, თუნდაც ასეთი: რა აზრით არის ლექსში აქცენტირებული მითიური ამირანი ან რაზე „კვნესის დიდი ხანია“? რა იგულისხმება სიტყვებში: „ზამთარს ბილიკი დაუტანია“? რა ბილიკია ან რა გზაა იგი? რას უნდა ნიშნავდეს პოეტის განცხადება: „ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით“ ან „ცა ალუბლით სავსეა... კმარა!“? რა არის მიზეზი ისეთი ტრაგიზმისა, როგორიც ამ პოეტურ სტრიქონშია გაცხადებული: „ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს“? რაზე მიანიშნებს ფრაზა: „დარიალიდან ზარავდა ზარა,“ თუ ავისმომასწავებელი შეკითხვა: „დაკარგულია?“ და დასტური ამ შეკითხვაზე: „დაკარგულია!“ ამგვარი მინიშნებები მრავლადაა ლექსში. მინიშნებათა სიმრავლე ბუნებრივია სიმბოლისტური პოეზიისათვის. ეს სიმბოლიზმის არსებითი თვისებაა, რაც მას მკაფიოდ განასხვავებს რეალისტური პოეზიისგან.

სიმბოლისტური ლექსი ხშირად ბურუსით მოცულსა ჰგავს და მისი ჭეშმარიტი შინაარსი ამ ნისლოვანების მიღმა იმალება. ჩვენ ახლა ამ ნისლოვანების მიღმა უნდა გადავიხედოთ, გალაკტიონისეული მინიშნებები ამოვხსნათ. ამისათვის ლამის სტრიქონ-სტრიქონ უნდა მივყვეთ „მშობლიურ ეფემერას“. ჯერ პირველი სტროფი გავიხსენოთ:

ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს,
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია?“ – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „დიდი ხანია...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსის დასაწყისშივე, პირველ ორ ტაეპში, გაცხადებულია ღრმა გულისტკივილი იმის გამო, რომ პოეტი ვეღარ ცნობს მშობლიურ გარემოს, რადგან ამ გარემოს, მისი სამშობლოს ბილიკებს თუ გზებს, რაღაც უცხო ძალა დაჰპატრონებია („ზამთარს ბილიკი დაუტანია"). აქ ბილიკის ხსენება, რომელსაც გზის მნიშვნელობაც აქვს, შემთხვევითი არ არის.

იმის ამოხსნაში, თუ რა იგულისხმება თოვლით წაშლილ ბილიკსა თუ გზაში, გალაკტიონის სხვა ლექსი დაგვეხმარება, რომელიც ცოტა მოგვიანებით, 1927 წელს გამოქვეყნდა. ამ ლექსის სახელწოდებაა „ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს". აქ ასეთი სტრიქონებია: „დაკარგულია გზა მოხევესი, ბნელდება. ღამე. მიეშველენით!"

დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება იმის ამოცნობას, თუ ვინ იგულისხმება მოხევეში და რა გზაა ის გზა (ანუ მოხევის გზა), რომელიც დაკარგულია და რატომ ჩამოწვა ბნელი ღამე, როცა ეს გზა დაიკარგა ან რას უნდა შველა („მიეშველენით!").

„მგზავრის წერილების" მკითხველი იოლად მიხვდება, რომ გალაკტიონის ლექსში ნახსენებ მოხევეში ილიას ლელთ ღუნია იგულისხმება, ის ლელთ ღუნია, ვისი პირითაც „მგზავრის წერილების" ავტორმა ის ჩუმი ნატვრა გააცხადა – ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო, რასაც, ილიასავე სიტყვებით რომ ვთქვათ, დღედაღამ ნატრულობდა ქართველი და რამაც, ნექტარივით, თხემით ტერფამდე დაუარა სამშობლოს ბედ-იღბალზე მოფიქრალ ყმაწვილკაცს, 21 წლის ილია ჭავჭავაძეს. ეს ნატვრა 1918 წელს დამოუკიდებლობის აღდგენით თითქოსდა აიხდინა ქართველმა ერმა, მაგრამ ეფემერული აღმოჩნდა ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, 1921 წლის თებერვალში დამთავრდა იგი. ქვეყნის ბედ-იღბლის ასეთი ტრაგიკული დასასრულის გალაკტიონისეული შეფასებაა ზემოთ მოხმობილი სტრიქონი: „ბნელდება. ღამე. მიეშველენით!". ყოველივე ამის გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკურია „მშობლიურ ეფემერაში" დასმული კითხვაც, მიმართული მშობლიური გარემოსადმი: „დიდი ხანია?" – მივმართავ ტყეებს" და პასუხი – „და ტყე გუგუნებს: „დიდი ხანია..." ამ კითხვა-პასუხითაც პოეტი სამშობლოს დამონებულ ხვედრზე მიგვანიშნებს, რასაც კიდევ უფრო აკონკრეტებს ამირანის ხსენება:

„ამირანია?" – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს „ამირანია!.."

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდეზე მიჯაჭვული ამირანიც იმ დატყვევებულ-დამონებული სამშობლოს პარადიგმაა (ბერძ. „ნიმუში“), რომელიც ასე ნაცნობია ჩვენთვის აკაკი წერეთლის პოეზიიდან. გავიხსენოთ სტრიქონები აკაკის „ამირანიდან“:

კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტერი კი ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!..

მაგრამ არ დამდგარა აკაკის მიერ ნანატრი ის დრო, ვერ აიშვა თავი გმირთა გმირმა ამირანმა და გალაკტიონის ლექსში კლდიდან ჯერ მხოლოდ მისი კვნესა ისმის. მეტიც, იმდენი დრო გასულა ამ კვნესა-ვაებაში, რომ კლდეს (კლდეებს) ხავსიც კი მოსდებია:

შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ – მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: „ამირანია!..“

როცა მიჯაჭვული ამირანის პარადიგმის არსი გააზრებულია, სავსებით ლოგიკურია პოეტის ემოცია: „ეს მძაფრი გრძნობა მიწამლავს დღეებს, ის გული ისევ ჩემი გულია“. ისიც ცხადია, თუ რა გულს გულისხმობს პოეტი: „ის გული ისევ ჩემი გულია“. ეს მიჯაჭვული ამირანის (დატყვევებულ-დამონებული სამშობლოს) გულია, რომელსაც ყვავ-ყორანი კორტნის. ესეც აკაკის ლექსის ალუზიაა. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რას ამბობს აკაკი მიჯაჭვულ ამირანზე: „ყვავ-ყორანი ეხვეოდა, დაფლეთილი ჰქონდა გული“.

შემდეგ სტრიქონებში უკვე სხვა ალუზიას ვხვდებით: გრიგოლ ორბელიანის „თერგი“ („გუგუნებს თერგი, ხმაურობს თერგი“) და ილიას „ყაზიბეგის მთა“ („ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით“) იხსენიება, მაგრამ სიტუაცია აბსოლუტურად განსხვავებულია, 360 გრადუსითაა შებრუნებული ტრაგიკულისაკენ. თუ ილიას „მგზავრის წერილებში“ გრიგოლ ორბელიანის „თერგი“ („თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“) აქტიური ქმედების სიმბოლოა, გალაკტიონთან გრიგოლ ორბელიანისავე „კლდეები“ ერთმანეთს შეხავსებია და ბანსა თუ ექოს ახლა ტყე იძლევა, ის ტყე, რომლის „ხეთა ჯარს“ (გალაკტიონისეულად რომ ვთქვათ) ვეღარც კი „ცნობილობს“ პოეტი, რამეთუ ყველაფერი მშობლიური, და მათ შორის ტყეც, გაუცხოებულია („ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს“) და ტყე მხოლოდ იმას გუგუნებს, რომ იგი, ვინც „კვნესის დიდი ხანია“ – ამირანია!

ლექსში ფერების სიჭარბეცა თუ სიჭრელეც 1921 წლის თებერვალში თავისუფლებისათვის დაღვრილ სისხლსა და ქვეყანაში დატრიალებულ ტრაგედიაზე მეტყველებს. ამიტომ ირევა ერომანეთში ლალისფერ-შინდისფერი (წითელი) და ლილისფერი, რომელიც აქ, ფაქტობრივად, თალხზე, მნუხარების ფერზე მიანიშნებს:

ფერების ჭევრი ირევა ბევრი,
ლალების ტევრი – ლილა და შვინდი...

ყაზბეგის, ანუ „ყაზიბეგის მთის მაღალი შუბლი“ (როგორც ილია იტყოდა) ავისმომასწავებელი ღრუბლითაა შემოსილი, ცა კი – ალუბლისფრად, წითლად (სისხლისფრად) არის შეღებილი. ამიტომაც აღმოხდება ამ შემაძრწუნებელი სურათის შემხედვარე პოეტს გულსაკლავი სიტყვა: „კმარა!“

ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით,
და ცა ალუბლით სავსეა... კმარა.

ეფემერულად მთავრდება საქართველოს თავისუფლების ბედნიერი დღეები – „ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ“ – ამიტომაც ისმის საქართველოს მორღვეული ჩრდილოეთის კარიბჭიდან, დარიალიდან, ავისმომასწავებელი და შემზარავი ზარის ხმა („დარიალიდან ზარავდა ზარა“).

შინაარსი ფრაზისა – „ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდნენ“ – იოლად აიხსნება იმ აზრობრივი პარალელის მეშვეობით, რომელსაც ეს ტაეპი პოულობს სტრიქონთან ზემოთ ნახსენები ლექსისა: „ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს, ციდან ცრემლები მოდის ჩაფებით“ (სწორედ ამ სიტყვებს მოსდევს ფრაზა – „დაკარგულია გზა მოხევესი“). ორივე ლექსის პოეტური პნკარი საქართველოს თავისუფლების ტრაგიკულ დასასრულზე მეტყველებს.

მძიმეა ამგვარი ხილვა, უმძიმეს განსაცდელს უტოლდება იგი. ამგვარმა განსაცდელმა შეიძლება დაგადუმოს, გაგაჩუმოს კიდეც. სწორედ ამას გვიმხელს პოეტი, როცა იტყვის:

სულ ერთი წამით განსაცდელ ჟამად,
შეხვედრა ჩუმი მე შენად მერგო,
მოგონებებით, რაც ჩემს გულს ანთებს,
იმ ძვირფას ლანდებს გადაეც, თერგო!..

როგორც ხედავთ, მიუხედავად სამშობლო ქვეყნის უნუგეშო ყოფისა, გულში მაინც ხმიანობს იმ ძვირფას ლანდთა, ნინაპარ პოეტთა ხსოვნა, ვისი მხატვრული სახეების ალუზიებსაც უხვად ვხვდებით ლექსში: აკაკი იქნება თავისი ამირანით, გრიგოლ ორბელიანი – მოგუგუნე თერგითა და ბანის მიმცემი კლდეებით თუ ილია ჭავჭავაძე „მგზავრის ნერილების“ მრავლისმთქმელი და ღრმაშინაარსიანი პოეტური ხატებით: დარიალით, თერგით, ყაზიბეგის მთის მაღალი შუბლითა და მოხევე ლელთ ღუნიას „დაკარგული გზით“ – ზამთრით დატანილი ბილიკით. ლექსი კი, რომელიც გაჯერებულია ყოველივე მშობლიურის წამიერი მოლანდებით („სულ ერთი წამით, განსაცდელ ჟამად...“), ისევე ტრაგიკულად მთავრდება, როგორ ტრაგიკულადაც დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ეფემერული თავისუფლება 1921 წლის ანექსიის ჟამს.

ფინალურ სტროფში კვლავ მშობლიური ქვეყნის სიმბოლოდქცეული მიჯაჭვული ამირანის კვნესა ისმის და გარემოც – კლდენი თუ ტყეებიც – იმავეს იმეორებენ ყრუ და გულის გამგმირავი გუგუნით:

შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ – კვლავ ვკითხავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ამირანია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლევან ბრეგაძე

ექიმობის რომანტიკა

რომანტიკოსი მწერლები შურის თვალით შეჰყურებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც მათსავით ქაღალდზე კი არ ქმნიდნენ რომანს, არამედ თავიანთი ცხოვრებით წერდნენ მას რეალობაში – დაისახავდნენ ზღაპრულ, ფანტასტიკურ მიზანს, რომლის აღსრულება არავის სჯეროდა, მაგრამ, ყველას გასაოცრად, ახერხებდნენ მის ხორცშესხმას. ერთი ასეთი გამორჩეული პიროვნებათაგანი, მათივე, ანუ რომანტიზმის ეპოქის ხელოვანთა თანამედროვე მათ თვალწინ წერდა თავისი ბიოგრაფიით რომანს, რითაც უკლებლივ ყველა რომანტიკოსის აღტაცებას იმსახურებდა – ეს კაცი ნაპოლეონ ბონაპარტი გახლდათ.

მარტო პოლიტიკას არა – ადამიანთა მოღვაწეობის ყველა დარგს მოეპოვება თავისი ნაპოლეონები – ფანტასტიკურ მიზნითა დამსახავენი, რომელთა წარმატებასაც და მარცხსაც საკაცობრიო მნიშვნელობა შეუძენია.

როცა ნიჭიერი მწერალი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრების აღწერას მიჰყოფს ხელს, ერთობ საჭირო და სასარგებლო ნაშრომი იქმნება, ბიოგრაფიული რომანი, მოთხრობა ან ნოველა, თანამედროვე ლიტმცოდნეობითი ტერმინოლოგიით, ნონფიქშენი, არაგამონაგონი, ნამდვილ ამბებზე აგებული თხრობა. გავიხსენოთ შტეფან ცვაიგის ბიოგრაფიული თხზულებები, ამჯერად არახელოვან ადამიანებზე დაწერილი – მაგელანზე, ამერიგო ვესპუჩიზე, გამოჩენილ მკურნალებზე ფრიდრიხ ანტონ მესმერზე, ზიგმუნდ ფროიდზე, ან კიდევ სხვა დიდი ავტორის, ანდრე მორუას წიგნი პირველი ანტიბიოტიკის, პენიცილინის, აღმომჩენ ინგლისელ ბაქტერიოლოგზე ალექსანდერ ფლემინგზე, და სხვა და სხვა.

ელგუჯა თავბერიძეს არახელოვან (ვიწრო გაგებით არახელოვან!) ორ გამოჩენილ პიროვნებაზე აქვს ბიოგრაფიული რომანი დაწერილი – ერთი გახლავთ თაღლითი სოლომონ აშორდია, ხოლო მეორე მკურნალი სამსონ თოფურია. პირველის სახელწოდებაა „აირევი ივერია ანუ ჯენტლმენ სოლომონ აშორდიას ცხოვრება და შეხედულებანი“ (ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა „ხომლი ენ“-მა გამოსცა 2006 წელს).

დღეს მეორეზე უნდა ვილაპარაკოთ. მისი სათაურია „ვით უდაბნოში გზადაბნეულებს“ (სამსონ თოფურიას ცხოვრების ქრონიკა)“, რომელიც 2014 წელს გამოსცა ქუთაისის იმავე საგამომცემლო ცენტრმა (რედაქტორია როსტომ ჩხეიძე, მხატვარი – გიორგი წერეთელი).

როდესაც 1887 წელს ჯერ ოდესისა და ხარკოვის უნივერსიტეტებში, შემდეგ კი დასავლეთ ევროპაში (გერმანიაში, იტალიაში, შვეიცარიაში) განსწავლული 33 წლის ექიმი სამსონ თოფურია (1854-1904) სამშობლოში დაბრუნდა, არც ქუთაისში და არც მთელ ქუთაისის გუბერნიაში, ანუ დასავლეთ საქართვე-

ლოში, საავადმყოფო არ იყო. თბილისში იყო 1868 წელს დაარსებული, მთელი ამიერკავკასიისთვის განკუთვნილი ერთადერთი ე. წ. მიხეილის საავადმყოფო, „რომელსაც შორეული ადგილებიდანაც აკითხავენ სნეულები. ჩადიან თბილისში, ხარჯავენ დიდძალ თანხას, უცდიან ერთი, ორი კვირა, ხშირად ერთი თვეც და ბოლოს მაინც ვერ ახერხებენ სამკურნალოში მოხვედრას, რადგან უამრავი ადამიანი ელოდება თავის ჯერს," – გვაუწყებს ამ წიგნის ავტორი 1889 წლის გაზეთ „ივერიის" ერთ კორესპონდენციაზე დაყრდნობით.

ქუთაისში უნდა დავაარსო საავადმყოფო, დაიჟინა სამშობლოში დაბრუნებულმა სამსონ თოფურიამ. ქილიკის საგნად იქცა მისი ეს განზრახვა. ვერც გაამტყუნებ სკეპტიკოსებს: ზღაპარს ჰგავდა იმ დროს ასეთი მიზნის დასახვა.

რამდენიმე გარემოება გავიხსენოთ და ნათელი გახდება, რომ ზღაპარს ჰგავდა.

უფულობით დავიწყოთ.

„– ჯიბეცარიელი ჭკუას გვარიგებს, – ეუბნებოდა პავლე თუმანოვს გიორგი აკოფოვი და აჩხაბაჩხა წვერულვაშზე ისვამდა ხელს (...).

– ჯიბეგამოფხეკილი ჭკუაგამოფხეკილიც ყოფილა, – თქვა პავლემ და გიორგის მზერას გააყოლა თვალი, უმალვე მიხვდა რატომაც უყურებდა ასე დაჟინებით, მილიონის პატრონივით მიალაჯებდა სამსონი, ამ დროს ჯიბეში გროშიც არ უჭყაოდა".

თვითონ ხომ არა ებადა რა (ანკი რისი პატრონი იქნებოდა ხელმოკლე აზნაურიშვილი, რომელსაც ორი წლის ასაკში დაეხოცა მშობლები და სამადლოდ გაზარდა ერომა ახლო ნათესავმა), ქალაქის ბიუჯეტიც იმდენად მწირი იყო, შეუძლებელი ჩანდა ქალაქის თვითმმართველობის მხრივ სტაციონარული სასნეულოს დაფინანსება. „პეტერბურგსა და მოსკოვში, მილიონერებით სავსე ქალაქებში უჭირთ კერძო საავადმყოფოების გამართვა, ამან კიდევ გალატაკებულ ქუთაისში მოგვინდომაო," – ბრაზობდნენ მონინააღმდეგენი.

შემდეგი პრობლემა იყო ქალაქში მომუშავე ორიოდე ექიმისა და უამრავი ექიმბაშის წინააღმდეგობა, რომელთა ბიზნესს საავადმყოფოს დაარსება, ცხადია, ვერაფრით წაადგებოდა.

მწერლური ოსტატობით ხატავს ელგუჯა თავბერიძე სამსონის ერთ-ერთი კონკურენტის, მედიცინის დოქტორის მიხეილ ალექსანდრეს ძე ვორონოვის, კარიკატურულ პორტრეტს, რომელმაც, ავტორის სიტყვით, „საექიმო საქმე იცოდა, მაგრამ გული არ ჰქონდა ექიმისა".

შემდეგი თავსატეხი კვალიფიციური სამედიცინო კადრების უყოლობა გახლდათ. კარგი, ვთქვათ და საავადმყოფო გახსენი, ავადმყოფებს ვინ უნდა მიხედოს?! მედპერსონალი, ექიმები არ სჭირდებოდა საავადმყოფოს? ორიოდე ჩინებული ექიმი ჰყავდა ქუთაისს, მათ შორის ივანე გომართელი, რომელიც ექიმობას ლიტერატურობასა და პოლიტიკურ მოღვაწეობასაც შესანიშნავად უთავსებდა (ამ დიდებულ ადამიანს, აგრეთვე ღირსს იმისა, რომ მასზეც დაიწეროს ბიოგრაფიული რომანი,

რამდენიმე გვერდი ეძღვნება განსახილავ წიგნში), მაგრამ ისინი, ეს ექიმები, კერძო პრაქტიკით იყვნენ დაკავებულნი.

და კიდევ: ხალხი ექიმზე მეტად ექიმბაშებს ენდობოდა. ვითარება, რომე-

ლიც ამ სფეროში სუფევდა, ჩინებულად ახასიათებს ერთი ფრაზა, რომელიც ავტორს იმდროინდელი „ივერიიდან“ დაუმოწმებია: „ზარმაცი და ქვეყნის „ტყვილა ბარგი“ კაცი ან ლექსების წერას, ან ექიმობას დაინყებსო“.

ერთი დიდი დამსახურება სამსონ თოფურაისი სწორედ ის გახლავთ, რომ მან შეძლო და შეურყია ექიმბაშების რწმენა ადამიანებს, „გააგებინა, ვინ შერაცხულიყო ექიმად და ვინ კიდევ – მკითხავ-მჩხიბავად“.

ხელის შემშლელ მიზეზთა შორის უნდა დავასახელოთ შურიც, რასაც იმდროინდელ ქართველობაში, მეტადრე იმერეთში, დიდი გასაქანი მისცემოდა: შეიძლება არც კონკურენტი იყო შენი, პირიქით, შენთვის სასარგებლო საქმის გასამარჯვებლადაც კი ირჯებოდა, მაგრამ მერე რა... აკაკი წერეთლის მიერ კარგად შენიშნული „შენც ნახდი, მეც ნამახდინეს“ პრინციპით აუცილებლად კვანტი უნდა დაგედო წარმატებული თანამემამულისადმი. „ერომანეთის გაუტანლობა იმერელთა სენად ქცეულიყო,“ – წერს ბატონი ელგუჯა და ამ შეფასებისას ძირითადად აკაკი წერეთლის დაკვირვებას ეყრდნობა, რომელიც ამავე წიგნში აქვს სხვა ადგილას ციტირებული: „შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე“. ეს ფსალმუნი იერუსალიმში კი არ უნდა თქმულიყოს, – წერს აკაკი, – ქუთაისში უნდა ყოფს ნათქვამი“. იგივე აკაკი, სამსონ თოფურაიას ყველაზე სახელოვანი პაციენტი, რომელიც მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს მკურნალმა კლანჭებიდან გამოსტაცა სიკვდილს, იგონებს:

„...მის ნაცვლად, რომ შინაურებს შეენანებინათ მათი შეცდომა და დახმარებითა და ხელის შეწყობით გაესწორებინათ ჭველი ცოდვა („ძველ ცოდვაში“ აკაკი აქ სამსონ თოფურიას წამოწყებინადმი თავდაპირველ უნდობლობას გულისხმობს. – ლ. ბ.), პირიქით მტრულის თვალით შეხედეს და, მეტი რომ ვეღარა მოახერხესრა, გადაწვასაც კი უპირებდნენ მის სამკურნალოს“.

კიდევ ერთი მიზეზი, რაც ქუთაისში საავადმყოფოს დაარსებას (და არამარტო ამ საქმეს) დიდად უშლიდა ხელს, ხალხის სიღატაკე იყო: უმეტესობას მკურნალობისთვის საჭირო ფული არ ჰქონდა.

აი უმთავრესი პრობლემები, რომელთა მოგვარების გარეშე საავადმყოფოს დაარსებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჰოდა, რას ვერჩით სკეპტიკოსებს! სკეპტიკოსები კი არა, რეალისტები ყოფილან! რეალიზმს და რეალისტებს კი რომანტიზმი და რომანტიკოსები ამარცხებენ! ეს რომ ასე არ იყოს, ცხოვრება ერთობ მოსაწყენი რამ იქნებოდა, გამრავლების ტაბულასავით გამართული, მაგრამ იმავე გამრავლების ტაბულასავით დაცლილი მოულოდნელობებისაგან.

ახლა იმაზე ვიქვეთ ორიოდ სიტყვა, როგორ მოხერხდა ამ დაბრკოლებების დაძლევა.

ვისაც ამ საქმის წარმატებისა არ სჯეროდა (ხოლო ორიოდე ადამიანის გარდა არავის სჯეროდა ეს), ისინი კარგად არ იცნობდნენ სამსონის ხასიათს. ელგუჯა თავბერიძის სიტყვით, მას ჰქონდა „დაუძლეველის ლაძლევის ლვთისგან ბოძებული ნიჭი. სადაც სხვა შედრეკებოდა, გადაულახავად მოეჩვენებოდა წინ აღმართული ბარიერი, სამსონს ამ დროს უფრო მეტი ძალა ეძლეოდა, უთავსატეხოდ – ცუდად, თავსატეხშემოგარსული – კარგად გრძნობდა თავს. ჰგავდა ბიბლიურ სამსონს“.

„უთავსატეხოდ – ცუდად, თავსატეხშემოგარსული – კარგად გრძნობდა თავს“ ის პარადოქსია, რომლის მსგავსი ვაჟა-ფშაველასთანაც გვხვდება: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შანუხებული“. გამრავლების ტაბულაში ამის მსგავსი რამ არ წერია, ანუ მათემატიკური ლოგიკა ამგვარ რამეს არ იცნობს, ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომანტიზმის ლოგიკაა.

„იშვიათია მოგონება, – გვაუწყებს ელგუჯა თავბერიძე, – სადაც სამსონ თოფურიას გამორჩეულ თვისებებზე არ იყოს ლაპარაკი, მხნეობაზე ხომ ყველა წერს...“

ამითი ის „ჰგავდა ბიბლიურ სამსონს,“ სამსონ ძლიერს, ანუ თავის სეხნიასო, გვეუბნება ავტორი და ესეც ანგარიშში უნდა ჩავაგდოთ, ეს სეხნიობა, როცა ამ არაჩვეულებრივი კაცის წარმატებათა მიზეზებზე ვსაუბრობთ, ვინაიდან, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, არსებობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქეტიპი, რომლის ძალითაც, ადამიანი ძალაუნებურად აიგივებს თავის თავს თავისივე ცნობილ სეხნიასთან, რაც რამდენადმე გავლენას ახდენს მისი პიროვნების ფორმირებაზე (ამის თაობაზე იხილეთ ჩვენი ნაშრომი „ანოროპონიმთა პოლისემია").

რაც შეეხება ფულს, აქ უნდა მოვიხსენიოთ ფინანსური თანადგომა, სამსონ თოფურიასთვის რომ გაუწევიათ ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისა და თენგიზ დადეშქელიანს. ამ უკანასკნელმა, რომელიც მთავრობას საქართველოდან გაესახლებინა, სტუდენტობიდანვე შენიშნა ნიჭიერი ახალგაზრდა სამსონ თოფურია და კერძო სტიპენდია დაუნიშნა, ახლა კი საავადმყოფოსთვის 10000 მანეთი შეუწირავს; ცოტაოდენი სათავადაზნაურო ბანკსაც გაუღია (2000 მანეთი წელიწადში) და სოხუმის მკვიდრ პრინცს, ალექსანდრე ოლდენბურგსაც კი აღმოუჩენია სამსონისთვის დახმარება. იმ დროისთვის უჩვეულო ამ თანადგომის ამბავს წიგნის ავტორი ასე გადმოგვცემს:

„პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგმა ქუთაისში ყოფნისას რამდენჯერმე ინახულა საავადმყოფო, გაეცნო თითოეული ექიმის საქმიანობას და გადაწყვიტა, მთელი საავადმყოფო მისი უავგუსტოესობის მფარველობის ქვეშ ყოფილიყო". ბატონი ელგუჯას ვარაუდით, „შეიძლება ქუთაისში მცხოვრებმა კონსტანტინე ოლდენბურგელმა (აგრაფინა ჯაფარიძის მეუღლემ) უშუამდგომლა სამსონს მის ძმასთან, სოხუმში მცხოვრებ ალექსანდრესთან. მართალია, სიღარიბეს არც აქაური უჩიოდა, მაგრამ იმას უფრო დიდი შემოსავალი ჰქონდა და თუ მოინდომებდა, საავადმყოფოს უცებ დააყენებდა ფეხზე".

ახლა რაც შეეხება მედპერსონალს.

არაჩვეულებრივი ორგანიზატორი და მენეჯერი ჩანს სამსონ თოფურია, ადამიანებთან გულითადი ურთიერთობების გამბმის დიდოსტატი. მან შეძლო იმპერიის სხვა ქალაქებიდან მოეწვია ექიმი-სპეციალისტები და თავის საავადმყოფოში დააწყებინა მათ მუშაობა. აი ერთი მაგალითი:

„სტანისლავ ვოინოს ოდესაში კარგ ქირურგად იცნობდნენ. მუცლის ღრუს ოპერაციათა ჩატარების ახალ-ახალ მეთოდს იგონებდა, პაციენტები ემადლიერებოდნენ. არ იყო ადვილი იქაურობის მიტოვება და ქუთაისში გადმობარგება, მაგრამ სამსონისთვის უარი რომ ეთქვა, იცოდა არ მოეშვებოდა. ამიტომ ერთაკერიანი ფიქრის შემდეგ დაყაბულდა".

და სამსონმა ჩამოიყვანა სტანისლავ ვოინო – სად? ქუთაისში, რომელიც, ავტორის დახასიათებით, ასე გამოიყურებოდა: „უსუფთაო ქალაქი, ატალახებული ქუჩები, ნაკელითა და ნაგავით დაბინძურებული გარეუბნები, ბულვარში აყიყინებული ბაყაყები, მოწვიმს, წვიმა დაგახრჩობს, გვალვა იქნება და მტვერი მოგიღებს ბოლოს. ქალაქი, სადაც არც კერძო, არც საზოგადო ჰიგიენას იცავენ მაინცდამაინც".

ვოინოზე ადრე დაითანხმა და იმპერიის სხვა ქალაქებიდან ჩამოიყვანა სამუშაოდ ცნობილი მკურნალები: ს.ს. გოლოვინი, ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა კათედრის პროფესორი, ქირურგი გავსეევი და სხვანი, რომელთა „ვვარ-სახელები მთელი იმპერიის სამედიცინო საზოგადოებისათვის იყო ცნობილი".

●

დოკუმენტურ, ფაქტებზე აგებულ ამ თხზულებაში, რომელშიც, ბუნებრივია, თხრობის საქმიანი სტილია წამყვანი, ბელეტრისტული მანერით შესრულებული რამდენიმე პასაჟიც შეგხვდებათ, არა იმის სადემონსტრაციოდ, აი, მე ასეთი რამეებიც მეხერხება, მარტო ქრონიკიორი არ გეგონოთო, არამედ ბევრად ღირებული ფუნქციის მქონე ბელეტრისტული პასაჟები. არის დამოკიდებულებები, განნყობები, რომელთა აღწერა, სხვის შეგნებამდე მიტანა მარტო ფაქტების გადმოცემით ან ვერ ხერხდება, ან კიდევ სათანადოდ ვერ ხერხდება. მაშინ მიმართავენ ნონფიქშენში ბელეტრისტულ მანერას.

ერთი ამგვარი ჩინებული პასაჟი ზემოთ ვახსენეთ: გადმოსაცემი იყო ქუთათურების დამოკიდებულება უსულგულო მკურნალ ვორონოვის მიმართ, რაც ავტორმა ჩინებულად მოახერხა ამ არსების სატირული, კარიკატურული პორტრეტის შექმნით.

სხვაგან კი წერის ბელეტრისტულ მანერას ავტორმა მაშინ მიმართა, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ განწყობის წარმოჩენა გახდა საჭირო, რომელიც ხალხში სუფევდა საავადმყოფოს გახსნის წინახანებში და გახსნისას, უნიკალური განწყობა – მომლოდინე სიხარულისა და შიშნარევი მღელვარების ნაზავი – სიზმარი ხომ არ არის ეს ყოველივე, სიზმარი, რომელიც გაღვიძებისთანავე გაქრება! განწყობა, რომელიც გულში ვერ ეტევა, მაგრამ ვერც გულიდან გადმოღვრას ბედავს, თითქოსდა იმის შიშით, რომ ავი თვალი არ ეცეს, არ გაითვალოს, არ დაითარსოს!

ეს განწყობა გადმოცემულია იმ თავის დასაწყისში, რომლის სახელწოდებაა „მე თუ მოვკვდი, შენ დარჩები“. გადმოცემულია სამსონ თოფურიას მშობლიური სენაკიდან საავადმყოფოს კურთხევაზე ქუთაისისკენ მომავალი ერთი პიროვნების, კოხტა თოფურიას, შინაგანი მღელვარების წარმოჩენით.

ამ პერსონაჟის მოუსვენრობა ასეა დახატული (რამდენიმე ფრაგმენტს შემოგთავაზებთ):

„სახლში ვერ გაჩერდა, საზეიმოდ ჩაცმულ-დახურული ჭიშკართან დაელოდა სენაკის მაზრის პრისტავ გიორგი ახვლედიანსა და ამავე მაზრის ექიმს გიორგი კახიანს. კარგა ხანს მოუხდა ლოდინი, წავიდოდა, გაივლიდა რამდენიმე ნაბიჯს, მობრუნდებოდა, ახლა მეორე მხარეს გაალაჯღება აჩქარებული, იფიქრებდი ხანძრის ჩასაქრობად გარბისო, მივიდოდა რაღაც ადგილას, მიასობდა ფეხს, ისევ უკან გამოჩქარდებოდა. (...) სასწრაფოდ მოკალათდა ეტლში. გზაშიც ცქმუტავდა, ერთი ორჯერ სიმღერა წამოიწყო, წამოიწყო და გაჩუმდა (...). ერთი სიტყვაც არ ჩამოუგდია ექიმობაზე, დანაშაულის მატებაზე. წასახემსებლად სადმე გაჩერებაც გადააფიქრებინა თანამგზავრებს – ქუთაისში ჩავიდეთ, იქ უკეთესად მოვილხენთო. (...) ასე ღიღინ-ღიღინით ჩამოვიდა ქუთაისში, რომ დასჭირვებოდა, ფეხითაც ნამოვიდოდა, გზადაგზა დავლურს დაუვლიდა, გამოიქცეოდა, მოხრიგინე ეტლს გაასწრებდა (ამ ჰიპერბოლებით რა კარგად გადმოსცემს ავტორი ამ კაცის განცდებს! – ლ. ბ.). გაჩერებისთანავე ჩამოხტა კოხტა ეტლიდან, სირბილით გაქანდა სობოროსაკენ და წამოსვლამდე აღარ უნახავს თანამგზავრები“.

და, როცა ციტირებული პასაჟის ცოტა ქვემოთ წავიკითხავთ საავადმყოფოს კურთხევაზე ბევრ ხალხს არ ელოდნენ, „მაგრამ მოხდა სასწაული, ტაძარმა ხალხი ვერ დაიტია, ბულვარი გაევსოთ, ტაძრის წინა მოედანი ხომ გადაჭედილიყო და გადაჭედილიყო“-ო, სენაკიდან ჩამოსული ამ ერთი კაცის სულიერი განწყობა, მის გადმოსაცემად ბელეტრისტული მანერის გამოყენების გამო, მკითხველის წამოდგენაში ხელადვე განზოგადდება და წარმოდგენა გვექმნება იმაზე, თუ რა მოლოდინით ეგებებოდა ხალხი პირველი საავადმყოფოს გახსნას ქუთაისში.

(ასე იმიტომ ხდება, რომ მხატვრული სახე ინდივიდუალიზაციისა და ტიპიზაციის დიალექტიკურ შერწყმას ნარმოადგენს – ეს მისი უმნიშვნელოვანესი თვისებაა).

●

როგორი გამოვიდა სამსონ თოფურიას კერძო საავადმყოფო? როგორი და... ევროპული ყაიდისა! მეტი არა, მაგრამ არც ნაკლები! არც ეს თავსდება მათემატიკური ლოგიკის ფარგლებში, ესეც ზღაპარს ჰგავს, მაგრამ ფაქტებს სად გაექცევი!

ენამწარე ჟურნალისტმა, ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ფელეტონისტმა არტემ ახნაზაროვმა 1898 წელს მოინახულა ქუთაისი და თავის კორესპონდენციაში მინასთან გაასწორა მთელი ქალაქი და მისი მცხოვრებნი და მარტოოდენ სამსონ თოფურია და მისი საავადმყოფო აქო და ადიდა:

„თვით სიფაქიზე აქა მკვიდრობს, ადამიანის გულმტკივნეულობა აქ არის აძგერებული ავადმყოფობით ტანჯულთა და გვემულთა საოხად და ხსნად. მართლაც და, ესკულაპი თუ იქა ბრძანდება პატივცემულ სამსონ თოფურიას სახით, დაათვალიერეთ იქაურობა და დარწმუნდებით, რომ იქავეა ესკულაპის უმშვენიერესი ქალიშვილი ჰიგეია, რომლის მზრუნველი ხელი ყველაფერს აქვს დაჩნეული“.

სხვა გამოხმაურება-შეფასებანიც ვნახოთ:

1903 წელს დუტუ მეგრელი წერდა „ივერიაში:“

„მე დავათვალიერე ეს სამკურნალო და არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სიამოვ-

ნება და აღტაცება, რომელიც ამ დათვალიერების დროს ვიგრძენი. ჭეშმარიტად დიდება და პატივი ბ. სამსონ თოფურიას, რომელმაც არარაისგან, მხოლოდ თავისი მხნეობითა და ენერგიით, სამაგალითო დაწესებულება შეჰქმნა“.

„სამსონის საავადმყოფოზე ვრცელი წერილი დაბეჭდა 1896 წელს რუსულმა სამედიცინო ჟურნალმა „ვრაჩ“ (მერე „ნოვოე ობოზრენიემ“ გადაბეჭდა), რაც სულაც არ ყოფილა შემთხვევითი, რამეთუ „სამსონის ბალნიცა,“ კერძო ინიციატივისა და ექიმთა მაღალი დონის მეოხებით მთელ იმპერიაში ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ“-ო, გვაუწყებს ავტორი.

1899 წელს სამსონის საავადმყოფო პარიზის უნივერსიტეტის პროფესორს ტერიერს მოუნახულებია და განუცხადებია: „ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამისთანა ღირსეულ და ძვირფას სამკურნალოს მისთანა ქალაქში შევხვდებოდიო; მეც თვითონ დიდის სიამოვნებით და კმაყოფილებით ვიმუშავებდი ამისთანა მშვენიერსა და მოწყობილს საოპერაციო ოთახშიო“.

●

ზემოთ ერთ-ერთ მიზეზად, რასაც ქუთაისში საავადმყოფოს დაარსებისთვის ხელი უნდა შეეშალა, ხალხის სიღატაკე დავასახელეთ. სამსონი იმთავითვე მზად უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ამ საქმეში ქველმოქმედების გარეშე ფონს ვერ გავიდოდა.

მაგრამ ქველმოქმედებაც არის და ქველმოქმედებაც. ელგუჯა თავბერიძის წიგნში მრავალი ფაქტია მოხმობილი არა მარტო იმის საჩვენებლად, როგორ მკურნალობდა სამსონი უსასყიდლოდ გაჭირვებულებს, არამედ ისეთ შემთხვევებზეც მოგვითხრობს ავტორი, როცა ექიმი იქით უწევდა პაციენტებს ფულად დახმარებას. ეს მარტო მაშინ კი არ ხდებოდა, როდესაც სამსონი ავადმყოფის წამლის ფულს თავისი ჯიბიდან ფარავდა, არამედ... მოკლედ, აი, ასეთი ამბავია აქ ერთგან მოთხრობილი, რომელიც გამონაკლისი არ ყოფილა:

ერთხელაც სამსონი უსასყიდლოდ მკურნალობდა ვინმე მაჭავარიანის ქვრივის თორმეტი წლის ქალიშვილს. ავტორს მოჰყავს ფრაგმენტი ამ ამბის მომსწრის, ილია ჭიჭინაძის, სტატიიდან, რომელიც გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ყოფილა დაბეჭდილი სათაურით „ერთი ამბავი ექიმ სამსონ თოფურიას ქველობისა:“

„ავადმყოფმა დაჰყო თოფურიას საავადმყოფოში ოთხი თუ ხუთნახევარი თვე, შემდეგ, თითქმის მორჩენილს, შეეყარა ყვავილი თუ წითელა, აღარ მაგონდება. თოფურიამ უქირავა კერძო ბინა (გადამდებ სენიანთ ის არ აწვენს საავადმყოფოში), უქირავა ცალკე მოსამსახურე, ექიმი და აქაც დაჰყო ბავშვმა თვენახევარი და შემდეგ სრულიად საღი ჩააბარა დედას“.



რითი უხდიდა ეს გაჭირვებული ხალხი სამსონს სიკეთეს? მადლობა და ლოცვა-კურთხევა – ეს თავისთავად (რაც სამსონს ძალიან აღიზიანებდა თურმე, მაგრამ რას გაანყობდა!), და პატივისცემის კიდევ ერთი საშუალებისთვის მიუმართავს ხალხს: „დალოცვაში არაფერი იყო გასაკვირი, უწვეულო უფრო ის გახლდათ, ახალდაბადებულებს სამსონს არქმევდნენ, დაბადებულსა და სახელშერქმეულს –

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელს უცვლიდნენ, ნამდვილზე მეორეს უმატებდნენ სამსონ-მელიტონივით, ამიტომ გაჩნდნენ იმ ხანებში, ივანე-სამსონი, პავლე-სამსონი და მისდაგვარნი".

ვეჭვობ, მედიცინის ისტორია იცნობდეს ექიმის შრომის ანაზღაურების ამ ფორმას, რომლისთვისაც ქუთათურებს მიუგნიათ!

●

უნდა დავუსახოთ თუ არა ადამიანს, ახალგაზრდას, ცხადია, სამსონ თოფურიას ცხოვრების წესი მაგალითად? არავითარ შემთხვევაში! ამგვარი არჩევანი ყველამ თვითონ უნდა გააკეთოს, დამოუკიდებლად, ვინაიდან ეს მძიმე არჩევანია, გოლგოთაა, და არამარტო იმიტომ, რომ ამგვარმა ცხოვრებამ ეს დევივით კაცი ფიზიკურად ისე გამოფიტა, რომ ორმოცდაათი წლის ასაკში გამოეთხოვა წუთისოფელს... მარტო ამის გამო არა, უფრო იმიტომ არ შეიძლება სხვას ცხოვრების ეს წესი მაგალითად დავუსახოთ, რომ მის მიმდევარს აუცილებლად მოუნევს ხელი აიღოს პირად ცხოვრებაზე. სამსონ თოფურია **უპირადო ცხოვრების** კაცი იყო. ეპისკოპოსი ლეონიდე სამსონის გარდაცვალების შემდეგ წერდა:

„მიცვალებული განგებ არ მოეკიდა ოჯახს, ვერ გაიმეტა თავის სიყვარულის განანილება ოჯახსა და საზოგადო საქმეს შორის".

ამასვე ამბობდა ექიმი სპირიდონ ვირსალაძეც სამსონის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში:

„შენმა ძლიერმა სულმა, დაუღალავმა ენერგიამ, საქმისათვის თავდადებამ და ერთხელ არჩეული მიზნის ბეჯითმა სამსახურმა სძლიეს დაბრკოლებანი და შენ შეჭქმენ დიდი, ნმინდა საქმე! ამისათვის საკმარისი არ იყო მარტო სიყვარული და ცოდნა, აუცილებელი იყო სავსებით მისცემოდი საქმეს, თავი გადაგედო მისთვის. შენც შეგნებულად უარჰყავ პირადი ცხოვრება, პირადი სიკეთე. როცა მეგობრულად გისაყვედურებდით ხოლმე უცოლშვილობას, შენ მიგვითითებდი საავადმყოფოზე და ავადმყოფებზე და არა თავმომნონებით და არა სიამაყით გვეტყოდი ხოლმე – აი, ჩემი ოჯახი, აი ჩემი შვილებიო".

დიდ ადამიანთა ბიოგრაფიების ფსიქოანალიტიკური კუთხით გაანალიზების მოყვარულნი, თუ იმაზე დაფიქრდებიან, რამ განაპირობა სამსონ თოფურიას ჩამოყალიბება ასეთ ფილანთროპად და სნეულთა მიმართ თავგადადებულ უანგარო მკურნალად, ორი წლის ასაკში მის დაობლებასთან ერთად ალბათ ერთ ისეთ ფაქტსაც გაიხსენებენ მისი ცხოვრებიდან, რომელიც ამ დიდი ადამიანის ხასიათის ზოგიერთი თავისებურების გაგებაში, ჩვენი აზრით, უთუოდ დაეხმარებათ.

ხარკოვში, სტუდენტობისას, სამსონ თოფურიას ტუბერკულოზი შეჰყრია. მეგობრების რჩევით, ცნობილ ექიმ ბოტკინისთვის ჩაუკითხავს სანკტ-პეტერბურგში. ბოტკინს უთქვამს, ერთ თვეს თუ იცოცხლებ კიდევ, მეტს ვერაო. ახლა კვლავაც ელგუჯა თავბერიძეს მივცეთ სიტყვა:

„ვინ არ შედრკებოდა, ვინ არ ჩაიქნევდა ხელს, ვის არ გატეხდა ეს სიტყვები. სამსონ თოფურია ვერც გატეხა, ვერც მოდრიკა, პირიქით, უფრო გაუმძაფრა სიცოცხლის წყურვილი. ჩამოვიდა სამშობლოში, სამეგრელოს მთებში დაბინავდა რამდენიმე თვით და ყველასთვის გასაოცრად – განიკურნა, უფრო მართალნი ვიქნებით, თუ ვიტყვით – მოირჩინა თავი. (...) სრული გამოჯანმრთელების მერე სამსიტყვიანი დეპეშა გაუგზავნა მკურნალ ბოტკინს: „Я смерть победил. Самсон Топурия".

აი ასე: რომანტიკოსებს არაფრად ულირთ წესები, ისინი პატივს სცემენ წესიდან გამონაკლისს – შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიც.



ანდრო ბუაჩიძე

მცირე ლექსების ტევადობა

გაგა ნახუცრიშვილი, „სტროფი", თბ. „სიესტა"

დღეს, როდესაც უმთავრესად ვრცელი ლექსები ინერება და მცირე ლირიკული გაელვებები ნაკლებად იპყრობს ჩვენს ყურადღებას, ისმის კითხვა: იქნებ, თვითონ ლირიკამ იცვალა ფერი, იქნებ, თვითონ ლირიკული ხასიათის შემოქმედება გახდა სხვაგვარი, მაგრამ, ვინაიდან ლიტერატურაში ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კანონები არ არსებობს, შეიძლება მოვიდეს პოეტი და სწორედ მცირე ლირიკული ნანარმოებებით სცადოს საკუთარი განწყობის გადმოცემა.

მე მეჩვენება, რომ გაგა ნახუცრიშვილის წიგნი „სტროფი" ამ ხასიათის ცდაა და ამით არის საინტერესო. როგორც ჩანს, ლირიკული გზნება წამიერია და ამ წამიერების გამოხატვა ყოველთვის არ ხერხდება. გაგა ნახუცრიშვილი წიგნში „სტროფი" სწორედ ამას ცდილობს.

ცალკე საკითხია ის თუ როგორ ხდება პოეზიაში შთაგონების შეყოვნება, წამიერების გახანგრძლივება. ჩემი აზრით, რაც უფრო ღრმაა ეს განწყობა, მით უფრო ხანგრძლივია. ხანგრძლივობა უფრო ვრცლად განაფენს ამ განწყობას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ვრცლად განფენაზე მნიშვნელოვანი უკვე აღბეჭდილი განწყობის ლაკონიურობა და სიმკვეთრეა. ეს სიმკვეთრე ჩანს სწორედ გაგა ნახუცრიშვილის კრებულში „სტროფი".

პირადად ჩემთვის, ე. ი. ადამიანისთვის, ვინც საკმაოდ კარგად იცნობს გაგა ნახუცრიშვილის შემოქმედებას, გარკვეული სიახლე იყო მისი ციკლი „სტროფი." ლექსების ეს კრებული დიდი სისადავით, პოეტური აზრის ორიგინალობით და ხშირ შემთხვევაში პარადოქსული ფინალებით არის გამორჩეული. „მეუბნები,/ რომ შევიცვალე,/ ალბათ ასეა,/ მე უსასრულო/ ღამეებმა/ წელში გამტეხა,/ მზის მცხუნვარებამ/ გამომფიტა/ და გამომაშრო,/ წვიმამ დამაზრო,/ დამაჭაობა,/ თოვლმა და ქარმა,/ ამო-



მივსო სული სიცივით/ და შევიცვალე,/ რომ მეცხოვრა/ უფრო სხვაგვარად,/ რომ ყველაფერი/ თავიდან და ახლად დამეწყო,/ ამ ქვეყანაზე ცვლილებაა/ მხოლოდ უცვლელი“.

ცვლილება რომ უცვლელია, ეს უკვე პარადოქსული სენტენციაა და ამავე დროს ფინალური აკორდი. ადამიანი მართლაც ცვალებადია, მაგრამ აქ საუბარია იმ ცვლილებაზე, რომელიც გადარჩენის საშუალებას აძლევს დასალუპად განწირულ მსხვერპლს. ლირიკული პერსონაჟი გვეუბნება იმას, რომ ყოველი ჩვენგანი (თუმცა ის ლექსში თავის თავს გულისხმობს) ერთგვარ ჩაკეტილ წრეში ტრიალებს – კრიზისიდან კრიზისამდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კრიზისი აღნევს უკიდურესობას, იბადება სურვილი ახალი ცხოვრების დაწყებისა და იწყება ახალი ცხოვრება, რომელიც „ბოლოს“ ახალ კრიზისს აღნევს. მერე ხელახლა დგება ჟამი ფერისცვალებისა და ა. შ. და ა. შ. ასე რომ, როგორც ერთმა მოაზროვნემ თქვა, ადამიანის ცხოვრება ერთი გაბმული კრიზისია.

არსებობს გამოთქმა – ისტორია მუდამ თავიდან იწერებაო. ასეა ადამიანის ცხოვრებაც. თავისი სიცოცხლის რომელიღაც ეტაპზე ადამიანი გადახედავს უკვე განვლილ ჟამს და ყველაფერს განსხვავებულად აფასებს და, მიუხედავად იმისა, რომ მან იცის მუდმივი კრიზისის არსებობის შესახებ, მაინც სურს უკან დაბრუნება რაღაცის შეცვლის გამო. „და მინდა მხოლოდ,/ რომ შემეძლოს უკან დავბრუნდე,/ ვცადო მაინც/ რამის შეცვლა,/ სხვა გზის მიგნება,/ რომ თუნდაც ერთხელ,/ ვინმე მაინც გადავარჩინო./ მხოლოდ ყრუდ მტკივა/ და დაბრუნება/ არის უკვე/ შეუძლებელი“.

მიუხედავად მუდმივი კრიზისულობისა, როგორც უკვე ვთქვით, პოეტს მაინც აქვს სურვილი „ახლიდან დაწეროს თავისი ცხოვრების ისტორია“. მას სურს უფრო ღრმა შინაარსი შესძინოს თავის ცხოვრებას, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელია. ამიტომაც ამბობს პოეტი: „მალე ორმოცის შევსრულდები... უკაცრავად, თუ დაუდევრად გავფლანგე წლები“.

პოეტი ის ადამიანია, ვინც თავის ბედისწერას „იკვლევს“. გაგა ნახუცრიშვილი წარსულზე ფიქრობს, ცდილობს ისეთი ნაკვალევის შემჩნევას, რომელიც უცხო თვალისთვის დაფარულია და მხოლოდ მისთვის არის მისაწვდომი და დასანახი. იქ, სადაც წარსულის ძიებაში ანალიტიკური საწყისი ჭარბობს, თავისუფალი ლექსის ფორმას ანიჭებს უპირატესობას; სადაც განწყობა დომინირებს, კანონიკურ, ტრადიციულ ლექსს იშველიებს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სპონტანურად ხდება, სათქმელის „ეოჩხრეკას“ და აღძვრას ფორმის ძიების პროცესიც ახლავს. ეს ორი მომენტი ერთმანეთისგან განუყოფელია.

შთამბეჭდავი გამოდგა მცირე ზომის ლექსები, რომელთაც პოეტმა პირობითად „სიზმრის ვერლიბრები“ უწოდა. „იესო ვნახე,/ ოლონდ სიზმრად,/ ავტოსტოპზე...“ და მას არავინ უჩერდა, სულ არავინ, არც სიზმარში“. ეს მცირე „პოეტური განჭვრეტები,“ როგორც ყოველთვის, უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე ამბობს. აქ ფორმამ განწყობა და მედიტაცია ერთ ფოკუსში უნდა მოაქციოს. ამის მოხერხება უბრალო საქმე არ არის. სიტყვების მინიმალური რაოდენობა დაუმთავრებლობის შთაბეჭდილებას ქმნის, დაუმთავრებლობა რაღაცის უთქმელობაა და სწორედ ეს უთქმელობაა აქ მთავარი, რადგან, რაც არ ითქმება, ის იგულისხმება. „სიზმარში თოვდა/ თეთრად კი არა,/ უფეროდ თოვდა,/ დედამიწაზე სურდა მოსვლა/ ვერ ასწრებდა,/ ცაში დნებოდა. ამ ლექსში მართლაც ყველაფერი ითქვა. „ყველაფერი“ ამ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რასაც ლექსის დაწერამდე გრძნობდა და განიცდიდა პოეტი. ჩემთვის განსაკუთრებით შთამბეჭდავია სიტყვები: „თეთრად კი არა, უფეროდ თოვდა“. მიჭირს იმის თქმა, რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები, მაგრამ ეს „უფერობა“ აღქმული მაქვს და დამახსოვრებული. ეს მომენტი ჩემი მეხსიერებიდან ჩემს წარმოსახვაშია გადმოსული და აღბეჭდილი. ამიტომაც ლექსის წაკითხვისთანავე ცოცხლდება და

ვიზუალურ ელფერს იძენს. ამის შემდეგ კი მოდის უაღრესად სევდიანი სტრიქონები: „დედამიწაზე სურდა მოსვლა,/ ვერ ასრულდა,/ ცაში დნებოდა“. ეს არის ყოველივე იმის ნაადრევი კვდომა, რამაც სიცოცხლის ნაპერწკლად გაიელვა და იმწამსვე გაქრა. არსებობს ასეთი სიცოცხლეც და პოეტს იმის თქმა სურს, რომ ასეთ გაელვებასაც სიცოცხლე ჰქვია.

მე მჯერა გაგა ნახუცრიშვილის, როდესაც ის ამბობს: „არ მეშინია,/ არც სიბერის/ და არც სიკვდილის,/ ალბათ, ცოტა მეშინია/ მე მარტოობის. მარტოობა მძაფრად არის გამოხატული წიგნში „სტროფი“. მხოლოდ ეს მარტოობაც თავისებურია. ეს იმ კაცის მარტოობაა, ვისაც აქვს თავის წარსული და ბედისწერა. და კიდევ ერთი რამ: ეს კაცი თვითონვე კითხულობს, თუ შეიძლება ითქვას, წარსულის პერგამენტზე დაწერილ ბედისწერას. მას აღარ სურს ვრცლად საუბარი და სიტყვაძუნნი პოეზიის ენას იშველიებს. ეს ყველაზე რთული გზაა პოეზიაში.

გაგა ნახუცრიშვილი ფაქიზი ფერებით წერს ჰეიზაჟს და ამ პეიზაჟში ყოველთვის არის „ადამიანის სახის“ შტრიხი: „მზეს ზღვაში ჩასვლა თითქოს რცხვენია,/ თითქოს დაკარგა სახეზე ფერი,/ და განშორებაც არაფერია,/ მერე შეხვედრა უფროა ძნელი“.

გაგას ლექსს გამოარჩევს უბრალოება, ზოგჯერ უკიდურესობამდე მიყვანილი სისადავე. როცა რაღაც ძალიან გტკივა, იმის თავი აღარა გაქვს, სამკაულებზე იფიქრო. თუმცა ის მაინც „წერს“ ლექსს. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აკვირდება თავის სათქმელს და გზადაგზა უკვე ნათქვამს შეძლებისდაგვარად პლასტიკურ ფორმას აძლევს.

წიგნი „სტროფი,“ ჩემი აზრით, ფორმის ძიების ნიშნით არის აღბეჭდილი. თუმცა მინდა ვთქვა: გაგა ნახუცრიშვილი ისე ეძებს სათქმელის გამოხატვის ყველაზე უკეთეს ვარიანტს, რომ მკითხველს არ ანუხებს. უფრო უბრალოდ ვიტყვი: მკითხველი ვერც კი ამჩნევს მის ლიტერატურულ ძიებას, ყველაფერი ბუნებრივად ხდება.

და, რადგან ბუნებრიობაზე და სინაღდეზე ჩამოვარდა საუბარი, არ შემიძლია აქ არ მოვიყვანო ერთი ბრწყინვალე ლექსი, რომლის წაკითხვამაც შემძრა: „სათაურს ვეძებ და ვერ დავარქვი,/ წიგნს... ეს ძალიან დიდხანს მინდოდა.../ ვერ დავიბრუნე ჩემი ქალაქი,/ ვერ მოვიშორე უამინდობა./ გამოვასწორე თითქმის ხარვეზი,/ შეცდომა ძველი, მძიმე, უძირო,/ სარკიდან თავი მიმზერს ამრეზით,/ პატივმოყვარე, ბრიყვი, უძილო./ გამოვიფიტე, თენდება გარეთ,/ მეც გარეთ გავალ, სახლში ვმარცხდები,/ და თუ არავინ გამიღებს კარებს,/ მიმასპინძლებენ ცა და ცაცხვები“.

არაერთხელ უთქვამთ, ზოგჯერ ერთ ლექსში ამა თუ იმ პოეტის მთელი პოეზიაა ჩატეულიო. არის ამ ნათქვამში სიმართლის მარცვალი, და შეიძლება გაგას ციტირებული ლექსიც ამის დასტური იყოს, მაგრამ არ მეთმობა სხვა ლექსებიც – ყველგან არის ისეთი შტრიხები, რომლებიც პოეტის სახეს მრავალფეროვნებას სძენენ და მას სხვაგვარად წარმოაჩენენ. ეს კი უკვე პორტრეტია, უფრო ზუსტად – ავტოპორტრეტი.

გაგა ნახუცრიშვილის ლექსებში პოეტისთვის ჩვეული განნყობა მეორდება, ოღონდ ეს განმეორება მეტწილად ახალი გამოხატვის ნიშნით არის აღბეჭდილი, – ან აზრია ოდნავ სახეცვლილი, ან ინტონაცია იცვლება. ზოგჯერ განმეორებული განნყობა რითმიანი ლექსის მეშვეობით არის გამოხატული, სხვაგან – ურითმო, თავისუფალი ლექსით, მაგრამ განნყობა იგივეა. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ყოველ პოეტს თავისი მუდმივგანმეორებადი განნყობა აქვს, მხოლოდ ამ განნყობას ღრმა მნიშვნელობას სიმკვეთრე სძენს. სიმკვეთრე კი გაგას ლექსებში მუდამ თვალშისაცემი და აშკარაა.

ჰედიარდ ჯიპლინგი

ინგლისელი მწერლის, რედიარდ კიპლინგის მიერ 1906 და 1910 წლებში გამოცემული ისტორიულ-მითოსური დილოგია „ფაქი ჯადოსნური ბორცვიდან“ და „საჩუქრები და ფერიები“ შეიძლება იმ წიგნად ჩაითვალოს, რომელმაც ფანტაზის ჟანრს ჩაუყარა საფუძველი. ის არა მხოლოდ მოზარდებისთვის არის შექმნილი, არამედ ასევე მათთვის, ვისაც ბრიტანული მითოლოგია და ლეგენდები უყვარს.

წიგნის პერსონაჟებს, და-ძმას, დენსა და იუნას, მდელოზე თამაშისას ფერიების მოდგმის უკანასკნელი წარმომადგენელი ფაქი გამოეცხადებათ – სწორედ ის, ვისაც თანამედროვე მსოფლიო შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმრიდან“ იცნობს. ზღაპრული კაცუნა ფაქი ბავშვებს ძველი ინგლისის ლეგენდებს, თქმულებებსა და რეალურ ისტორიას აცნობს, მასთან ერთად ისინი წარსულში მოგზაურობენ და ისტორიულ თუ მითურ პერსონაჟებს ხვდებიან.

ვილანდის ხმალი

ფრაგმენტი წიგნიდან „ფაქი ჯადოსნური ბორცვიდან“

– შენ გამუდმებით ახსენებ „ბორცვთა ბინადრებს,“ მაგრამ საკუთარ თავსა და შენს მოდგმას „ფერიებს“ არასოდეს უწოდებ, – თქვა იუნამ, – გეტყობა, ეს სიტყვა არ მოგწონს.

– ერთი მითხარი, შენ როგორ მოგეწონება, სულმუდამ „მოკვდავი“ ანდა „კაცის პირმშო“ რომ გიწოდონ, ან კიდევ „ადამის ძე“ თუ „ევას ასული.“

– მე სულაც არ მომეწონებოდა, – შენიშნა დენმა, – ასეთი სიტყვებით „1001 ღამის ზღაპრებში“ ჯინები მიმართავენ ადამიანებს.

– ჰოდა, მეც ასევე არ მეპიტნავება, როცა ამ სიტყვას მიწოდებენ, მისი წარმოთქმაც კი არ მსურს. თანაც, *ისინი*, ვისაც ასე მოიხსენიებთ, გამოგონილი მოდგმაა, რომელიც ბორცვთა არც ერთ ბინადარს თვალითაც კი არ უნახავს. პეპლისფრთიანი, გამჭვირვალეკაბიანი ციცქნა ბზუალები, თმაში ბრჭყვიალა ვარსკვლავები რომ ჩაუწნავთ, ხელში კი მასწავლებლის ჯოხის მსგავსი რამ დაუჭერიათ, რომლითაც გაუგონარ ბავშვებს სჯიან, დამჯერებს კი აჯილდოებენ.

– არა, *ამათ* არ ვგულისხმობთ, – უპასუხა დენმა, – *ესენი* ჩვენც გვძულს.

– აი, ხომ ხედავ, – დაეთანხმა ფაქი, – მაშ, რაღა გასაკვირია, რომ ბორცვთა ბინადრებს არ სურთ, ვინმეს ამ ჭრელფრთიან, ფრიალა, ენამოჩლექილ არსებებში აერიოთ? ჰმ, პეპლის ფრთები! ჩემი თვალით ვიხილე სერ ჰიუორი, თავის რაზმთან ერთად ტინტაჯილის ციხე-კოშკიდან როგორ გამოვიდა და სამხრეთ-დასავლეთ

ქარს გაჰყვა ჰაი-ბრაზილისკენ, როგორ ნამავდა წყლის შეიფები ციხის გალავანს და რა ველურად ჭიხვინებდნენ შიშით ატანილი რაშები. თოლიებივით, ხმამყივანი ძახილით გაქროლდნენ და პირქარმა ხუთი მილით გადაისროლა ნაპირზე, დიდხანს ებრძოდნენ მას, ვიდრე კვლავ მოიხელთეს ჰაერის სასურველი დინება. ესენი კიდევ – პეპლის ფრთებიო! ნურას უკაცრავად! ეს მაგია გახლდათ – ის შავი მაგია, როგორიც მხოლოდ მერლინს ხელეწიფებოდა! მათ ქვეშ კი ოკეანის წყლები მწვანედ დუღდა და მათ ქათქათა ქაფში ქალთევზები გალოობდნენ. აი, რა მახსოვს გარდასული დღეებიდან!

– შესანიშნავია, – აღმოხდა დენს, იუნას კი გააჟრჟოლა.

– თუ ასეა, მიხარია, რომ წავიდნენ... მაგრამ მაინც რამ აიძულა ბორცვთა ბინადარნი, აქაურობა სამუდამოდ დაეტოვებინათ? – იკითხა იუნამ.

– ამას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. ოდესმე მოგითხრობთ იმ ამბავს, რაც ყველაზე დიდი გაქცევის მიზეზად იქცა, – მიუგო ფაქმა, – მაგრამ ყველანი ერთბაშად არ წასულან. საუკუნეთა განმავლობაში თანდათანობით მიდიოდნენ... სხვებზე ადრე უცხოელები გაიფანტნენ, რადგან აქაური ჰავა ვერ აიტანეს.

– მაინც როდის? – ჰკითხა დენმა.

– ორი, სამი ათასწლეულის წინათ. საქმე ის არის, რომ ისინი თავიდან ღმერთები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი კლის საყიდლად ჩამოსულ ფინეკიელებს მოჰყვა თან. სხვები კი ამ ჰაერებზე მოსულმა გალებმა, იუტებმა, დანიელებმა, ფრიზებმა თუ ანგლებმა ჩამოიყვანეს. იმხანად მრავალი ხომალდი ადგებოდა ჩვენს სანაპიროს. ზოგნი აქ რჩებოდნენ, ზოგს კი კვლავ უწევდა ზღვაში დაბრუნება, თავიანთ ღმერთებს კი ყველანი ტოვებდნენ. მაგრამ ინგლისის მიწა ღმერთებისათვის სახარბიელო არ გამოდგა. აი, მე კი დასაბამიდანვე ის ვიყავი, რადაც, დიდი იმედი მაქვს, საუკუნოდ დავრჩები კიდეც: ოდითგან ვჯერდებოდი თითო თეფშ შვრიის ფაფას, ჯამით რძესა და სოფლელებთან მშვიდ, ხალისიან საუბარს. ეს ყოველივე ახლაც სრულიად მაკმაყოფილებს. როგორც ხედავთ, ამ მინაში მიდგას ფესვები და ჩემი დღე და მოსწრება ხალხთან ვმეგობრობ. სხვები კი ღმერთობას იჩემებდნენ, ჰქონდათ ტაძრები, საკურთხევლები, ჰყავდათ ქურუმები და მსხვერპლსაც ითხოვდნენ.

– ადამიანებს ნნულის გოდრებში სვამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, არა? – ჰკითხა დენმა, – ამის შესახებ მის ბლეიკმა გვიამბო.

– მსხვერპლი შეიძლებოდა სხვადასხვაგვარი ყოფილიყო, – უპასუხა ფაქმა, – ზოგჯერ მათ ხალხის ნაცვლად ცხენებს, ძროხებს, ღორებს ანდა ტკბილ, ბლანტ ლუდს სწირავდნენ. მე კი ამგვარი საჩუქრები არ მიზიდავს. ის ძველები დიდად კუდაბზიკა და ყოყოჩა არსებები იყვნენ. და, საბოლოო ჯამში, რა მოიგეს? ადამიანებს დროის განმავლობაში ყელში ამოსდით ამდენი მსხვერპლი, აღარც ღმერთებისათვის სიკვდილი სურთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარც საქონლის ულეტა. გავიდა ხანი და ადამიანებმა მიივიწყეს ძველი ღმერთები; მათი ტაძრების გუმბათები ჩამოიქცა და მათაც ტყესა და მინდორში ხეტიალი და საკუთარი თავის რჩენა მოუწიათ: ზოგი ხეთა კორომებს შეეფარა, ზოგიც – მღვიმეებს, ღამღამობით კი გმინვითა და გოდებით იკლებდნენ მიდამოს. თუ მეტისმეტად დიდხანს და შემზარავად იყმუვლებდნენ, რომელიმე დამფრთხალი გლეხი დედალს უკლავდა ანდა გირვანქა ერბოს უტოვებდა. მახსენდება ქალღმერთი სახელად ბელისამა, ლანკაშირის ერთ მდინარეში რომ დასახლდა და წყლის ალად იქცა. ასეთივე ბედი ეწია მრავალ ჩემ მეგობარს, ოდინდელ ღმერთებს: ისინი ბორკვთა ბინადრებად იქცნენ, შემდეგ კი მიატოვეს ეს ადგილები, რადგანაც ინგლისს ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეეწყვნენ. იმ ძველთაგან ერთადერთი მახსოვს ისეთი, პატიოსანი შრომით რომ ირჩენდა თავს მას შემდეგ, რაც ღვთაების წოდება ჩამოერთვა. მას ვილანდი ერქვა, ზოგ ღმერთს მჭედლად ემსახურებოდა. მათ სახელებს ახლა ვეღარ ვიხსენებ, ის კი მახსოვს, რომ ვილანდი მათთვის ხმლებსა და მახვილებს ჭედავდა. თუ არ ვცდები, ის სკანდინავიელ თორს ენათესავებოდა.

– თორს „ასგარდის გმირებიდან?“ – გამოცოცხლდა იუნა. მას ეს წიგნი წაკითხული ჰქონდა.

– ჰო, შესაძლოა, – უპასუხა ფაქმა, – ასე თუ ისე, როცა გაუჭირდა, არც ქურდობა უცდია და არც მათხოვრობა. როგორც გითხარით, პატიოსნად შრომობდა, მე კი მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა, მისთვის კეთილი სამსახური გამეწია.

– მოგვიყევი ამის შესახებ, – სთხოვა დენმა, – ძველი ღმერთების ამბების მოსმენა მინდა.

ბავშვები მდელოზე მომყუდროვდნენ, ორივემ კბილებს შორის ბალახის ღერი გაირჭო. ფაქი დაკუნთულ მკლავს ჩამოეყრდნო და თხრობას შეუდგა:

– კარგად უნდა გავიხსენო! ვილანდს სულ პირველად პევერსის მაღლობზე, ნოემბრის ერთ სუსხიან დღეს შევხვდი...

– პევერსი? ამ ბორკვის იქით რომ არის? – დენმა თითი სამხრეთისკენ გაიშვირა.

– ჰო, ოღონდ იმხანად ჰორზბრიჯამდე მთელ იმ მიდამოს ჭაობი ფარავდა. ბეკონის ბორკვიდან დავინახე შორს მკრთალი ალი, თითქოს თივით დაფარული სახურავი იწვოდა, და სანახავად ახლოს მივედი. თურმე მეკობრეებს მაღლობზე სოფელი დაუწვავთ; ორიოდე წუთის წინ ნაპირთან მისული ოცდათორმეტნიჩბიანი ხომალდის გემბანზე ვილანდის უზარმაზარი, მუქი ხისგან ამოკვეთილი, ყელზე ქარვისმძივშებმული კერპი ჰქონდათ დასვენებული. საშინლად ყინავდა! გემი სულმთლად მოყინული იყო, ნიჩბებსაც მინასავით გადაჰკვროდა ყინულის აპკი და ვილანდსაც თრთვილი უფარავდა ტუჩებს. დამინახა თუ არა, თავის უძველეს ენაზე წამოიწყო სიმღერა იმის თაობაზე, თუ როგორ იბატონებდა მთელ ინგლისზე და მისი საკურთხეველებიდან ამოსული კვამლი ლინკოლნშირიდან უაიტის კუნძულამდე გავრცელდებოდა. ოღონდაც ამგვარი სიმღერებით ვერ ამაღელვებდა: ბევრი ღვთაება მინახავს, ძველი ინგლისის დაუფლება რომ უცდია. ვიდრე მისი ხალხი სოფელს ძარცვავდა, სიმღერა ვაცალე, მერე კი ვუთხარი (დღემდე არ ვიცი, ეს მაშინ რამ მათქმევინა): „ღმერთთა მჭედელო, მოვა ის დროც, როდესაც გზის პირას დაეყუდები და გამვლელს შენს ხელობას მუქთად შესთავაზებ“.

– მერე, რა გიპასუხა? – ჰკითხა იუნამ, – ძალიან გაბრაზდა?

– წყეულა-კრულვით ამავსო, თვალები მრისხანედ აბრიალა, მე კი ზურგი შევაქციე და სხვა სოფლებისკენ გავწიე ხალხის გასაფრთხილებლად. მაგრამ მეკობრეებმა ქვეყანა დაიპყრეს და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ვილანდი ინგლისის უძლიერეს ღვთაებად დარჩა. როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწინასწარმეტყველა, ლინკოლნშირიდან უაიტის კუნძულამდე აუშენეს ტაძრები, სადაც ყოვლად შემზარავ მსხვერპლს სწირავდნენ. სამართლიანობის გულისათვის შევნიშნავ, ვილანდს ადამიანთა მსხვერპლს ცხენები ერჩივნა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა: მაინც ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან სხვა ღმერთებივით მასაც მიატოვებდნენ. კარგა ხანს ვაცალო, ათასი წელიწადის მანძილზე არ შემიწუხებია, ბოლოს კი ენდოუვერის მახლობლად მის ერთ-ერთ ტაძარს ვეწვიე, რათა მენახა თუ საქმე როგორ მისდიოდა. მისი საკურთხეველიც თავის ადგილზე დამხვდა, მისი კერპიც, ქურუმებიც და მლოცველებიც. თვით ვილანდისა და მისი ქურუმების გარდა ყველა ბედნიერი სახით იდგა. ძველ დროში პირიქით იყო: ვიდრე ქურუმები მსხვერპლს შეარჩევდნენ, მრევლი წუხდა და ძრწოდა; მათ ადგილას თქვენც ასევე შეწუხდებოდით. ახლა კი, წირვა როცა დაიწყო, ქურუმმა ერთ-ერთი კაცი წინ გამოიყვანა, საკურთხეველთან დააჩოქა და ციცქნა მოოქროული ნაჯახით კეფაზე მოჩვენებითი დარტყმა მიაყენა. კაცი ძირს დაეცა და თავი მოიმკვდარუნა. ამის შემდეგ ყველა აყვირდა: „მსხვერპლი ვილანდს! მსხვერპლი ვილანდს!“

– კაცი სინამდვილეში არ მომკვდარა? – იკითხა იუნამ.

– რა თქმა უნდა, არა. ეს ყველაფერი თამაში იყო. შემდეგ შესანიშნავი თეთრი რაში მოიყვანეს, ფაფრიდან და კუდიდან თმა ჩამოაჭრეს, საკურთხეველზე დაწვეს და კვლავ, მსხვერპლიო, შესძახეს. ამგვარად ჩაითვალა, რომ ვილანდს კაცი და ცხენი შესწირეს მსხვერპლად. კვამლში საბრალო ვილანდის სახე რომ დავლანდე, ძალაუნებურად გამეცინა. ძალზე აღშფოთებული და მოშიებული ჩანდა, მაგრამ, ვაგლახ, რომ შეტრუსული თმის საზარი სუნით მოუწევდა დაკმაყოფილება. თამაში იყო, მეტი არაფერი!

მაშინ თავი შევიკავე და აღარაფერი ვუთხარი (ეს ხომ სულმდაბლობა იქნებოდა), ხოლო როცა რამდენიმე საუკუნის შემდეგ ისევ მოვხვდი ენდოუვერში, იქ აღარც ვილანდი დამხვდა, აღარც მისი ტაძარი – მათ ნაცვლად ქრისტიანული ეკლესია და ეპისკოპოსის რეზიდენცია იდგა. ბორცვთა ვერც ერთმა ბინადარმა ვერ მითხრა მისი ასავალ-დასავალი, ამიტომაც ვიფიქრე, რომ ინგლისი სამუდამოდ დატოვა, – ფაქი შემოტრიალდა, გვერდი მოიცვალა და ერთხანს ჩაფიქრებული დუმდა.

– აბა-აბა, გავიხსენო... – ჩაიბურდღუნა ბოლოს, – მგონი, ეს სულ რამდენიმე წლის შემდეგ იყო, დიდ დაპყრობამდე ერთი თუ ორი წლით ადრე, ჰო, სწორედ მაშინ დავბრუნდი ფუუქის ბორცვზე. დიდი ხანი არ გასულა, მოხუცმა ჰობდენმა საუბარში ვილანდის ფონი რომ ახსენა.

– ყორეებს რომ წნავს, იმ ჰობდენს თუ გულისხმობ, სულ რაღაც სამოცდათორმეტი წლისაა, თვითონ მითხრა, – ჩაერთო დენი, – ჩვენი ოჯახი მას კარგად იცნობს.

– მართალი ხარ, – უპასუხა ფაქმა, – ახლანდელი ჰობდენის ცხრა თაობის წინაპარს ვგულისხმობ. თავისუფალი კაცი იყო და თავს ნახშირის ნარმოებით ირჩენდა. მთელ ოჯახთან ვმეგობრობ, პაპიან-შვილიშვილიანად, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რაიმე თუ ავურიე. იმ ჰობდენს ფორჯის კოტეჯის ბინადარ ჰობს უძახდნენ. ცხადია, ვილანდის ხსენებისთანავე ყურები ვცქვიტე, მაშინვე სასწრაფოდ გავემართე ფონისკენ, რომელიც აგერ, იმ ტყის ბოლოს მეგულებოდა, – კაცუნამ თავი დასავლეთისკენ გააქნია, სადაც ხეობა ტყეებითა და მდელოებით დაფარულ ფერდობებს შორის ვინროვდებოდა.

– ეგ ხომ უილინგფორდის ხიდია, – შესძახა იუნამ, – ხანდახან იქით დავდივართ სასეირნოდ. იქ ალკუნი ცხოვრობს, თევზის მჭამელი ლამაზი ჩიტი.

– ჩემო კარგო, მაშინ იქ ვილანდის ფონი იყო. ბორცვიდან მისკენ შარაგზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩადიოდა, გვარიანად უსწორო და ქვაღორღიანი, მთელ ფერდობს კი დაბურული მუხნარი ფარავდა, სადაც ირმები ბინადრობდნენ. ვილანდის კვალს ვერსად მივაგენი, მაგრამ ერთი ჩასუქებული გლეხკაცი დავინახე, ხეების ჩრდილში ბეკონიდან ცხენით რომ მიუყვებოდა დაღმართს. მის ცხენს თიხიან გზაზე ნალი დაუკარგავს, ფონთან მისული ჩამოქვეითდა, საფულედან ერთპენსიანი ამოიღო, ქვაზე დადო, მერე ბებერი ცხენი მუხაზე მიაბა და დაიძახა: „მჭედელო, მჭედელო,

საქმე გამოგიჩნდა!“ ამის შემდეგ ხის ქვეშ ჩამოჯდა და მშვიდად დაიძინა. წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა, როცა დავინახე, ხის ჩრდილიდან კოჭლობით როგორ გამოვიდა წელში მოხრილი, თეთრნვერა, გამურული მჭედელი, ტყავის წინასაფარი რომ ეკეთა. დიახ, ეს თვით ვილანდი გახლდათ. იმდენად გავოგნდი, რომ მაშინვე მივვარდი და ვკითხე: „კაცთა მოდგმასა და ამ მინას გაფიცებ, მითხარი, აქ რას აკეთებ, ვილანდ?“

– საბრალო ვილანდ! – ამოიოხრა ოუნამ.

– აბურძგნილი თმა შუბლიდან გადაინია და დამაკვირდა. ჩანდა, თავიდან ვერ მიცნო. მერე კი მითხრა: „რატომ გიკვირს? სწორედ ეს არ მიწინასწარმეტყველე, ძველთაძველო? ცხენებს ვჭედავ და ლუკმა-პურს ასე ვშოულობ. ახლა ვილანდი აღარ მქვია: ყველა გზისპირა მჭედელს მიწოდებს“.

– საცოდავი! – ჩაილაპარაკა დენმა, – მერე, შენ რა უთხარი?

– რა უნდა მეთქვა? ძირს ჩაცუცქულს ცხენის ჩლიქი ეჭო კალთაში. ქვევიდან ამომხედა და ღიმილით მითხრა: „ის დროც მახსოვს, როცა ამ გაძვალტყავებულ ჯაგლაგს მსხვერპლად არ ვიკადრებდი, ახლა კი ის მიხარია, ერთ პენსად დასაჭედად თუ მომიყვანეს“.

ნუთუ არ შეიძლება, რამენაირად ისევ ვალპალაში დაბრუნდე, თუ კიდევ სხვაგან, საიდანაც მოხვედი-მეთქი, ვკითხე. არა მგონიაო, მიპასუხა, თან ნალს სისინით უსვამდა ქლიბს. ცხენებთან საოცრად ფაქიზი მოპყრობა იცოდა და საუკეთესოდ ესმოდა მათი. მის მხარზე თავჩამოდებული ბებერი ცხენი ოდნავგასაგონად, ალერსიანად ჭიხვინებდა. „შენც ხომ გახსოვს, ჩემი სუფევის ჟამს სულაც არ ვყოფილვარ კეთილი და მოწყალე ღმერთი,“ განაგრძო ვილანდმა, „ამიტომაც ამ მინაზე ვარ დამწყვდეული და, მანამ არაფერი მეშველება, ვიდრე რომელიმე ადამიანი სიკეთეს არ მისურვებს“.

„კი, მაგრამ, ამაზე ადვილი რა არის?“ ვუთხარი, „ამ გლეხმა სიკეთის გარდა სხვა რა უნდა გისურვოს? შენ ხომ ნებისმიერ დროს უჭედავ ცხენს!“

„ასეა,“ მიპასუხა, „თანაც, ჩემ ჩაჭედებულ ლურსმანს ერთი სავსემთვარეობიდან მეორემდე ძვრას ვერაფერი უუბამს, მაგრამ ვაი, რომ გლეხკაცი აქაურ თიხასავით ცივი და გულქვაა“.

გჯერათ? გლეხმა როცა გაიღვიძა და ცხენი დაჭედილი დახვდა, ზედ არხენიად მოახტა და, მადლობაც კი არ უთქვამს, ისე გასწია თავის გზაზე. ბრაზი მომაწვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ცხენს გზა ავუბნიე, სამი მილი წრეზე ვიტარე და კვლავ ბეკონში დავაბრუნე: იქნებ, ამგვარად ვასწავლო-მეთქი ზრდილობა მაგ ხეპრეს!

– შენ რა, უჩინარი იყავი? – ჰკითხა იუნამ, რაზეც ფაქმა სერიოზული სახით დაუქნია თავი.

– იმხანად ბეკონს ფრანგების თავდასხმის საწინააღმდეგოდ მორების მაღალი გალავანი ერტყა, ჰოდა, ზაფხულის იმ გვიან საღამოს ამ გალავნის გარშემო რამდენიმე წრე დავარტყმევინე. გლეხმა იფიქრა მომაჯადოვესო, ცხადია, არც შემცდარა, და შეშინებულმა ატეხა ლოცვა და მოთქმა-ჩივილი. ამით მაინც ვერაფერს დამაკლებდა: არც მე ვყოფილვარ მასზე უარესი ქრისტიანი. ჰოდა, დილის ოთხი საათისთვის ბეკონის მთაზე მდგარი მონასტრიდან მორჩილი გამოვიდა.

– მორჩილი ვინ არის? – იკითხა დენმა.

– მორჩილი ისაა, ვინც ბერად აღკვეცას აპირებს, მაგრამ უნინ ყმანვილებს ისევე აგზავნიდნენ მონასტერში, როგორც ახლა – სკოლაში. ის ჭაბუკიც, რომელსაც ჰიუ ერქვა, ყოველწლიურად რამდენიმე წლით მიემგზავრებოდა საფრანგეთის ერთ მონასტერში სასწავლებლად, დანარჩენ დროს კი სახლთან ახლოს, აქაურ სავანეში ატარებდა. მისი ოჯახი მთელ ამ ხეობას ფლობდა, თვითონ კი ხშირად ვხედავდი მდინარეზე სათევზაოდ გამოსულს. გლეხის ჩივილი რომ გაიგონა, შეეკითხა, რა დაგემართაო. იმანაც მაშინვე ფერიების, გობლინებისა და კუდიანების შესახებ გასაოცარი ზღაპარი შეთხზა, არადა, ჩემზე უკეთ ვინ იცოდა, რომ იმ ღამით კურდღლებისა და ერთი წითური ირმის გარდა სხვა არაფრისთვის მოუკრავს თვალი (ბორცვთა ბინადარნი წავებივით მკვირცხლნი არიან: მათ მხოლოდ მაშინ დაინახავ, თუკი თვითონ სურთ გამოგეცხადონ). მორჩილი სულაც არ იყო ბრიყვი: ცხენის ჩლიქებს დახედა თუ არა, მაშინვე შენიშნა ახალი ნალები, ისე მარჯვედ დაჭედილი, როგორც ამას ვილანდის გარდა სხვა ვერავინ შეძლებდა (თანაც, ვილანდმა თავისებურად იცოდა ლურსმნის ქუდის ჩაბრუნება, რასაც ხალხი „მჭედლის კავს“ უნოდებდა).

„ამას დამიხედეთ!“ წარმოთქვა მორჩილმა, „ეგ ცხენი ვის დააჭედებინე?“

გლეხს თავიდან არაფრის გამხელა არ სურდა, რადგან იცოდა, მღვდლებს არ უყვარდათ, როცა მათი მრევლი ძველ ღვთაებებთან რაიმე გარიგებებს აწყობდა, მაგრამ, როგორც იქნა, აღიარა, გზისპირა მჭედელი დამეხმარაო. „რამდენი გადაუხადე?“ ჰკითხა მორჩილმა. „ერთი პენსი,“ დაღვრემილი სახით მიუგო გლეხმა. „ეს იმაზე ნაკლებია, რასაც ქრისტიანი გამოგართმევდა ასეთ სამსახურში,“ შენიშნა მორჩილმა, „იმედი მაქვს, მადლობა მაინც გადაუხადე“. „არა,“ უპასუხა გლეხმა, „გზისპირა მჭედელი ხომ წარმართია“. „ამას მნიშვნელობა არა აქვს,“ მკაცრად უთხრა მორჩილმა, „დასახმარებლად რაკი მიმართე, არც მადლობა უნდა დაგეშურებინა“. „რაო?“ გაცხარდა ისედაც გუნებაწახდენილი გლეხი, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში მის ცხენს შეუწერებლივ ვაჭარებდი წრეზე. „მაშ, იმის თქმა გინდა, რომ თვით ეშმაკსაც უნდა ვუთხრა მადლობა, თუკი დახმარება გამინია?!“ „ტყუილუბრალო კამათს მოეშვი, გიჯობს ფონთან დაბრუნდე და მჭედელს მადლობა მოახსენო, ვიდრე სანანებლად არ გაგიხდა საქმე,“ უთხრა მორჩილმა.

რაღა ექნა გლეხს, უკან გაბრუნდა. უხილავად მიმყავდა მისი ცხენი, მორჩილი კი გვერდით მოგვყვებოდა: კაბის კალთას ნამიან ბალახში მოაშრიალებდა, მხარზე შემოდებული ანკესი მახვილს მიუგავდა. კვლავ ფონს როცა მივადექით (ხუთი საათი შესრულებულიყო და მუხების ძირში ჯერაც ნისლი ბუდობდა), გლეხი გაჯიუტდა და მადლობის თქმა არ ისურვა. განაცხადა, აბატს მოვახსენებ მორჩილი ჰიუ წარმართი კერპების თაყვანისცემას რომ მაიძულებდაო. ამან ჰიუ მოთმინებიდან გამოიყვანა. გლეხს წვივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჩაავლო ხელი, ხავსიან მიწაზე ჩამოათრია, ვიდრე ფეხზე წამოდგომას შეძლებდა, ქეჩოში სწვდა და მანამ ანყვრია, ვიდრე გლეხმა ხმამაღლა არ დაიყვირა: „გმადლობ, გზისპირა მჭედელო!“

– ვილანდმა თუ დაინახა ეს ყველაფერი? – ჰკითხა დენმა.

– რა თქმა უნდა! გლეხი რომ ძირს დაენარცხა, ვილანდმა თავისი ძველისძველი საბრძოლო ყიჟინა დასცა. დიდად კმაყოფილი ჩანდა. ბოლოს მორჩილი მუხას მიუბრუნდა და წარმოთქვა: „ჰოი, ღმერთთა მჭედელო! ამ გლეხის სიტლანქე სამარცხვინოა. მე კი გმადლობ იმ კეთილი სამსახურისათვის, რაც მასა და სხვა ადამიანებს გაუწიე და სიკეთეს გისურვებ“. მერე ანკესი აიღო, რომელიც ახლა უწინდელზე მეტად ჰგავდა მახვილს, და ხეობას გაუყვა.

– ვილანდმა რა ქნა? – ჰკითხა იუნამ.

– სიხარულისაგან ხან ტიროდა, ხან იცინოდა. ახლა ხომ, როგორც იქნა, განთავისუფლდა და წასვლა შეეძლო. მაგრამ, რაკიღა პატიოსანი ღვთაება იყო და მიჩვეული, შრომით ერჩინა თავი, ვალმოუხდელი არ ნასულა. „ის მორჩილი უნდა დავასაჩუქრო,“ გადაწყვიტა. „ისეთ ძღვენს მივართმევ, მასაც და მთელ ძველ ინგლისსაც რომ გაუწევს სამსახურს. ცეცხლი გამიღვივე, ძველთაძველო, ვიდრე ჩემი უკანასკნელი ნაკეთობისათვის რკინას მოვიტან“. შემდეგ კი ხმალი დაამზადა – მორუხო, ტალღოვანი ჩუქურთმით გაწყობილი ხმალი. ვიდრე ჭედავდა, ცეცხლს ვაღვივებდი. მუხას, იფანს და ასკილს ვფიცავ, ვილანდი ჭეშმარიტად ღმერთთა მჭედელი იყო! ორჯერ გააგრილა ხმალი ნაკადულის წყალში, მესამედ კი ღამეული ნამის წვეთებში, მთვარის სხივებში ააბრჭყვიალა და ჯადოსნური რუნები წარმოსთქვა, შემდეგ ხმლის პირზე რუნებითვე ამოტვიფრა წინასწარმეტყველება. „ძველთაძველო,“ მომიბრუნდა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, „ეს ვილანდის საუკეთესო ნახელავია. მთელ მის ყადრს ისიც კი ვერ ჩასწვდება, ვინც მას მოიხმარს. წამომყევი მონასტერში“.

ბერთა საძინებელ დარბაზში შევიპარეთ და საწოლზე მძინარე მორჩილს მივადექით. ვილანდმა ხმალი ხელში ჩაუდო და, კარგად მახსოვს, როგორ ჩასჭიდა მას ჭაბუკმა ძილში ხელი. მერე ვილანდმა გაუბედავად შეაბიჯა საყდარში და იატაკზე თავისი სამჭედლო ხელსანყოები მიმოფანტა – ურო‌ები, მაშები და ქლიბები, – ნიშნად იმისა, რომ ხელობა სამუდამოდ მიატოვა. ნივთები ხმაურით ცვიოდა ძირს, გეგონებოდათ, აბჯარი ჟღარუნებსო, ბერები საწოლებიდან ნამოცვივდნენ, რადგან ეგონათ, ფრანგები დაგვესხნენ თავსო. სხვებზე ადრე საყდარში საქსთა საბრძოლო შეძახილითა და ახალი ხმლით შეიარაღებული მორჩილი ჰიუ შემოიჭრა. მჭედლის ხელსაწყოების დანახვამ ყველანი გააოგნა, მერე კი მოჩილმა სიტყვის უფლება ითხოვა და უამბო თუ როგორ მოექცა გლეხკაცს, რა უთხრა გზისპირა მჭედელს და როგორ იპოვა თავის საწოლში რუნებით დაფარული ხმალი.

აბატმა ჯერ თავი გააქნია, შემდეგ კი გაიცინა და მორჩილს მიმართა: „შვილო ჰიუ, წარმართი ღმერთისაგან სულაც არ ველოდი ნიშანს, რათა იმაში საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი, რომ ბერად არ ხარ დაბადებული. აიღე შენი ხმალი, გზას გაუდექი და ხელიდან არ გაუშვა; ძალა და კეთილშობილება არ გაკლია და ღმერთმა არც მოწყალება და ლმობიერება მოგაკლოს. მჭედლის იარაღებს კი საკურთხეველთან ჩამოვკიდებთ,“ განაგრძო აბატმა, „რადგან, მნიშვნელობა აღარ აქვს იმას თუ რას წარმოადგენდა ღმერთთა მჭედელი უხსოვარ დროს: ჩვენ ვიცით, რომ თავს პატიოსანი შრომით ირჩენდა და დედა ეკლესიას ძღვენიც შემოსნირა“. ამის შემდეგ ყველანი ისევ დასაძინებლად მიწვნენ, გარდა მორჩილისა: ის კიდევ დიდხანს იჯდა მონასტრის ბაღში და თავის ხმალს ათამაშებდა. თავლასთან ვიდექით, ვილანდმა რომ მითხრა: „მშვიდობით, ძველთაძველო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურთიც და მოედანიც შენ გრჩება. ინგლისში რომ ჩამოვედი, დამხვდი, ახლა კი მაცილებ კიდეც. მშვიდობით!“

ამ სიტყვებით დაღმართს ჩაუყვა და დიდი ტყის კუთხეს მიაშურა – იმ ადგილს დღესაც ტყის კუთხეს უწოდებენ – იმ ნაპირისკენ, რომელშიც ტყე სოლივით შეჭრილიყო და რომელზედაც ვილანდმა სულ პირველად გაინაპირა. ერთხანს კიდევ მესმოდა, შრიალით როგორ მიაპობდა ბუჩქნარს, მერე კი სიჩუმე ჩამოწვა. აი, ასე მოხდა ეს ამბავი, რომლის მომსწრეც გავხდი.

ბავშვებმა ღრმად ამოისუნთქეს.

– კი მაგრამ, რა ბედი ეწია ჰიუს? – იკითხა იუნამ.

– ჰო, და მის ხმალს? – დაუმატა დენმა.

ფაქმა ბორცვის ჩრდილში მდუმარედ გაშლილ მდელოს გახედა. ახლომახლო მინდორში ღაღღამ შეჰყვირა, ნაკადულში პატარა კალმახებმა გაითამაშეს. მურყნის ტოტიდან დიდი თეთრი პეპელა ჩამოფარფატდა და ბავშვებს თავზე გადაუფრინა. ნაკადულის თავზე პირველი სიფრიფანა ნისლი მოგროვდა.

– მართლა გსურთ ამის გაგება? – ჰკითხა და-ძმას ფაქმა.

– მართლა! – ერთხმად შესძახეს ბავშვებმა, – ძალიან!

– დიდებულია. მე დაგპირდით, რაც სანახავია, ყველაფერს თქვენი თვალით იხილავთ, რაც მოსასმენია – გაიგონებთმეთქი, თუნდაც ყოველივე სამი ათასი წლის წინათ მომხდარიყო. მაგრამ ახლა, მგონი, შინ დროულად თუ არ დაბრუნდით, ძებნას დაგიწყებენ. ჭიშკრამდე მიგაცილებთ.

– კიდევ რომ მოვალთ, ხომ დაგვხვდები? – ჰკითხეს ბავშვებმა.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! – სიტყვები დაუმარცვლა კაცუნამ, – ისედაც ხომ კარგა ხანია აქ ვარ! ერთი წუთით მოიცადეთ.

ორივეს სამ-სამი ფოთოლი გაუწოდა: მუხის, ასკილისა და იფნის.

– ეს დაღეჭეთ, – უთხრა, – თორემ შინ უსათუოდ დაიწყებთ იმის მოყოლას, რაც ნახეთ და მოისმინეთ, მე კი ადამიანებს კარგად ვიცნობ: შეშფოთდებიან და შეიძლება ექიმიც გამოიძახონ. დაღეჭეთ!

ორივემ ფოთლებს კბილები ჩაასვეს და თვითონაც ვერ შენიშნეს, თავიანთი ეზოს ჭიშკართან როგორ ამოყვეს თავი. მამა ღობეს ჩამოყრდნობოდა.

– რაო, კარგად ითამაშეთ? – ჰკითხა მან ბავშვებს.

– შესანიშნავად, – უპასუხა დენმა, – ოღონდაც ბოლოს, მგონი, ჩაგვეძინა, რადგან ძალზე ცხელოდა და ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. შენ რამე გახსოვს, იუნა?

იუნამ მდუმარედ გააქნია თავი.

– გასაგებია, – გაეღიმა მამას.

ხეთა საგალობელი

იმ ხეთა შორის, რომ ამშვენებენ
ძველი ინგლისის ადგილს,
ვერ ნახავთ უფრო დიდებულს, ვიდრე
მუხას, იფანს და ასკილს.
უმღერეთ მუხას, იფანს და ასკილს
(ზაფხული რიჟრაჟს იფენს!),
არ ნიშნავს ცოტას, ვუგალობთ როცა
მუხას, ასკილს და იფანს.
აყალოს მუხას ნაყარი უხვად
ენეადამდე ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტოები იფნის მრავალ წელს ითვლის
ბრუტუსის მოსვლის დრომდე.
ბორცვზე ასკილმა ნახა ადგილი
(ლონდონი გაჩნდა აქ კი);
ამით ცხადია, დიდი ხანი აქვთ
მუხას, იფანს და ასკილს.
საფლავის მიწას ურთხელი იცავს,
უდრეკ მშვილდს თლიან მისგან;
სანდლისთვის ხელით გათლიან თხმელას,
თასს კვეთენ წიფლის ხისგან.
თასს დაცლი, ბრძოლებს, დრო მოვა, მოლევ,
სანდალსაც გაცვეთ აკი,
გაბრუნდი მყისვე, უმღერე ისევ
მუხას, იფანს და ასკილს!
თელას კი მოსდგამს, რომ კაცთა მოდგმა
სძულდეს, და მუდამ ცდილობს,
ტოტების მსხვრევით ატკინოს მხრები,
ვინც მის ქვეშ ეძებს ჩრდილებს.
მაგრამ გინდ ფხიზელს ან შემთვრალს ისე,
რომ ვერ იქარვებს წუხილს,
არა აქვს შიში, თუ დაწვა ჩრდილში
ასკილის, იფნის, მუხის.
ო, ნუ გაუმხელთ მღვდელს ამ პირობას,
ცოდვად შერაცხავს ეგ ხომ;
ჩვენ მთელი ღამე ტყეში ვიდოდით,
რომ ზაფხულისთვის გვეხმო!
კარგი ამბავი ჩვენს ბაგეს გასცდა –
მოსავალს ველით უხვად –
მზე სამხრეთიდან ანათებს ცას და
იფანს, ასკილს და მუხას.
უმღერეთ მუხას, იფანს და ასკილს
(ზაფხული რიჟრაჟს იფენს!),
ვიდრე მზე ივლის, ვადიდებთ ინგლისს,
მუხას, ასკილს და იფანს.

ინგლისურიდან თარგმნეს
თამარ კოტრიკაძემ და ვასილ გულუურმა

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ

ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲘ

ᲩᲔᲛᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲓᲜᲔᲓᲜᲔ, ᲛᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲘᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲓᲒᲠᲘᲗ. ᲛᲐᲛᲘᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲝᲚᲝᲜᲓᲔ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ - ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐᲪ ᲓᲐᲜᲘᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲛᲣᲧᲐᲝᲗᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲣᲜᲔᲣᲡ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲘ ᲔᲚᲝᲓᲐ.

ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲐᲜᲐ ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲜᲔᲖᲔ ᲑᲘᲕᲠᲐᲓ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ, ᲐᲠᲐᲓᲐ ᲛᲐᲛᲘᲓᲐᲛ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐᲛᲓᲔᲪᲘ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲛᲔᲠᲔ ᲠᲝ�გᲝᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ! ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲘᲡ „ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲘ“ ᲔᲠᲔᲥᲕᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲒᲕᲘᲠᲘᲡᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲛᲑᲔᲚᲘᲗ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ: ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲘᲡ ᲠᲣᲞᲝᲠᲗᲐᲜ ᲬᲐᲛᲝᲡᲙᲣᲞᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲗᲝᲗ His Masterly Voice* („ᲛᲘᲡᲘᲜ ᲝᲡᲢᲐᲢᲣᲠᲘ ᲫᲚᲘᲠᲐᲓᲝᲑᲐ“). ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲛᲝᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘᲡᲫᲕᲔᲚᲘ ᲤᲘᲠᲛᲐᲐ - RCA-Victor. ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲠᲘᲐ ᲐᲠᲧᲘᲡ ᲮᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲠᲘᲚᲘᲜᲓᲘᲗ ᲘᲜᲙᲣᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲗᲮᲔᲑᲘᲗ, ᲠᲣᲠᲝᲠᲘ ᲙᲘ ᲗᲐᲜᲘᲛᲘᲛᲓᲔᲒᲠᲔᲑᲝᲗ ᲓᲐᲤᲐᲜᲘᲚᲘ ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲘᲗ ᲤᲔᲠᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲤᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲥᲬᲚᲐᲡᲛᲣᲚᲘ. ᲚᲐᲥᲘ ᲐᲚᲐᲒ-ᲐᲚᲐᲒ ᲓᲐᲛᲡᲙᲓᲐᲠᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲖᲝᲗᲘᲡ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘᲐᲓ ᲛᲙᲠᲗᲐᲚᲘ ᲑᲐᲓᲘᲗ ᲓᲐᲥᲣᲚᲔᲚᲘᲚᲘᲧᲝ. ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲙᲐᲛᲘ, ᲘᲡᲘᲪ ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲠᲘᲐ ᲐᲠᲧᲘᲡ ᲮᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲛᲘᲓᲐᲡ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲘᲡᲔᲑᲘᲪ ᲘᲠᲘᲗᲘᲗᲐᲓᲐᲓ RCA-VictorᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲔᲑᲠᲣᲜᲐᲡ ᲜᲔᲛᲘᲡᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲣᲮᲡᲝᲕᲐᲠ ᲓᲠᲝᲘᲓᲐᲜ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲘᲓᲐ ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲧᲣᲓᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲨᲣᲨᲐᲕᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ ᲯᲔᲠᲐᲪ ᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲐᲠ ᲓᲐᲔᲙᲐᲠ�გᲐᲗ „ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲣᲠᲘ ᲫᲚᲘᲠᲐᲓᲝᲑᲐ“. ᲔᲠᲗᲘ ᲔᲒ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ ᲩᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲐᲠᲐᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲐᲛᲘᲓᲐᲡ ᲔᲡ ᲝᲓᲜᲐᲕᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲜᲐᲦᲚᲔᲑᲓᲐ.

ᲣᲜᲓᲐ ᲒᲔᲜᲐᲮᲐᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲚᲝᲚᲘᲐᲕᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ... ᲡᲠᲘᲚᲘᲜᲓᲘᲡ ᲘᲜᲙᲠᲣᲡᲢᲐᲪᲘᲐᲡ �გᲝᲘᲡ ᲞᲐᲡᲢᲘᲗ** ᲐᲠᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ, ᲜᲔᲛᲘᲡᲘᲡ ᲬᲕᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲓᲐ, ᲠᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲬᲛᲘᲜᲓᲓᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲕᲘᲠᲓᲘᲗ ᲣᲚᲐᲛᲣᲜᲔᲑᲓᲐ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲗᲣᲐᲚᲘ.

ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲓ ᲦᲘᲠᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲐᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲣᲯᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ! ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲡᲛᲝᲛᲓᲒᲠᲔᲚᲘ ᲐᲙᲣᲠᲐᲢᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲜᲙᲘᲠᲔᲑᲘᲚᲘ ᲮᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲒᲝᲜᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲐᲓ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ: ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲘᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲒᲠᲐᲛᲝ-

---

* ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲬᲔᲠᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲣᲤᲐᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲚᲝ�გᲝᲡ ᲐᲜᲔᲠᲘᲐ: «His Master's Voice» («ᲛᲘᲡᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲮᲛᲐ»).

** ГОИ-ᲓᲐᲜ (Государственный оптический институт) – ᲥᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲥᲡᲘᲓᲖᲔ ᲓᲐᲛᲧᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲙᲕᲠᲘᲕᲘ ᲛᲬᲘᲜᲔ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲠᲐᲓᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲞᲠᲘᲐᲚᲔᲑᲚᲐᲓ, Ე.Წ. «ᲞᲔᲚᲚᲐᲜᲘᲙᲐ».

ფონს, თითქოს მირონინებს და თან თავისთვის ღიღინებს საყვარელი სიმღერის სიტყვებს, გადაწყობილს სხვა მოტივზე, ვთქვათ, „o, maine liebe augistin"*** "ფიგაროს" ჰანგზე წაიმღერებდა ხოლმე.

ხოლო როდესაც მუხლებზე დაისვამდა ყურპანტურა ტოი-ტერიერს ჟუჟუს და სავარძელში ჩასვენებული უმზერდა ხმაჩაწეულ ტელევიზორს, ამ ყველაფრის მიმართ ჩემი მუდმივად ირონიული დამოკიდებულების მიუხედავად, არაადამიანობად მიმაჩნდა სიტუაციისთვის ოდნავი ხელის შეშლა, ისევე, როგორც მლოცველისთვის ხელის შეშლა. თუმცა, ეს ამბები კარგად დავისწავლე და მისი განმარტოების ჟამის დადგომისას იქაურობას დროულად გავეცლებოდი ხოლმე.

მახსოვს, როგორ უსმენს მამიდა თავის ძველ სიმღერებს, განუმეორებელი დაკაწრულობებით რომ ამოიფრქვევა რუპორიდან, და თან უმზერს ხმაჩაწეული ტელევიზორის ეკრანს, რომელიც თითქოს ვიზუალურადაც ადასტურებს თანამედროვეობის უბადრუკობას იმ ჟამთან, საიდანაც მოხრინინებს დროის ხმაურით სავსე ეს ძველი მუსიკა.

მას მერე, რაც მშობელთა მეთვალყურეობის მიღმა აღმოვჩნდი, ჩემი ცხოვრება რა თქმა უნდა, უფრო გალამაზდა. მაგალითად, შემეძლო მაშინ დავბრუნებულიყავი სახლში, როდესაც მომესურვებოდა. მამიდა ოდნავ დამტუქსავდა, მაგრამ მშობლებთან არ დამასმენდა, დაივიწყებდა ჩემს გამოხტომებს. ერთი სიტყვით, ჩემი არსებობა თითქოს დიდად არც ანაღვლებდა: მოგონებებში ცხოვრობდა. მამიდა ძველი ქალი იყო. საბჭოთა დრომ მას დრამების გარეშე აუარა გვერდი, მაგრამ გვერდი აუარა თავად ცხოვრებამაც. გაგონილი მქონდა, რომ ოდესღაც მშვენივრად მუზიცირებდა, იცოდა ფრანგული, მაგრამ ვერაფერში გამოადგა და დრომ უკვალოდ გააფერმკრთალა მეხსიერებაში. ასე რომ, გარდასულ დღეთაგან არაფერი შემორჩენოდა და მხოლოდ გრამოფონი უვსებდა სიცარიელეს.

რას შეეძლო ამგვარი იდილიის დარღვევა? ცხადია, გრამოფონის გაფუჭებასო - იტყვით.

ჰოდა, ერთხელაც მართლა გაფუჭდა გრამოფონი, ზამბარა გაწყდა! არა, განა რამე წარმოუდგენელი მოხდა, ზამბარამ ხომ კეთილსინდისიერად იღვაწა მთელი საუკუნე.

*** «Ach, du lieber Augustin» – პოპულარული ავსტრიული სიმღერა, ცნობილია ფათერაკიანი ნარატივით და ჰ. ქ. ანდერსენის ზღაპრის გამო.

ზამბარა იმ დროს გატყდა, როდესაც ფირფიტა ნახევრადაც არ იყო ჩამთავრებული, მაშინ განუტევა სული, როდესაც მოხუციც და ძაღლიც უკვე მოჯადოებულნი უსმენდნენ მუსიკას. მჩქეფარე მელოდია გრუხუნმა შეწყიტა. ჟუჟუ მამიდას კალთიდან სულმთლად აკანკალებული ჩამოხტა. მამიდამ გრამოფონი ყველა მხრიდან შეათვალიერა. გრამოფონი დუმდა, ხმაგაკმედილი, უკარება. სახელურს შეავლო ხელი და - თავისუფლად ტრიალებდა ბუდეში. შეეხო თავსაკრავს —მთვლემარე უხსენებელივით გართხმულიყო ფირფიტაზე. მამიდამ მიმოიხედა, ეძებდა საშველს — ხსნა არსაიდან იყო — ტელეეკრანიდან მომზირალი მამაკაცის თვალები და ის, რასაც იგი ლაპარაკობდა, მისი ღიმილიც მხოლოდ იმდენად ეკუთვნოდა მამიდას, რამდენადაც მირიად მაყურებელს და, თუკი ამ ღიმილში გამოსჭვიოდა სითბო, ეს იყო მილიონთათვის განკუთვნილის მემილიონედი მისხალი.

მე შევესწარი ამ ყველაფერს. ვარწმუნებდი მამიდას, რომ უეჭველად შეეკეთებდი გრამოფონს. პირობა არც დამირღვევია: გამოცდილმა ბერძენმა ხელოსანმა გრძნეულად გადააბა ერთმანეთს ზამბარის გატეხილი ნაწილები იმგვარი ოსტატობით, რომ ზამბარამ ოციოდე წლის განმავლობაში კვლავ პატიოსნად ზიდა ჭაპანი. სხვათა შორის, ბერძენმა გრამოფონის კორპუსში ჩასმული საათიც შეაკეთა.

მაგრამ მამიდამ გრამოფონზე გული აიყარა — გრამოფონმა მას უღალატა! ამ ამბის შემდეგ სამსახურიც მალე მიატოვა და დათანხმდა ჩემს მშობლებთან გადასვლაზე - მამაჩემი ხომ ძმისშვილად ერგებოდა ანა მიხაილოვნას. წავიდა, წავიდა მკერდზე ტოიტერიერუუუმიხუტებული, ისე, რომ გრამოფონისკენ მზერაც არ გამოუპარებია, მიუხედავად იმისა, რომ ინსტრუმენტი უკვე შეკეთებული იყო.

მამიდა მაშინვე არ გადასახლებულა, რადგან იცოდა, რომ ის ხელოვნური მიკროსამყარო, რომელიც მან აქ როგორღაც შეაკოწიწა და მხოლოდ მასში შეეძლო ცხოვრება — ამ სამყაროს ტრანსპორტირება და სხვა სივრცეში მისი აღდგენა შეუძლებელი იყო. გრამოფონი გაფუჭდა და ეს სამყარო დაინგრა. ახლა ვფიქრობ, რომ ის საათიც არ უნდა შემეკეთებინა. შესაძლოა, საათი ხელოვნურად შეჩერებული დროის სიმბოლოც იყო.

მამიდამ მას შემდგომ კარგა ხანს იცოცხლა, მაგრამ ხშირად ავადმყოფობდა. სამაგიეროდ, თქვენმა მონა—მორჩილმა დრო იხელთა და ზეიმი მოიწყო! მაშინ ოცი წლისაც არ ვიყავი. ვცხოვრობდი ცარიელ სახლში, მშობლების გარეშე. ჩემს ბინაში სოხუმის მთაზე სტუმარი არ გამოლეულა. ანდა რა გასაკვირია: ყველაფრის გარდა სახლში მქონდა ისეთი სატყუარა, როგორიც იყო RCA-Victor ფირმის გრამოფონი „ლონდონური ძაღლი“. ხშირად ვუსმენდით ძველ ფირფიტებს. მეგობარმა ბალტიისპირეთიდან ჩამომიტანა გრამოფონის ნამდვილი ნემსების მთელი კოლოფი. სადღაც სოფლის მაღაზიაში მიაგნო თურმე. „o, maine liebe augistin“... იღერებოდა რუპორიდან, რომელზეც ლაქი დასკდა, როგორც ძველ ზეთის ნახატებზე. მერე ვინმე იტყოდა: „მოდი, კასეტა ჩავრთოთო“ და გრამოფონი, რომელსაც ამოწურული ჰქონდა მისია, დადუმდებოდა.



როდესაც ჩვენთან ომი დაიწყო, გრამოფონი წაიღეს, როგორც სხვა ყველაფერი რაც კი გამაჩნდა, მაგრამ არა მგონია, რომ გადაეგდოთ, ძველებური ნივთი იყო, რარიტეტი. ვის აჯადოებს, ნეტავი, ახლა His masterly voice...

რუსულიდან თარგმნა
სოსო გოლიაძემ

ნათია ჩოსტიაშვილი
НАҰИА РОСТИАШВИЛИ

ჩვენი ჟურნალის პირველ ნომერში დაანონსებული იყო, რომ მომდევნო ნომრიდან შემოგთავაზებდით თანამედროვე ქართული ლიტერატურის თარგმანებს აფხაზურ და ოსურ ენებზე. ამჟამად გთავაზობთ ახალგაზრდა პროზაიკოსის ნათია როსტიაშვილის ორი მინიატიურის თარგმანს აფხაზურ ენაზე.

არდასავიწყებელი დღე

– ჰერკულესი გაგიცივდა. ჭამე, რომ დიდი ბიჭი გაიზარდო, – ხელუხლებელ საუზმეზე ვუთითებ გიოს. – ჩაიც მიაყოლე. მიდი, მიდი...

ჩაისფერი თვალები აქვს ჩემს ბიჭს. ოღონდ მისთვის კი არა, ჩემთვის დასხმული ჩაის ფერის – მუქი. ისეთი სევდა აქვს ჩამდნარი მზერაში, ისეთი... გული მეკუმშება. თვალს ვარიდებ. ვდგები, ჩემს მოპრიალებულ თეფშზე გაუცნობიერებლად ვიღებ ჰერკულესის მეორე ულუფას. არადა, მძულს ჰერკულესი. გიოს გამო თავს ვაძალებ ხოლმე, დიდი ძალისხმევით ვღეჭავ და ორი ვარიანტიდან ერთ-ერთ ფრაზას ვამბობ: „იფ, რა გემრიელიაა!“ ან „რა გემრიელიაა, ییიფ!“

– დე... ამდენს ნუ ჭამ. გეხვეწები, – ბზარგაჩენილი ხმით მეუბნება გიო. – არ ვჭამოთ ხოლმე, რა, დე. არ მინდა, მოვკვდეთ.

გიოს თვალების ზღვა შრება – ცრემლს უკან იბრუნებს – ყლაპავს.

ის ყლაპავს და მე მეჩხირება ყელში – ჩემები, უკან ჩაბრუნებული და ვერგადაყლაპული.

– ჩვენ არ მოვკვდებით, ნუ გეშინია, – ტყუილის ღუზას ვუგდებ სიცოცხლის მარადიულობის იდეაზე მოსაჭიდებლად.

ХАШҰРА ЗҚӘЫМ АМШ

– Агеркулес уҵәыхьшәашәеит. Иф, уҳәына дуны иузхәрҵаз. Кьыс змам ишьыжьхьа исырбоит Гио. – Ачеигьы ацьжә. Уалга, уалга...

Ачеи ҧштәы рымоуп сыҳкәын иблаҟәа. Амала иара изы акәым, сара сзы иҵәҭо ачеи аҧштәы -еиҟәароуп. Абри аҽыза алахьеиҟәратә ҧшышьа имоуп уи... сгәы снархьуеит. Сылаҟәа ирҵәысҵәахуеит. Сгылоит, ицкьашәкьоу ссаан ианыстәалоит агеркулес аҽбатәи ахәҵа. Арахь исҵәымҧуп агеркулес. Гио изы схы мчыла иадысҵалоит зны-зынла, сымч еизганы исҟаҡоит, ҽ-вариант ԥкынтә фразак схәоит: «Ооф, шаҡа ихааузеи!», мамзаргьы, «шаҡа агьама бзиоузеи, ооф!».

– Сан, абри аҡара бымфан. Сбыҳәоит, - ибжьы еиҽшьаҳа абас сеиҳәоит Гио. – Краҳамфалап зны-зынла, маа. Ҳаҧсыр ҵахым.

Гио иблаҟәа рымшынҵабоит - илаҧырҳҟәа шьҭахьҟа иргьежьуеит, - илбааидоит.

Уи илбааидоит, сара сыхәда икылахоит - иҟаҡаны илбаасымдацт.

– Умшәан, ҳара ҳаҧсҳом, - амц ҧырсал иацысҵоит аҧсҵәаара нҵәара шаҟәым аидеиа ахьынҳалараз.

– Ҳаҧсуеит, – исзеиҵеиҳәоит, – мыцхәы иҳазхаҳәар... Ҳаб иашьа Вахо сиазҵааит, ҳабду дзыҧсызеи ҳәа, – дажәын, ирацәааны изхәит иҳәеит... Ҳ аргьы амцхә

– მოვკვდებით, – მიხსნის. – თუკი ძალიან გავიზრდებით... ვახო ძიას ვკითხე, პაპა რატომ მოკვდა-მეთქი და მოხუცი იყო, ძალიან დიდი გაიზარდაო... ჩვენც თუ ბევრს შევჭამთ, გავიზრდებით... მეტი აღარ გაიზარდო, რაა, დე!

ҳфалар, иҳазҳацәоит, уаҳа ибызбмырҳан, сбыҳәоит, сан!

Злыӈҳа ҳаура, шаҟа дхәыҵуазеи абас инаргбааны ахәыцраз!..

– Нан... – схәеит, – нан... – уаҳа акгьы сызиамҳәеит.

«Уаала!» – исырбоит, ажәала аҳәара

ღმერთო, როგორი პატარაა ასეთი ფართოდ გახელილი თვალებისთვის!..

– დე... – ვამბობ, – დე... – ამის მეტს ველარაფერს ვეუბნები.

сылшом – сыхәда икылахаз ампыр лбааурам.

Дсыцны даауеит. Аха акалашәа, ижәфахыр хьанҵаха. Ауада агәҭанынтә аишәа аҵӡахьы сагҭәҭасуеит. Аҟәардкәагьы. Агардероб ашәкәа ҟьаҟьаӡа иаасыртуеит. Иаха зшьаҵара азин исымҵаз аботасҟәа

„წამო!“ – ვანიშნებ, თქმა არ გამომდის – ყელში ჩაჩხერილი ბურთის ოინებია...

მომყვება. რაღაცნაირად, მძიმედ მომყვება. მხრებდამძიმებულად.

ოთახის ცენტრიდან მაგიდას კედლისკენ ვაბოხებ. სკამებსაც. გარდერობის კარებს ბოლომდე ვაღებ. ანჯამები ღრჭიალებენ... უჯრიდან, წუხელ რომ ჩაცმა ავუკრძალე, იმ ახალ ბოტასებს ვიღებ და ვუწვდი.

– ჩავიცვა, დე? ბაღის დაწყებამდე აღარ შევინახოთ?

უხარია, უკვირს, უხარია... ისევ ბავშვად იქცა. მხრები ბუმბულივით აუმჩატდა. თვალები უკამკამებს, ტალღის ნასახიც აღარაა, გადაიდარა.

მზესავით გავარვარებული ბურთი ყელში მიდნება.

ვყლაპავ. ვსუნთქავ. მლაშეა.

ჩემს ყველაზე ძვირფას კაბას საკიდიდან ვხსნი. ვირგებ. სუნამოს ყელიდან კოჭებამდე უხვად ვიპკურებ. გამოზოგვას ნაჩვევ ფლაკონს უკვირს. ისე ძალიან უკვირს, რომ გაოცებისგან წარწერა თავსახურზე ასდის.

– გამოიქეცი, დე! – მკლავებს ვშლი.

– უნდა მაბზრიალო?! ვაშა�ა!

ვუღიმი და თავს დამნაშავედ ვგრძნობ, რომ „ვაშას“ ნაცვლად თანატოლებივით არ ამბობს: „იეეეს!“

ჯერ ნელა ვბზრიალებთ. ვბზრიიიიიიალებთ...

მერე ტემპს ვუჩქარებთ: ვბზრიალებთ–ვბზრიალებთ...

და ბოლოს: ვბზრიალებთვბზრიალებთვბზრიალეეებთ!

იცინის, იცინის... ფერად კენჭებზე ფეხი უსხლტებათ ნაკადულებს.

ვფიქრობ: აი, მოზვირთდებიან წლები. გაიზრდება ბიჭი. სასახელო კაცი დადგება. მოვა მასთან ჟურნალისტი და ბავშვობის ამბების გახსენებას სთხოვს.

– ახლა რატომღაც ერთი დილა გამახსენდა ჩემი ბავშვობიდან. ასე, ოთხი-ხუთი წლის ვიქნებოდი... – დაიწყებს გიო. მაშინ უკვე – ბატონი გიორგი. რიხით ჩაახვეţыганы иćтоит.

– Исышьасţома, сан? Аҳәыцбаҳчахь ацара аанҳа иҳамţаахҳои?

Дгәырҵьоит, иԥеишьоит, дгәырҵьоит... Ижаԥахырқәа еицихит. Иблақәа цырцыруеит, ацәқәы́рҵа ахабар ыҟам, иниасит.. Амреиԥш илаша-лашо ампыл сыхәдаԥ азыţра иалагеит, сәаţа лбааздоит, сыԥсы еивызгоит... Уи ţааԥ.

Зегьы реиҳа зыхә цәгьоу сыţкы акнаҳара икныскуеит. Исыдысшаалоит. Ҽымţ, сыхәда инаркны сышьхәа аҟынҳа адухь сыԥқәыстәоит. Еснагь аиԥакра иашьцылахьоу афлакон иԥьанашьоит. Убриаҟара иԥьанашьоит, ианţрыжьыз ианырţаз аԥыра ахԥа аҟынҳа ихалоит.

– Ирлас, ууаи, сыԥқәын! – сыжәԥахырқәа еицысхуеит.

– Сбыргьежьуама?! Ураа!

Сиҽаччоит, схы харак адны исыԥъхьаҵоит «ураа» ацынхәрас, иԥызцәа ишырхәаало еиԥш «иес» ахьиимҳааз.

Макьана ашьшьыхәа ҳаивагьежьуеит, ҳаивагьежьуеит. Нас иҳарласуеит, ҳаивагьежьуеит. Дыччоит, дыччоит.

Схәыцуеит: абар, ашыԥқәса рееицырхуеит. Изхап Гио дыцқәына дуны. Дыхьзырхәага хаţаны дҟалап. Дизнеип ажурналист, диҳәап ихәыҵра атәы игәалаиршаарц.

– Уажәы, избан сыздыруам, аха иаасгәалашәеит схәыҵраантәи шьыжьымţанк.

Ҧшьба – хәба шыԥқәса схыţуазар

ლებს. ჟურნალისტ, სიფრიფანა გოგონას ჩაის შესთავაზებს. გოგონასაც ჩაისფერი თვალები ექნება. ოღონდ ისეთი, ახლა როგორ ჩაისაც ვუმზადებ ხოლმე გიოს – ბაცი, მზისფერი.

„ბატონი გიორგი“ მოყვება, რომ დანამდვილებით ვერ იხსენებს, რა ამბავს აღნიშნავდნენ, მაგრამ ზუსტად ახსოვს, რომ დედა კარგ გუნებაზე იყო. ბაღისთვის ნაყიდი ახალი ფეხსაცმლის სახლში ჩაცმის უფლებაც კი მისცა. საუზმის ამბავი არ ეხსომება. პირდაპირ იქიდან დაინწყებს, მაგიდა რომ კედელს მივადგი. იტყვის, რომ ახლაც ახსოვს დედის სუნამოს სურნელი.

... რომ უცანური კია, მაგრამ დედასთან ერთად ბზრიალს ქვეყნად არაფერი ერჩივნა.

... რომ დედის იმ კაბის ღილების ფერი და ფორმაც კი ახსოვს – ოქროსფერი, ტრაპეცია.

... რომ ბზრიალისას დედის გრძელ, ცრემლის ფორმებად ჩამარცვლულ მძივს შემთხვევით ხელი გამოსდო და გაწყვიტა. იტყვის, რომ ძალიან შთამბეჭდავი კადრი იყო. „ეგებ, სულაც ამ კადრის გამო ჩამრჩა ეს დღე მეხსიერებაში: მთელ იატაკზე გაბნეული მძივის მარცვლები ფანჯრიდან შემოჭრილ მზის შუქზე ზღაპრულად ბრჭყვიალებდნენ“.

... რომ დედა, საერთოდ, ძალიან მკაცრი იყო, მაგრამ იმ დღეს... როგორღაც...

... რომ დედა იმ დღეს გამაოგნებლად ლამაზი იყო...

გაიხსენებს, რომ დედა –

„ი – ყ – ო“ (!) ...

●

– დე, ტირი?.. – თვალები უმუქდება გიოს.

– არა, დე, თვალში რაღაც ჩამივარდა...

სჯერა. ვბზრიალებთ.

„მთელი ცხოვრებაა იქამდე. მზისფერთვალება გოგონა, ალბათ, ჯერ არც დაბადებულა...“ – თავს ვიმშვიდებ. ჩემი მძივის ფორმის ცრემლებს საყლაპავი მილისკენ მივერეკები, მივაწკარუნებს. მლაშეა.

– ხელი გამოგედო... არა უშავს, – ვუღიმი გიოს და ჩემს უსაყვარლეს მძივს გიოსთვის შეუმჩნეველად ვქაჩავ. არ მენანება.

მთელ იატაკზე გაბნეული მძივის მარცვლები ფანჯრიდან შემოჭრილ მზის შუქზე ზღაპრულად ბრჭყვიალებენ.

აკაჯარიო, – ძალაგაგ Гио. Усҟан уажәеиҭа ҳаҭыр зҟәу Гиорги. Ҽеиԥаа дааимхәоит. Ԥҳәызба ҵаԥак ажурналист ачеи идыԥгалаԥ. Аԥҳәызбагьы ачеи ԥыҭәы змоу аблаԥәа лымахуп. Аха уажәы Гио изсырмазеиуа ачеи еиԥшу – амра ԥыҭәы змоу.

«Ҳаҭыр зҟәу Гиорги» еиҵеиҳәоит иаашаҭаԥҟьаны ишигәаламшәо иарбан ҳҭысыз иазгәаҳҵоз, аха ибзиаҭаԥҟьаны игәалашәоит иан лгәы алаԥан дшыԥҟаз. Аҳәыцбаҳчазы иаахәаны илымаз ашьапымаҭаа ҽыцкәа аҽны ашьаҭара азин шилҵаз. Амала шьыжьхьафара аҭәы игәалашәаҳом. Ишиашо уахьынтә дналагаԥ, аишәа ыргаагәо аҵзы ианадсыргылоз аԥынтә.

Иҳәап ... иахьаҭыз ишигәалашәо иан лдухь иахылҵуаз афҽы хаа.

... Иԥьоушьаша акоуп, аха иани иареи реиваҭьежьра еиԥьеишьо шыԥам.

... усҟан иан илшәыз аҵкы аҳ-әынҵәрақәа рыԥштәыцәкьа, рф-ороаҭәкьа шигәалашәо – ахьыԥштәала, атрапециа.

...ианеиваҭьежьуаз, алаԥырз аформа рыманы ацырақәа зхаԥсаз иан леимхәыц машәырла напала даҵрыханы ишԥицәаз. Иҳәап, ари акадр ихы-игәаҽы ишаанхаз. «Иԥалап, абри акадр иабзоуразар уи амш иахьаанҳзаны ихамшҵа иахьаанхаз: адашьма хҩаны иԥәыпсоу аимхәыц ацырақәа аԥеиԥыр иалсуа алашараҽ лаԥәҵас еилацырцыруеит.»

...Иҳәап, иан ллеишәа шыцәгьаз, аха уи аҽны... акалашәа...

... уи аҽны иан акалашәа дшыԥшҭаз...

Игәалашәап, иан –

«Д – Ш – Ы – Ҟ – А – З» (!)...

– Сан, бҵәуоума?... – иблақәа хәашьуеит Гио.

– Мап, нан, сыла ак хшәалеит...

Агәра игоит. Ҳаивагьежьуеит.

«Ааанҳа аԥсҭазаара ду бжьоуп. Ахьҭәы бла ԥхәызба макьана дымицзаргьы ҟалап...»

Сгәы сыргьынчуеит. Сеимхәыц цырақәа рформа змоу алаԥырзҟәа лбааздоит. Иҵаауп.

– Снапы сцәахьысит... Егьаурым. – сихаччоит Гио. Бзиа избо сеимхәыц Гио имбартәеиԥш сахоит. Сеигҳаҳом.

Адашьма хҩаны иԥәыпсоу аимхәыц ацырақәа аԥеиԥыр иалсуа алашараҽ лаԥәҵас еилацырцыруеит.

ФИЛМИ ҨИҨИС ҒЕНЕРАЛҨЕ

Цибатәи аинрал изку афильм

„კიუუ!“ – კივის მატარებელი. ,,ახრრ...“ – ჩაახველა, ძრავა–ფილტვებში ჩამდგარი ხრინწი ჩაიწმინდა და დაიძრა. მაგრამ მანამდე:

– სიცხიანი ხარ, რა გებათუმება, დარჩი, – გეგა შუბლზე ტუჩებს მადებს და ცოტა ხანში „მპუს“ გარეშე მაცილებს. აქაოდა, მართლა სიცხის გასაზომად გავისარჯე, კოცნის საბაბი არ გეგონოსო. შეუმჩნევლად ოხრავს. მე მაინც ვამჩნევ, ოხერი ვარ.

– კინოში წავიდოდით... – მეუბნება და სადღაც სიღრმეში მიცურავს. – კარგი ფილმია. – გეგას ხმა აქვეა, სახეზე ვგრძნობ ჰაერის მოკლე-მოკლე ნაკადის შეხებას. მაგრამ სახე შორს არის. ასე მემართება ხოლმე, როცა მაღალი სიცხე მაქვს: ჩემი მზერა სიბრტყეს სამგანზომილებიან, ტრიდეგამოსახულებებად შლის. თვალსა და რეალობას შორის ეკრანს „მიმონტაჟებს“ და ეკრანს იქით ვისაც სად მოეპრიანება, იქ მიუჩენს ადგილს.

– ხომ შეეთანხმდით, განშორება გვჭირდება ყველაფრის „გადასახარშად...“ თან, ხომ იცი, სიცხე როცა მაქვს, ისედაც სულ კინოს ვუყურებ. – ვუღიმი.

გეგამ შუბლზე მაკოცა. სწრაფად მაკოცა, უცებ მომაცილა ტუჩები. ალბათ, ხაზი გაუსვა, სიცხის გასინჯვა არაფერ შუაშია, ისე გკოცნით.

– კარგი, დღესაც ვნახავ და მერეც. აი, რომ ჩამოხვალ, მერე გამომყევი შენც. საინტერესო ფილმია, საჩვენო. – ახლა გეგას სახე აქვეა და ხმა სადგურის ბოლოდან მესმის. ვერ ვარ ჯანმრთელად.

●

„კიუუ!“ – კივის მატარებელი. ,,ახრრ...“ – ჩაახველა, ძრავა–ფილტვებში ჩამდგარი ხრინწი ჩაიწმინდა და დაიძრა. მატარებლის ჩახველება მახსოვს, ჩემი ჩაძინება – აღარ. თვალი რომ გავახილე, ფანჯრის ადგილას

«Пуу!» – ҕнаҭуеит адаыҵба. «Ахрр..» – иааимхәан, арныкәага рыԥхақәа ирҭатәаз аҭхәаара аарыцқьаны аҕынанахеит. Аха уанҳа:

– Амцашоура бымоуп, иабатәи Баҭыму, баанғыл, – Гела сылахь иқьышә надикылоит, ҧыҭрак ашьҭахь «ғәзрада» снаскьеигоит. Агәра сиргар иҭахуп сымцашоура ишәар иҭахызшәа, сгәыдкылара игәгьы иҭамызшәа. Иузгәамҭаратәы дкәыԥсачҳауеит. Сара зегьы акоуп уи ғәасҭоит, аҿсҭаа соуп.

– Акино ахь ҳамцози... – ихәеит, ҵьара иҵаулан дызҳсоушәа, – кино бзиоуп. Гела ибжьы ааигәаҳоуп, схы–сҕы ианыруеит иԥсыҵ. Аха ихаҕы хароуп. Ас сыхьлоит зныҕзынла, ашоура ҳарак ансымоу. Сылаҧш аӄьаԥсра аанартуеит ахшәагаатә триде аҭҭәаараҕы. Аблеи алабҕабареи рыбжьара аекран «сзышьақәнаргылоит», аекран анеҿс, доусы дара иахьырҭаху рҭыԥ иднарбоит.

– Ҳаиқәшаҳаҭымхахьази зегьы «реилыргаразы» ҳаиԥьырҵроуп ҳәа..., насгьы, иумдыруеит, ашоура ансымоу усгьы еснагь акино сахәаԥшуеит. – Сиҕааччоит.

Гела сылахь дагәзит, ирласны сигәзит, иаразнак иқьышәқәа схигеит. Ашоура ашәара акәымкәа, сигәзыр шиҭахызз иазгәеиҭар иҭахызар ӄалап.

– Ибзиоуп, иахьагьы избап, насгьы сахәаԥшып. Нас баныхынҳәлакь бсыцца баргьы, аинтерес зцоу фильмуп, иҳақәнаго акоуп. – Уажәы Гела ихаҕы ара иӄоуп, аха ибжьы авокзал аҵыхәантә исаҳауеит. Сгәы бзиам.

●

«Пуу!» – ҕнаҭуеит адаыҵба. «Ахрр..» – иааимхәан, арныӄәага рыԥхақәа ирҭатәаз аҭхәаара аарыцқьаны аҕынанахеит. Исгәалашәоит адаыҵба аимхәара, аха сара сшамхацәааз

ეკრანი დამხვდა. ე.ი., ისევ სიცხე მაქვს.

თავქუდმოგლეჯილები, მწკრივად გარბიან ხეები. მიცოცავენ მთები, მიიზლაზნებიან. საიდანღაც გამოსხლტნენ ცხენი და კვიცი. ცხენი კვიცს ლოკავს. კვიცი – ბალახს. ადგილიდან არ იძვრიან. ადგილმა სამივე დაძრა და სადღაც გააქანა. ფილმისნინა ჟურნალივითაა: ნაწყვეტი კადრები ყველაფერზე და არაფერზე. მზერას ფეხი უცდება, ვერც ერთ ნაწყვეტზე ვერ ჩერდება, ვერ ეჭიდება. სიცხე მაქვს. ფანჯარა აღარ არის. ეკრანია.

შენელებული კადრი: მატარებელი სადგურს უახლოვდება. ფანჯარა-ეკრანზე ფილმის სათაურივით იკვეთება წარწერა: „ნ ი ფ ა“.

გაბრუებულ გონებაში ვიმეორებ: ,,ნიფის სადგური“ „ნიფის გაჩერება...“ არა, რაღაც სხვა, გაცილებით ახლობლური, ნაცნობი სიტყვათაშეთანხმების გახსენება მინდა და არ გამომდის.

მატარებელი გაჩერდა. ფანჯრის მართკუთხედში ფოტოგრაფიულად მიმზიდველი კადრი ჩაჯდა: ძველი შენობა, სევდიანი. აქ-იქ ადამიანის ხელით შეღებილი მზისფერი და ადგილ-ადგილ უმზეობისა და ნესტის ერთობლივი ნახელავი: ობი. შენობის მეორე სართულზე – ერთკაციანი აივანი. მიწიდან აივნამდე აცოცებული სისველის უფორმო ბილიკი, აივანზე – ხმელ-ხმელი კაცი, სადგურის უფროსი. მოხუცი, შეძლებისდაგვარად წელში გამართული. ამაყად ისწორებს თავზე ქუდს. გენერალივით. მის გვერდით – სკამი. უკან – ოთახი. ორივე ცარიელი.

„გენერალი“ ჩვენკენ ზურგით ტრიალდება და ოთახში შედის. სავარაუდოდ – მოკლე, მტკიცე ნაბიჯით, მაგრამ მე ხომ სიცხე მაქვს, ასე უბრალოდ როგორ შევა... უცებ, ერთი შესუნთქვით ისრუტავს ოთახის სიღრმე და თავის ცარიელ ფაშვში აუჩინარებს.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სადგურის უფროსს დგომით დაღლილმა მუხლებმა უმტყუნა, მაგრამ ამ ფილმში გენერლის როლი აქვს და უბრალო მოკვდასგაალაშაом. Сылаԛаа анаахыст, аԥеиԥыыр аҭыԥан аекран сҧыеит. Ашоура шсымац исымоуп. Еишьҭагылан исыцԧкьоит аҭлаԛаа, ашьхаԛаа харантә еилацырцыруеит. Ҷыарантәи иааҵәырҵит аеи аеҵыси. Аеы аеҵыс арыбзоит. Аеҵыс – ашьац. Рҭыԥ иахыԵуам. Нас ахпаґыы ҵьара инабжьаҳны ицеит. Акино аԥхьа ицо ажурнал еиԥш: зеґыы ирызку, аха хаҵала акґыы аазмырҧшуа акадр ԥҵәахаԛаа. Сылаԥш шьаԵахнысҭоит. Иарбан ԥҵәахазаалак ҵьара изааигылом. Ашоура сымоуп. Аԥеиԥыыр иԛаҳам. Аекраноуп.

Ирццакым акадр: адаҕьба авокзал иазааигәахоит. Аԥеиԥыыр – аекран аҕы афильм ахьҳ еиԥш ицәырҵит аԛәыра «Ҷ и ԥ а».

Ирԧашьоу сыхдыррԥ еиҵасҳәоит: «Ҷиԥатәи авокзал», «Ҷиԥатәи аангылаРҭа»... Мап, уи акәҳам, даԥеакоуп, иаха издыруа, исзааигәоу жәак сгәалашәар ҭахуп, аха иалԵуам.

Адәыԥба аангылеит. Аԥеиԥыыр аҕы а фотоҵыхымҭа бзиа еиԥш улаԥш зыдхало акадр ҵәырҵит: ажәытә ԧны, илахьеиԛәҵагоу. Ана-ара ауаԧы инапала амра ҧштәыла ишәуп, ҭыԥԛәак амра аҕәамԥхареи аҵәаакыреи рнубаалоит. Аԧны аԧбатәи аихагылаҕы – аҳәы иҭыԥ змоу абалкон ыԛоуп. Адґыыл акьынтә абалкон ахь иҳәазоит формак змам аҵәаакыратә мԧахәасҵ, абалкон дԧакәанҵхьҳа хаԵак дыԛәгылоуп, авокзал аиҳабы. Зыԛәрахь инеихьоу, излаилшо ала ибԥ рԥәԥәаны. Иеаԥсатәны, ихоу ихылԥа ириашоит. Аинрал иеиԥш. Иварԥҕ – аԛәардә. Ишьҭахь – ауада. Аԧбагьы ҭаҵәуп.

«Аинрал» даахьаҳәын, ауада дныԧналоит. Шьаҕа кьаҕла, ихы дԛәыԥәҕәоушәа зboит, аха сара ашоура сымами, ҕакала дышԥаԧнало... Иаразнак ауада аҵаулара днагәылаланахалеит, иҭаҵәу аԛәыԥшылара днаԵаҳит.

Агәра ґаны сыԛоуп, авокзал аиҳабы дышгылаз иааԥсаз, ишьапԛәа амч рылҳааит, аха ари афильм аҕы аинрал ироль имоуп, иԥсра аԥхьа

ვების წინ სკამზე ვერ ჩამოჯდება, მუხლზე ხელს ვერ გადაისვამს დასაზელად.

იმავე აივანზე ახალგაზრდა, ღიპიანი კაცი გამოდის. ამთქნარებს. თითზე ქუდს ატრიალებს. სკამზე ეშვება.

„მემკვიდრეობითი აივანი," – ვფიქრობ.

ერთი ხელი – ჯიბეში, მეორეში – ქუდი. ვერც გაამტყუნებ, რომ პირზე ხელის აუფარებლად ამთქნარებს... თითქოს კედლებზე ნესტი შრება, მის ზურგსუკან, აბაჟურით ძლივსგანათებული ოთახიც აღარ ჰგავს მიტოვებულს. კადრის კომპოზიცია დარღვეულია. სრული სერიოზულობით ვფიქრობ, რომ კანონი უნდა კრძალავდეს

аҟәардә дзыҟәтәом, ишьамхы инапы изахьишьуам уафцас.

Иара убри абалконцәкьа дныҟәгылеит амгәацәакылышьшь хатца қәыпҵшк. Дҳәырҳасуеит, ихылпҳа инацәа иахаиргьежьуеит. Аҟәардә дныҟәтәоит.

«Шьҭралатәи абалкон» – схәыцуеит.

Изнапык иҵьыба иҭакуп, егьы инапала ихы́лпҳа икуп. Аеҳныҳәагьы узиҭом даныҳәарҳасуаз инапы иқьышә ахьаҧыраимкыз.

Аҭыжқәа рҳәы ацәаакыра абара иаҳуп. Ишьҭахь абажурла аарла ирлашо ауадагьы игәыгәҭажьуп ҳәа азуҳәаратәы иҟам. Акадр акомпозиция



სხვა ჟანრის ფილმიდან სხვაში პერსონაჟთა თვითნებურ გადაადგილებას!!!

სადგური ოხრავს. „კიუუ!.." – გაჰყვირის მატარებელი.

ბიჭი გადის, სადგურის უფროსი ბრუნდება. „ხშშ..." – შვებით ამოიფშვინა მატარებელმა.

აივანზე – მოხუცის სილუეტი. გვერდით – სკამი. არ დაჯდება, სანამ მატარებელი თვალს არ მიეფარება – არ დაჯდება. ნესტი თვისებებს იბრუნებს. კედელს ფერი

еилагоуп. Сыхшыҩ азышьҭны схәыцуеит, азакәанла иқәиҭымзароуп жанрла еиҧшым афильм аҟынтә дҳәа фильмк ахь хаҧызарала аперсонажцәа риасра!!!

Авокзал қәыпҵсачҳауеит. «Киу!..» – ҳәаҭуеит адаыҧба.

Ацқәын дыҟәҭуеит, авокзал аиҳабы дхынҳәуеит. «Шшы!..» – ахгеит адаыҧба.

Абалкон аҳәы аҭаҳмада ихәага цәырҵит. Ивара – аҟәардә. Дҭәаҵом,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უბრუნდება – ყვითლიანი სევდიანი ტონალობა. ოთახს – აბაჟურის ბაცი ყვითელი ნათება.

მემანქანეს ნიშანს აძლევს მოხუცი „გენერალი“. მემანქანე, ალბათ, ვერც ამჩნევს ამ ნიშანს. გრაფიკს მიჰყვება. მოხუცი ამ ვერშემჩნევას არ იმჩნევს და ათუხთუხებული მატარებლის ხმაზე ვალმოხდილი ბრუნდება ოთახში.

„კიუუ!“ – კივის მატარებელი. „ᲐᲮᲠᲠ...“ – ჩაახველა, ძრავა-ფილტვებში ჩამდგარი ხრინწი ჩაიწმინდდა და დაიძრა. მიხარია, რომ, სანამ მისი გზააბნეული შვილი სხვა ფილმიდან აქ შემოფრაგტუნდება და ყველაფერს გააფუჭებს, მანამდე მივდივარ.

„დგნ-დგნ...“ ძველმოდური რიტმს რთავენ მუსიკალური რედაქტორები – ბორბლები.

მძიმედ ეშვება ნისლის დაფლეთილი ფთილა – დაჩრჩილული ფარდა. წარმოდგენა დამთავრებულია.

ცისფერი ცა მწკრივ-მწკრივად გახაზეს ჩიტისფერმა ჩიტებმა – ტიტრებმა.

კადრი შავდება, გვირაბში შევდივართ.

„თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?“ – ჩურჩულებს ჩემი მთვლემარე მეხსიერება. – „თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?“

●

„კარგი ფილმი იყო,“ – გეგა მირეკავს.

„აქაც კარგი ფილმი გაუშვეს: „ნიფის გვირაბი. სადგურის გენერალი,“ – ვეუბნები.

„ნუ ხუმრობ. – იცინის გეგა. – ეგეთი მხატვრული ფილმი ბუნებაში არ არსებობს. აი, მე წაგიყვან მაგარ ფილმზე. რომ ჩამოხვალ, გამომყევი, მეორედაც სიამოვნებით ვნახავ“.

როცა ასეთ დროს ბიჭი „ნუ ხუმრობს“ ამბობს, ე.ი., „ნუ იტყუების“ არ გაკადრებს. თუ ბიჭი „ნუ იტყუების“ არ გაკადრებს, ე.ი. არ ხუმრობს, მართლა უყვარხარ.

გადავწყვიტე: როგორც კი ბათუმიდან დავბრუნდები, გეგას გავყვები... კინოს არ ვგულიხმობ. ისე გავყვები – სულ.

აფხაზურად თარგმნა
ესმა კოკოსკერიამ

ადəыцба иасаанʒа дтəаʒом. Ацəаакыра ахатə ҟазшьаҟəа архынχəуеит. Аҭзы аҩежь лахьеиқəратə ҧштəы азыхынχəит. Ауада – абажур иахылҵуа аҩежь лашара.

Аҭаχмада «аинрал» адəыцба арныкəаҩ адырга иирбоит. Адəыцба арныкəаҩ ари адырга изгəамҭазаргьы ҟалап. Аграфик даҵныкəоит. Аҭаχмада ари азгəамҭара инирҧшуам, иҭахəаеу адəыцба абжьала ауадахь дхынχəуеит.

«Пуу!» – ҽнаҭуеит адəыцба. «Ахрр..» – иааимχəан, арныкəага рыԥχаԥəа иртатəаз аҭχəаара аарыцԥаны аҿынанахеит. Даҽа фильмк аҟынтə зымҩа зцəеилагаз ахылҵ ара дахҧырахаанʒа χаχьдəықəло сеигəырҧьоит.

«Дган – дган...» ажəытə модатə ритмқəа аҿаркуеит амузикатə редақторцəа – абарбалқəа.

Аарла илаҟəуеит анаҟəа еимнажəаз аԥарда. Ақəгылара нҵəоит.

Ажəҩан иаҵəа дрыԥхит аҵыс ҧштəы змоу аҵарақəа – атитрқəа.

Акадр еиқəарахоит, аҵəыцсырҵа χаҵалоит.

«Шəара кыр шəаҵəшəома?» – ихəыҵχəыҭуеит зеґьы ҭазыҩуа сгəынкылара. – «Шəара кыр шəаҵəшəома?».

«Афильм бзиан.» – Гела аҭел дысзасуеит.

«Араагьы афильм бзиа рышьҭит: Ҵиԥатəи аҵəыцсырҵа. Авокзал аинрал» – χəа иасχəеит.

«Алаф бымχəан, – дыччоит Гела. – Ари аҩыза асахьаркратə фильм аԥсабараҿ иқаʒам. Сара афильм бзиа бсырбоит. Банааилакь бсыцца, ҩынтəгьы гəахəала сахəаԥшып».

«Алаф бымχəан» χəа аҵқəын ианиχəо, «амц бымχəан» χəа ажəа баҭəеимшьеит χəоуп ииаанаго. Аҵқəын «амц бымχəан» χəа ажəа баҭəеимшьозар, уи дыхəмарʒом, ииашаҭаҟьан бзиа бибоит.

Исыʒбеит: Баҭымынтə саныхынχəлакь, Гела сиццоит... акино ахь акəым, ус сиццоит – зынʒа.

Есма Кокоскьыр-ԥχа

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბიოჩბი ყაჯჩიშვილი

„ან ხვალინდელი დღე რას მპირდება?“*

ნაწილი მეორე

სამეფო უბნის თეატრის სცენაზე გლოვას „თამაშობენ“. ყველას წრე შეუკრავს, მაყურებელსაც და მთავარ ჭირისუფალთაც; ისინი ხუთნი არიან – მგლოვიარე ქალები, მსოფლიოს ყველა ჭირისუფალ ქალს რომ განასახიერებენ. კატო კალატოზიშვილის სამგლოვიარო მოძახილი გრძელ და უხერხულ პაუზას არღვევს და გუგულის ხმის თანხლებით მწუხრ და გული იგი ჩამწვდომ ისტორიას მოგვითხრობს. ხუთივე მათგანს ხუთჯერ ხუთი ისტორია აქვს მოსაყოლი – „გლოვაზე როგორ უნდა ილაპარაკო?“

სახეზე უცნაური ღიმილი დასთამაშებთ – ალბათ, თბილი განცდა იმისა, რომ ცოცხლები გადაურჩნენ ძალადობას, მაგრამ სულ მალე ეს ღიმილი ტანჯვითა და ცრემლებით შეიცვლება. შუაში მიცვალებული ასვენია და არა ერთი... ჩვენ წინ ჩაიკვლის ყველა იმ ქვრივ, შვილ-ძმამკვდარ ქალთა ამბები, რომელნიც უხსოვარი დროიდან ლეგენდების სახით გადაეცემა თაობიდან თაობას: ტროელი ქალები, ლისისტრატა და მისი მეგობრები, დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ გმირ ქალთა ტრაგედიები დღევანდელ დღემდე.

სპექტაკლის დამდგმელმა ჯგუფმა კლასიკური ნაწარმოებები (ევრიპიდე, აკუტაგავა) დოკუმენტური თანამედროვე ამბებით გააერთიანა და ერთ გრძელ და მძიმე ისტორიად ააგო. დრამატურგ დ. გაბუნიას არ გასჭირვებია ამ ისტორიების მოძიება – ეს ყველაფერი ჩვენს გარშემო ხდება მთელს მსოფლიოში. პაციფისტური, ანტიმილიტარისტული სპექტაკლი – პერფორმანსი ერთგვარი აქციაა ასეთი მოძრაობისა და მსოფლმხედველობის მხარდასაჭერად.

სამეფო უბნის თეატრის წარმოდგენა „ტროელი ქალები“ საავტორო სპექტაკლია იმ გაგებით, რომ მთელმა შემოქმედებითმა კოლექტივმა (რეჟისორი, დრამატურგი, კომპოზიტორი, მსახიობები) შეძლო საკუთარი სათქმელი ზუსტად მიეტანა მაყურებლამდე, რომელიც მათი ჭირის გამზიარებელი, მათსავით ჭირისუფალი აღმოჩნდა და სულგანაბული უსმენდა და უცქეროდა ამ სანახაობას. ხუთივე მათგანის მოთხრობილი

* ა.ს. პუშკინი. „ევგენი ონეგინი“

ამბები იმ ფონზე მიმდინარეობს, რასაც ჩვენ გლოვას ვეძახით, როცა სიკვდილის, როგორც ასეთის, აღქმის შემდეგ ჭირისუფალი ერთ და იმავეს გაჰყვირის გამუდმებით, ვინაიდან საკუთარი ტრაგედიის გამოსახატავად სხვა სიტყვებს ვეღარ პოულობს. ეს სწორედ ის გლოვაა, რასაც ხშირად ვხვდებით ჩვენს გარშემო. ტრაგიკული ამბები კი ერთმანეთს ცვლის: 9 აპრილი, შვილის სიკვდილი, ძმაზე და ქმარზე თავდასხმა და მსხვერპლად შეწირვა, დის თვითმკვლელობა და აი, ჩვენს წინაშე თავად იხოცებიან ჭირისუფლებიც. ამ საბედისწერო სამგლოვიარო წრეში თანდათან იზრდება მიცვალებულთა რიცხვი. რეჟისორთა დათა თავაძეს ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს მაყურებელი იმ შეგრძნებამდე, რომ სიცოცხლე ხანმოკლეა და მხოლოდ საკუთარი გმირული საქციელით შეგიძლია იგი გაახანგრძლივო. ჩვენს წინაშე გმირ ქალთა ისტორიაა, იმათი, ვინც ყველაზე ხშირად ხდებოდა და ხდება ძალადობის მსხვერპლი – მაგრამ სამყარო მაინც იმ ტროელ, იაპონელ, ქართველ და მთელი მსოფლიოს ქალებზე დგას, რომელთაც ეს ქვეყანა ჩვენამდე მოიყვანეს.

დათა თავაძის რეჟისურა თანდათან იკრებს ძალებს – დ. გაბუნიას „სხვისი შვილები“ ა. სტრინბერგის „ფრეკენ ჟული,“ დ. გაბუნიას „ტროელი ქალები“ უდავოდ იწვევს ინტერესს და ადასტურებს, რომ ჩვენს წინაშეა ნიჭიერი, უკვე ჩამოყალიბებული საკუთარი ხელწერის რეჟისორი, რომელსაც ხელწერაში როგორც კლასიკა – მსოფლიო დრამატურგია, ასევე თანამედროვე პიესის ხორცშესხმა. „ტროელ ქალებში“ მან შეგნებულად აარიდა თავი დეკორაციას, ზედმეტ დეტალებს თუ ტექნიკურ საშუალებებს. სცენაზე მხოლოდ ისაა, რაც მსახიობებს სჭირდებათ – ყვავილები, სამგლოვიარო პროცედურების აუცილებელი ატრიბუტი, და წყალი (სულის მოსათქმელად და ზოგჯერ გონზე მოსაყვანადაც) – „წყალი აპკურეთ!“ რეჟისორი და მსახიობები ახერხებენ მხოლოდ სიტყვით, მხოლოდ ჟესტით, მხოლოდ გამომეტყველებითა და პლასტიკით და, რასაკვირველია, მოქმედებით მიაღწიონ იმას, რაც ჩვენში თანაგრძნობას, თანაგანცდას, სიბრალულს და ამ ქალთა მთელი კოჰორტის პატივისცემას იწვევს. ნ. კახიძე, კ. კალატოზიშვილი, მ. ლებანიძე, ს. მაისაშვილი, ქ. შათირიშვილი ერთი წუთითაც არ არიან უმოქმედოდ. მათ მიერ ჩატარებული ყველა ეპიზოდი თუ სცენა ცალ-ცალკე ან წყვილში, ან ერთად, გამორჩევა უდიდესი ფილიგრანული სამსახიობო ტექნიკით და გიკვირს კიდევაც, როგორ აღწევენ ამას მსახიობები, რომლებიც სულ ცოტა ხანია (სამი-ოთხიოდე წელი), რაც სცენაზე დგანან. მაგ. ანტიკური თეატრის ფორმით შესრულებული ქოროსა და ქეთა შათირიშვილის – პროტოგონისტის დაპირისპირება; შესანიშნავი სცენა სტროფისა და ანტისტროფის გამოყენება და კონფლიქტი პიროვნებასა და ქოროს შორის; ს. მაისაშვილის მიერ უმაღლეს ემოციურ დონეზე შესრულებული ერთ-ერთი საფინალო სცენა მაგიდაზე დის თვითმკვლელობაზე, სადაც მსახიობი ისეთ დამაჯერებლობას აღწევს, რომ ცოცხლად წარმოიდგენ აყვავებულ მსხლის ხეზე ჩამოკიდებულ უსულო სხეულს, რომელსაც ერთი „ტუფლი“ დავარდნია ძირს და წრეც შეიკვრება. მ. ლებანიძის „აბდაუბდად“ – ნერვულად მოყოლილი ქმრის სახლში დაბრუნება, ის ამბავი, შემდგომ – მისი დაპატიმრება, მისი მოკვლა და თვითაბორტი და იმ გრძნობათა ბუნების „გადმონთხევა“ მაყურებლის წინაშე, რაც მისი პერსონაჟის სულში ტრიალებს; კ. კალატოზიშვილის მიერ პირველი მენსტრუაციის თაობაზე მონათხრობით განცდილი განგაში და შიში, ქეთა შათირიშვილის უდიდესი ტრაგიზმით აღსავსე შვილის მსხვერპლშეწირვის სცენა, ნ. კახიძის მიერ ექსპრესიითა და შინაგანი მღელვარებით გათამაშებული ქალაქის დაბომბვის ამბავი და ა.შ. და ა.შ. მაგრამ გლოვაც მოითხოვს ამოსუნთქვას, ერთგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ განტვირთვას და მსახიობები ამჯერად „ფერთა თამაშს“ინყებენ – აქტიურ ქმედებას თეატრალური ფორმით და მაყურებლის (თუმცა პასიური) ჩართვით და ამავდროულად ცდილობენ, სული მოითქვან, გაერიდონ რეალობას.

დათა თავაძის რეჟისურაში, ჩემი აზრით, საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, ფსიქოლოგიური თეატრის ელემენტებთან, მეორე მხრივ, ამ გრძნობათა ბუნების გამოხატვის ახალ ფორმათა ძიებასთან. რეჟისორი მსახიობებს ისეთ ამოცანას აძლევს, რომ პლასტიკა, მიმიკა, გამომეტყველება და, რაც მთავარია, მუდმივი მოძრაობა საშუალებას აძლევს, ჩაულრმავდნენ პერსონაჟის ხასიათს, მოჟამინდელ შემოქმედებაზე.

დ. გაბუნიას დრამატურგია არაა მოკლებული არ არის მისტიკურობას და ფანტასმაგორიულ საწყისებს – „საპნის ოპუსი“ „ხხვისი შვილები“, თუმცა შემდგომი ეტაპი – „რამოდენიმე დამამძიმებელი გარემოება“, „Holland, Holland“ უფრო რეალისტურ–ყოფითი თეატრისკენ იხრება, „ტროელი ქალებიც“ რეალისტური და დოკუმენტური თეატრის ნიშნებს ატარებს, რაც თანადროულობას მატებს მის ბოლოდროინდელ ნამუშევრებს.

ცოცხალი ისტორია, მოთხრობილი სცენიდან მათთვის, ვინც ეს ამბავი ძალიან კარგად იცის, გვაბრუნებს იმ რეალობაში, რომ „ცხოვრება თეატრია“.

ნახონ მისთვის საჭირო შინაგანი რიტმი (ვს. მეიერხოლდი), მოძრაობა და ტემპერამენტი (ა. ახმეტელი) ფსიქოლოგიური (კ. მარჯანიშვილი, მ. თუმანიშვილი) განსხეულება. ამით იგი ძალიან ახლოს დგას მის ერთ–ერთ საყვარელ რეჟისორთან მ. მარმარინოსთან, ვისმა გაკვეთილებმაც („R+J, მესამე განზომილება“) ძლიერი კვალი დატოვა დ. თავაძის ამაქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა – რატომ უნდა აღელვებდეთ ესოდენ ახალგაზრდა რეჟისორსა და დრამატურგს მსგავსი ურთულესად გადასაჭრელი პრობლემები, რომლებსაც ეს წლები მიუძღვნეს? პასუხი ბევრნაირი შეიძლება იყოს, მაგრამ ერთი კი უდავოა. ორივე შემოქმედი ზუსტად გრძნობს დროსა და მოვლენებს. უმალვე ეხმაურება დღევანდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის მიერ „თავსმოხვეულ“ თუ „შემოგდებულ“, წამოჭრილ თუ ბუნებრივად გაჩენილ პრობლემებს და ადეკვატური რეაგირების გზით ასახავს საკუთარ შემოქმედებაში.

ჰ. იბსენისადმი და, საერთოდ, „ახალი დრამის“ მიმართ ინტერესი სრულიად გასაგებია მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში ასეთი მძაფრი ემოციები ბატონობს – პოლიტიკურმა პროცესებმა სრულად დაიპყრო ადამიანთა ფსიქიკა. გავიხსენოთ დიმიტრი უზნაძის პოსტულატი, რომლის მიხედვით ყოველ ინდივიდში „ქცევა განისაზღვრება მოთხოვნილებით და იმ საგნით, სიტუაციით, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს“. შესაბამისად, არარეალიზებულობის (უმუშევრობა, გაჭირვება, დაუსაქმებლობა, პროფესიის არამოთხოვნადობა) განცდამ ერთგვარი არასრულფასოვნების კომპლექსები გააჩინა, რაც ფსიქოლოგიურ ასპექტშიც აისახა და უმეტეს შემთხვევაში მივიღეთ გაღიზიანებული, გაბრაზებული, გაბოროტებული საზოგადოება, რომელიც სოციალური ქსელების მეშვეობით ანთხევს ბოღმას და უმეტესწილად სხვათა შეურაცხყოფით იფხანს გულს. ხელოვანებიც და, კერძოდ, თეატრიც „ნატურალიზმისა“ და ფსიქოლოგიური თეატრისკენ მიბრუნდნენ და, ჩემი აზრით, სწორედ ამან გაიაზრა ა. სტრინბერგისა და ჰ. იბსენისადმი ინტერესი. შედეგად ქართული თეატრების რეპერტუარში გამოჩნდა „ხალხის მტერი “ (რეჟისორი გ. ქავთარაძე), „თოჯინების სახლი“ (რეჟისორი ი. ხუციშვილი), „ფრეკენ ჟული“ (რეჟისორი დ. თავაძე), და „მოჩვენებანი“ ჯერ ნ. დუმბაძის სახ. თეატრში (რეჟისორი მ. შენგელია) და ახლახან ვ. აბაშიძის სახ. მუსიკისა და დრამის თეატრში (რეჟისორი მ. ჩარკვიანი). ამ ნაწარმოებებს ზოგადად აერთიანებს სწორედ ის, რაც ზემოთ აღვწერე – პერსონაჟთა ქცევა განპირობებულია „იმ სიტუაციით, რომელმაც მათი მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს“. სარგებლობს თუ არა შექმნილი მდგომარეობით პეტერ სტოკმანი, რომ საკუთარ ძმას გაუსწორდეს, სარგებლობს თუ არა ნორა იმ სიტუაციით, რაც მის გარშემო ტრიალებს და უჩნდება თუ არა მოთხოვნილება სახლიდან გაქცევის? სარგებლობს თუ არა ფრეკენ ჟული ასევე უმძიმესი გარემოთი, რაც მის სახლშია შექმნილი, „ავადმყოფური მემკვიდრეობით“ და იყენებს თუ არა თავის საკეთილდღეოდ ჟანის ამბიციურ ბუნებას? და ბოლოს, სარგებლობს თუ არა ფრუ ალვინგი იმით, რომ არავინ იცის სიმართლე და ტყუილებით მართავს საკუთარ ოჯახსა და მისი ქმრის შვილების ცხოვრებას? დიახაც, ყველა მათგანი სიტუაციის მსხვერპლია და გამოსავალი სწორედ მათ (ალბათ, უფრო ავტორთა) მიერ ისეთია ნაპოვნი, რომელიც ამ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს – პეტერ სტოკმანისთვის დაწინაურება, ნორასთვის თავისუფლების მოპოვება, ფრეკენ ჟულისთვის ჟანზე – მამაკაცზე გამარჯვება და სახლიდან გაქცევა; მხოლოდ ფრუ ალვინგი აღმოჩნდა „სამართლიანად“ დასჯილი, ყველასგან მიტოვებული, ავადმყოფ შვილთან შერჩენილი მძიმე ტანჯვაში გაატარებს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს. ფრუ ალვინგი თავისი გამუდმებული შიშისა და უმოქმედობის გამო ვერ გახდა ნორა და ვერ შეძლო სახლიდან გაქცევა (თუმცა ჰქონდა ამის მცდელობა) და ვერც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ჰედა გაბლერივით. თუმცა იგი იბსენის მიერ დახატულ ქალთა პორტრეტთაგან ერთ-ერთია, ყველაზე ტრაგიკული და ყველაზე ცოდვილი.

ავგუსტ სტრინბერგის დრამატურგია ნიცშეს სერიოზულ გავლენას განიცდის. „ფრეკენ ჟულის“ მოქმედი პირები ავტორმა განსაზღვრა, როგორც „ხასიათები-კონგლომერატები,“ რომლებიც თავის თავში შეიცავენ მხატვრული ასახვის არცთუ ცოტა პოტენციალურ შესაძლებლობას. „მასში ბიოლოგიური, სასიყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარულო და სოციალური მოტივები ისეა ჩახლართული, რომ რთულია მათი ერთმანეთისგან გამოცალკევება. ჟანისა და ჟულის შეჯიბრი ისევეა მამაკაცისა და ქალის პაექრობა, როგორც სხვადასხვა ფენათა ბრძოლა, და მას ისევე აქვს დამოკიდებულება სქესის პრობლემებთან, როგორც საზოგადოების ფენათა არათანაბრობის პრობლემასთან". მიუხედავად იმისა, რომ ა. სტრინბერგს მიაჩნდა: „სიცოცხლის სიხარული მდგომარეობს „გააფთრებული ბრძოლის ძალაში" და, მისი აზრით, დრამატურგს შესაბამისად ევალებოდა რთულ ადამიანთა გამოხატვა, მის პიესებში პირიქით აღმოჩნდა – თითქმის ყველგან იმარჯვებს უბრალო (მარტივი) ხასიათები, ხოლო ისინი, ვინც „სულით უფრო ფაქიზია და მდიდარი, გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებიან, ხდებიან დეპრესიის მსხვერპლი (რა ნაცნობი სურათია და რა ახლოს არის დღევანდელობასთან!), გიჟდებიან კიდევაც". ჟანი და ჟულის ბრძოლაშიც ჟანი სჯობნის, ვინაიდან იგი უბრალო, ელემენტალური ნატურაა, რომლის ქცევა განისაზღვრება ერთი-ორი საკმარისად ცხადი მოტივით.

სტრინბერგის წინამორბედს, ჰენრიკ იბსენს „თეატრის ფროიდსაც" უწოდებენ. ორივე მათგანი მეოცე საუკუნის დასაწყისის ბუნება-განწყობას გადმოგვცემს – ქალთა ემანსიპაცია, დეკადანსური განწყობა, ნატურალიზმის გავლება და, საერთოდ, ადამიანთა სულებში ჩაღრმავება, სექსუალური თუ ზნეობრივი დანაშაულებით მოტივირებული ყოფა ხდება მათი ძირითადი სამიზნე.

ჰ. იბსენის „მოჩვენებანი" (პირველად იგი შ. აღსაბაძემ დადგა ნუცა ჩხეიძის მონანილეობით) ერთ-ერთი რთული დრამაა, რომლის დადგმისას რეჟისორს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ ამბავი მელოდრამატულობისკენ არ გაექცეს, რაც თავისთავად დაარღვევს პიესის არსს და ავტორისეულ ჩანაფიქრს. ფსიქოლოგიური თეატრი გრძნობების თეატრია და მაყურებელში თავისთავად უნდა იწვევდეს სიბრალულსაც და თანაგრძნობასაც. ნორვეგიელი დრამატურგის პიესებში „ადამიანი თავის თავს გარემოსთან კონფლიქტში მოიაზრებს – გარემოსთან, რომელიც უმრავლესობის მიერაა შექმნილი და ცდილობს იმ გარეგან ძალადობას გაუმკლავდეს, რომელიც ყოველ სააში ძლიერდება. იგი ცდილობს საკუთარი თავის, როგორც თავისუფალი სუვერენული პიროვნების მიმართ – ზნეობრივი მოვალეობის შესაბამისად იმოქმედოს სამყაროზე გამეფებული გიჟური აუცილებლობის საპირის-პიროდ," – წერდა ბ. ზინგერმანი თავის ნიგნში ჰ. იბსენის შესახებ. თავიდან იყო თუნდაც „ბოლშევიზმის" მიერ შექმნილი სამყარო, გერმანული ფაშიზმი, შემდგომ ტოტალური ევროპული „სოციალიზმი," საბჭოთა კავშირი, ჩინური „კულტურული რევოლუცია" და აშ. რიცა ინდივიდუალიზმი ხშირად საგანგებოდ ისჯებოდა.

მარჯანიშვილის თეატრის 1976 წლის „მოჩვენებანი" (რეჟისორი თ. ჩხეიძე) დაიდგა მსახიობთა შესანიშნავი ანსამბლისთვის: ვ. ანჯაფარიძე, ა. ვასაძე, ს. ჭიაურელი, ნ. მგალობლიშვილი, გ. ბერიკაშვილი. ეს ის დროა, როცა საშუალო თაობასთან კონფლიქტის შედეგად რუსთაველში წასული ახალგაზრდობა მშობლიურ, მარჯანიშვილის თეატრს დაუბრუნდა. ეს წარმოდგენა ერთგვარად შერიგება იყო შუა თაობის მსახიობებს – ვ. ანჯაფარიძესა და ა. ვასაძესა და (ს. ჭიაურელის გამოკლებით) გზა ახალგაზრდებისკენ. თუმცა სავარაუდოა, რომ, არსებითად, ეს სპექტაკლი ვ. ანჯაფარიძისთვის დაიდგა, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობის ხანდაზმულობა (76 წ.) თითქმის არ შეეფერებოდა ფრუ ალვინგის წლოვანებას. ეს იყო მძაფრი, პირქუში, მაგრამ ვნებათა ღელვით აღსავსე, უდაოდ საინტერესო სპექტაკლი, მნიშვნელოვანი წარმოდგენა არა მხოლოდ თეატრისთვის, არამედ მსახიობებისა და, რაც მთავარია, თემურ ჩხეიძისთვის, ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თგვარი პროტესტი გაბატონებული „საზოგადოებრივი ცნობიერების“ და პროვინების, როგორც ინდივიდის მიჩქმალვის და დაკნინების საპირწონე ნამუშევარი.

ვ. აბაშიძის მუსიკისა და დრამის თეატრის „მოჩვენებანი“ (რეჟისორი მ. ჩარკვიანი) და ალვინგების ოჯახის ტრაგედია შავისა და წითელი ფერების შეხამების ფონზე ნორვეგიის მივარდნილ ქალაქში მიმდინარეობს. ამ პირქუშ გარემოში ჯერ კიდევ მოჩვენებანი დაძრწიან. წითელი სავარძელი მძიმე, ძველებულ საწერ მაგიდასთან ერთად რამდენჯერმე ხდება მძაფრი ვნებების ასპარეზი. პასტორი მანდერსისა და ფრუ ალვინგის, ოსვალდისა და რეგინას, დედისა და შვილის შეხვედრები, უმძიმესი საუბრები და ძალადობაც კი ამ დივანზე მიმდინარეობს. სავარაუდოა რომ სწორედ „სისხლისფერ“ დივანზე ხდებოდა ის აღვირახსნილი ქმედებებიც, რაშიც ბრალი ედება ოჯახის უფროსს – კამერჰერ ალვინგს. პიესაში დადებითი პერსონაჟი არც კი მოიძებნება: ინცესტისა და ღალატის, სისხლის აღრევისა და დანაშაულებრივი სიყვარულის, აკრძალული ქმედებებისა და ტყუილების „სუნი“ ასდის ყოველივეს ირგვლივ. კამერგერ ალვინგის გამუდმებითი ღალატი, უკანონო შვილი, ფრუ ალვინგის ფარული ტრფობა პასტორ მანდერსისადმი, მამის არცთუ ორაზროვანი ლტოლვა საკუთარი ცოლის ქალიშვილისადმი და ბოლოს ოსვალდის მემკვიდრეობითი განუკურნავი სენი. ყოველივე ეს იმ გაუკულმართებული ცხოვრების წესის შედეგია, რითიც ამ „ძალით“ შექმნილმა ოჯახმა იარსება.

სპექტაკლის რეჟისორი მიშა ჩარკვიანი ზუსტად აკეთებს აქცენტებს და მსახიობებს ისეთ ფუნქციებს აკისრებს, რომ თითოეული მათგანის ქცევა ზუსტად შეესაბამება ავტორისეულ ჩანაფიქრს. ნერვული, ყოველთვის დაძაბული ფრუ ალვინგი – ბ. გოგორიშვილი და მისი

საუბრის მანერა იმ სიყალბის გამოხატულებაა, რაშიც ეს ქალი გამუდმებით ცხოვრობდა. ამავე სიყალბეს, უნდობლობას და გაუცხოებას გამოხატავს ის სამუშაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსტიუმიც, რომლითაც ფრუ ალვინგი პირველად მოგვევლინება (სკაფანდრი, „მეფუტკრის ნიღაბი“ ან რაღაც მსგავსი თუ უცნაური ვუალი, რომელიც სახეს უფარავს) მას იმ გარემოსგან თავდაცვისთვის შეუქმნია, რომლის მსხვერპლიც არის. წარმოდგენის მხატვარი (ლევან ოჩხიკიძე) ზუსტად მიჰყვება ავტორისეულ რემარკებს და სცენაზე აგებულ მინის კედლების მიღმა, რომელიც ამავდროულად სხვადასხვა მიზანსცენებს ერთმანეთისგან გამოყოფს, მოსაწყენი და ბნელი სამყარო ამოიკითხება, რაც ამ სახლს გარს არტყია. გამუდმებით წვიმს და წყლის წვეთები ხშირად აირეკლება ამ მინის კედლებზე. რეგინასა (ა. წერეთელი) და ენგსტრანდის (ა. ბეგალიშვილი) არ შეიმჩნევა მათ შორის „ახლობლური“ ურთიერთობაც. გაიძვერა და ფლიდი ენგსტრანდი არცთუ ორაზროვანი წინადადებით მიმართავს ქალიშვილს. რეგინა დათრგუნვილი და შეურაცხყოფილია. თავიდანვე იგრძნობა, რომ იგი ძალადობის მსხვერპლია, მის ყოველ ჟესტში და მოძრაობაში მორჩილება და მოკრძალება გამოსჭვივის. სრულიად უსუსურია (მე ვიტყოდი – გადაჭარბებულადაც კი) და აქ – პირველი განსხვავება იბსენისეულ რეგინასა და მ. ჩარკვიანის რეგინას შორის. მეჩვენება, რომ მთელი სპექტაკლის განმავლობაში ვერ ვლინდება მისი ინდივიდუალობა, თუნდაც ნებისყოფა – ცხადია, რეჟისორის დავალებით იგი მსხვერპლს თამაშობს. თუმცა

შეხვედრის სცენაში იგრძნობა ნერვული ფონი, რაც ამ საუბარს ახლავს. რეგინა, რომელიც ცდილობს, დროულად მოიცილოს თავიდან აბეზარა მშობელი, უფრო დაძაბული ჩანს, ვიდრე ენგსტრანდი. ამ ორი ადამიანის საუბარში ნათლად იკვეთება, რომ ფულისადმი ინტერესი ორივე მათგანში საკმაოდ ძლიერია. მიმაჩნია, რომ პიესის მიხედვით რეგინა უფრო ძლიერია, უფრო მიზანდასახულია და არცთუ ისეთი გულუბრყვილო, როგორსაც ამ სპექტაკლში ვხედავთ.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბ. ზინგერმანის კიდევ ერთი ფრაზა: „იბსენის ... პიესებში მარტოხელა გმირები ხშირად იმათზე უკეთესნი ვეღარ არიან,

ვინც სინამდვილეს შეეგუა. მეშჩანური ყოფიერების დამკვიდრების ფონზე მასობრივი სოციალური ძალების წინაშე გმირთა ინდივიდუალური თვისებები ხშირად გაუკუღმართებულ და გართულებულ ხასიათს იღებს. რაც უფრო შორს მიდიან, მით უფრო ნაკლებად მიმზიდველები ხდებიან იბსენის ეს გმირი–ინდივიდუალისტები და უფრო და უფრო ნაკლები შანსი აქვთ წარმატების“.

ამ ხუთეულში ყველაზე წარმატებული მაინც ენგსტრანდი აღმოჩნდა. ქალიშვილისადმი ფარული ლტოლვა (რომელიც საერთოდ არ არის მისი შვილი და, ცხადია, მან ეს იცის) და მისი ყოველი ქცევა ანგარებით ნაკარნახევია. პიესის მიხედვით ეს ლოთი, დაჩაჩანაკებული, ფეხნაღრძობი მოხუცი მამაკაცი სპექტაკლში სრულიადაც არ ტოვებს ასეთ შთაბეჭდილებს. ა. ბეგალიშვილი-ენგსტრანდი ენერგიული, მიზანდასახული და ფლიდი მამაკაცია, რომელსაც დიდი გეგმები აქვს დასახული და მათი განხორციელებისთვის სხვის – პასტორ მანდერსის დანაშაულსაც კი თავის თავზე იღებს. აქ თავისთავად „გარიგების“ ელემენტი მუშაობს, ისევე, როგორც მის პირველ ქმედებაში – იოჰანას ცოლად მოყვანისას. ამიტომ ენგსტრანდიც იმ დანაშაულებათა ჯაჭვშია ჩართული, რომელიც კამერჰერმა ალვინგმა, პასტორმა მანდერსმა და თვით ფრუ ალვინგმა ჩაიდინეს. ენგსტრანდი-ბეგალიშვილი მშვენივრად გრძნობს დროსა და მომენტს და არცთუ ცუდად ერკვევა ადამიანებში. ჯერ რეგინასთან, შემდგომ კი ფრუ ალვინგთან და პასტორ მანდერსთან საუბრისას ახერხებს ორივე მათგანის დარწმუნებას თავის უდანაშაულობაში, რაც საშუალებას აძლევს, რომ ამ მძიმე სიტუაციიდან მხოლოდ ის გამოვიდეს გამარჯვებული. ა. ბეგალიშვილი-ენგსტრანდი მკვირცხლია, ოსტატურად და დროულად იყენებს ავადმყოფ ფეხსაც. მსახიობი ქმნის ძალიან საინტერესო სახეს, თანმიმდევრულს, მიზანდასახულს, იგრძნობა რომ ა. ბეგალიშვილმა დამდგმელი რეჟისორის მეშვეობით მთლიანობაში სწორად მიაგნო ავტორის მიერ შემოთავაზებული პერსონაჟის ბუნება-ხასიათს, თან ორიგინალური და თანამედროვე ფორმა მისცა მას.

ოსვალდ ალვინგიც მსხვერპლია, ისევე, როგორ რეგინა. პიესაში, რასაკვირველი იგი ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია, ხოლო სპექტაკლში ამავდროულად ის მოქმედი პირია, რომელზეც მ. ჩარკვიანმა მთელი რეჟისორული ხერხების კასკადი ააგო. ჯინსებით თანამედროვე სტილში ჩაცმული ოსვალდი – კ.კინწურაშვილი გამოჩენისთანავე ყურადღებას იპყრობს ვიდეოკამერით, რომელსაც თვალიდან არ იშორებს. ამ რეჟისორული სვლით ჩვენ, მაყურებელი, არსებულ სიტუაციებს თუ მოვლენებს ოსვალდის თვალით ვხედავთ. ეს უდავოდ საინტერესო რეჟისორული მიგნებაა, რასაც განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი. ვიდეოინსტალაციები ხშირად გვინახავს თანამედროვე ქართულ თეატრში და, მათ შორის, აქაც, მუსიკისა და დრამის თეატრში, თუმცა მ. ჩარკვიანის „მოჩვენებანში“ იგი სხვა ფუნქციურ და აზრობრივ დატვირთვას. იძენს ეს არის ავადმყოფი, ფსიქიკამოშლილი ოსვალდის ზმანებანი, რომელსაც საფუძველიც აქვს და არცთუ შორს დგას სინამდვილისგან, თუმცა უტრირებულია, ჰიპერტროფირებული, ისეთი, როგორიც მის ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობას შეესაბამება. ეს მისი მესამე „თვალია“. სპექტაკლიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სადილის სცენა, სადაც ისევ ახალ რეჟისორულ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე, რამაც უდავოდ ძალიან გამომსახველი და ზუსტი ელფერი შესძინა წარმოდგენას. პიესაში სადილის სცენა არ არსებობს, არც ისეთი, როგორსაც ჩვენ ოსვალდის თვალით ვხედავთ, და საერთოდ არანაირი. მხოლოდ რეპლიკებით ვხვდებით, რომ მან ღუღიღამოდ, თითქმის უსიტყვოდ ჩაიარა, ვინაიდან წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლოდა პასტორ მანდერსთან ფრუ ალვინდის აღიარება, რომ რეგინა კამერგერ ალვინგის შვილია. სპექტაკლში სადილის სცენა მეტად მეტყველად, ორიგინალურად, ბრწყინვალედ არის გადაწყვეტილი. იმ ორგიას, რომელსაც ვხედავთ, ოსვალდის ქვეცნობიერში უდევს ბუდე, მამის მიერ მასზე ძალადობის გამოძახილია და ამავდროულად შესაძლებელია ბავშვის თვალით დანახული სექსუალური სცენების ანარეკლიც იყოს. გავიხსენოთ თუნდაც ჩიბუხის მოწევის ამბავი, ჩიბუხისა, რომელსაც მოგონებების აშლის მიზნით ასე დაწაფებია სახლში დაბრუნებული ოსვალდი. უმცროსი ალვინგი-კ.კინნურაშვილი თავიდან სულაც არ ტოვებს მძიმე ავადმყოფის შთაბეჭდილებას. დაბრუნების შემდეგ იგი ხალისიანია, ხუმრობს რეგინასთან და არამარტო... ბედნიერია, რომ სახლში დაბრუნდა. მსახიობი გვიჩვენებს თანამედროვე ხელოვან კაცს, რომელიც დროებით! დედის მოსანახულებლად ჩამოვიდა, თავიდან ეს „თამაში“ გამოსდის კიდევაც. იგი ოჯახში „მეგობრად და ბრძენად“ მიჩნეულ პასტორ მანდერსთანაც არ თაკილობს კამათს და ძალიან მძაფრად და თვითდაჯერებულად იცავს პოზიციას ე.წ. „თავისუფალი წყვილების“ შესახებ.

ოსვალდი-კ. კინნურაშვილი ევროპაში გაზრდილი, თანამედროვე შეხედულებების მქონე ახალგაზრდაა, რომელსაც ადვილად ძალუძს „მამათა“ მოძველებული იდეების ნგრევა. მაგრამ იმავე სადილის სცენა–ზმანებამ საერთოდ შეცვალა ოსვალდი – ალკოჰოლს მიძალებული განცალკევდება და მძიმედ განიცდის თავის ფიზიკურ მდგომარეობას და სიკვდილის შიშით მოზღვავებულ გრძნობებს.

ფრუ ალვინგის, ოსვალდისა და შემდგომ შემოსწრებული რეგინას სცენა, რომელიც იმავე წითელ დივანზე მიმდინარეობს, ფინალურ სცენასთან ერთად ერთ-ერთი ძლიერი სცენაა სპექტაკლში, სადაც სამივე მსახიობმა შეძლო, ზედმინევნით გადმოეცა პერსონაჟთა გრძნობათა ბუნება. დედისა და შვილის ეს პაექრობა ერთდროულად სიყვარულის, ურთიერთდაპირისპირების და ურთიერთსაყვედურის გამოხატულებაა, სადაც ამ ფრიიდისტულ სცენაში („ოდიპოსის კომპლექსი“) ბრწყინავს სამივე მსახიობი – ბ. გოგორიშვილი, კ. კინნურაშვილი და ა. ნერეთელი. რეგინას კი უნებური მოწმის როლი მიეკუთვნა და მსახიობიც მორჩილად ასრულებს ამ ფუნქციას. ტანსაცმელშემოღლეტილი ოსვალდი-კინნურაშვილი ადგილს ვეღარ პოულობს ვერც დივანზე და ვერც ამ სამყაროში. მოძალებულმა ავადმყოფობამ ოსვალდი ეგოისტად, შურისმაძიებლად და გაბოროტებულ ადამიანად აქცია. არც რეგინასთან არის გულწრფელი, რომელიც მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ დროულად გაუკეთოს მორფინი, ვინაიდან იმედი არა აქვს, რომ დედამისი შეძლებს ამას. ჩვენ წინაშე ოსვალდი-კინნურაშვილი რაფინირებული ევროპელი ხელოვანიდან ნევრასტენიკად, ნახევრად შეშლილად გადაიქცევა. მსახიობს თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყავართ ამ ტრაგიკული დასასრულისკენ და ტრანსფორმაციის ეს გზა უზუსტესად, მაღალი მსახიობური ტექნიკითა და სცენური გამომსახველობის მრავალფეროვანი ხერხებით არის შესრულებული, რაც თავისთავად ამ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი მსახიობის ნიჭიერებაზე მეტყველებს.

ფრუ ალვინგი-ბუბა გოგორიშვილი, ისევე, როგორც იბსენის პიესების ბევრი სხვა გმირი, „საკუთარ თავს გარემოსთან და უმრავლოსობასთან კონფლიქტში“ მოიაზრებს: „კანონი და წესრიგი – ხშირად თავში მომდის აზრი, რომ დედამინაზე ყველაფერი უბედურების მიზეზი ესაა,“ – და მისი ცხოვრებაც ბრძოლაა ამ ძალადობის წინააღმდეგ. ეს იგრძნობა ყოველ მის ფრაზაში, ყოველ მის გამოსვლასა თუ საქციელში. ფრუ ალვინგი სახლიდან კი გაიქცა, მაგრამ „ოჯახის მეგობარმა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასტორმა მანდერსმა (ზ. ჩიქობავა), რომელიც ფრუ ჰელენ ალვინგს უგონოდ უყვარდა, სახლში – იმ ჯოჯოხეთში დააბრუნა, სადაც ლოთი და გაბრწნილი მეუღლის გვერდზე უნდა გაეტარებინა დარჩენილი სიცოცხლე. პასტორი მანდერსი ცდილობს, ფრუ ალვინგს ბრალი დასდოს შვილის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში, თუმცა ამ პაექრობაში ფრუ ალვინგი-ბ.გოგორიშვილი იმარჯვებს. ამ დროს მსახიობს სიამაყის გრძნობა დათამაშებს სახეზე, თუმცა განსაკუთრებულად საამაყო არაფერი აქვს. უბრალოდ, ამ წუთში პასტორზე გამარჯვება სამაგიეროს გადახდაა უარყოფილი სიყვარულის გამო, როდესაც მან ფრუ ჰელენ ალვინგს საკუთარი საეკლესიო კარიერა ამჯობინა და ამით დაღუპა არა მხოლოდ შეყვარებული და გაუბედურებული ახალგაზრდა ქალი, არამედ მისი მომავალიც – ოსვალდი.

ბ. გოგორიშვილის ფრუ ალვინგი რთული წარსულისა და უფრო მძიმე მომავლის ქალია. იძულებითი წესით შექმნილ ოჯახს კეთილი პერსპექტივა ვერ ექნებოდა. იგი ამას სულ მალე მიხვდა და სახლში მობრუნებული ახალ ცხოვრებას იწყებს უკვე შვილის გარეშე და მისი ყოველდღიური ცხოვრება შრომაში, ფარისევლობაში და გამუდმებით ტყუილებში გადის. ბ. გოგორიშვილი-ფრუ ალვინგი ჩვენს წინაშე პასტორ მანდერსთან საუბრისას ხელახლა გაივლის თავისი მწარე ცხოვრების ამ ნაწილს. მისი ყოველი სიტყვა დამაჯერებელია და ჩვენც თანავუგრძნობთ მას – ადამიანს, რომელმაც ყველა დამცირებას გაუძლო შვილის გადარჩენის მიზნით. ფრუ ალვინგი-გოგორიშვილის ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ის მშიშარაა და ეს შიში არ აძლევს საშუალებას, მკვეთრი, გადამწყვეტი ქმედებები განხორციელოს და „საზოგადოებრივი აზრი“ – „რას იტყვის ხალხი“ ხდება დომინანტი. სასოწარკვეთამდე მისული, განწირული, სამუდამოდ დადუმებული შვილის ცოცხალ ცხედარს ჩახუტებული ფრუ ალვინგი-ბ. გოგორიშვილი ისევე ელოდება მზის ამოსვლას, როგორც მისი დამბლადაცემული ისვალდი.

პასტორი მანდერსი-ზაალ ჩიქობავა უკვე ხანდაზმული მამაკაცია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ფრუ ალვინგის ცხოვრებაში. ამდენად, საწერ მაგიდაზე აღმოჩენილი თანამედროვე ლიტერატურა, რასაც ოჯახის დიასახლისი კითხულობს, ერთობ აკვირვებს მას და ზ. ჩიქობავა-პასტორი გვიჩვენებს ამ გაოცებას და ამავდროულად მიგვანიშებს, რომ სულაც არ სიამოვნებს, თანამედროვე აზროვნებით გატაცებული ფრუ ალვინგი მისი ზეგავლენიდან რომ თავისუფლდება. სწორედ ეს ფაქტი აჩენს პირველ ბზარს მათ ურთიერთობაში. ზ. ჩიქობავა თამაშობს რესპექტაბელურ, თავის თავში დარწმუნებულ პასტორს, რომელსაც რჩევასაც ეკითხებოდნენ და მის აზრებსაც იზიარებდნენ. თუმცა დრომ გაუსწრო მის იდეებს და ოსვალდთან შეკამათება ფრუ ალვინგთან გარდასულ დროთა ისტორიის მოყოლის სურვილს აღვძრავს. ოჯახის დიასახლისის მიერ ახალ ფაქტორთა გამოაშკარავებას მასზე დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა, თუმცა მსახიობს ეს განწყობა თუ აღშფოთება ჩვენამდე ვერ მოაქვს. ამ კამათში ფრუ ალვინგი უფრო დამაჯერებელია, არგუმენტირებული და ბევრი ფიქრის შედეგად მიღებული მოსაზრებებით, ვინაიდან სიმართლე ნამდვილად მის მხარეზეა. პასტორმა მანდერსმა, რომელმაც იურისტის მოვალეობებიც კი აიღო თავის თავზე, სრული კრახი განიცადა აქ ჩამოსვლისას. თავშესაფარში მომხდარმა ხანძარმა კი, რომელიც მისი დაუდევრობის ან შეგნებული ქმედების შედეგია, სამუდამოდ დაასრულა მისი ალვინგებთან მეგობრობა. პასტორი მანდერსი თითქოსდა სულაც არ განიცდის ამ დანაკარგს, უფრო მეტიც – შემდგომში მისი „კომპანიონი“ ახლა უკვე ენგსტრანდი ხდება, რომელმაც დახმარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი გაუწოდა. შესაძლებელია, ფრუ ალვინგის ნაცვლად ახლა რეგინა გახდეს მისი მზრუნველობის საგანი. იგი ფრუ ალვინგთან გამომშვიდობებისას ცივია და არაფრისმეტყველი. ორივემ თავისი ფუნქცია შეასრულა და მათი გზებიც სამუდამოდ გაიყარა. თავშესაფრის დაწვის სცენას, რომელიც ვიდეოინსტალაციის სახით ხდება, ისევ ოსვალდის კამერის მეშვეობით ვხედავთ, სადაც „ხანძრის გამჩაღებელნი“ ენგსტრანდი, პასტორი მანდერსი, ფრუ ალვინგი და რეგინა არიან და ყველა მათგანს საკუთარი ინტერესი ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ ქმედებაში. ფრუ ალვინგისა და პასტორ მანდერსის კამათი დაზღვევის თაობაზე იმის დასტურია, რომ სინამდვილეში მათ ნაკლებად აწუხებდათ ამ თავშესაფრის ბედი – ხანძრის შემდეგ ორივემ შვებით ამოისუნთქა, ვინაიდან უბედურმა შემთხვევა ეს საზრუნავიც თავიდან ჩამოაცილა და სადარდებელიც არაფერია. რეგინას გულზე სულაც არ ეხატება იქ მომვლელად მუშაობა, როცა პარიზისკენ მიუნევს გული, ხოლო ენგსტრანდი სიამოვნებით დაწვავდა ყველაფერს, რათა რეგინა ხელში ჩაეგდო.

მ. ჩარკვიანს – ახალგაზრდა რეჟისორს, გარდა რეჟისორული ნოვაციებისა, აშკარაა, უკვე შესანიშნავად ხელეწიფება მსახიობებთან მუშაობა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ პლანში. ეს სპექტაკლი ინსამბლური და სინთეტურია, სადაც მხატვრობაც, კოსტიუმებიც, მუსიკაც (ნ. ფასური), პლასტიკაც, ძალადობის სცენებიც და სხვა გამომსახველი საშუალებებიც ერთი და იმავე ამოცანას ემსახურება – ზუსტად მიიტანოს ავტორისა და რეჟისორის ნაზრევი მაყურებლამდე. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სპექტაკლის მუსიკა. კომპოზიტორმა ნიკა ფასურმა (მინდა აღვნიშნო რომ, გ. ყანჩელის და გ. ძოძუაშვილის შემდეგ, რომელიც უკვე დიდი ხანია თეატრში აღარ მოღვაწეობს) შეძლო, შეექმნა მუსიკა, რომელიც მხოლოდ ფონი ან გაფორმება კი არა, დრამატული სუიტაა, რომელიც ზუსტად შეესაბამება არა მხოლოდ დრამატურგიას, არამედ პერსონაჟთა ხასიათებსაც. მე მას „ალვინგების სიფონიას“ დავარქმევდი, სადაც, რამდენიმე-ნაწილიანი რთული კომპოზიცია, რომელიც ცალკე აღებულიც კი უკვე ღირშესანიშნავი ნამუშევარია, ზუსტად მიესადაგება სიტყვასაც და ქმედებასაც, განსაკუთრებით კი სპექტაკლის ფინალში.

და ბოლოს, მინდა დავუბრუნდე იმას, რითიც დავიწყე. ისევ გავიხსენებ დ. უზნაძეს და დასკვნის სახით ვიტყვი, რომ იბსენის ამ პიესის პერსონაჟთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე, სრულად განხორციელდა: ენგსტრანდი, პასტორი მანდერსი, რეგინა გარბიან „მოწვენებების“ სახლიდან და იმ „საზოგადოებას“ შეერევიან, ვისი ღვიძლი შვილებიც არიან, ხოლო „გმირი-ინდივიდუალისტები“ – ფრუ ალვინგი და ოსვალდი, დაავადებულნი და განადგურებულნი რჩებიან იქ, და სადაც მოწვენებანი, ალბათ, ისევ დაბრუნდებიან, ვინაიდან ოსვალდისა და დედამისის ცხოვრება და ტანჯვა გრძელდება – უფრო მძიმე, უფრო სასტიკი და ტრაგიკული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიკ მოდიანო

2014 წლის ნობელიანტის სიტყვა შვედეთის აკადემიაში

ბედნიერებაა, აქ რომ ვარ, თქვენს წინაშე. ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა ისეთი დიდი ღირსება, როგორიც თქვენგან მონიჭებული ნობელის პრემიაა. რომელიც თქვენ მომანიჭეთ.

ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ასეთი დიდი აუდიტორიის წინაშე გამოვდივარ, რასაც ჩვეული არ ვარ და სკოლის მონაფესავით ვღელავ. მწერალი მიჩვეულია მოსმენას, დუმილს, ფრთხილი შეკითხვების დასმას, რათა უკეთ შეიგრძნოს ატმოსფეროს ჰარმონია, უკეთ გაუგოს, მის ირგვლივ მყოფთ. ამიტომ, ვფიქრობ, ჩემი მჭევრმეტყველებით დიდად ვერ გაგაოცებთ.

მოუთმენლად ველოდი გამეგო, რატომ შეჩერდა არჩევანი ჩემზე. დღევანდლამდე არასოდეს ასე მძაფრად არ მიფიქრია ჩემი შემოქმედების მნიშვნელობაზე. რა არის მწერლობა, ვინ არის მწერალი... მწერალი მეტად მარტოსულია, მას ნანილობრივი, ფრაგმენტული შთაბეჭდილება აქვს თავის ნაშრომზე, როგორც მხატვარს, რომელიც ფრესკას ქმნის ჭერზე, ეშაფოტზე ნევს, დეტალებზე მუშაობს ძალიან ახლოს და ნამუშევარს მთლიანობაში ვერ ხედავს.

როდესაც რომანის პირველ ფურცლებზე იწყებ მუშაობას, ისეთი განცდა გაქვს, თითქოს მცდარ გზას ადგახარ, გეუფლება სურვილი, დაბრუნდე და სხვა გზით ნახვიდე, მაგრამ ამ სურვილს არ უნდა აჰყვე – გზა უნდა გააგრძელო. ეს ძალინ ჰგავს ავტომობილის ტარებას ზამთრის ღამით, ყინულზე, როდესაც ხედვა ნულოვანია – უკან ვერ მობრუნდები და სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ წინ იარო, არა გაქვს. ასეთ დროს ჩემს თავს ვეუბნები – ყველაფერი კარგად იქნება, გზა უფრო ნორმალური გახდება და ნისლიც გაიფანტება.

ამთავრებ წიგნს და გული იწყდება, ვერ ელევი, წიგნი კი თავისუფლების ჰაერით სუნთქვას იწყებს და გშორდება, როგორც მოსნავლე კლასში, რომელსაც ხვალ არდადეგები ეწყება, თავისუფლებისკენ ილტვის და უკვე ყურადღებას აღარ აქცევს თავისი მასწავლებლის ბოლო სიტყვებს. ჩქარობ, დაწერო ბოლო აბზაცი, თქვა მეტი, მაგრამ... წიგნი თითქოს მტრულად არის განწყობილი, აღარ სჭირდები.

მიდის წიგნი შენგან, იხსნება მკითხველისთვის და, როდესაც ეს ხდება, მწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალს უდიდესი სიცარიელე ეუფლება – მიგატოვეს. თავისებური იმედგაცრუება გიპყრობს, რადგან კავშირი შენსა და წიგნს შორის განყდა. დაუკმაყოფილებლობის, დაუმთავრებლობის გრძნობა გღრღნის და ახალი წიგნის წერას იწყებ ბალანსის აღსადგენად, რაც, ფაქტობრივად, არასოდეს გამოგდის. ასე გრძელდება წლების განმავლობაში და წიგნები ერთიმეორეს მიჰყვება.

ასე რომ, მკითხველმა უფრო მეტი იცის წიგნზე, ვიდრე ავტორმა. ის, რაც რომანსა და მის მკითხველს შორის ხდება, ძალიან ჰგავს ციფრულ ეპოქამდელი ფოტოს გამუღავნების პროცესს. როდესაც კითხულობ შენს გზას რომანში, სახეები ნაწილ-ნაწილ ჩნდება და, სანამ მთელს სურათს არ დაინახავ, შენში ისეთივე ქიმიური რეაქციები იწყება, როგორიც სურათის გამჟღავნებისას. ეს არის მკითხველისა და ავტორის ჰარმონია. ავტორმა წიგნში უნდა დატოვოს თავისუფალი ადგილი მხატვრული შემეცნებისთვის. მე ვიტყოდი, აკუპუნქტურული წერტილები, რომლებშიც ნემსებია, რათა განთავისუფლდეს გზა და ნერვული სისტემა უფრო მოქნილი გახდეს. ამ წერტილებზე დაწოლისას ემოციების ნაკადი იწყებს მოძრაობას, მკითხველი და ავტორი ერთიანდება და, ალბათ, ამაშია ხელოვნების ჯადოსნობა.

ვფიქრობ, მუსიკის სამყარო თავისი ინტიმურობით მწერლობის ეკვივალენტურია, მაგრამ მწერლობა ნაკლებად სუფთაა და ამიტომაც ყოველთვის მშურდა მუსიკოსების. ჩემი შეხედულებით მუსიკა ხელოვნების მწვერვალია და პოეტები უფრო ახლოს არიან მასთან, ვიდრე მწერლები. თუმც ხშირად მწერალი მთვარეულს ჰგავს – ჩაძირულია



იმაში, რაზეც წერს, შფოთავს და მიდის გზაზე, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მთვარეულებს უკიდურესი სიზუსტე ახასიათებთ – სახურავებზე დადიან და არასოდეს ~~ვარდებიან~~. ცვივიან.

მე ომის შვილი ვარ. დავიბადე ოკუპირებულ პარიზში და ვალში ვარ ჩემს სამშობლოსთან, ჩემს ქალაქთან. ოკუპირებული პარიზი უცნაური ადგილი იყო და აქ, ერთი შეხედვით, თითქოს სიცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხლე გრძელდებოდა – თეატრები, კინოთეატრები, საკონცერტო დარბაზები და რესტორნები ღია იყო, მუშაობდა, რადიოდან სიმღერები ისმოდა. ოკუპაციის დროს თეატრებსა და კინოებს უფრო მეტი ხალხი ჰყავდა, ვიდრე – ომამდე. ეს ადგილები თითქოს უპატრონო ბავშვთა თავშესაფრებად იქცა, სადაც ადამიანები იკრიბებოდნენ და ერთმანეთის გვერდით თავს უფრო დაცულად და იმედიანად გრძნობდნენ. ქალაქში მანქანები არ დადიოდა, დიდი სიჩუმე სუფევდა და ხუთი საათის შემდეგ არც ერთ ფანჯარაში სინათლე აღარ ენთო, არც რადიოს ხმა ისმოდა – კომენდანტის საათი იყო. „ქალაქი თვალების გარეშე," ასე დაარქვეს ნაცისტებმა პარიზს.

კომენდანტის საათის დროს უფროსები და ბავშვებიც ისე შეიძლებოდა გამქრალიყვნენ, რომ არანაირი კვალი არ დარჩენილიყო. საფრთხე ჰაერშიც კი იგრძნობოდა. შემთხვევითი შეხვედრები ადამიანებს შორის, მყიფე სასიყვარულო რომანები კომენდანტის საათის დროს, ხელახალი შეხვედრების უიმედობა. ასეთი შეხვედრების შედეგად მოგვიანებით ბავშვები დაიბადნენ და ამიტომაც ჩემთვის პარიზის ოკუპაცია წყვდიადის თავდაპირველი სახეა, რომელიც განუწყვეტლივ თან მდევდა. მეოცე საუკუნის მწერალი რაღაც შემთხვევის გამო შეიძლება თავისი დროის ტყვე აღმოჩნდეს, ნაწილობრივ მეც მათ შორის\ ვარ.

მეცხრამეტე საუკუნის დიდი რომანისტების – ბალზაკის, ტოლსტოის, დოსტოევსკის ნიგნებმა, შესაძლოა, გარკვეული ნოსტალგია გამოიწვიოს ოცდამეერთე საუკუნის მკითხველში, რადგან მათ ეპოქაში დრო უფრო ნელა მიედინებოდა, ვიდრე დღეს. ნელი დრო კი რომანისტის სამუშაოს წაადგება, რადგან თავისი ყურადღებისა და ენერგიის მობილიზებას ახდენს. მას შემდეგ დრო აჩქარდა და ნახტომისებური მოძრაობა დაიწყო. ამ თვალსაზრისით ჩემი გენერაცია გარდამავალია მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ოცდამეერთეში. ამიტომაც დღეს მე მაინტერესებს, როგორი იქნება მწერლობა მომავალში. თაობა, რომელიც ინტერნეტის, მობილური ტელეფონებისა და ელექტრონული წერილების ეპოქაში დაიბადა, როგორ შეძლებს თავისი სამყაროს გამოხატვას ლიტერატურაში.

დღევანდელი თაობის ადამიანები, სოციალური ქსელების მეშვეობით, მუდმივ „კავშირში" არიან ერთმანეთთან და ინტიმურობისა და საიდუმლოების იმ ნაწილს ფლობენ, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენი თაობის საკუთარი დომენია. არცთუ დიდი ხნის წინათ, ამ საიდუმლოებებმა სახეების სიღრმეები აღმოგვაჩენინა და ჩემი თაობის რომანისტების მთავარი თემა გახდა.

ლიტერატურის მომავალთან დაკავშირებით ოპტიმისტი ვრჩები და დარწმუნებული ვარ, მომავალი ავტორები უნყვეტობას დაიცავენ და გააგრძელებენ კიდეც, ისევე, როგორც ყოველი მომდევნო თაობა აკეთებდა – ჰომეროსიდან დაწყებული. გარდა ამისა, მწერალს ყოველთვის შეუძლია, თუ გამოსდის, გამოხატოს რაღაც ისეთი, რაც დროზე მაღლა დგას და, რაც უფრო მჭიდროდ უკავშირდება იგი თავისი დროის ასაკს, მით უფრო ღრმად სწვდება დროის სულის არსს. პოეტისა და რომანისტის მოვალეობაა, გამოავლინოს საიდუმლო მანათობელი სიბნელისა, რომელიც ნეგისმიერი ადამინის სულის სიღრმეშია.

რომანისტი თავისებურად ნათელმხველიც ან, გნებავთ, გამყოლიც არის, ამავე დროს სეისმოგრაფიც, რომელიც ოდნავ შესამჩნევ მოძრაობებსაც კი აღნუსხავს. მეცხრამეტე საუკუნის ქალაქები მწერალთა ტერიტორიები იყო და ბევრი მწერალი მხოლოდ ერთ ქალაქთან იყო დაკავშირებული; ბალზაკი – პარიზთან, დიკენსი – ლონდონთან, დოსტოევსკი – სანკტ-პეტერბურგთან, ნაგაი კაფუ – ტოკიოსთან, იალმარ სედერბერგი – სტოკჰოლმთან. მათ თავიანთი ქალა-

n 130/98

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქების რომანტიკული საიდუმლოებანი გააცხადეს და შეგვაყვარეს თავიანთი ეპოქა. მე სწორედ იმ თაობას ვეკუთვნი, რომელზეც დიდი გავლენა იქონიეს ამ ბუმბერაზმა მწერლებმა.

ქალაქები იცვლება და დღეს ბევრ მათგანს, მსოფლიო ქალაქებს, მეგაპოლისებს უწოდებენ, რადგან საგანგაშო ზომებს მიაღწიეს. ასეთ ქალაქებში ბევრია მივიწყებული რაიონები, რომელთა ბინადარნიც სოციალური ომის პიროებში ცხოვრობენ, და მწერლისთვის ეს უკვე დიდი თემაა. მინდა შემეძლოს, განვჭვრიტო თუ როგორ შეძლებენ მომავალი თაობის რომანისტები ამ გიგანტური ქალაქების აგლომერაციის ასახვას მხატვრულ ლიტერატურაში.

რაც შეეხება ჩემს წიგნებს, თქვენ მათ ასეთი ფორმულირება მიეცით: „ხსოვნის ხელოვნების დიდოსტატი, რომელიც ღრმად ჩაწვდა ადამიანის ბუნების უფაქიზეს შრეებს და წარმოაჩინა მათი ცხოვრების რთული და მძიმე ხვედრი ოკუპაციის დროს“. ულრმესი მადლობა ასეთი შეფასებისთვის, ეს ჩემთვის უდიდესი პატივია, მაგრამ მიჩნდება განცდა, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, მეხსიერებას განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება, რათა წარსულმა არ შთანთქოს.

მეხსიერება მუდმივ ბრძოლაშია დავიწყებასთან და, როგორც დინებას გაყოლილი აისბერგი, წარსულის ოკეანეში უჩინარდება. წარსულის ეს მასა ბევრ საიდუმლოს ფარავს – ადამიანთა ბედის საოცარ მანათობელ წამებს, რომლებიც წყვდიადში კრთის და მხოლოდ მწერალს შეუძლია მათი აღმოჩენა.

თავი ვალდებულად მიმაჩნია, თავს, მოვუწოდო მწერლებს – როდესაც წარსულის დავიწყების ცარიელ ფურცელს შეეჯახებიან, იპოვონ დაკარგული, მივიწყებული, მიმქრალი სიტყვები, ის სიტყვები, რომელთაც აქვთ მაგიური ძალა, გააცოცხლონ მეხსიერება.

თარგმნა
მარიკა კახაძემ

1968 წლის იანვრის ნომერში „ცისკრის" გარეკანზე პირველად ჩნდება ოთარ ჯიმშერიანის (1929 - 1995) ნახატი შრიფტით შესრულებული სათაური.
ეს „გრაფიკული მესიჯი" მისი გამოხატვის ხასიათით შეგვიძლია მივიჩნიოთ იმ დიდი სოციოკულტურული გარდატეხის გამოძახილად, რომელიც 1967 - 69 წლებში ხდება ევროპასა და ამერიკაში და ჯვალს აჩნევს საბჭოთის ავანგარდულ კომუნებსაც. ამ მოვლენების შემდეგ არტისტული და სახელოვნებო წრეები, სოციუმის დიდი ნაწილი აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც მანამდე იყო.
1967 წელს ნიმანდოობლივია ჯარდინალური ძვრები პოპულარულ მუსიკასა და ხელოვნებაში: ესაა ჯონცეპტუალური ჩანაწერებისა და დიდი არტისტების დებიუტის წელი. ამ მუსიკამ მთლიანად შეცვალა და განაპირობა მომავალი ათწლეულების ესთეტიკა.
1968 წლის მაისი არის საფრანგეთში ახალგაზრდული რევოლუციის, სტუდენტური საჰროტესტო მოძრაობის კულმინაციის ხანა, რომლის მეამბოხე სულისკვეთება გადაედება ჩეხოსლოვაკიას, გადაიზრდება ჰეროიკულ და დრამატულ „ჰრაღის გაზაფხულში" და საბოლოოდ სრულდება ჭიაკების მოძრაობის აპოთეოზით - 1969 წლის ვუდსტოკის ფესტივალით ამერიკაში.
ამ ანტიიერარქიული რყევების ფონზე „ცისკრის" ახალი სასათაურე შრიფტი ექსტრაორდინალური, განუმეორებელი ფორმით, თავისუფალი და დახვეწილი დეტალებით შეგვიძლია მივიჩნიოთ სიმბოლიკურ სიმბოლოდ მაშინდელი ქართული ანდერგრაუნდისა, იკონად, რომელიც დღემდე ინარჩუნებს სიხარულისა და უკომპრომისობის მაგიას.
„ცისკარს" დაუბრუნდა მისი იერის განმსაზღვრელი შტრიხი, რისთვისაც მადლობა მხატვრის მემკვიდრეებს, ქალბატონებს ნინო და მარინა ჯიმშერიანებს.



ISSN 1987-5762
9 771987 576000

ხელმომწერთა საყურადღებოდ!!!
ხელმოწერების გასაფორმებლად დაუკავშირდით ქვემოთ ჩამოთვლილ გამავრცელებლებს მითითებულ ტელეფონის ნომრებზე:
„პლანეტა ფორტე" – ტელ.: 2 92 18 59; 577 55 66 73;
„მაცნე" – ტელ.: 2 14 74 22;
„ელვა.ჯი" – ტელ.: 2 38 26 73; 2 38 26 74
„საქპრესა" – ტელ.: 2 51 85 18; 2 51 59 05
ფასი: **4** ლარი